# კვეჩავა

მანანა მემიშვილის ლიტერატურულ-მემუსიკოლოგიური საბჭოსგან
ალმანახი №7

# ჭუჭრუტანები ცაში

მანანა ბეგიაშვილის

ლიტერატურულ-შემოქმედებითი საახალოსნოს

## კრებული N7

თბილისი
2023

მანანა ბეგიაშვილის ლიტსახელოსნო
დიდ მადლობას უხდის დახმარებისათვის
თორნიკე ლორთქიფანიძეს, გიორგი გაგანაშვილს,
ნანა ბარამიძესა და ორგანიზაციას
„კავშირი ადამიანებისათვის
განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“

ISBN 2960-9747
9772960974004

წიგნის შემდგენლები: მანანა ბეგიაშვილი,
ელენე ლორია
ყდის დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
დამკაბადონებელი: ნანა ბარამიძე
დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში
წიგნის დამზადების პროცესში მონაწილეობდნენ შშმ პირები

# ავტორთა საძიებელი

ეპიგრაფის მაგიერ..... 5
მანანა ბეგიაშვილი, ელენე ლორია-ჭუჭრუტანები ცაში..... 9
ლიზა მამულაშვილი- შემოქმედებითი აზროვნება.....11
ანდრია ჩიხლაძე /15 წლის/.....13
ანა ბერსენაძე /11წლის/.....19
ანასტასია ტომარაძე /13 წლის/.....20
ანდრია გელაშვილი /15 წლის/.....22
ანიკა ბიწაძე /8 წლის/.....25
ბარბარე დგებუაძე /13 წლის/.....27
ბარბარე კალანდია/13 წლის/.....30
ბარბარე კვაჩიძე /13 წლის/.....33
ბარბარე ხახანაშვილი /14 წლის/.....35
ბარბარე ნაფეტვარიძე /11 წლის/.....38
გიორგი გოგოლაძე /10 წლის/.....40
გუკა აღნიაშვილი /11 წლის/.....42
დემეტრე ჭუმბურიძე /11 წლის/.....44
დიმიტრი პეპინაშვილი /21 წლის/.....45
ევგენია კეპულაძე /11 წლის/.....54
ელენე დავითინიძე /13 წლის/.....56
ვაჩე გულბიანი /14 წლის/.....59
ზური კონჯარია /13 წლის/.....67
თათული აგულაშვილი /12 წლის/.....70
თეკლა სიხარულიძე /16 წლის/.....74
თეკლა ქანთარია /16 წლის/.....76
თინათინ ბერიშვილი /10 წლის/.....80
ივა მაჭარაშვილი /14 წლის/.....83
ირაკლი დგებუაძე /17 წლის/.....87
კატო არველაძე /17 წლის/.....90
კახი გელაშვილი /14 წლის/.....94
კოტიკო ხარებავა /11 წლის/.....96

ლიზა სარიშვილი /12 წლის/.....99
ლუკა ჩხარტიშვილი /14 წლის/.....104
მარი ბეგიაშვილი /16 წლის/.....107
მარიამ რაზმაძე /14 წლის/.....109
მარი სანებლიძე /16 წლის/.....114
მაშო სანებლიძე /13 წლის/.....121
მარიამ ჯავახიშვილი /12 წლის/.....122
მარიამ ჯვარშეიშვილი /12 წლის/.....125
მია მეტრეველი /11 წლის/.....128
ნათია ერისთავი /20 წლის/.....130
ნატალია ანჯაფარიძე /11 წლის/.....142
ნინა ანჯაფარიძე /14 წლის/.....144
ნინი რეხვიაშვილი /14 წლის/.....147
ნიკოლოზ ბუგიანიშვილი /12 წლის/.....151
ნიკა კვირკველია /17 წლის/.....152
ნიკოლოზ ლომაია /12 წლის/.....155
ნიკოლოზ ნაფეტვარიძე /10 წლის/.....157
ნიკოლოზ ჩხიტუნიძე /12 წლის/.....158
ნიკუშა ძაძამია /16 წლის/.....161
ნუცა სანებლიძე /14 წლის/.....167
სალომე მაისურაძე /13 წლის/.....170
სანდრო ახვლედიანი /15 წლის/.....174
სანდრო ბურჭულაძე /14 წლის/.....177
სანდრო ცაგარეიშვილი /17 წლის/.....178
სანდრო ჯორბენაძე /13 წლის/.....181
ტასო ბეგიაშვილი /17 წლის/.....184
ტასო სიორიძე /12 წლის/.....186
ტასო ხიდეშელი /14 წლის/.....188
ქეთი რაზმაძე /13 წლის/.....191
ქეთევან ხიდეშელი /12 წლის/.....196
ცოტნე ჯონჯარია /12 წლის/.....199

# ჭუჭრუტანები ცაში

## ეპიგრაფის მაგიერ:

***

ცა ყველას თავზე თანაბარია,
მთავარი ისაა, ვინ რამსდენს ამჩნევს.

*ლუკა აქიმიძე, 17 წლის*

***

პეპელა თავისუფალია, რადგან იგი მზად არის ამისთვის.

*ლუკა კალაძე, 15 წლის*

***

ერთ სახურავზე კიბე იყო, ის კიბე სრულიად მარტო ცხოვრობდა, მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ის კი ყოველდღე იჯდა  და ფიქრობდა. ეგუებოდა თავის მოსაწყენ ცხოვრებას, არავის უნდოდა ვარსკვლავებთან მისვლა....

*ანდრია ჩიხლაძე, 11 წლის*

**კიბე სახურავზე**

ცარიელ სახურავზე მარტოსული და ძველისძველი კიბე იდგა, რომელიც ერთ ბოლოთი მიწას ეჭიდებოდა, ხოლო მეორეთი ცას სწვდებოდა. ისევე, როგორც ჩვენ.

*ანა ჯავახიშვილი, 15 წლის*

**კიბე სახურავზე**

მგონი დადგა დრო, ყველა შოთის პურს წვერები დავაჭამე, ახლა კიდე მგონი მომიწევს რაღაცის მოთხრობა. ხუმრობებით თავი ვერ მოგაბეზრეთ და თითქოს არ მაინტერესებს როგორ დავწერ ამ ტექსტს, მაგრამ ყოველივე ტექსტი ახალი შანსია რომ მასწავლეველმა ძროხის კუდი მიწოდოს. კიბე სახურავზეს არ უჩანს დასასრული და ყველასთვის იგივე არაა. ზოგის კიბე სამოთხეში მიდის, ზოგის ნამგალ მთვარეზე, ზოგის პირველ სართულზე, შეიძლება ქალიც კი დაინახო რომელსაც ყველა ვიცნობთ,

თეთრად ანათებს და გვაჩვენებს რომ ყველაფერი თუ როგორ ხდება ყველაფერი ოქროსებრი, ხოდა მოკლედ კიბე სახურავზე ყველასთვის არის, მაგრამ მასთან ვერც ლიფტი მიგიყვანს და ვერც გიტარაზე კარგად დაკრული მუსიკა, მხოლოდ ფეხი, პასტა, და სუფთა ფურცელი, უჯრედების გარეშე.

*საბა მახათაძე, 16 წლის*

**რა კარგია, როცა ყველა შინაა**

აი, ვზივარ ექვსსაათიან ჯგუფში ჩემს დიდ ოჯახთან ერთად. ერთმანეთის კოსმოსებს, მათში გადამფრენ (ოც)ნებებსა და (ვ)ნებებს ვეცნობით და ბევრს ვიცინით ყველანი. ზოგ მათგანს არც ვიცნობ, მაგრამ, რაც მთავარია, ლიტ-სახელოსნოელები ვართ.

ვიცი, ჩემი ნაწერი ზედმეტად ტკბილია, მაგრამ მაინც კარგია, როცა ყველა შინაა...

**ყველას უნდა, ჰყავდეს ვინმე**

მე მივიწევ იმისაკენ, რომ გავხდე პეპელა. მაგრამ იმისათვის, რომ გავხდე პეპელა, უნდა ვიყო ფერადი. ფერადი კი მაშინ გახდება ჩემი ცხოვრება, როცა ფრენას ვისწავლი.

*გიორგი მაჭარაშვილი, 16 წლის*

***

ადრე არ მჯეროდა, რომ ცისარტყელას ადამიანები აფერადებდნენ, სანამ ჩვენს სახელოსნოში არ აღმოვჩნდი, სადაც ცისარტყელებს ერთად ვაფერადებთ.

*ნინა ანჯაფარიძე, 14 წლის*

**ცა ყველას თავზე თანაბარია**

ყველა ერთმანეთს ეჯიბრება. ყველა სხვაზე უკეთესის გაკეთებას ცდილობს, მაგრამ საბოლოდ ცა ყველას თავზე თანაბარია და ყველანი თანასწორნი ვართ.

*ნატალია ანჯაფარიძე, 11 წლის*

### ჩვენი ცა

ჩვენ ყველანი ერთნაირი დავიბადეთ ამ სამყაროში - უდანაშაულო თვალებით, სუფთა გულით და შეუზღუდავი პოტენციალით. განურჩევლად რასისა, სქესისა თუ სოციალური მდგომარეობისა, ყველა ახალშობილ ბავშვს აქვს თანაბარი უფლება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისა, მაგრამ ყმაწვილობისას ყო-ველ ჩვენგანს თავზე თავისი ცა უჩნდება.

*ზური კონჯარია, 13 წლის*

### ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი

ვარსკვლავზე სულ პატარა პრინცი მახსენდება. ყველაზე კარგად ის დამამახსოვრდა, პატარა პრინცმა რომ უთხრა კაცს: ვარსკვლავს შეხედე და ჩემს სიცილს გაიგონებო. რა მოხდება, თუ ეს ვარსკვლავი მოსწყდება, ღიმილდავიწყებულ ადამიანს ჩაუქროლებს და თავიდან შეაგრძნობინებს იმ გაურკვეველ სასიამოვნო გრძნობას, აი, ისეთს, ჟრუანტელი რომ დაგივლის ხოლმე ტანში.

ყველას თავისი ვარსკვლავი აქვს, რომელშიც პატარა პრინცის კისკისი იმალება. მის მოწყვეტას არ ელოდო, რადგან შენშია...

*ლიზი სარიშვილი, 12 წლის*

***

ერთი ბიჭი თევზაობდა. უცებ ანკესი შეირხა. ბიჭმა მოქაჩა და ამოწია. ანკესს ადამიანების ფიქრები ამოჰყვა, წყალს გატანებული ფიქრები.

*ივა მაჭარაშვილი, 14 წლის*

### რას ვეტყოდით ჩიტებს

ფრინველებს ასეთი ტრადიცია აქვთ: შემოდგომაზე უნდა დაგვტოვონ და გაზაფხულზე დაბრუნდნენ. აი, რას ჩავჩურჩულებდი თბილ ქვეყნებში მიმავალ ჩიტებს: ვეტყოდი, რომ გზა გაქცევაში იკარგება ხოლმე, ამიტომაც, უკანმოუხედავად არ უნდა გაფრინდნენ, გაზაფხულზე აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ, რათა მივხვდეთ, რომ ჩვენი გზა ჯერ კიდევ არ დაკარგულა.

*ნათია ერისთავი, 20 წლის*

**გაიღიმე!**

გაიღიმე ახალ გაღვიძებულმაც კი, შენ გარშემო ხომ ხალხია. გაიღიმე, როცა მაღაზიაში შედიხარ, გაუღიმე მოლარეს, მადლობისას გაუღიმე, ჩხუბისას გაუღიმე... გაიღმე, რაც არ უნდა ცრემლებს იკავებდე ან უკვე ტიროდე. გაიღიმე, როცა ამჩნევ, რომ გიყურებენ, გაიღიმე და თვალები არ ჩახარო, არ გაიხედო, თითქოს ვეღარ ამჩნევ, რომ გიყურებენ. როცა გთხოვენ, გაუღიმე და გააკეთე, რაც არ უნდა გეზარებოდეს. გაიღიმე, როცა სიტუაცია იძაბება. გაიღიმე, როცა გარშემო ადამიანები აღარ გყავს, ტირილით ვერ დააბრუნებ. გაიღიმე, როცა ცუდად ხარ, ტირლის დროსაც გაიღიმე. გაიღიმე, როცა არ იცი, რა თქვა, ხალხს გაუღიმე. უცნობებს გაუღიმე. გაიღიმე, როცა სარკეში იხედები, არ ებრძოლო შენს თავს, შეიყვარე! ხანდახან შენს თავსაც გაუღიმე, ყველაზე მეტად ხომ მან დაიმსახურა...

*ნინი ჯავახიშვილი, 16 წლის*

## ჭუჭრუტანები ცაში
## „ცა -ზეაღსახედი“ - საბა

ყოველ ადამიანს თავისი ცა აქვს, საკუთარი თვალ-საწიერი, რომლის მიღმაც არსებობს და ცხოვრობს. სამწუხაროდ, იმდენად დაიტვირთა და განაცრისფერდა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი, რომ ხშირად ერთიან, დროსმორგებულ არსებებად ვგრძნობთ თავს. ცხადია, ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, ისევე, როგორც სხვა ქვეყნიდან მოდიან ხოლმე („პატარა პრინცის“ ავტორის შეხსენება), ბავშვობის სიხასხასე კი იმდენად გაცრეცილია თუნდაც ჩვენს მომავალ თაობაში, რომ დროდადრო საჭიროა შიგნითა სამყაროს გაღვიძება, ცის საკუთარი ჭუჭრუტანის პოვნა, რათა ჩვენს ლიტსახელოსნოელებს მაინც ვასწავლოთ საკუთარ თავთან მისასვლელი გზის ძიება და გრძნობების გაფერადება. ეს მოკრძალებული კრებულიც ამისი ანარეკლია.

ჩვენი ახალი ალმანახის ეპიგრაფს ძველი სახელოსნო-ელის, ლუკა აქიმიძის, სიტყვები წარვუმძღვანეთ. აქაური ამბები, ლექსები, ნოველები, მინიატურები ცოცხალია, რადგან ისინი სახელოსნოში იქმნება და მათ საკუთარი თავისა და ძიების კვალი ატყვია. სახელოსნოს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ მთავარი ძიებისა და პოვნის პროცესია. ამ ნაწერების ავტორები ჩვენი ლიტერატურული სა-ხელოსნოელები არიან. ზოგი ახალბედაა, ზოგიც - რამდენიმე წელია დადის. მეცადინეობებზე ისინი ერთ სივრცეში იმყოფებიან და ზიარი ხდება ახლისა და ძველის შენაცვლება-მიხვედრა. სინთეზური აზროვნების ჩამოყალიბება, ანუ არსებული, შესწავლილი დანაწევრებული მასალის გამთ-ლიანება, ჩვენი ეპოქის პედაგოგიკის უმთავრესი ამოცანაა. ეს ემოციური ინტელექტის განვითარების უმთავრესი პირობაა. მის გარეშე კი, როგორც დიდი პიროვნება აღნიშნავდა, ადამიანი, რაგინდ გონიერი იყოს, უხორთუმო სპილოს ემსგავსება.

შემოქმედებითი წერის უმთავრესი გზა სწორედ საგნებისა

თუ მოვლენების გვერდიდან, გლობალურად დანახვაა. წერითი აზროვნების ჩამოყალიბება საფუძველს უქმნის მოზარდს, რომ მან არა მარტო თავის მიერ მოგონილი მოთხრობა-ჩანახატები წეროს, არამედ ნებისმიერი საგანი უკეთ აღიქვას და გაერკვეს მასში, რადგანაც მოცემული მასალის შესწავლისას უპირველესად მისი გათავისებაა საჭირო. ჩვენთვის ყველაზე აქტუალურია, რომ ახალგაზრდამ შეძლოს სილამაზის, სიკეთის დანახვა, შეფასება და გათავისება, რადგანაც, მოგეხსენებათ, ჩვენს ამ უმკაცრესსა და ნაცრისფერ დროში შიგნიდან თუ არ წამოვიდა ქმედითი იმპულსი და ცეცხლი, ადამიანი პიროვნულად კვდება.

აქ თავმოყრილ ნაწერებს, ცხადია, არ აქვს შეფასების მაღალი პრეტენზია, უბრალოდ, ესეც ერთგვარი (და, ჩვენი აზრით, მთავარი) ცდაა, საკუთარი კარის პოვნისა ამ უთვალავფერიან, დიდ და უკიდეგანო სივრცეში შესაბიჯებლად.

ეს ერთგვარი ხიდია მათ მშობლებთან ახლობლებთან, საერთოდ, უფროს თაობასთან დასაკავშირებლად გადებული და მათ, უფროსებსაც, ეძღვნებათ.

ამის ასახსნელადაც კი ამჯერადაც მოვიშველიებთ ჩვენი ძველი მეგობრის სიტყვებს:

„მე ამ წიგნს მივუძღვნი ბავშვს, რომელიც ამ სრულასაკოვან ადამიანად იქცა. ყველა დიდი ხომ ბავშვი იყო ოდესღაც (მაგრამ ძალიან ცოტას ახსოვს ეს).“ - *ანტუან დე სენტ ეკზიუპერი*

*მანანა ბეგიაშვილი -*

*შემოქმედებითი წერის მასწავლებელი*

*ელენე ლორია -*

*სახელოსნოს პედაგოგი და ორგანიზატორი*

## შემოქმედებითი აზროვნება

ჩვენი ყოველდღიურობა გვაშორებს საკუთარ თავთან, აზრებთან და, საერთოდ, იმ ყველაფერთან, რაც გვამთ-ლიანებს, რაც მკაფიოდ გვანახვებს ყოფის სიმძიმეს და დაპირისპირებულობას. ამასთან გამკლავება გვიჭირს და გავურბივართ, ის კი ხმალამოღებული მოგვდევს. ბავშვები ყველაზე მძაფრად განიცდიან სამყაროს ლოგიკურ წინააღმდეგობებს, ყოველდღიურად ებრძვიან საკუთარ თავში აღმოცენებულ დემონებს და ანგელოზებს. დემონებსა და ანგელოზებში მე ემოციებს ვგულისხმობ: სევდას სიხარული ცვლის, სიხარულს - სევდა; ბრაზი მთელ სხეულს ედება, რასაც სინდისის ქენჯნა მოსდევს. ეს ემოციები ბავშვებში გაუცნობიერებლად ცხოვრობენ და მათ ყოველდღიურ ყოფასა და გადაწყვეტილებაზე დიდ გავლენას ახდენენ. ცოდნა ძალიან კარგი რამეა; მაგრამ, სანამ ადამიანი რაიმეს შესწავლას მიჰყოფს ხელს, უნდა გაერკვეს, თუ რისთვის აკეთებს ამას. ვინ არის? უბრალო ჭურჭელი, რომელიც ცოდნით უნდა აივსოს, თუ ხე, რომელმაც ნაყოფი უნდა გამოისხას?

შემოქმედებითი აზროვნება ძალიან დიდი მოგზაურობის დასაწყისია, რაც საკუთარ თავთან მარტო დარჩენით იწყება. შენ მოხვედი, რომ გაანათო სიბნელე, რითმა შექმნა, მუსიკა ააჟღერო, კანონზომიერებები აღმოაჩინო; შენ მოხვედი, რომ უკვდავი სიყვარულის ისტორია მოიპოვო. შენ მოხვედი, რომ უბრალოდ უსმინო შენი გულის ფეთქვას და იგრძნო, რომ ხარ... ის ხარ, ვისაც დიდი ხანია, ეძებ, ზუსტად ის.

შემოქმედებითი აზროვნება პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ ბავშვი საკუთარ თავთან მარტო დარჩეს, ეცადოს, ბალანსი იპოვოს და სწორედ ამ სიმშვიდეში თავისი ხმა გაიგონოს, საკუთარი ხმა, რომელიც მოუყვება, თუ რა აწუხებს მას, რატომ აწუხებს და როგორ უნდა გაუმკლავდეს.

შემოქმედებითი წერა საკუთარ თავში, აზრებსა და შეგრძნებებში მოგზაურობაა, რომელიც იქ, სადღაც შიგნით, მიკარგულ მარგალიტებს აღმოაჩენს და ზემოთ, ჩვენს მატერიალურ სამყაროში, ამოაქვს, რათა ვარსკვლავივით გამოანათოს. შენ იწყებ უბრალო ბანალური ამბის დაწერას და აღმოაჩენ რითმას, პოეზიას ან ისეთ გემრიელ ამბავს შექმნი, ვიღაცებს თვალებიდან ნაპერწკლებს გააყრევინებ.

შემოქმედებითი აზროვნება მარტო თერაპია კი არა, საკუთარი და სხვა ადამიანების წინაშე პიროვნების ჭეშმარიტად წარმოჩენის ამბავია - იყო და არა ჩანდე ვინმედ!

*ლიზა მამულაშვილი - ფსიქოლოგი*
*ლიტერატურულ-შემოქმედებითი სახელოსნოს*
*აღზრდილი*

# ჭუჭრუტანები ცაში

*ანდრია ჩიხლაძე*
*15 წლის*

***

ერთ სახურავზე კიბე იყო, ის კიბე სრულიად მარტო ცხოვ-
რობდა, მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ის კი ყოველდღე
იჯდა  და ფიქრობდა. ეგუებოდა თავის მოსაწყენ ცხოვრებას -
არავის უნდოდა ვარსკვლავებთან მისვლა....

## ლომი ზოოპარკში, რომელიც ფიქრობს, ადამიანი რომ იყოს, როგორი იქნებოდა

იმ დღეს ვიღვიძებ და ლომის გალიაში ვარ. თან ეს ლომიც გვერდზე მიწევს. როგორც ჩანს, ეძინა. არც თუ ისე სასიამოვნო სიტუაცია შეიქმნა, ახლა რომ დავუკვირდი. რა თქმა უნდა, ბევრი კითხვა გამიჩნდა, მაგრამ ლომი ამხელა თუ იქნებოდა, მაინც ვერ ვიფიქრებდი. თან რაღაც საყვარლად ეძინა, ჩემს ძაღლს მახსენდება. მოფერებას ვაპირებდი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ლომი იყო და მაინც თავი შორს დავიჭირე. ცოტა უკან გავჩოჩდი და დავფიქრდი, ახლა რა მინდოდა ზოოპარკში, თან ლომთან. გუშინ სახლში ვიყავი, არაფერი საეჭვო არ მიქნია და ასე 11-ისთვის კი მეძინა, საათს დავხედე და 2-ის ნახევარია. ბოლო 2 საათში ფეხზე ადგომა და ზოოპარკში ლომთან დასაძინებლად წასვლა არ მახსოვდა. ხოდა, ცოტა ჩავფიქრდი. ლომის გაღვიძებაზეც ვიფიქრე, მაგრამ მაინც მეშინოდა. ხოდა, მეც

დაველოდე ასე ნახევარი საათი. მერე ვეღარ მოვითმინე და კენჭი ვესროლე. ამასაც გაეღვიძა, მეც გამიხარდა, მაგრამ რა მიხაროდა, არ ვიცოდი. წამოდგა თუ არა, ჩემკენ წამოვიდა. ნელ-ნელა მოიწევდა, საბოლოოდ მოვიდა, დამსუნა, ერთი ენა ამისვა და მომესალმა. შიშმა გადამიარა, ალბათ მეც ლომში ავერიე-მეთქი და მეც მივესალმე. მერე მაინც ვკითხე, აქ რა მინდა, ვინ მომიყვანა-მეთქი. ხოდა, დაიწყო ამანაც მოყოლა. თურმე, გალიის გასაღები ამას ჰქონია, ღამ-ღამობით აღებდა, გამოდიოდა და ხალხს აკვირდებოდა. ერთხელ თურმე მე დავუნახივარ, ჩემთან სახლში ამოსულა და წამოვუყვანივარ თავისთან. ტანსაცმელი ვინ ჩამაცვა და სახლში როგორ შემოვიდა, აღარც მიკითხავს, სადაც ლომი ლაპარაკობდა, იქვე ეგეც დავიჯერე. ეს ინფორმაცია რომ გადავხარშე, მივხვდი, რომ შეჭმას მიპირებდა. ხოდა, ვუთხარი, სანამ შემჭამ, ჩემებს მაინც დავურეკავ, ვეტყვი, ლომი მჭამს-მეთქი. ეს წამოდგა და ისევ ლაპარაკი დაიწყო, სადღაც 15-20 წუთი ილაპარაკა. აზრი, რაც გამოვიტანე, ის იყო, რომ შეჭმას არ მიპირებდა და უბრალოდ ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ამდენი ლაპარაკის მოსმენას ისევ შეჭმა მერჩივნა.

აღმოჩნდა, რომ ამ ლომს ადამიანად ყოფნა უნდოდა და სულ იმაზე ფიქრობდა, ადამიანად რომ დაბადებულიყო, როგორი იქნებოდა. კაი ხანს ვილაპარაკეთ, ცოტა ხასიათზე მოვიყვანე და მხარში დავუდექი. საბოლოოდ, იმ აზრამდე მივედით, რომ ადამიანები უფრო ცხოველები არიან და უფრო მეტს აშავებენ, ვიდრე ცხოველები. ლომიც უკეთესს ხასიათზე მოვიდა. კარები გამიღო. ნომრები გავცვალეთ, ერთმანეთსაც გადავეხვიეთ და წამოვედი სახლში.

ამის მერე ლომის სანახავად საკმაოდ ხშირად დავდივარ, ტელეფონზეც ვლაპარაკობთ და რაღაცებს ვთამაშობთ კიდეც. არა, ისე ამ დაჭერობანას თამაშში მაინც ვერ მოვუგე, რა.

## შეყვარებული ხე

პატარა რომ ვიყავი, მე და მამაჩემმა ეზოში ოთხი ხე დავრგეთ; ნუ, წესით, ოთხი იყო, მაგრამ რატომღაც ორი ამოვიდა; ორი, მაგრამ საკმაოდ მოზრდილი. ცოტა რომ წამოიზარდნენ, ლაპარაკიც დაიწყეს, მათთვის სიარულის სწავლებაც ვცადე, მაგრამ, სამწუხაროდ, ფესვებს ვერ წევ-დნენ. მოკლედ, ამის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა; უკვე საკმაოდ დიდები არიან; სახელები ვერ დავარქვით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საპირისპირო სქესების წარმომად-გენელი ხეები იყვნენ. რადგანაც ორივე გვერდიგვერდ იდგნენ, თუ ისხდნენ, თუ იწვნენ, თუ…

მოკლედ, ორივესთან თანაბარ დროს ვატარებდი და ორივესთან ახლოს ვიყავი. საიდუმლოებს ერთმანეთისაგან ფიზიკურად ვერ მალავდნენ,

მაგრამ რაღაცნაირად მაინც მოახერხეს ერთის გაპარება.

## გივი

-რა მორცხვი ბიჭია, - ჩაილაპარაკა გოგომ, რომელსაც ახლად გადმოსული მსუქანი ბიჭი გვერდზე უზის. გივი ამ კვირას ახალ სკოლაში გადავიდა, აქ მეგობრები არ ჰყავს, მაგრამ სოციალურობით გამორჩეული არც არასდროს ყოფილა. თითქმის სულ სახლში იჯდა, თავისუფალ დროს ჭამას უთმობდა, პრინციპში, დაკავებული არც არასდროს ყოფილა, შესაბამისად, სულ ჭამდა. წინა სკოლიდან გამოუშვეს, პატარა ბავშვებს საჭმელს ართმევდა და თვითონ ჭამდა, თან გაკვეთილებსაც აცდენდა. არც იყო დასატოვებელი. აქაც მთელი კვირაა ბუფეტშია, გაკვეთილებს თითქმის არ ესწრება, ბუფეტშიც ერთი ადგილი აქვს არჩეული და სულ იქ ზის.

დღეს, დაახლოებით მეოთხე გაკვეთილის მერე, გივის ვიღაცა გოგო მიუჯდა, სავარაუდოდ, კლასელი იქნებოდა,

ერთი დანახვით ვერ გაარკვია. პირი ლობიანით ჰქონდა გატენილი.

-გამარჯობა! - უთხრა გოგომ, გივიმ გადახედა, ლამაზი გოგო იყო, გივისგან განსხვავებით, ამდენს არ ჭამდა და ბევრად გამხდარი იყო. გივის გაუკვირდა, მერე მეორეჯერ შეხედა, ლობიანი გადაყლაპა და თვითონაც მიესალმა.

-გაგიმარჯოს!

-მე ანი ვარ, შენ რა გქვია?

-გივი…

-ალბათ ძალიან გიყვარს ჭამა, რაც სკოლა დაიწყო, ერთხელაც არ ამოსულხარ და სულ აქ ზიხარ. -გაიღიმა ანიმ. გივი ისევ ჩაფიქრდა, ვერ მიხვდა, რა უნდოდა ამ გოგოს. ანიც დაბნეული იყო, ანდა, სხვა რა უნდა ეფიქრა.

-კი, მიყვარს, მერე შენ რა?

-გინდა ლობიანი გიყიდო? - ჰკითხა ანიმ. გივის გაუხარდა, თვალები გაუნათდა და ასე, 30 წამი ანის აშტერდებოდა.

-კი, მინდა, ოღონდ შენც თუ იყიდი. - გაწითლდა გივი. ანის ჩეცინა.

-რა მორცხვი ბიჭია, - ჩუმად ჩაილაპარალა ანიმ. ადგა, ორი ლობიანი მოიტანა, ერთი პატარა ერთი - დიდი. ალბათ თქვენ თვითონაც მიხვდებით, რომელი ვისთვისაც იყო. ცოტა ილაპარაკეს, ორივე უფრო კომფორტულად იყო ერთმანეთთან. ლობიანებიც დაამთავრეს. გიგი ვერ დანაყრდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, ანის მადლობა გადაუხადა და უხერხულად ხელი ჩაკიდა.

-რა მორცხვი ბიჭია, - ჩაილაპარაკა ანიმ, პატარაზე ჩაიცინა და ასე ხელჩაკიდებულები გაეშურნენ კლასისკენ.

## იმ მთის იქით მომხდარი ამბავი…

იმ მთის იქით ერთი სოფელია, ალბათ დაგაინტერესებთ, რა მთისო, მაგრამ მაგას ვერ გეტყვით, საიდუმლოა. ამ სოფელში ბევრი არავინ ცხოვრობს, არც ბევრმა იცის მის

შესახებ, ცოტათი უცნაური ადგილია, ყველა იძახის, ძალიან ჰარმონიული და თბილი ტერიტორიააო, ყველა კარგად ცხოვრობს, სულ სითბო და მზეა, ყველა მეგობრობს და კომფლიქტები თითქმის არასდროს არის. რამდენად უნდა დავიჯერო ეს ყველაფერი, არ ვიცი, ჩემი სანაცნობო წრიდან ვინც წავიდა, უკან არავინ დაბრუნებულა, დიდად წასვლა მინდა-მეთქი, მოგატყუებთ, უფრო სწორედ, ვერ გადავწყვიტე, რა გავაკეთო, მშობლებიც არ მიშვებენ, საშიშიაო, ხოდა, მიწევს ამ სიცივეში, თოვლში და ყველაზე არაჰარმონიულ ქალაქში ჯდომა და ამ მთის იქით სოფელზე ოცნება.

## მამას მიჰყავს შვილი სასეირნოდ

იმ დღეს სახლიდან სასეირნოდ გავდიოდი, რაღაც სასიამოვნო ამინდი იყო და ცოტა ჰაერს ჩავყლაპავ-მეთქი. რომ ვიძახი, კარგი ამინდი, მზე და სითბო კარგის ნიშანია-მეთქი, არ სჯერა არავის. ჩავჯექი ლიფტში და როგორც ჩანს, მარტო მე არ მდომებია ჰაერის ყლაპვა, მეზობელი და მისი პატარა შვილიც მოდიოდნენ. მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, მოვიკითხე და ამასობაში ჩავედით კიდეც. სად მიდიოდნენ, აღარ მიკითხავს, მაგრამ მაგის გასარკვევად არც თუ ისე დიდი ხანი დამჭირდა. გასვლიდან 5-10 წუთი ერთ გზაზე მივდიოდით. მერე სხვაგან გაუხვიეს, მაგრამ რატომღაც გაყოლა მომინდა და მეც შევყევი. არც თუ ისე ხშირად ვხედავ ხოლმე ამ კაცს შვილთან ერთად, სამწუხაროდ, ერთად არ ცხოვრობენ. სხვათა შორის, ძალიან კეთილი კაცია, ასაკოვანია, სხვა მშობლებთან შედარებით და ყოველ შეხვედრაზე ახალ-ახალ ამბებს მიყვება ხოლმე. ზოგადად, ცოტა მელანქოლური ხასიათისაა, მაგრამ შვილთან ერთად ყოველთვის შეცვლილია, რაღაცნაირად ანათებს. მეც მსიამოვნებს ამ ორის ყურება, იდეაში, უმეტესობა მამა-შვილის ურთიერთობის. უფრო უფროსი ძმასავით

ჰყავს, ვიდრე მამასავით. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, მამა-შვილის ურთიერთობას ხალხი დიდ ყურადღებას არ აქცევს, რაღაცნაირად დედა-შვილის კავშირი ფარავსო. არადა, საუკეთესო შემთხვევაში, მამისა და შვილის ურთიერთობა სიყვარულით, ნდობითა და პატივისცემითაა სავსე. მამები გადამწყვეტ როლს ასრულებენ თავიანთი შვილების გაზრდაში და ასწავლიან ცხოვრების ღირებულ გაკვეთილებს. შვილები კი უყურებენ მამებს, როგორც მისაბაძ ადამიანებს და, ასე რომ ვთქვათ, მასწავლებლებს, სწავლობენ მათი გამოცდილებიდან და ეძებენ მათ რჩევებსა და სიბრძნეს.

ხო, სად გავჩერდი? მოკლედ, შევუხვიეთ თუ არა, რაღაც ლამაზი პარკი იყო. აქამდე ნანახი რატომ არ მქონდა, არვიცი. ნელ-ნელა მივყვებოდი, შემდეგ სადღაც ჩამოსხდნენ და მეც ასე, 5-10 მეტრის მოშორებით მივუჯექი. ცოტა ხანს ვუყურე, შემდეგ წამოვდექი, დავტკბი ცის შემხედვარე და გავუდექი ჩემს გზას.

## მე რომ მე არ ვიყო

სიმართლე რომ ვთქვა, ამ თემაზე არასდროს მიფიქრია, კი, ცოტა გასაკვირია, ადამიანების 90% სხვების ცხოვრებაზეა მიჯაჭვული და სულ სხვა პიროვნებად ყოფნა უნდა, მაგრამ რა ვიცი აბა, მე პირიქით ვარ. რომ გითხრათ, ახლა ბევრი ფული, სახლში ჯდომა და არაფრის კეთება არ მინდა-მეთქი, მოგატყუებთ, ხოდა, იყოს, მოგატყუებთ რა, ჩემი რა მიდის. მეც ვინმე დიდი ფილოსოფოსი არ ვიყო! მაგრამ ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ცხოვრების მოძულებას აზრი არა აქვს, ნუ, თუ მოიძულებთ, ვერც მე ვერ ვიზამ ვერაფერს და ვერც ვერავინ, არც არაფერი შეიცვლება თავისით და მაგიურად სხვა ადამიანადაც ვერ ვიქცევით, გვრჩება ერთი არჩევანი, ცხოვრების გაგრძელება, გინდ მოგწონდეთ ეს, გინდ - არა.

ეჰ, არადა, ფული და სახლში ჯდომა მართლა რა კაი იქნებოდა. ახლახან გრიპი მქონდა და კიდევ კარგად დავწერე.

*ანა ბერსენაძე (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*11 წლის*

## ცელქი ავტობუსი

ცელქი ავტობუსი აქეთ-იქით დაქროდა. ერთხელაც ცხვირით ორმოში ჩავარდა. გონს სახელოსნოში მოვიდა. ვინ ცხვირს უცვლიდა, ვინ გვერდს, ვინ სახურავს, სანამ გადაღებავდნენ, ავტობუსმა სარკეში თავისი თავი დაინახა, ძალიან მოეწონა და სახელოსნოდან გაიქცა. დაქრის ახლა ცელქი ავტობუსი, ლურჯი ცხვირით, წითელი კარით, ყვითელი სახურავით, მწვანე გვერდებით და ძალიან ბედნიერია.

## მე ვარ ხე და ვდგავარ წვიმაში

ხე ტოტების სიმძიმემ გააღვიძა. ისევ მთელი ღამე წვიმდა! - გაიფიქრა ხემ, გაიზმორა, ტოტებიდან წვეთები ჩამოიბერტყა და ქუჩას გადახედა. ხალხი ჭრელა-ჭრელა ქოლგებით მიდი-მოდიოდა. ვერავის ვერ ვცნობ,- ეწყინა ხეს. უქოლგო გოგომ თავი შეაფარა მის ქვეშ. გაიხარა ხემ, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე არმოჩნდა. თიკომ მეგობარი დაინახა, მისი ქოლგის ქვეშ შეძვრა  და წავიდნენ. ნეტავ, ქოლგა მეც მქონდეს! - გაიფიქრა გულდაწყვეტილმა ხემ.

*ანასტასია ტომარაძე*
*13 წლის*

## ვარსკვლავი, რომელიც ცას მოსწყდა

ხანდახან ადამიანები თავს კარგავენ. იკარგებიან სადღაც შორს და ქრებიან, როგორც წამიერი ტალღა ნაპირზე. დრო მელიასავით მიიპარება და ადამიანებიც ვერც ვერაფერს იაზრებენ, დრო კი იშვიათად თუ გამოაკაშკაშებს და ისევ კარის მიღმა მიიმალება, თავის გრძნობებში გაფანტული.

ჩვენი დროც ვარსკვლავია, თუმცა მოწყვეტილი, ჩამქრალი ვარსკვლავი, რომელიც ერთ დღეს აუცილებლად გაბრწყინდება, აყვავდება, ფრთებს გაშლის და გაიაზრებს, რომ გარეთ სამყარო ფერადია და კაშკაშა.

ჩვენც ვარსკვლავები ვართ.

## შემოდგომის კინოკადრი

ფოთოლი ვარდება, ის მზადაა ამისთვის. ქარი ქრის, იტაცებს ფოთლებს. მოივლიან ქალაქს და ლომისფერ შემოდგომას აფერადებენ.

## სახლიდან გამოქცეული ძაღლი

შავი ჭიშკრის მიღმა ერთი ოჯახი ცხოვრობდა. მათ ძაღლი ჰყავდათ, რომელსაც ბავშვივით უვლიდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ეს ძაღლი ყველა მეზობელს უყვარდა, ისეთი ფუმფულა და საყვარელი იყო. პაწაწინა თათებით დაბაჯბაჯებდა და ბეწვიდან დიდი შავი თვალებით იყურებოდა. ოჯახში ყველაზე ძვირფასი ჯერ ეს ძაღლი იყო და მერე - ლარნაკი, რომელიც თაობოდან თაობას

გადაეცემოდა. ერთ დღეს ძაღლი სამზარეულოში შეიპარა საჭმლის მოსაპარად და ეს ლარნაკი გადმოუვარდა. მაშინვე შევიდა პატრონი ოთახში და გაუბრაზდა, გარეთ გააგდო და კარები მოუხურა. ძაღლს ძალიან ეწყინა და თავჩაღუნული ძირს იყურებოდა, იხსენებდა კარგ მოგონებებს და დარდი ამაზე გადაჰქონდა. უეცრად კარი გაიღო, პატრონმა შინ შეუშვა და ჩაეხუტა. ეს ყველაფერი კი ძაღლმა წარმოიდგინა, როდესაც ჩუმად საჭმელისკენ მიიპარებოდა. ის ხომ მკაცრად იყო გაფრთხილებული, ლარნაკი არ გადმოეგდო.

## იქ, სადღაც ღრუბლებში

მოღუშული დღეა. აი, ისეთი, შენთვის სახლში ყოფნა და კინოს ყურება რომ გინდა. ვზივარ სკამზე ჩემს ოთახში. თვალები დავხუჭე და სადღაც გავჩნდი, სადაც მხოლოდ ღრუბლებია, სადაც შეგიძლია გაფრინდე, თუ ფრთები გაქვს. ყველაფერი ღრუბლებივით მსუბუქია. მზე ცას უღიმის, ცა კი - მზეს. ღრუბლებში მანამდეც ვყოფილვარ თვითმფრინავით, მაგრამ აქ სხვანაირი სილამაზეა. ღრუბლები მზეს ირეკლავს და ისეთ ელფერს ქმნის, თითქოს ღრუბლებზე ყაყაჩოები ამოსულა. უცებ ვახელ თვალებს და ვიხედები ფანჯარაში. ისევ წვიმს და და ისევ ნაცრისფერი დღეა.

*ანდრია გელაშვილი*
*15 წლის*

## მონოლოგი

როგორია, როცა იღვიძებ დილით ადრე და იცი, რომ სკოლაში უნდა წახვიდე, სამი ტესტი უნდა დაწერო და თან არაფერი  იცი?! მანდ უკვე ისეთი სიტუაციაა, აღარ იცი, რა ქნა - რომ წახვიდე და დაწერო ყველაფერი ორიანზე, მერე მშობლები დაგიწყებენ ჩხუბს და ამოგადენენ  ყელში, მაგრამ რომ არ წახვიდე, მასწავლებელი უბრალოდ მშობელს დაურეკავს და ჰკითხავს, რატომ არ არის სკოლაშიო. დედა რამეს მოიფიქრებს, თან მანამდე დრო მექნება და მოვემზადები ტესტისთვის, მაგრამ მთავარია, დედას სახლში არ დავხვდე, თორემ სადაც დამინახავს, იქვე მიმაკლავს.

კი მეცოდება დედაჩემი, ამას რომ ვუკეთებ, მაგრამ ასე რომ არ მოვიქცე, ერთ დღესაც გული დაარტყამს, ამიტომ ამას ისევ დედაჩემისთვის ვაკეთებ, მაგრამ  თვითონ კი ვერ ხედავს ჩემს ამხელა სიკეთეს, პირიქით, ყვირის: ღმერთო, როდის მომკლავ, რომ დავისვენოო!

მოკლედ, ასეთ მომენტში ყველაზე კარგი ვარიანტი ბაბუასთან წასვლაა, თან ნახავ მონატრებულ ბაბუს და თან ბაბუ თავის ახალგაზრდობის ამბებს მოგიყვება, თან რამდენი მივალ, უფრო და უფრო მაკვირვებს, ადამიანი ასეთი ცელქი როგორ შეიძლება, რომ ყოფილიყო და ასე ვხალისობთ ერთმანეთის ამბებზე.  მერე მივეხმარები შუადღემდე, შევჭამდით და გამაცილებს. გაცილებისას კი მარიგებს, მშობლებს როგორ უნდა დავლაპარაკო თან რამდენსაც დამარიგებს, იმდენი მათ ამართლებს.

ერთხელ ვცადე და ასე არ დაველაპარაკე დედაჩემს, მერე კი დავრჩი პირში ჩალაგამოვლებული.

## მამები და შვილები

ცხოვრება ზოგადად ასეთია - ის ბავშვი გულაობს, რომელიც მამასთან არის. მამები ძალიან გულუხვები არიან, რაც არ უნდა სთხოვოს შვილმა, ყველაფერს უყიდის და მისცემს . „მამა, ის მინდა, მამა, ეს მინდა!» მამაც კიდევ უსრულებს ყველაფერს შვილებს, გეგონება, ყველას ბატონები აქვს. ასე ატარებენ მამები და შვილები მთელ დღეს კარგად, მაგრამ ბოლოს დედასთან მივლენ და ყველაფერი სხვანაირად დატრიალდება ხოლმე .

## ცისარტყელაზე გავლა

როგორია ცისარტყელა გავლა? ამ კითხვას ორი ტიპის პასუხი აქვს. ბავშვები იტყვიან, ცისარტყელაზე სიარული ისეთია, როგორც მატარებელი დადის ლიანდაგებზე, სრიალითა და სიმშვიდითო. ან რაღაც ამდაგვარს. დიდები კი იტყვიან: ზედ რომ დადგე, ჩავარდები და მოკვდებიო. ამიტომაა ბავშვები ასჯერ ბედნიერად რომ ცხოვრობენ, ვიდრე დიდები.

## აღდგომის მეორე დღე

აღდგომის მეორე დღე გათენდა. მე ცოტა მიჭირს გაღვიძება, არადა, ბევრი არ დამილევია, ნახევარზე მეტს წასულებს ვუსხამდი, რომ არ დამელოცა, არ გამოვიდოდა. მოკლედ, ისე ვადანაშაულებდი ჩემს თავს, გეგონება, რაღაც არაამქვეყნიური ჩავიდინე. ბოლოს, ძლივს გავიაზრე და ფიქრს მოვეშვი. გამახსენდა, რომ აღდგომის მეორე დღეს და ჩემ ირგვლივ სულ ცოცხალ-მკვდრები არიან. არავის სცალია ჩემთან ერთად გარეთ გამოსასვლელად. ჩემს ძმას სულ სამეცადინო აქვს, ჩემი მეგობარი ქალაქში წავიდა და დანარჩენი ან კვდება, ან  კვლავ გასულია მომსახურების ზონიდან. ამიტომაც გადავწყვიტე აივანზე მდგარს გამეხსენებინა ყვველა აღგდომა, რაც აქამდე მქონია

და მთელი დღე ფიქრს შევალიე, გეგონება, სხვა საქმე არ მქონდა, მაგრამ აღდგომის სიტკბოსა და სიამის გემოს რომ ვიხსენებდი, იმ გრძნობას ვერ ველეოდი.

## კეთილი ტყე

ზოგადად, ტყე ყველას მგლებით და ათასი უბედურებით სავსე წარმოუდგენია, მაგრამ ტყეზე კეთილი არაფერია. ტყეში ბუნების სხვადასხვა ძალების ურთიერთკავშირი ისეთია, რომ ერთი კომპონენტის გარეშე დაიშლება და ტყეც აღარ ერქმევა. ტყე ერთგვარი ერთიანობაა, ამიტომაც ჰქვია ტყე.

## ცხოველები ზოოპარკში

ზოოპარკში ცხოველები ერთი გალიიდან მეორეში ჭორაობენ. თურმე, მელიები აქეზებენ ცხოველებს, დამთვალიერებლები გარედან ბატიბუტებს რომ ესვრიან, გამცირებენო! ეს ამბავი ამათ ამოსვლიათ ყელში. გეგონება, ცხოველებიცა და მნახველებიც არ შეექცევიან იმ ბატიბუტს გემრიელად! არა, რა! მელიის გალიასთან ახლოს მარტივად პროვოცირებადი ცხოველები არ უნდა ამყოფონ, ვერ შეიგნეს! ასე დაიწყეს ეს ჩივილი იმ წინა მაიმუნებთანაც, ასე ბატიბუტებით დააწყებინეს გართობა მნახველებმა, მერე ასე მიჰყვნენ ნელა, შეაპარეს სხვა რამეებიც და ბოლოს, ათ ქილა ენეტგეტიკულ სასმელს აძლევდნენ და ისე გააგიჟეს ის მაიმუნები, რომ მთლიანი გალია ნაწილებად დაშალეს.

მერე რა გინდა, მელიებმა თავისას ხომ მიაღწიეს და ერთი მელა ხომ გააქციეს ამ ხერხით!

## ერთი კაცი ცოტა ხნის განმავლობაში

ერთი კაცი იჯდა მოსაცდელში, ელოდა წვიმა როდის გადაიღებდა, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და სახლში წავიდა. ძალიან შიოდა. სახლში მალე მივიდა და წვიმამ გადაიღო. დარჩა კაცი გალუმპული, მაგრამ პური მშრალი მიიტანა.

*ანიკა ბიწაძე (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*8 წლის*

## ვითომ-ვითომ

მოგესალმებით! მე ვარ ვარსკვლავი და კოსმოსში მომხდარი ამბები მინდა მოგიყვეთ. სინამდვილეში, აქ ყველაფერი ტკბილია. მე თაფლის ვარსკვლავი ვარ. იუპიტერი მთლიანი ტორტია. მერკური კი - ბამბის ნაყინი. ადრე ეს ამბავი არ ვიცოდი და მიკვირდა, ყველაფერი გემრიელად რომ გამოიყურებოდა. ერთხელ იუპიტერთან მივედი და ვკითხე:

- იუპიტერ, ასეთი ტკბილი რატომ ჩანხარ?

- იმიტომ, რომ ტორტი ვარ..- გაეღიმა იუპიტერს.

- რა ტორტი?! - გამიკვიდა მე..- მაშინ, შეგიძლია ერთი ნაჭერი მომცე?- ვკითხე გამომცდელქად..

იუპიტერმა ერთი ნაჭერი მართლა მომცა და გერმიელად შევექეცი.. შემდეგ მერკურთან გადავწყვიტე მისვლა.

- მერკურ, ასე შაქრიანად და ფუმფულად რატომ გამოიყურები?- ვკითხე მე.

-იმიტომ, რომ ბამბის ნაყინი ვარ.- მიპასუხა მერკურმა.

-მართლა? შეგიძლია გამიყო?

-რა თქმა უნდა! - მიპასუხა მხიარულად ბამბის ნაყინმა, გამიყო თავისი ნაწილი და პირი ჩავიტკბარუნე.

ასე აღმოვაჩინე, რომ თურმე ნამდვილში კი არა, ტკბილ კოსმოსში ვცხოვრობდი და ძალიან გამიხარდა, რომ შეიძლება რაღაცები ისე მოხდეს, როგორიც ჩვენს ფანტაზიებში..

## წიგნი

მე ვარ წიგნი, არავინ მშლიდა და ვერ ვსუნთქავდი.

ერთხელ, მოვიდა გოგო, გადამშალა და როგორც იქნა, ამოვისუნთქე.

## ჩემი ჯადოსნური ტყე

ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი ანიტა წავედით ტყეში. ტყემ ძალიან დამაინტერესა. მეორე დღეს იქ მარტო წავედი . ხეები წითელი იყო, და წიგნებს ისხამდა. წიგნებში მელნის მაგივრად წვენით ეწერა. ცა იყო ვარდისფერი. წვიმის მაგივრად ვარდები ცვიოდა და ტბა იყო იასამნისფერი. ტბაში თევზების მაგივრად სათამაშოები ცურავდა. ეს ტყე გახდა ჩემი საყვარელი ადგილი.

## ჭრელი ავტობუსი

არსებობს ერთი ქალაქი, ჭრელი ქალაქი. ჭრელ ქალაქში ჭრელი ხალხია, ავტობუსიც ჭრელია. ავტობუსს სახე აქვს და იღიმის. ერთხელ ჭრელი ავტობუსი გასცდა ჭრელ ქალაქს. ჭრელმა ხალხმა ჩხუბი დაიწყო: „ეს შენი ბრალია, წითელო!“ - უთხრა ყვითელმა. „მე რა შუაში ვარ? შენი ბრალია !“ გაჩუმდით ! „შენი ბრალია, თეთრო!“ თქვა იასამნისფერმა. „არა, ეს მწვანეს ბრალია“ - თქვა თეთრმა. „არა, ეს ვარდისფერის ბრალია!“ - თავი გაიმართლა მწვანემ. ვარდისფერმაც დააყოლა „არა, ეს ჩემი ბრალი არ არის“. ამასობაში, ავტობუსი დაბრუნდა ჭრელ ქალაქში. და ავტობუსში ჩხუბი უაზროდ მოხდა... აი, მორალიც : ტყუილად, არ უნდა იჩხუბო, როდესაც ხედავ რომ არავის ბრალია .

## გაღიმებული ბროწეული

ერთხელ დედამ ხილის ყიდვა გადაწყვიტა და მეც თან გავყევი. დავინახე გაღიმებული ბროწეული და  მივხვდი, რაღაცაში იყო საქმე. ნეტა, ვის უღიმის-მეთქი, - ვიფიქრე და კარგად  მოვათვალიერე იქაურობა. ქალი ბროწეული შევამჩნიე, ალბათ მას უღიმოდა.მერე დედამ დამიძახა და სალაროსკენ წავედით.

*ბარბარე დგებუაძე*
*13 წლის*

## ანას მამა

რაც ანამ უნივერსიტეტში სიარული დაიწყო, ყოველ კვირას უწევს მარშუტკაში ჩაჯდომა, ხაშურის უკან ჩამოტოვება და იქვე ნაყიდი ყურსასმენებით რაღაც უცნაური მუსიკის მოსმენა. ნუ, რა თქმა უნდა, ეზარება ყოველ პარასკევს ჩაბარგება, დიდ ხანს მგზავრობა, მერე ამობარგება, მერე ისევ ჩაბარგება და მერე ისევ დიდ ხანს მგზავრობა, მაგრამ არ ეზარება მარშუტკის გაჩერებაზე მამამისის დანახვა, მისთვის უნივერსიტეტის ამბების მოყოლა, მასთან ერთად ვახშმობა და ისიც ძალიან უყვარს, ყოველ კვირა საღამოს მამას მარშუტკიდან ხელს რომ უქნევს და თბილისში ჩასვლისთანავე მის ზარს რომ ხედავს.

ანა შაბათ-კვირას თბილისშიც დარჩებოდა, მაგრამ სახლში მამა ელოდება.

## ისევ ანას ამბავი

ანასთვის თოვლის ბაბუამ არსებობა მაშინ შეწყვიტა, როცა ცრემლებიანმა ლიზიმ მას მძიმე საიდუმლო გაუმხილა და უთხრა, რომ თოვლის ბაბუა უფროსების მოგონილი ტყუ-ილი იყო. ანას მისი არარსებობის შესახებ მანამდეც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ ეგ ყველაფერი უბრალო ჭორი ეგონა.

- თუ არ არსებობს, მაშინ ვის მოაქვს საჩუქრები და ის კაცი მაღაზიაში ვინ იყო?

- საჩუქრებს მშობლები ყიდულობენ, ანა!! მშობლები!! ის კაცი კიდევ უბრალოდ გადაცმული იყო!- იძახდა განერვიულებული ლიზი.

თოვლის ბაბუას არარსებობას ანა არ შეუწუხებია. ის მაინც წერდა წერილებს, ისეთებს, მშობლებს რომ მოეწონებოდათ.

## ჩემდა გასაოცრად, უეცრად ბაყაყმა მითხრა

ჩემდა გასაოცრად, უეაცრად ბაყაყმა მითხრა: „თუ მაკოცებ, პრინცად გადავიქცევი.» ცოტა ხანს ვუყურე, მიყურა, ვუყურე, მიყურა და სიცილი ამიტყდა. სიცილს რომ მოვრჩი, კიდევ ვუყურე, მიყურა, ვუყურე, მიყურა, ავიყვანე და ვაკოცე. დავსვი და ვუცდიდი მის პრინცად გარდაქმნას, მან კი სიცილით მითხრა: „მოგატყუე!»

## ბროწეული მიღიმის

თბილი ზაფხულის სიო. კალიების სასიამოვნო ხმაური. ისეთი ამინდია, მზე რომ გეფერება. ვწევარ ჰამაკში. ეზოდან ბროწეულის ხე მიყურებს, ფართოდ მიღიმის და აჩენს წითელ კბილებს.

## სოფელს ასეთი ზამთარი დიდი ხანია არ უნახავს

ახალგაღვიძებული გიორგი სასაუზმოდ სუფრას მიუჯდა. დაბრაწული ყიყლიყო ჩაკბეჩილი არ ჰქონდა, რომ ფანჯარაში გაიხედა და თეთრის მეტი ვერაფერი დაინახა. ადგა გიორგი, მივიდა ფანჯარასთან და ფარდა გადაწია. პირდაღებულმა თვალებს არ დაუჯერა და მათგან სიმართლის გაგების მიზნით თვალები მოისრისა. როცა დაიჯერა, რომ თვალები არ ატყუებდნენ, უცებ გადასანსლა საუზმე, თბილად ჩაიცვა და გარეთ გავარდა. მაშინვე მეგობრებს დაუძახა. ამასობაში ნინიმ გაიღვიძა და უფროსი ძმის შემყურეს მასაც მოუნდა საერთო გუნდაობის ნაწილი გამხდარიყო. დედამ თბილად ჩააცვა, მაგრამ მისი თოვლის ბათინკები ვერ იპოვეს. დედა ნინის ბათინკების გარეშე ვერ გაუშვებდა. ნაწყენს ცრემლები წასკდა. სად არ ეძებდა დედა ნინის ვარდისფერ ბათინკებს, მაგრამ ვერსად ნახა. ბოლოს მეზობელმა თავისი შვილის პატარაობის ბათინკები აჩუქა. ნინის აწითლებულ სახეზე ღიმილი გამოისახა. გავარდა გარეთ და შეუერთდა ბავშვებს.

სოფელს ასეთი თოვლი დიდი ხანია არ უნახავს.

## სარეცხი, რომელიც ღამე გარეთ დარჩა

გაყინულებს ქარი აქეთ-იქით იქნევდა. ისინიც, ყინვას უკვე მიჩვეულნი, მობეზრებული სახეებით მიჰყვებიან მას. სარჭებს მათთან საუბრის ეშინიათ, ისედაც ცუდ ხასიათზე არიან და უფრო არ გავაბრაზოთო.

## ხის ქვეშ სოკო სლუკუნებდა

ერთ დიდ ტყეში დიდი ხე იდგა. ამ დიდი ხის ქვეშ კი პატრა სოკო იჯდა. თავჩახრილი და ლოყებაწითლებული ჩუმად სლუკუნებდა. ახალი ნაწვიმარი იყო და ცრემლები მის თავზე შემორჩენილ წვეთებს ერეოდა. სოკოს ტირილი შეწყდა, როცა დაინახა პატარა შეშინებული ბაყაყი როგორ ეფარებოდა წვიმას მისი ქუდის ქვეშ.

## ზურას დღე

ზამთრის მორიგი ცივი დილაა. თეთრ, ვიწრო ქუჩაზე შავი წერტილი მოძრაობს. ეს წერტილი ზურაა. დიდ, შავ ქაურთუკში დამალული, სახეზე აფარებული ბებოს მოქსოვილი შარფით და წამოფარებული კაპიუიშონით ზანტად მიაბიჯებს სკოლისკენ. ნახევრად მძინარეს გზაში მისი მეგობარი თომა ეკიდება. თომა გახარებული საუბრობს თავის შეყვარებულზე და, მიუხედავად იმისა, რომ ზურას არ აინტერესებს, მეგობარს არ აწყენინებს და უხმოდ უსმენს. შევიდნენ ბიჭები კლასში. თომა მის შეყვარებულს მიუჯდა. ზურა ფანჯარასთან ჯდება. იხედება გარეთ და უყურებს ძველ, თოვლიან მთებს.

*ბარბარე კალანდია*
*13 წლის*

## ფიქრების მატარებელი

მეძინება. წამი წამზე უნდა მოვხუჭო თვალი და ამ დროს გამოექანება უგრძელესი რკინიგზით, რომელიც არასდროს სრულდება, ყველაზე დიდი მტერი და ყველაზე კარგი მეგობარი -ფიქრების მატარებელი. გამიტაცებს და უკან აღარ დამაბრუნებს, სულ ფიქრობს და არ ჩერდება. ერთი გზიდან მეორეზე, მეორედან - მესამეზე და ასე გადაუხვევს ხოლმე გზებს. წრეზე ბრუნავს, რაღაცას დაიკიკინებს და სულ მაგაზე დაიწყებს ფიქრს. უდროო დროს მტოვებს. მიდის, მიდის და აღარ ბრუნდება! მაშინ მიდის, როცა მჭირდება. ნეტავ, იცის, სად მიდის? რა თქმა უნდა, რომ არ იცის. არასდროს არ მისმენს, მე მგონი, იმის გამო, რომ მეც არ ვუსმენ. თუმცაღა, ეგ სხვა საქმეა.

გარკვეულ მომენტში აანალიზებ, რომ ამ ყველაფრის თავი შენ ხარ, შენ ხარ მემანქანე, რომელიც ყოველდღე ახალდაახალ ვაგონს ქმნის და მერე მაგაზე იწყებს ფიქრს.

## წერილი მერცხლებს

გაზაფხულის სითბო ყოველდღიურად უფრო და უფრო იფრქვევა, პატარა მერცხლები ჩვენი თბილი ქვეყნებისკენ მოემართებიან. არ ეშინიათ დიდხნიანი მგზავრობისა, რადგან იციან, რომ სადაცაა სითბო გაათბობს მათ და ამით თავს იმაგრებენ.

დილით, ახალ გათენებულზე, მერცხლების ჭიკჭიკი გვესმის და შარაქას გვაცნობს. მსიამოვნებს მათი ჭიკჭიკი, რადგან გაზაფხული მოდის.

## პარკი, რომელიც ფრენაზე ოცნებობს

გაზაფხულის მშვიდი ამინდია, თბილი სიოა, მზე გაზაფ-ხულის შეგრძნობას მიმძაფრებს. ერთ-ერთ ეზოში შავი პარკია, ქარი აიტაცებდა ხოლმე ზამთარში და დააქროლებდა

აქეთ-იქით.რამდენჯერ გაჭედილა ხის ტოტებში, თუმცა ფრენა არასდროს შეუწყვეტია.სულ ჰაერში იყო. ახლა გაზაფხულია და ქარი იმდენად აღარაა, ზის შავი, მტვრიანი პარკი მიყუჟული ხის ტოტზე და ფრენაზე ოცნებობს.

## ვიღაცის ქუდი ფიქრობს

ჩემი პატრონის დედამ გამრეცხა და სარეცხის თოკზე გადამფინა. სხვათა შორის, ეს ოჯახი დიდი ხანია, არ მომწონს. სულ ჩხუბობენ და ჭორაობენ. ხოდა, მეც ავდგები და გადავხტები. იმედია, ხის ტოტზე არ შემოვრჩები. 1, 2, 3! - ტოტს ავცდი და მწარედაც დავეცი. ახლა წავედით. ეე ვერ იყურები? თუ ფეხები მიკერილი გაქვს? უკვე მეორეჯერ გადამაბიჯე. აქ ბევრი ხალხია. ვერ გავჩერდები, სადმე შევალ და დასამალს ვიპოვი, ანდაც, რას ვიმალები, წავალ და სხვა პატრონს მოვძებნი. დიდი მაღაზიის წინ დავდგები, რომ კარგმა პატრონმა ამირჩიოს.

ორი საათი გავიდა. ნუთუ, არავის არ ვჭირდები? ასეთი მახინჯი ჯერ არ ვარ. ბავშვები მომიახლოვდნენ. ვაიმე, ბავშვები! ბავშვები ყველაზე მეტად არ მიყვარს, ხელებით რომ მითათუნებენ. ვაიმე, რაღაც ცუდს მიპირებენ! მოიცა, მაგათი ენა არ მეესმის. ღმერთო ძლიერო! ასეთი რა ცოდვა ჩავიდინე?!

კატა, კნუტი ჩასვეს ჩემში - პირდაპირი მნიშვნელობით, ნამდვილი კნუტი. ზის ახლა ჩემში თბილად და სძინავს!

რა უჭირს, აბა, მე მკითხეთ!

## ერთხელ ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა

გაზაფხული შემოგვეპარა, ცაზე ჭუჭრუტანადან მზე შემოგვანათებს, მეორე ჭუჭრუტანიდან გაზაფხულის სურნელი იფრქვევა და დედამიწას უფრო და უფრო ასურნელებს.

ხეებს პატარ-პატარა თეთრი კვირტები გაუჩნდნენ და მოსვენებას არ აცლიან. სხვადასხვა ფერის პეპლებიც იჩეკებიან და გაზაფხულის მოახლოების გვაგრძნობინებენ. გულს უხარია, რომ შავი, ბობოქარი ზამთარი წავიდა და

გამოდარების დრო დადგა.

## ბალახის სიმღერა

ბალახის სიმღერა ჩემთვის რამდენიმე ადამიანის ხმასთან ასოცირდება, ანდაც მათ კივილთან. ქარის ამოვარდნისას მწვანე ბალახი სალათისფრად იქცევა ხოლმე და თვალისმომჭრელად ელვარებს. მასში მცხოვრები მწერები საღამოს ბალახის გალობას უსმენენ. ზოგჯერ კალია და ჭრიჭინაც აჰყვება ბალახს და ასე საამურად გალობენ. საათობით შემიძლია ვიჯდე და მათ ვუსმინო.

## რამე ტკბილი რომ გამახსენდება, ანუ მე და მამა

- მამა, მისმენ?

- არა, მა, შენი ხმა სიმაღლის გამო იკარგება.

- რას ჰქვია იკარგება?

- რა თქვი?

- რას ქვია?

- როგორ აგიხსნა - შენ დაბალი, ხარ - მეტრი, 35. მე - მეტრი, 88. ოდესღაც სიმაღლეში თუ დამეწევი, კარგად მოგისმენ.

- ანუ დაბალი ვარ?

- თითქმის.

- კარგი. ახლა თავიდან მიგიყვები:

დღეს შოთამ რვეული გამიხია.

- ვინაა შოთა?

- ჩემი კლასელი, ჩემ გვერდზე ზის კლასში, მოუსვენარია.

- ა, ხო, ეგ არა უშავს.

- შოკოლადს მიყიდი?

- შენი ხმა არ მესმის, რამეს თუ ამბობ, გაიმეორე!

- შოკოლადს მიყიდი?

- ვერც ეგ გავიგე. ჩანთაში ამდენი რა გიდევს?

-კალმები, უბრალო და ფერადი ფანქრები, ფლომასტერები..

-კაი, გეყოს.

*ბარბარე კვაჩიძე*
*13 წლის*

## გარიჟრაჟება

დილა იწყება, თენდება და ვგრძნობ, თუ როგორ მეხება მზის სხივები სხეულზე -

ნაზად, სათუთად.

თვალში მზემ შემომიჭყიტა, მაგრამ ამან არ გამაღიზიანა, გამაჟრიალა, რადგან ვიგრძენი, რომ მართლა ცოცხალი ვარ.

## აქ სულ არაფერი შეცვლილა

პატარა რომ ვიყავი, ვცხოვრობდით ერთ ლამაზ სახლში. ძალიან მყუდრო იყო და პატარა საყვარელი ეზოც ჰქონდა. მე და ჩემი ნათესავები ქაღალდის თვითმფრინავებით დავრბოდით სახლში.

ერთად გავიზარდეთ. პატარა ცუგა გვყავდა, უმა. ისეთი საყვარელი იყო, ვერც წარმოიდგენთ. იმ სახლიდან გადავედით და გავიზარდეთ. აღარც მახსოვდა კარგად. ახლა ყველაფერი შეცვლილი იყო. გაზრდილები ვართ უკვე ყველა, ვმუშაობთ, ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს და დიდად აღარც გვაინტერესებს, როგორია ჩვენი ძველი, პატარა სახლი.

ერთხელ მარტო მინდოდა სადმე წასვლა და დასვენება. უცებ გამახსენდა ჩემი ლამაზი ეზო, ჩემი ყვავილები, ჩემი სახლი და გადავწყვიტე, იქით გამესეირნა. ბევრი ვიარე თუ ცოტა, მივედი და შევედი ეზოში. იქ აღარავინ ცხოვრობდა. როდესაც შევედი, თითქოს რაღაც მომეშვა. დავიარე ეს ეზო და ყველა მოგონება დამიბრუნდა. გამახსენდა, თუ როგორ ვქანაობდით საქანელაზე მე და ჩემი მეგობრები, როგორ მეძახდა დედა: ამოდი, ჭამეო, როგორ მიყვებოდა ბებო ჩვენი წინაპრების ამბებს, როგორ ვთამაშობდით მე და ბაბუ და ასე შემდეგ.

ეს სახლი ტკბილი მოგონებებით იყო სავსე, რომლებსაც ვერაფერი ჩაანაცვლებს. დავჯექი და მივხვდი, რომ აქ სულ არაფერი შეცვლილა.

## ყველა ნივთს თავისი ბედი აქვს

ერთ დღეს გადავწყვიტე ბებოსთან მისვლა, გავიფიქრე მომენატრა,ვინახულებ-მეთქი. მივედი და ოთახში რომ შევედი, დასალაგებელი დამხვდა, ბებოს ვუთხარი: დაგეხმარები, მარტო ამდენ რამეს როგორ დაალაგებ-მეთქი. მე და ბებო ოთახს ვალაგებდით. დალაგების დროს შემხვდა მისი ბავშვობის ფოტო მეგობრებთან ერთად გადაღებული, ვაჩვენე და უცებ სახე გაუნათდა, ყველანაირი მოგონება დაუბრუნდა და ამოისუნთქა. მომიყვა იმ დროზე. ის და მისი მეგობრები საბერძნეთში იყვნენ და ძალიან საინტერესო თავგადასავლები გადახთენიათ. ამ ფოტოში  თვალი ერთ ყელსაბამს დავადგი, ძალიან მომხიბლა და მაშინვე აღვნიშნე. ბებომ მითხრა, იმდენი ყელსაბამი მქონდა, მგონი, ჯერ კიდევ მაქვს შემორჩენილიო. გამიხარდა და ვთხოვე, ეჩვენებინა. ბებომ დიდი ყავისფერი ზარდახშა ჩამოიღო თაროდან. გახსნა და დამათვალიერებინა  სამკაულები. აღმოჩნდა, რომ ის ყელსაბამი, რომელიც ძალიან მომეწონა, ჯერ კიდევ ჰქონია და მითხრა: რადგან ასე მოგწონს, მინდა,რომ შენ გქონდეს. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ მოგეწონებოდაო. ეს ყელსაბამი ყოველთვის მეკეთა, მწვანე ლამაზი თვლებით იყო. ყველა კომპლიმენტს მეუბნებოდა და, რა თქმა უნდა, ძალიან მიხაროდა. არასდროს ვიხსნიდი, სანამ ერთ დღეს სკოლაში გაწყდა და ეზოში მიმოიფანტა ლამაზი თვლები. ისე დამწყდა გული, მთელი დღე სკოლის ეზოში გავატარე თვლების მოსაძებნად. გაგიკვირდებათ და იმდენი ვეძებე, თითქმის ყველა პატარა ნაწილი ვიპოვე და დღემდე ვატარებ. ის დაშლილია და ბევრი მეტყვის, რად გინდა, გადააგდე, მაინც არ აწყობო, მაგრამ არ ვაგდებ. ზოგი მკითხავს, რატომაა შენთვის ასეთი მნიშვნელოვანიო, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ, მიდევს ჩანთაში და ვატარებ ყველგან, სადაც დავდივარ.

თითქოს ჩემს ამბებთან ერთად სხვის ამბებსაც ვატარებ.

*ბარბარე ხახანაშვილი*
*14 წლის*

## ცხოველები ზოოპარკში

კიდევ ერთი დღე გალიაში! ცხოველების მეფე გამომ-კეტეს, ყოველდღე საჭმელი მოაქვთ, ნადირობაც არ მიწევს….

ეჰ, რა ვიცი, სევდიანად მაინც არ ჟღერს. ადამიანები რომ მოდიან ჩვენს სანახავად, ოხრავენ, ვაიმე, საწყლებიო. რა საწყალი, ყველაფერი ლანგარზე მაქვს მორთმეული. თვითონ ასეთი ცხოვრებისთვის სულს გაყიდნენ. თავისუფ-ლება თავისუფლებაო! რავი, მე აქაც კარგად ვარ. აგერ ეს ვეფხვი იჭიმება გვერდზე გალიაში: „მე წამომყევით, მე განგათავისუფლებთო!” ძალიან უნდა, ჩემზე მაგარი იყოს და ცხოველების მეფე გახდეს. რას მეჯიბრება, რა ვიცი, ამ მეფობას მაინც ვერ გავუგე, ყველა მე მელოდება, რომ ყველაზე მამაცი ვიყო, არადა, ეს მაიმუნები რომ აწიოკდებიან, მეც მეშინია ხოლმე.

ხანდახან ადამიანებიც ჩამოგვივლიან, მომაშტერდებიან, დამეჭყანებიან - მანდედან ვერაფერს მიზამო.

პატარებს ეშინიათ: „აქედან რომ გამოვიდეს და შემჭამოსო?” შემდეგ მამები აწყნარებენ: „მე მოვერევიო!” ხო, აბა! თვითონ ბავშვსაც არ სჯერა ხოლმე. არაფერს დავუშავებ, სულ არ მცალია ამათთვის, სურათებს რომ მიღებენ, ხომ უნდა გავიპრანჭო?

ნუ, ხანდახან კი მოგინდება ლომს თავისუფლება, მაგრამ რა ვიცი, მაინც კარგია.

## სხვის (სახლის ძაღლის) ტყავში შეძვრომა

დღეს ბებოსთან შვილიშვილები ჩამოდიან მარტის არდადეგებზე. ბებომ სახლი დაალაგა, ქვეყნის საჭმელი გააკეთა, მეზობლები შეყარა და ასე შემდეგ. ასე ძალიან

რატომ უხარია მათი ჩამოსვლა, არ ვიცი, ერთი-ორჯერ თუ გაიხსენებენ და წელიწადში ერთხელ თუ შემოუვლიან. მე კიდევ - პირიქით, სულ აქა ვარ. ყველაფერში ვეხმარები, მაგრამ ჩემთვის ბებო არაფერს აკეთებს ხოლმე, საჭმელს თუ დამიყრის დღეში სამჯერ, არც მეფერება. მე რომ არა, ქათმებს მელა შეუჭამდა, ეს კატებიც ძალიან გათამამდებოდნენ, ჩუმად საჭმელს რომ იპარავენ, მე ვაჩერებ, სხვა კი არა! და კიდევ… კიდევ ვაკეთებ რაღაცას, ტრაბახი არ მინდა. აჰა, ჩამოვიდნენ და უკვე წივილ-კივილი ატეხეს, ახლა მოხვედით, ცოტა მოგერიდოთ მაინც.

წავედი, ყეფა დავიწყო, იქნებ მიხვდნენ და გაჩუმდნენ, თან რომ ვუყეფ, ჰგონიათ, მათი ნახვა მიხარია…

## ძილის წინ რომ მახსენდება

როგორც იქნა, ყველა საქმე მოვითავე და ლოგინში ვწვები. შუქი ჩავაქრე, საბანი დავიფარე და მოვკალათდი. მოიცა, შემოსასვლელში შუქი დამრჩა? ავდექი, ვნახე, თურმე არ დამრჩენია. ისევ დავწექი. მოიცა, დამტენი გამოვაერთე? უფ, აი, დარდი…მაგრამ ღამე რომ აფეთქდეს? არა, კაცო, რა ააფეთქებს. მაგრამ რომ აფეთქდეს? ხოდა, აფეთქდეს, რა ვუყო! საბოლოოდ მაინც ავდექი და შევამოწმე. მორჩა, ხვალ ადრე უნდა გავიღვიძო, მეტი აღარ ავდგები. ….უი, დამავიწყდა, მაღვიძარა დავაყენო. ხო ყველაფერი ვიმე-ცადინე? უი, ახალი რვეული უნდა მეყიდა მათემატიკისა და დამავიწყდა. ასფურცლიანი რვეული ერთ კვირაში გავავსე, იმდენს გვაძლევს ეს ქალი. მეც კიდევ რას ვიკლავ თავს, ნიშანი მაინც არ მაღირსა. კაი, კაი, დავიძინე, რა მათემატიკაზე ვფიქრობ. საფიქრალი ქართულზე მაქვს, ნიშანს საერთოდ არ მიწერს. ტელეფონი ხომ დატენილი მაქვს? ზარს ხმა ავუწიე? მაღვიძარამ რომ არ დარეკოს? კიდევ ერთხელ შევამოწმე. ვიძინებ. ხვალ სპორტიც მაქვს. კარგია,

მუსიკას მოვუსმენ. ისე, არასოდეს არ ვთამაშობ, ცოტა რომ ვიმოძრაო, არ მაწყენს. სულ ვზივარ და ვმეცადინეობ, მალე სიარულს გადავეჩვევი. მორჩა, ხვალიდან ვარჯიშს ვიწყებ. თუ ორშაბათიდან დავიწყო? ხვალაა ორშაბათი. კაი, კაიი, თუ არ დავიძინე, გავათენებ! და აი, თითქმის ჩამეძინა და მაინც გამახსენდა. ....კარები კარგათ ჩავკეტე? ვინმე რომ შემოვიდეს? ვაიმე, შემოვიდეს, ძლივს მეძინება. ...უი, იმას ბაღში რატომ დავშორდი?

## ჩემი მეზობელი

ჩემი მეზობელი დიანა მუსიკის მასწავლებელია. მასთან ყოველდღე ბავშვები მოდიან სამეცადინოდ, ამიტომაც მისი სახლიდან სულ მუსიკის ხმა ისმის. ჭაღარა თმა ფანქრებით აქვს დამაგრებული და სულ ქურქით დადის. ცხრა კატა ჰყავს, სამეზობლოში ყველას სათითაოდ ვიცნობთ. ყველაზე მოხუცი და უჟმური კატა დომინოა, დილით პატრონთან ერთად აივანზე ზის და ელოდება, როდის მორჩება სიგარეტის მოწევას. თვითონ კი თავის პატარა ტახტზეა წამოწოლილი. ახლაც, სანამ ჩემი მეზობელი დიანა თავის უმადურ შვილზე მეჭორავება, დომინო გვერდზე დაცვასავით უზის, ვაი და, რაიმე დავუშავო.

*ბარბარე ნაფეტვარიძე (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*11 წლის*

## გაწუწული ფისო

სასეირნოდ მივდიოდი, პაწაწინა გაწუწული ფისო რომ შევამჩნიე. ავიყვანე და თან წავიყვანე წითელ ბაღში. მზის გულზე დავსვი და გაშრა. მერე სახლში წავიყვანე და დღესაც ჩემთან ცხოვრობს..

## მამას ამბავი

პატარა რომ ვიყავი, ერთხელ  დედამ სამსახურიდან მოსვლა დააგვიანა და მამამ მითხრა, მე დაგაძინებო. ჯერ პიჟამო ჩამაცვა, მერე დამაწვინა, მერე მომატყუა, შენით დაიძინეო, მერე გაიცინა, მითხრა, მოგატყუეო და ჩემი საყვარელი წიგნის კითხვა დაიწყო. მამიკომ იმდენი იკითხა, თვითონ დაიძინა, მე კიდევ მამიკოს ფერება დავუწყე.  ცოტა ხანში ასე დამეძინა და უკვე ორივეს ერთად ტკბილად გვეძინა - მე და მამას.

## ცისარტყელაზე გავლა

ღამე იყო. არაფერი ჩანდა. სოფელში გარეთ ვიჯექი ჩემს მეგობრებთან ერთად. ერთი ფანდურს უკრავდა, მეორე მღეროდა, დანარჩენები ცეკვავდნენ, ჩემ გარდა.. მე ბალახზე დაფენილ პლედზე ვიჯექი და ვარსკვლავცვენას თვალს ვადევნებდი.  ვცდილობდი, არ ჩამძინებოდა, მაგრამ თვალები დამეხუჭა. სხვებსაც ჩასძინებოდათ.. ყველამ ერთდროულად გავიღვიძეთ, სახლებში წასვლა დავაპირეთ, რომ ცაზე ულამაზესი ცისარტყელა შევნიშნეთ. ამ სანახაობით კარგა ხანს ვტკბებოდით. მე გულში ერთ კითხვა გამიჩნდა, არ უწვიმია და ცისარტყელა საიდან გაჩნდა? ეს ჩემთვის დღემდე უცნიბია, თუმცა, ალბათ, ის ღამე ჯადოსნური იყო..

## აღდგომა

ჩემს ოჯახში უფროსებიდან ყველას აღდგომა ურჩევნია ახალ წელს. ყოველ წელს მე და ჩემი ოჯახის წევრები მამაჩემის დედის მშობლების საფლავზე დავდივართ. აი, მაგალითად, დედაჩემის ბებია-პაპისთვის ამ წელს პატარა ჯეჯილი დავთესე საჩუქრად, რომ გაუხარდეთ. ყველა ოჯახი სხვადასხვანაირად აღნიშნავს აღდგომას, ჩემს ოჯახში ყველა თავის საქმეს აკეთებს.

## ლურჯი ფინჯნის ამბავი

პატარა რომ ვიყავი, ახლობელმა საჩუქრად ლურჯი ფინჯბების კომპლექტი მოგვიტანა. ყველა ერთნაირი იყო, მაგრამ ერთი გამოირჩეოდა- ზედ გვირილები ეხატა. ყველაზე მეტად ეს ფინჯანი მომეწონა, მაგრამ ეს კომპლექტი მაინც ჩემს ახალდაბადებულ ძმას აჩუქეს. რად უნდა ფინჯნები, წყალს ხომ ბოთლიდან სვავს-მეთქი,- ვფიქრობდი. მე კიდევ ეს ლამაზი და გაპრანჭული ფინჯანი მინდოდა, მაგრამ არავინ მაძლევდა. უფროსებზე ძალიან ვბრაზობდი, იმიტომ, რომ ჩემს ძმაზე ჰქონდათ მთელი ყურადღება მომართული და არა - ჩემზე. ერთ დღესაც ბიძაჩემი მოვიდა სტუმრად და მანაც მოიტანა ფინჯნების კონპლექტი, ამჯერად არა ჩემი შუათანა ძმისთვის, არა ჩემი პატარა ძმისთვის, არამედ - ჩემთვის. ისეთი გახარებული ვიყავი.. ისეთი გახარებული ვიყავიი.. ლურჯი, ლამაზი ბაჭიებითა და ვარდებით მოხატული ფინჯნები ჩემი იყო. ის დღე და ის შეგრძნება არასოდეს დმავიწყდება.

## ღრუბელთ ქალაქი

ღრუბელთ ქალქში ყველაფრის გაკეთება შეიძლება - იმ ადამიანის ნახვა, რომელთაც კარგა ხნის წინ დაემშვიდობე. შეიძლება ღრუბლებზე სრიალი და ზედ ხტუნაობა, როგორც ფუმფულა საწოლში.

*გიორგი გოგოლაძე (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*10 წლის*

## მე ვარ მდელოს ძაღლი

გამარჯობა! მე ვარ მაქსი. მდელოზე ვცხოვრობ, ტყის განაპირა. მიყვარს თამაში, სტუმრები და ყველაზე მეტად მფრინავი თეფში. ერთი ბიჭია, რომელსაც შემიძლია საუკეთესო მეგობარი ვუწოდო, მას გიორგი ჰქვია. ძალიან ხშირად მოდის და მეთამაშება თეფშით. რაღაც პერიოდი ვერ მოვიდა, გამიკვირდა და ვეძებდი, ხომ არ მემალება- მეთქი, მაგრამ არსად იყო და მოვიწყინე. გავიდა დრო და ვის ვხედავ?! - გიორგი! ძალიან გამიხარდა, ბევრი ვითამაშეთ და, შეიძლება ითქვას, ზედმეტადაც კი გავერთეთ. ეს დღე არასდროს დამავიწყდება!

## ქარიანი ნოემბერი

-ფუშშშ... გარბის ქარი.

ქუდი გამიფრინდა და მეტროს ჩასასვლელთან დავარდა. გავეკიდე, ავიღე და ამ დროს გოგო და ბიჭი შევამჩნიე, იქვე ბაჭიებს ყიდდნენ 5 ლარად. ბაჭიებს ვერ წამოვიყვანდი, მაგრამ ჯიბეში რაც მქონდა, მივეცი და იქვე ჩამოვჯექი.. მეტროდან ვიღაც ბაბუ ამოვიდა, ბაჭიები დაინახა და გახარებული ბავშვებისკენ წამოვიდა, შვილიშვილებისთვის ბაჭიები შეარჩია და ბავშვებს ბევრად მეტი ფული დაუტოვა. ბავშვები ძალიან ბედნიერები იყვნენ.

ვინ იცის, ფულს რისთვის აგროვებდნენ..

- ფუშშშ.. დაიყვირა ქარმა .

## სინათლის სხივი, რომელიც ნაცრისფერ დღეს ანათებს

გავიხედე გარეთ, მთელი დღეა წვიმს. სახლში ვარ მოწყენილი, არ ვიცი რა ვქნა.. დედას ვკითხე: სამაგიდო თამაში გინდა მეთქი?! დედამ მიპასუხა, არა! ახლა არ მცალია, მერე ვითამაშოთო. მე წამოვწექი და დავიძინე. გამეღვიძა და გარეთ გავიხედე. ძალიან კარგი ამინდი იყო და უკვე ეზოში ჩასვლაც შემეძლო. აი, ეს იყო ჩემი სინათლის სხივი.

*გუკა აღნიაშვილი (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*11 წლის*

## მდელოს ძაღლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდელოს ძაღლი, რომლის სხეულშიც სინამდვილეში მე- ადამიანი ვიყავი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მე და ჩემი მეგობრები ვსეირნობდით და შევამჩნიეთ უცნაური ვარდისფერი სითხე. გვაინტერესებდა, რა იყო, მაგრამ შეხება არცერთს გვინდოდა, ამიტომაც გადავწყვიტეთ ჯეირანის თამაში და ვინც წააგებდა, ის უნდა შეხებოდა. მე წავაგე და ამიტომაც ის რჩეულიც მე გამოვდექი. შევეხე სითხეს და აღმოვჩნდი მდელოს ძაღლის სხეულში. ახლა თავს ცოტა უცნაურად ვგრძნობ და ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ შემიძლია დავიბრუნო ადამიანის სახე...

## დღე, რომელიც არ დამავიწყდება

სკოლაში მივდიოდი. ჩამოვედი თუ არა სამარშრუტოდან, მეგობრები დავინახე. გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა და ლაპარაკი გავაბით. გადავწყვიტეთ მგელობანას თამაში. ყველა აქეთ-იქით დარბოდა. მოულოდნელად ჩემს კლასელს შეხვდა პატარა ლეკვი. მივიდა და მოეფერა. უცებ ლეკვმა ყეფა დაუწყო, ჩემი მეგობარი შეშინებული გაიქცა. ვერ მიხვდა, რომ ძაღლი კი არ უღრენდა, თავისებურად ეთამაშებოდა. ეს მომენტი ძალიან სასაცილო იყო, ის დილა კი დაუვიწყარი. სკოლაში ცოტა დაგვავიანდა..

## მხატვარი

იყო ერთი კაცი. ხატვა კი უყვარდა და კარგადაც გამოსდიოდა, მაგრამ თავისი ნახატები არ მოსწონდა და შლიდა ხოლმე. ერთხელ დაესიზმრა, რომ თავად იყო ნახატი და მხატვარი შლიდა. ძალიან ძლიერი ტკივილი იგრძნო, რომ გაიღვიძა და მიხვდა, ეს სიზმარში ხდებოდა,

ამოისუნთქა და გადაწყვიტა, ნახატები აღარასდროს წაეშალა . ასე გახდა ეს კაცი მხატვარი.

## გამოდარება

დღეს მოწყენილი ამინდია არაფერი ხდება გარდა წვიმისა. ღრუბლები სულ ნაცრისფერი.ა მზე გამოსვლას ცდილობს, მაგრამ ვერ გამოდის. ღეუბლები ძალიან ძლიერები არიან და აი ამიტომ ვერ გახდა მზე  მათთან ვერაფერს და თუ ესე გაგრძელდება, სულ წვიმა იქნება. მაგრამ-არა, მზემ  მთელი თავისი ძალები შეკრიბა და ნაცრისფერი ღრუბლები გაფანტა ციდან. ახლა მზეა..

## ქუჩა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქუჩა. მას ძალიან უყვარდა ბავშვების ყურება, თუ როგორ ერთობოდნენ და ყოველთვის ოცნებობდა, რომ მათთან ეთამაშა. მაგრამ იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ქუჩისთვის ყველაზე მოსაწყენი ნაწილი ღამე იყო, იმიტომ,რომ ბავშვები მიდიოდნენ და აღარავინ რჩებოდა მასთან. მაგრამ ერთ მოსაწყენ ღამეს უცნაურმა ადამიანმა გამოირა და რაღაც უცნაურივე ელექსირით სავსე შუშის ქილა ამოუვარდა ჯიბიდან.

ის ქუჩა, სინამდვილეში, მე ვარ. ქილა მომხვდა მე და გატყდა. ელექსირმა ბავშვად გადამაქცია. მე ჩემი ოცნება ამისრულდა.

## ცისარტყელაზე გავლა

ერთხელ ღამე მივდიოდი სახლში. იყო ღამის 10 საათი. მივედი სახლში. ვითამაშე კომპიუტერთან და დავიძინე. გავიღვიძე, მოვწესრიგდი, საჭმელი ვჭმე და გავედი გარეთ სარბენად, მაგრამ უცბად წვიმა წამოვიდა და ამ წვიმას მოჰყვა მზე, რამააც ცისარტყილა გააჩინა.  ცისარტყელა ჩემ წინ იყო. უეცრად, მე ცისარტყელაზე აღმოვჩნდი. გადავედი, ავდიოდი სულ-სულ მაღლა. ცეკვა დავიწყე. ფეხი ამისრიალდა და საწოლში აღმოვჩნდი.

***

ტროტუარზე ერთი ქუდი გდია და ფიქრობს: „ნეტა, ვინმემ არ მომიპაროს, მაგრამ მე ვინ უნდა მომიპაროს, ერთი დახეული ქუდი ვარ, რომელიც უკვე თითქმის სამი წელია ვგდივარ აქ. ვინმემ თუ სადმე წამიყვანა, იმედია, დამაბრუნებენ ჩემს პატრონთან. მან არ იცის, ის როგორ მიყვარს, მაგრამ თუ მიმიყვანეს, შეიძლება, არც გაუხარდეს, მაგრამ მე სიხარულისგან გული წამივა".

## ცის იქით ცაა

ერთმა კაცმა შაბათ დილით გაიღვიძა და დაგეგმილი ჰქონდა, რომ გაესეირნა, რესტორანში წასულიყო, მეგობრები ენახა, მაგრამ მან სულ სხვა სამყაროში გაიღვიძა, სადაც ხალხს შეეძლო ფრენა, ტელეპორტაცია და სხვა რაღაცები. ხალხის საპოვნელად წავიდა და ძლივს რომ იპოვა ხალხი, უთხრეს, რომ დაბადებიდან იცოდნენ და თვითონ რატომ არ იცოდა. მან იფიქრა, რომ დავიძინებ და ხვალ მივეჩვევი ამ ახალ სამყაროსო, მაგრამ შემდეგ დილით ისევ თავის სამყაროში გაიღვიძა.

## როგორ ამოდის მზე

მზე ამოდის ჭრელად და ლამაზად, ოღონდ პირდაპირი მნიშვნელობით. ის დილით რომ ამოდის, ღამემდე სინათლეს გვჩუქნის. ნეტა, არასდროს ჩავიდეს ჩვენი მზე.

## აქ სულ არაფერი არ შეცვლილა

ადრე, პატარაობისას, ხშირად დავდიოდი სოფელში, სადაც ჩემი დიდი ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ, ხუთის რომ ვიყავი, ისინი გარდაიცვალნენ და ისე ხშირად აღარ დავდიოდი, როგორც - ადრე, მაგრამ ერთ დღეს ჩავედი და მომეჩვენა, რომ ჩემი დიდი ბებია და ბაბუა მესალმებოდნენ და მეც მივესალმე, თითქოს ჩვენთან ისხდნენ.

*დიმიტრი პეპინაშვილი (პეპო) 21 წლის*
*18 წლის (ამ მოთხრობის წერისას)*

## უნებლიე გზა

შავმა, დიდღიპიანმა კაცმა თვალებში ჩამხედა.

• რამდენი გიკლია? - მენამუსებოდა აშკარად. თუმცა ფული უფრო მჭირდებოდა, ვიდრე იმ ღიპიანის ბნელ თვალებში კარგ ტიპად გამოჩენა.

• ოცი ლარი მაქვს. - ვუთხარი მე ძალიან ჩვეულებრივ, ცხადი იყო მის სახეზე უსიამო გამომეტყველება, მაგრამ როდესაც რიცხვი ოცი გაიგონა, თითქოს გულზე მოეშვაო.

• წამოდი, წამოდი! - წინ გაიჭრა და მეც გავყევი, შემდეგ შეჩერდა და ხელი გაიშვირა ნაცრისფერი მერსედესისაკენ - აი, ის მანქანაა ჩემი, ფული ახლავე მომეცი, თორე უხერხულია, შვილო, არ იფიქრონ, ამას ოცს ართმევს, ჩვენ - ოცდაათსო, ხომ გაიგე? - ერთი ვიფიქრე, არ მენდობა-მეთქი, მერე დავფიქრდი და რა სანდო კაცი მე ვიყავი მისთვის. ფული გავუწოდე, სწრაფად ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში, ასეთი მომენტები ფილმებში მქონდა ნანახი, ამერიკელი ბარიგები ქუჩებში რომ დგანან, ვიღაც ჩაუვლის, უცბად გაცვლიან სასურველ რაღაც-რუღაცებს და თითქოს არაფერიო, აგრძელებენ გზას, ისე კი, კაცმა რომ თქვას, რატომ არ ვიყავი სანდო - ლამაზად და სუფთად მეცვა. ერთი შეხედვით, მეცხრამეტე საუკინიდან გადმოვარდნილ ინგლისელ ჯელტმენს მიგავდა იერი, ისე კი, სახე, რაც თავი მახსოვს, ბავშვისას მიმიგავს, ღინღლებიც კი არ გამომდის, ოცდაერთ წელს ვუკაკუნებ და ალბათ ამანაც იმოქმედა მასზე. პატარა ჩემოდანი მეჭირა ხელში და მანქანას რომ მივუახლოვდით, ხელიდან გამომართვა, საბარგულში თავად ჩადო, უფრო კი - ჩააგდო.

უკან კაცი იჯდა, ისიც შავი, ოღონდ ძალიან შავი იყო ეს ბოლო. წინ დავაპირე ჩაჯდომა და არ დააყოვნა მძღოლმა.

- გენაცვალე, წინ გოგოა რა.. დავუთმოთ, კაი? ... გოგოაა და.. თანა სძინამს...

არ შემიმჩნევია გოგო, ისე კი მეწყინა, რაღა დაგიმალოთ, წინ მიყვარს ჯდომა, გოგოები, როგორც წესი, ცუდად გახდომით აპრავებენ ამას. ზრდილობის გამო თავი დავუკარი კაცს, მოვუარე მანქანას, იმ შავ კაცს მივუჯექი გვერდით და მხოლოდ კარების გამოღების მომენტში დავინახე გოგონა. არ ვიცი, აქამდე ან ფანჯრიდან როგორ ვერ დავინახე, გავწყდი ადგილას, ისე მომეწონა; დავიბენი. ყველა კაცი ალბათ ასე ვერ შეხედავდა მას, მაგრამ ერთი კი ვიცი, მანქანის დაძვრამდე უნდა მემოქმედა იმიტომ, რომ ვერც მე ვხედავდი კარგად, რადგან უკანა სავარძელი მძღოლის მხარეს დაკავებული იყო, ჯვარედინად რომ გამეტარა მზერა წინ მჯდომი გოგონასათვის. მთელი გზა კი გული ვერ გაუძლებდა ამის შეგუებას და ამოვარდებოდა კიდეც სადმე უღელტეხილზე, ამიტომაც გონება დავძაბე და წამში მოვთხარე რაღაც სისულელე:

- უკაცრავად - გვერდზე მჯდომს გავხედე, - თუ არ შეწუხდებით, ადგილები რომ გავცვალოთ, საქმე იმაშია, რომ მარჯვენა სავარძელს, მით უმეტეს - ხაზგასმით ვთქვი,- უკანა სავარძელს ვერ ვეჩვევი, თუ შეიძლებ... - აქ შემაწყვეტინა და უკვე თავისი კარიც ნახევრად გაეღო, რომ გადამჯდარიყო.
- რას ამბობ, კაცო, მოდი, დაჯე.

შავებმა ჩაიცინეს.

გოგონას თეთრი ფიფქებივით კანი ჰქონდა. ახლა კი, ადგილშეცვლილს, დახვეწილი, ლამაზი პროფილის ყურების სიამოვნებაც მებოძა, თუმცა, გაგეცინებათ, მას არც კი შევუმჩნევივარ, ხელები თეთრ კაბაზე გაეყოლებინა და მუხლებზე გადაეფარებინა. საერთოდ, არც კი იცოდა, რომ ჩავჯექი და მანქანაც როდესაც დაიძრა, არც მაშინ გაღვიძებია,

ეს მაწუხებდა... მხოლოდ შუქნიშანთან გამოეღვიძა - მადლობა ღმერთს! ცოცხალია! - გავიფიქრე ... გამომხედა. ეს მე ვიგრძენი მაშინ, როდესაც ფანჯრიდან თათარ ბავშვებს ხურდა მივაწოდე, რა მალაპარაკებს... მოკლედ, მთავარია, დამინახა, დანარჩენი უკვე მეტ-ნაკლებად მის გემოვნებაზე იყო დამოკიდებული და ჩემს გარეგნულ სულიერებაზეც, რაღა თქმა უნდა. ხოდა, ჩემო მეგობრებო , ის იყო და გზას გავუსწორეთ მერსედესის ლოგო, როდესაც შავმა კაცებმა პირი დააღეს ჰორიზონტალურად.

- აქ რა გინდოდა, ბიჯო? - ჰკითხა მძღოლმა ჩემ გვერდზე მჯდომს, გეგონება, ინდოეთის გარეუბანში ყოფილიყოს.

სანამ პასუხი გასცა, ჩაეღიმა, აი, ბავშვებმა რომ იციან ხოლმე, მაშინ, როდესაც ხვდებიან, კამფეტი არ ასცდებათ, ისეთ კითხვას თუ გასცემენ პასუხს: „მაროჟნი უფრო გიყვარს, თუ მამიკო?''

- შვილიშვილი ვნახე...მირეკავდა ხოლმე - ჩამოდი, პაპიო, ჩამოდიო, აბა, რა მექნა..

- მა, რა უნდა გექნა, კაცოო... - დაემოწმა მძღოლი.

- ისე კი, შპალერი ვიყიდე, - გოგონამ ყურსასმენები გაიკეთა. - წითელი. აი, თუ გახსოვს, თელავის ტეხნიკუმებში რომ..

- ჰოო .. როგორ არ მახსოვს, მაგაი რა დამავიწყებს ..ბიჯო.. კი მაგრამ, რაღა ეგ აარჩიე, ჰა? სხვა ვერა ნახე? - უკანა სარკიდან გადმოგვიყო ცხვირი.

- სხვა როგორ არა ვნახე, მაგრამ იცი, რა არის? აი, პაპაჩემი იყო, არა, დაიწყო სახლის აშენებაა, ისე მოკვდა , სულ ერთი რიადი ჰქონდა ნაგები, ეგეცა, მერე ნახეს უსაძირკვლოდ ეშენებინა და დასანგრევი აღმოჩნდა, ისედაც უკვე პიზის კოშკსა ჰგავდა, შემდეგ მამაჩემი,

- ოო.. მამაშენი კი კაი გოთვერანი კაცი იყო და... - შეაწყვეტინა მძღოლმა.

- ჰოდა, აბა, ეგ კიდე ისე მოკვდა, არა? ხელი არ გაუტოკებია... ჯო... მე კიდე ჩემი ბიჭი რომ მეყოლა, გო...

- ნიკო? - მეორედ რომ შეაწყვეტინა  და ამასაც უკვე ნერვიულად  დაეჭიმა წარბი.
- არა, კაცო!  გიგლა!  გიგლა იყო სამი წლისა, ახლაც არის ბეტონზე მისი ნაფეხურები დარჩენილი, ღმერთმა გაახაროს ეგა, ჩემი იმედია ეგა ...
- ბიჯოოო... როგორ ამომვარდა ამ ფუტუროდან, კაცო... როგორ არის? ბაქსიორობს, არა? ... რა მოიგ...?
- მოჭიდავე, კაცო, რა ბაქსიორი, - შეწუხდა კაცი მძღოლის მკითხაობით, ჩაახველა, ხმამაღლა განაგრძო, -  ევროპა მოიგო! - ეს თქვა და სახეზე ამაყი ღიმილიც გადაეშალა.
- ვახ!  შე გენაცვალე! - წინიდან იმხელა ხმაზე დაიღიალა მძღოლმა, რომ მისმა სიყალბემ მყრალი სუნი დააყენა. ფანჯარას ჩავუწიე და თავი გავყავი.
- გაიხარე, ნოდარ, გაიხარე... ჰოდა , რას ვამბობდი, ჰო... სახლის შენება მაშინ დავიწყე, ეგ რომ სამის იყო და ახლახანს მოვრჩი, აგერ ოცდამეხუთე წელია ვაშენებ და ერთადერთი, რაც დამრჩენია, ისაა, შპალერი უნდა გავაკრა და ვსო, კაპუტ. - და ნიშნისმომგებად ჩაიცინა, ვიწრო კბილები გამოაჩინა.
- ვაა, შენ უნდა თქვა, სახლიც ვაშენე, ხეც დავრგე და ბიჭმაც გამიმართლაო...
- ჰოო. მე უნდა ვთქვა, მაშა.. - შეიფერა მანაც. - ჰოდა, - განაგრძო, - შემოსასვლელში, მოლთან შემიჩერე, ორი წუთით გადავხტები, გამყიდველს გამზადებულ  შეფუთულ შპალერს გამოვართევ და დავაწვეთ კახეთს, მოსულაა... ?

ნოდარმა უკან მთელი კისერი გადმოყო, მე თვალი ამარიდა, შავ კაცს ჩახედა შავ თვალებში და ჰკითხა რაღაცნაირად, სხვანაირად - ჯონი... ბიჯო, ეგრე მიცნობ , მაგის დედა ვატირე, მაგისი, ჰა? - შერცხვა ჩემ გვერდზე მჯდომს, - მაგაზე გეტყვი უარს? ... - დააბოლოვა მძღოლმა.

უყვარდა ამ მძღოლ კაცს ნამუსიანი საუბრები. ჩუმად ჩამეცინა. მერე თითქოს ერთხანს გაჩუმდნენ. გზას ვუგდებდით ყველა თვალს და მანქანებისა და სიჩქარის ხმებს, მაშინღა

შევატყე და გულიც დამეწვა, რაღა დაგიმალოთ, წინ მჯდომი გოგოს ყურსასმენებიდან ისეთი საშინელი მუსიკის ხმა ისმოდა, გული ჩამიმდუღრა და მის შინაგან სამყაროზე ამიცრუა სულ მთლად შთაბეჭდილება, ისეთი მუსიკის ხმა ამოდიოდა მისი ყურებიდან,

როგორსაც ალბათ დეპრესიული გაუთხოვარი ქალები უსმენენ - ისეთი მუსიკის, რომელიც ამშვიდებს და ნუგეშს აძლევს მათ, როდესაც სარკეში დაუკმაყოფილებელი თვალებით უყურებენ საკუთარ თავებს.

გადავწყვიტე, გეგმა 'ბ' გამომეყენებინა მასზეც, ოღონდ მოგვიანებით.

მოლს რომ მივუახლოვდით, სიგარეტს გაუკიდა მძღოლმა, ფართო გზა იყო, ცალმხრივი , რომელსაც ცენტრში დიდი ბაღივით ზოლი ჰქონდა გაშენებული. ზოლის იქით კი ქალაქისეკნ მიმავალი მანქანები მოძრაობდნენ. ხალხი მით უფრო მატულობდა ჩვენ გარშემო. ირეოდნენ ერთმანეთში ჭიანჭველებივით. ჭარბობდნენ არაბები.

- ჯონი, ხიდთან შეგიჩეროო... - გაწელა ბოლო ასო.
- ჰო მა-რა. - დაეთანხმა ჩემ გვერდით მჯდომი.

გადასასვლელ ხიდთან ბევრი მანქანა ეყენა, მით უფრო მეტი - პარკინგზე.

მზიანი ამინდი იდგა, ხალხი, ყველგან მოფენილი, იდგა გაჩერებასთან, სადაც ხიდი იყო , სადაც ჯონი მანქანიდან გადმოვიდა და სანამ კარი მოიხურა, სიტყვა შემოაძვრინა: ორ წამში მოვალო და სისწრაფისგან მოჯახუნება გამოუვიდა.

- უფ, დავიწვი კაცი, - თქვა და უცებ ფანჯრიდან გადაყო თავი, - ჯონი! -წამოიყვირა.

ვერ ვხედავდი მე ჯონის, მაგრამ მანქანის უკნიდან მომესმა ხმა

- ჰოო!
- წინ მივაყენებ ცოტა, - ხელი გაიშვირა წინ მძღოლმა და მანქანა დაძრა ნელა.

ფანჯრიდან ვიყურებოდი, მანქანები სწრაფად დაქროდ-

ნენ და ჩვენ გზის უკიდურს მარჯვენა ზოლზე კუსავით მივსეირნობდით, როდესაც მოულოდნელად ჯერ მუხრუჭის საშინელი წვის ხმა გაისმა და გასტანა ასე ხუთიოდე წამით, შემდეგ გარდაუვალი - ბრაახხ! - შეჯახების ხმა.

მე ფანჯრიდან ვიყურებოდი მაგ დროს და მხოლოდ ერთი რამ შევნიშნე შუა ზოლზე - ჩვენი ზოლიდან ცაში ავარდნილი ცალი ყავისფერი ფეხსაცმელი, რომელსაც გაქვავებული თოჯინასავით სხეული მიჰყვა და მარჯვენა ზოლიდან გაშენებულ ბაღს გადაუფრინა და შემდეგ კომეტასავით დაენარცხა მიწას. ფერი წაგვივიდა ყველას, მით უფრო, მძღოლს.

- ეს ადამიანი იყო?! -
- ხმააკანკალებულმა შავმა კაცმა, ახლა კი სულ გათეთრებულმა მძღოლმა იკითხა. - ეს კაცი იყო?!

ზოლის იქით არაფერი ჩანდა, მაღალი გალავანივით იყო გაყოლება, ხალხი კი მოჩანდა. როგორ მირბოდნენ ისინი გვამისაკენ,რომელიც, როგორც ჩანს, წამოდგომას არ აპირებდა.

- ჰო. - ვუთხარი მე და მაშინღა მოვეგე გონს, გადავხტი მანქანიდან.

გოგონა ისევ ყურსასმენებგაჩხერილი წამოწოლილიყო წინა სავარძელზე, ვერაფერი გაეგო და მეც არაფერი მესმოდა, არც ის გამხსენებოდა ,არც მძღოლი, რაღაც რომ დამიძახა გაქცეულზე, მაგრამ გზის შუაში ნაშენებ ზოლს რომ გადავახტი და გვამი რომ დავინახე, ვეღარ გავებდე მიახლოება, შემეშინდა, კაცი იყო, რომელსაც მუხლები არაამქვეყნიურად ჰქონდა განცალკევებული ერთმანეთისგან და სისხლის გუბეში სახე ასფალტს მისწებებოდა.

თავი ვერ შევიკავე, მუხლებზე დავეცი, მკვდარი პირველად არ მყავდა ნანახი, არც პირველად შევსწრებივარ სიკვდილს, თუმცა, ის კადრი თვალებიდან აღარასდროს ამომივა. მუხლებზე დაცემულს გული მივარდებოდა საგუ-

ლიდან და მუშტებშეკრული ტკივილისაგან ცრემლს ვიკავებდი. წამოვდექი და გამოვბრუნდი, მძღოლი ჩემ ზურგს უკან იდგა, პირდაღებული უყურებდა გვამს, შეშინებული, გაქვავებული სვეტი.

- მოკვდა. - თქვა მძღოლმა.

რასაკვირველია, მოკვდა, - გავიფიქრე მე, ის მანქანა რომელიც შეასკდა საწყალს, გაქცეულიყო... სად გაექცეოდა თავს... მე მანქანაში ჩავჯექი, გოგონამ გამომხედა. თვალი თვალში გავუყარე, გამწარებული ვიყავი და საერთოდაც არ მქონდა მისი თავი. ვერ გაბედა თვალებში ჩახედვა, მიხვდა, რაღაც ვერ იყო.. რამდენიმე წამს ხმა არ ამოეღო და ბოლოს იკითხა:

-რატომ გავჩერდით? - ცნობისმოყვარე ბავშვური ხმით მკითხა.

- ავარიაა, თან მგზავრია გადასული, მოვა და წავალთ. - ვუთხარი მე.

- ავარია? - გადასვლა დააპირა მანქანიდან, - არ გადახვიდე! - მკაცრად ვუთხარი.

ნახევრად გადაყოფილი ფეხი მანქანას დაუბრუნდა, ვიფიქრე, შევაშინე-მეთქი და დავამატე: ცუდი სანახავია. - გამოვაღე კარები და სიგარეტს გავუკიდე, გოგონამ ისევ ყურსასმენები გაიკეთა და თვალები დახუჭა.

რაღაც დროს გარშემო ხმაური ჩემს ყურებთან ჩაგუბდა და გაქრა სადღაც, გაყინულ წამში, თვალწინ ჩამიარა ყველა სიკვდილმა, რაც კი მსმენია, რაც კი მინახავს და მხოლოდ სამუდამო სახეები მედგა თვალწინ - წასულებისა. ზოგს მშვიდი სახე ჰქონდა, მშვიდი, სექტემბრის მდელოსავით, მშვიდი, ღმერთივით; ზოგის სახეზე კი ტანჯვა და ღრეჭვა, ეკლებით ნაკაწრი ემოციებით მოცული ცხოვრება ჩანდა - მხოლოდ ერთ - თან წაღებულ გამომეტყველებაში.

უცებ მძღოლმა შემოაღო კარო, ქოშინებდა, თრთოდა და მთლად კანკალს აეტანა, თითქოს, ფიქრობდა, თავად

მიუძღვოდა წვლილი ყველაფერში, დამნაშავე თვალებით ჯერ გოგონას გახედა, შემდეგ თითქოს უაზროდ თვალი აარიდა - ამას რას ვუყურებო, მე შემომხედა, წარბებზე მიყურებდა ან თმებზე, ჩემს თვალებს კი ნამდვილად არ შეხებია მისი მზერა.

• აქ რაღა გვინდა, წავედით. - თქვა და სველი ხელისგულებით მოიწმინდა ოფლიანი შუბლი.

ვერ მივხვდი, რა იგულისხმა.

• სად წავედით?! არ ველოდებით იმ კაცს...- სახელი ძლივს გავიხსენე - ჯონის? - ეს ვუთხარი. ის კი გაშრა.

თითქოს სცადა რაღაცის თქმა, ვერ თქვა , შემდეგ აზრებს ალაგებდა და სამიოდე წამი მის სახეზე მთელ საათად იქცა, ბოლოს კი ძლივს აღმოთქვა.

• ის იყო, კაცო!! - თქვა თუ არა, ცრემლები დასცვივდა.

• ვინ ის? - ფუჭად ვიკითხე, უაზროდ, განა ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა იმ კაცში, მაგრამ არ დავიჯერე, ვერ დავიჯერე.

• გვერდზე ვინც გეჯდა... ჯონი.. - ამის თქმა მჭირდებოდა თითქოს. მის თვალებზე აღუწერელი ტკივილი იყო.

არ ვიცი დღემდე, რა გრძნობა იყო, როდესაც ეს გავიგონე. ვერ გეტყვით. ერთი კი ნამდვილად ვიცი, დარწმუნებით, რომ კაცს, რომელიც თავისი ცხოვრების ტრიუმფალურ მომენტში ამაყად ყვებოდა თავისი წინაპრებისა და შთამომავლობის ამბავს, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ასე მოკვდებოდა, მას სიკვდილი სხვაგვარი წარმოედგინა და, ვგონებ, იმედგაცურებაც ვერ მოასწრო, ისე მოკვდა.

მერეღა ვთქვი:

• მერე... ასე, უბრალოდ, თითქოს არაფერი მომხდარა, ასე მივდივართ?! - ვიკითხე მე.

კაცმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაზე მეტად ამის გაგონება არ სურდა.

• რო დავრჩეთ... პოლიცია...

- რა პოლიცია? - არ დავასრულებინე სიტყვა.
- დაგვკითხავენ! - უსუსურად წამოიყვირა, შემდეგ ტონს დაუწია, - გამოიძიებენ, შეიძლება დაგვიჭირონ კიდეც... - ისე მითხრა, თითქოს ცდილობდა, შევეშინებინე.
- რაო?!! - ზიზღი ყელში გამეჩხირა, მერე დავფიქრდი, შეშინებულია, იმიტომ ბუუტურებს ამას-მეთქი, ვეცადე, მშვიდად გამეგრძელებინა დაწყებული სიტყვა :

- ის კაცი ვინ იყო შენი? - ვკითხე მე.

- არ ვიცნობდი, არც ვიცი... მე...მე ...
- კარგი. - შევაწყვეტინე და მანქანიდან გადმოვედი. მძღოლმა ჩემს შესაჩერებლად კარები რომ გამოაღო, გვერდით მჯდომმა გოგონამ რაღაც გადაუჩურჩულა, შემდეგ კარები მოხურა და ისე მკითხა:
- თქვენ ... აღარ მოდიხართ?

საბარგული ავხადე, ჩემი ჩემოდანი ამოვიღე და აღარც შევბრუნებულვარ.

არც არავისთან მივსულვარ.

სევდამოცული ერთხანს იმ შუა ზოლზე ვიჯექი, სადაც ბალახი ბიბინებდა, სადაც მზე ჩადიოდა... როგორც სიკვდილისა და სიცოცხლის გასაყარზე, იმ ზოლზე ვიჯექი, რომელიც იმ კაცმა ბოლოჯერ გადაკვეთა და რაღაც აქამდე დაუფიქრებელზე ვფიქრობდი მაშინ.

ერთი კი ვიცი - გემოს ვერ გაუსინჯავ სწრაფ სიკვდილს, როგორც არ უნდა გინდოდეს.

*ევგენია კეპულაძე*
*11 წლის*

## შეყვარებული ხე

ეზოში დიდი და ბებერი მუხა დგას. ნაყოფი ჯერ კიდევ ასხია, დახუნძლულია რკოებით. ის შეყვარებულია პატარა ჩიტებზე, რომლებიც მის ტოტებზე სხედან. სულ ესალმება და ეპრანჭება მათ. ჩიტებიც ეკეკლუცებიან, სულ თავს დასტრიალებენ. უყვართ ერთმანეთი და უყვართ სამყარო. განუყრელი არიან ჩიტები და მათზე შეყვარებული ხე.

ცხოვრობენ ასე სიყვარულში.

## დიდები ამას ვერასდროს გაიგებენ

საქანელაზე ვზივარ. ისე ვქანაობ, მგონია, ცამდე ავფრინდები. მიხარია, რომ დღეს სკოლაში ვიყავი, შევხვდი ჩემს მეგობრებს, მათემატიკასა და რუსულში 10 იანი მივიღე.

ვქანაობ და ვქანაობ, თითქოს ფრენა შემიძლია.

მერე შევაჩერებ საქანელას და სასრიალოზე ჩამოვსრიალდები. გაზაფხულის სიო მათბობს და ყურებამდე ვიღიმი.

გაივლის უცნობი ქალი და უცნაურად შემომხედავს. ვითომ  თავად ოდესმე ბავშვი არ ყოფილა?! არ ყოფილა! მე მაინც ვიღიმი და ვსრიალებ, რადგან დიდები ამას ვერასდროს გაიგებენ.

## ღრუბლების ქალაქი

ეს საოცარი და დაუვიწყარი ადგილია, მაგრამ აქ მხოლოდ სიზმრებიდან მოხვდები. ღრუბლების ქალაქი სავსეა ფერიებით, ანგელოზებით და, რაღა თქმა უნდა, ღრუბლებით.

იქ ყველა ბედნიერია. ჰაერზეც შეგიძლია სიარული პიტერ პენივით. ასევე შესაძლებელია ღრუბლების ჭამა, რადგან ბამბის ნაყინის გემო აქვს. მე ღრუბლების ქალაქში ცხოვრება მინდა.

## ბურთი წვიმაში მარტო დარჩა

ბავშვები ეზოში თამაშობდნენ, როდესაც კოკისპირული წვიმა დაიწყო. ყველა შეცვივდა სახლში. ბურთი კი წვიმაში მარტო დარჩა. ეგდო წვიმაში. არ იცოდა, რა ექნა. კაპ-კუპ-კაპ-კუპ - ეცემოდა წვიმის წვეთები. ეწყინა, ყველამ რომ მიატოვა. ეწყინა, მარტო რომ მიატოვეს იმ საზიზღარმა ბავშვებმა! მაგრამ რა ექნათ? არ უნდოდათ გაცივება. არც იმ ბურთს უნდოდა გაცივება.

ტიროდა და ტიროდა. საცოდავად აგორავებდა ქარი. ელოდა მზის დაბრუნებას.

-ეხ -ამოიოხრა მან.

## ყველას თავისი ბედი აქვს

სოფელში ძაღლი გვყავს. ბომბორა ჰქვია. უკვე დაბერდა. მაგრამ ყოველ ზაფხულს ერთნაირი სიხარულით გვხვდება ეგ გაბურძგნული ძაღლი. ზამთარში, როცა მასთან არ ვართ, მოწყენილია და ალბათ სცივა. თავისი სქელი ქურქიც კი ვერ ათბობს ბომბორა მთელი სოფლის ძაღლია, მაგრამ ყველაზე დიდ დროს ჩვენთან ატარებს, არადა, მასთან მხოლოდ და მხოლოდ 6 კვირას ვატარებთ. მწყინს ხოლმე, როცა ბებო არ უშვებს ჩვენთან, არიქა, მისი ბეწვებია მთელ ეზოშიო. ბომბორასაც სწყინს ალბათ, მაგრამ შემოსვლას ყოველთვის ახერხებს.

კეთილი ძაღლია ბომბორა, თავისთვის წევს და გვდარაჯობს. გვიყვარს ჩვენი ჭუჭყიანი ბომბორა და ჩვენც გვიყვარს. ეს არის მისი ბედი, მთელი წელი ჩვენი ლოდინი და მერე დადარაჯება, სანამ წავალთ.

*ელენე დავითინიძე*
*13 წლის*

* * *

მე მაიკო ვარ. მეტროსადგურ ღრმაღელესთან ვცხოვრობ, ადვილი მისაგნებია. ადრე კოლმეურნეობაზე დიდი კარფური რომ არის, მანდ ვმუშაობდი მოლარედ. ვსწავლობდი და ფულიც მჭირდებოდა. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრების საუკეთესო წლები იქ გავატარე.ერთ წელიწადში იქიდან წამოვედი. მართალია, ფული ისევ მჭირდებოდა, მაგრამ სწავლა უფრო მნიშვნელოვანი იყო. ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. წლები გადიოდა. ვერც კი მივხვდი როგორ გავხდი 26 წლის. სწავლა რომ დავასრულე, სკოლაში დავიწყე მუშაობა ისტორიის მასწავლებლად. სადამრიგებლო კლასიც მომცეს. ახლა უკვე 30 წლის ვარ, ის კლასი ისევ მყავს, ისევ ისტორიას ვასწავლი  და ისევ იქ ვცხოვრობ. ცოტა მოსაწყენია ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი რომ არ შეცვლილა, მაგრამ ვხვდები, რომ გავიზარდე. დაბადების დღეზე, 29 წლის რომ გავხდი, ბავშვებმა სიურპრიზი გამოკეთეს. ძალიან გამიხარდა.

ახლა ონლაინ ლექცია მაქვს, ცალი თვალით ტელევიზორს ვუყურებ. ჩამძინებია. რომ გამეღვიძა, ლექცია დასრულებულო იყო. ხვალ სკოლაში ვარ წასასვლელი. საათს დავხედე -10:42 წუთია. ვფიქრობ, დავიძინო. ასეც მოვიქეცი.

### მოგონებების საქანელა

-მოთხოვნილებები უნდა შეესაბამებოდეს რეალობას! იმით, რომ მე ეს უბრალოდ მინდა, არაფერი გამოვა.

-კი მაგრამ, ბატონო მიხეილ..

-არავითარი მაგრამ, ის საქანელა კი ძალიან მიყვარდა... მახსოვს, გივი ვერ წვდებოდა ხეს და სკამზე ავიდა, რომ თოკი ჩამოეკიდა.

-ეს სახლი არ უნდა დაინგრეს. 1896 წლეს არის აშენბული , თანაც როგორ გიყვარდათ ის საქანელა..

-ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. როგორც ვთქვი, მოთხოვნილებები უნდა შეესაბამებოდეს რეალობას.

...და, აი, ის დღე, როცა გივიმ საქანელას ჩამოკიდება დიდ თუთის ხეზე გადაწყვიტა, რომლის ტოტები, მისი აზრით ღრუბლებამდეც კი აღწევდა. მხოლოდ რამდენიმე დღე იყო მისი დის, სოფიოს, ჩამოსვლამდე დარჩენილო და უნდოდა, ეს ლამაზი სიურპრიზი საკუთარი ხელით გაეკეთებინა სახლის ეზოში.

სარდაფში დამტვერილი კიბეა. მხოლოდ თაგვები დაცოცავენ ზედ. არა, ეს ნამდვილად არ გამოდგება. იქნებ მისწვდეს. ეცადა და ვერ მისწვდა. აიღო სკამი დადგა და ჩამოკიდა სქელ თოკზე საქანელა. სიამაყით უყურებს გივი ამ საქანელას და მხრებიდან თუთას იფერთხავს.

მატარებლის ხმა დილით აღვიძებს და სოფიას მოლოდინში გარბის. გარბის წუთები. და, აი, გივი პატარა სოფიას აქანავებს საქანელაზე.

ახლა კი ეს სახლი, 1896 წელს აშენებული, ინგრევა თუ ანგრევენ, როგორც არაფერი...

- გივის ძალიან მოსწონს ეს საქანელა.

მიხეილი კი ამას ფანჯრიდან უყურებდა.

## თემო

თემო კარგი ბიჭი იყო. დედამისის პანაშვიდზე რომ ვიყავით, ისეთივე სახე ჰქონდა, როგორიც ყოველთვის - სევდიანი და არფრისმთმელი. მგონი, იმ დროს სიტყვებზე მეტად ჩახუტება სჭირდებოდა და ასეც იყო. მახსოვს, იასამნები უყვარდა, მის ეზოში რომ იყო დარგული და ეთოს დაბადების დღეზე სულ ამ იასამნებს ჩუქნიდა. აქციებზე დადიოდა ხოლმე,

პარლამენტის წინ.მამამისი უშლიდა: დაეტიე, ბიჭო, სახლშიო, მაგრამ ეს დააკავებდა? ამბობდა, სამშობლოსთვის ტყვიას თავს შევუშვერო. ამაზე კი ყველა ვიცინოდით, მაგრამ თემო არ ხუმრობდა. ხოდა, ასე დაასრულა სიცოცხლე 9 აპრილს, როგორც თვითონ ამბობდა, საქართველოს წმინდა მიწაზე. მამამისი ყველას გვებრალებოდა, ცოლ შვილის გარეშე რომ დარჩა, მაგრამ სულ ამბობდა: მე მეამაყება, ჩემი შვილი სამშობლოს გულისთვის რომ მოკვდაო და ჩუმი ცრემლით აწყობდა თემოს საფლავზე იასამნებს.

## ცისარტყელაზე გავლა

ასეთი ლეგენდა იყო, თუ გოგო იდაყვზე იკბენდა ან ცისარტყელას გადააფრინდებოდა, ბიჭად გადაიქცეოდა. ამის არც არავის სჯეროდა, მაგრამ მაინც ცდილობდნენ და წვიმის დროს მზის გამოსვლას ელოდნენ, რომ ცისარტყელა გამოჩენილიყო.

აი, მე, სულაც არ გადავაფრინდებოდი ცისარტყელას ბიჭად გადაქცევის სურვილით, ერთი მხოლოდ იმიტომ, რომ მეგრძნო ის სიამოვნება, რასაც ეს მომანიჭებდა. რა იყო საერთოდ ცისარტყელა - წასულების სამყოფელი? სულ იმას არ ამბობდნენ, ცისარტყელაზე გაფრინდაო? ნეტავ, ცისარტყელა რას ფიქრობდა? მიწაზე გავლა მინდა? უნდოდა კი, საერთოდ, ეს?რატომ იყო ის ასეთი ფერადი? ალბათ მასზე გადავლისას თითოეულ ფერზე სხვადასხვა გრძნობა იყო - ვარდისფერზე - მშვიდი და ფუმფულა, ცისფერზე - გრილი და წყნარი და ასე შემდეგ... არ ვიცი, მე ჯერ ისევ დედამიწაზე ვარ და არც უწვიმია, ცისარტყელა რომ დამენახა.

*ვაჩე გულბიანი*
*14 წლის*

## შეყვარებული ხე

ხე ყველას უყვარს, საკითხავია - ვინ უყვარს ხეს?

ხეს უყვარს ჰაერის ტალღა - ნელი, სუფთა და გრილი. არა - ბენზინის გამონაბოლქვი და მტვერი.

შეხება ფოთლებზე ნიავის; შეხება რბილი, რომ ეთამაშება ტოტოებს, რომ არხევს, გულში კარგს რომ დატოვებს, ბრაზს, სევდას რისხვას რომ დაგავიწყებს.

უყვარს გარემო მშვიდი, უხმაურო ან დედაბუნების ხმაურით გართული,

კლდეები- მის ზურგს უკან აღმართული, სადაც ბრაზ-რისხვა ქვეყნად არ დადის, სადაც მზე ადგენს განრიგს, სადაც ის ჩიტების, მწერების სახლია და არა - ფიცარ-ფურცელის მარაგი!

არა - ქვა, ბეტონი, რომელიც არის მისი გალია, სადაც არ მოჩუხჩუხებს ფშავის არაგვი.

ხეს უყვარს, ლურჯი ცა რომ ახურავს, სადაც ღრუბელთ არიან სტუმრად და არა - მუდამ მზეს რომ დაფარავს.

სხვი თუ წვალობს, მისწვდეს ყვავილებს, იქ ხე სიყვარულით ვერ იყვავილებს

და თუ ამოვარდა ქარი, რომელიც სიმშვიდეს ფანტავს, ისიც აშფოთებს ხეს.

შეყვარებულია ის, როცა ამ სიწყნარეშია, როცა არავინ აწუხებს…

საკითხავაი: ხეს ვინ გაუგებს?

ხე ყველას უყვარს, საკითხავია: ვინ უყვარს ხეს?

## ერთხელ ორ ნაბიჯში

დედაჩემმა იმ დღეს კვერცხზე და პურზე გამგზავნა მაღაზიაში, პირობა ესეთი იყო, ვიყიდდი, ამოვუტანდი სასურ-

ველს, სანაცვლოდ მე წავიდოდი ეზოში. კარგია, მარტივი. სიცხე იყო, მზის სხივები ღრუბლებს ხვრეტს და პირდაპირ მე მეცემა. შევედი მაღაზიაში, სიგრილეა, ავიღე, რაც საჭირო იყო, დადვდექი ამ რიგში, რიგი ხალხს არ იშურებს - ეპატიჟება ყველას. რიგში დგომისას ერთ ესეთ ფაქტს წავაწყდი - მაღაზიის კარებთან ჩასაფრებული იყო პატარა ძაღლი - თეთრი, ყავისფერი კოპლებით. ფეხები - განზე, ორსული იყო ოთხფეხა. როგორც ჩანს, თავის საქმეში ოსტატი: რომ გავიდოდა თუ შემოვიდოდა კლიენტი, იმ წამსვე იხლეთებდა დროს და შემოძვრებოდა მაღაზიაში. მენეჯერი ან კონსულტატი თუ დაინახავდნენ, აიყვანდნენ, გასვამდენ ან გააპაღურებდნენ. ყურს არავინ უგდებდა, არვინ უმზერდა. თითქმის მივედი სასურველ დანიშნულებამდე, როცა მაღაზიაში შემოვიდა მღვდელი - დიდი, მხარბეჭიანი, ხანში შესული კაცი იყო. რაღა თქმაუნდა, დიდი, ნაცრისფერი წვერებით და უცებ ყველამ შეიყვარა ეს ძაღლი. როცა მოძღვარმა ორი სიტყვით მის საცოდაობას გაუსვა ხაზი და პური გადაუგდო, უმალვე ყველამ ფერება დაუწყო და ზრუნვას ჰპირდებოდნენ, მაგრამ გავიდა თუ არა მრვდელი, ეს ძაღლი ისევ გააგდეს. აბა, ამ ამბის საიდუმლოს ვინ დაადგენს?

## შინ დაბრუნება

არასდორს გავქცეულვარ ან წავსულვარ `შინიდან. ასე, რომ ვერ გეტყვით, როგორია შინ უცხო ადგილიდან დაბრუნება. ვგონებ, არც არავინ უნდა წავიდეს იქიდან, სადაც ღრმა ფესვები აქვს გადგმული, შინიდან წასვლა არ გულისხმობს მანცდამაინც ერთი ქვეყნიდან მეორეში წასვლას და იქ ცხოვრებას. ეს ტრაგიკულიც არ არის, ვინაიდან ეზოს ერთ კუთხეში ამოსულმა ნაყოფმა შეიძლება მეორე ეზოს კუნჭულშიც გაიხაროს. აი, როცა ჩვენც გახარება შეგვიძლია, როცა ამისთვის საჭირო რესურსები გვაქვს, მაშინ ყოველთვის შინ ვართ.

ამ მოვლენას, შინ დაბრუნებას, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანთა მძიმე წარსული უდევს საფუძვლად. არავისთვის იქნება კარგი ისეთი რაიმეს მოხდენა, მოვლინება, ისეთი რაიმეს ჩადენა, რომ შემდგომი ვითარება  ცხოვრების ეტაპი შინ დაბრუნება იყოს.

თუ ბრუნდები,  ანუ სადმე წახვედი. წასვლა მტკივნეულია. ისეთი მტკივნეული, რომ წავედი თუ არა, ვერ გაიგებ, სანამ ბოლო არ მოგეღება. ტრაგიკულობაც აქ ისაა, რომ ისე იცვლები, რომ ლპები, როგორც უადგილო ადგილას დამყნობილ/დარგული.

არ ვფიქრობ, რომ ყველას შეუძლია ყველგან ჰქონდეს შინ, ნებისმიერ ვითარებაში, გარემოებასა და ნებისმერ ხალხში.

ბანანი, ანანსი - ტროპიკული მცენარე ყველგან ვერ გაიხარებს, მხოლოდ ტროპიკებში.

## ერთხელ ცას ჭრუჭუტანა გაუჩნდა

ფორიაქია ალიაქოთი ზეციურ ჯადოსნურ სამყაროში  და თებერვალს და მშობელ ზამთარს დანარჩენი თერთმეტი და სამი მშობელი ელოდებიან. ზეიმია, კარნავალია, სანამ ქვემოთ თეთრი მთა-ბარია, ავდარია თუ დარია.

ოხ, კიდევ ერთი უფრო თეთრი პრინცესა გამოჩნდა კარიბჭესო! დიდი სუფრაა, ზარზეიმია.ორი მოდის,ორიც წავა და სახელად მარტი და მშობელი გაზაფხული, ვარდისფერ ფერშემკული სამოსით ჯერ უმასპინძლებენ და შემდეგ წავლენ მიწას. ბუნებას მოედებიან, იმოგზაურებენ.

აი, ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა და შეიცვალა კალენდარი, დღე და რიცხვი, ოცდარვა პირველმა შეცვალა, საჩუქრად ყვავილები, სიმწვანე და მერცხალი გაატანეს მოგზაურებს. ოი, ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა. ეს ხომ გასახარია?

ანუ დრო ისევ მიდის, არ შეჩერებულა.

სიცოცხლე გრძელდება? ანუ ყველას უხარია.

ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა, ოღონდ შედარებით ვიწრო,

ამჯერად სულებისთვის. იმავე ზომის მიწასაც. ორმოცი დღეც გავიდა და სულებიც, საბედინიეროდ, ზოგი ზემოთ წავიდა, სამწუხაროდ კი, ზოგი - ქვემოთ…

ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა და,როგორც ის ზემოთ მეზობელი ბურღავს კედელს, ისე გაბურღეს, გამოჭრეს, რგოლი გააკეთეს, კარიბჭე გააფორმეს.

ეს ყველასთვის კარგია. დრო ისევ მიდის. დრო არ შეჩერებულა, მაგრამ შეჩერდება კი როდესმე?

მაინც შიშში ვართ? იქნებ აღარ გაუჩდეს ცას ეს ჭუჭრუტანა!

* * *

ზოოპარკში გალიაში ლომი ფიქრობს:

ადამიანი რომ ვიყო, გავარკვევდი, რა მოსწონთ ჩემში - დატყვევებულ თავუსუფლებისაგან მოწყვეტილ ოთხფეხა მხეცში.

საკუთარ თავს შეჭამდა, სხვებს დაერეოდა, გაველურ-დებოდა?

თუ რეალური თვისებები სხვა კუთხით მოევლინებოდა ადამიანის შინაგან მეს?

ალბათ ლიდერული თვისებით დაჯილდოვდებოდა?

თუ ძალიან ზარმაცი მამრი იქნებოდა ან ძალიან მშრომელი მდედრი?

ზის და აკვირდება ვიტრინის ერთი მხრიდან მეორე მხარეს, რასაც ვერ ხედავს, იმის დანახვა უნდა? იმის იქით რა ხდება და ამის სანახავად წავიდოდა?

საერთოდ, რაც არ ვიცით, ის გვაინტერესებს, რაც არ ვიცით, იმის გვეშინია. ეს ალბათ ბუნების კანონია და ცხოველებშიც ესეა, ანდაც, საერთოდ რეალობის ვერაღქმით შეპყრობილს გული დაარტყამდა?

ადამიანი რომ ვიყო?

სად აქვს ლომს ამდენი ჭკუა, ეს რომ იფიქროს, ამხელა

აზროვნება რომ ჰქონდეს, ხომ აღარ იარსებებს ის ვიტრინა ან ის გალია! მაგდენი რაიმეს ფიქრის გაწვდება კი ლომის ჭკუა?

## იყო ერათი საწყალი, მოხრილი გასაღები

საწყალი მოგრეხილია, უკვე გამოიყენებელი. გადააგდეს დიდი ხანია და დაჟანგული სხვა ჯართებთან ერთად გდია სადღაც. გამოცვალა სახლის მთავარი კარი ოჯახმა. ტირის გასაღები, დეპრესიაშია. დააშორეს თავის ერთადერთს. კარი ახლა ფიცარ-ფიცარ არის დაშლილი.

მოიტანეს ახალი კარი, ჩასვეს, დაამაგრეს, მაგრამ ვერ შეამჩნიეს, რომ საკეტი სხვანაირი იყო. მკლავძლიერმა მამამ დატესტა გასაღები და ახალი კარის ახალ საკეტში შესული გასაღები გადატრიალდა. არ მოჰყვება. გასაღები არ არის ის ამ საკეტისთვის. მამას ჰგონია, რომ ცოტა ძალის დატანებით ყველაფერი კარგად ჩაივლის, მაგრამ არა. გაიღუნა გასაღები. ოჯახი მიხვდა, რომ გასაღებიც გამოსაცვლელია. თან უკვე გაღუნულია, მოგრეხილია. დაშორდნენ კარი და გასაღები ერთმანეთს და შემდეგ - ოჯახს. ერთი ფიცრებზე გდია, მეორე - ჯართის სადგომზე და ენატრებათ ერთმანეთი.

სამწუხაროდ, ისინი ერთმანეთს ვეღარ ნახავენ.

## ლამაზი შემოდგომა

სახლის გარშემო ხეებია; შორს ხეების სიმჭიდროვე იმატებს და ტყედ გადაიქცევა, ყვითელ წითელი ფოთლებით გადაჭედილი ტყე; გგონია, ნაძვებს გარშემო ცეცხლი უკიდიათ. შორს და შორს მთები მოჩანს, მწვერვალები, კისერზე ღრუბლის  კაშნე აქვს შემოგდებული, მაგრამ ძნელი დასანახია. სახლის დიდი ეზოს წინ გზასა და ღობეს შორის მდინარე ჩამოდის. გრძელია, მაგრამ სიგანეში პატარა, სწრაფი და ძლიერი, პატარა; უჟმურ ხასიათზე მყოფ ბავშვს მომაგონებს. მდინარეზე ხიდია. ხიდი მდინარეზე კი არ

არის გადებული, უბრალოდ, ხიდის ქვეშს გადის მდინარე. ის ნაპირი, რომელიც ღობის მხარეს არის, მიწას ეხება და მიდის. ადგილიც არ არის იმ მიწაზე, ხე ან ყვავილები რომ დაეტიოს; მეორე მხარეს გზამდე მცირედ დახრილი მდელოა ეკლიანი ბუჩქებით, ფოთლებით სავსე მინდორითა და ყვითელ-წითელი ხეებით, გზა მაღლა აუყვება, მდინარის პარალელურად მიდის ბოლო სახლამდე, რომელიც ძველი სასტუმროა, ახლა კიდე დიდი თეთრი კორპუსია.

დგები, ამ ლამაზ ხედს მესამე სართულიდან გადმოჰყურებ, მდინარის მარტო ხმა ისმის. რთულად დასანახია აქედან, ქვემოდან დედის და ბებიის ლაპრაკი ამოდის, საუზმეს რომ აკეთებენ და სამზარეულოში ფაციფუცი რომ აქვთ. გრილ სუფთა ჰაერს ჩაისუნთქვავ ტკბილი არომატით, თითქოს სხეული სიცოცხლით ივსება, გაიზმორები.

რთველია. ბაბუ ყურძენს კრეფს, მამა ვაზს ხელს ისე უსვამს, თითქოს ეფერება, ემოციებით სავსე თვალებით შეჰყურებს მას, ბეღურები დენის კაბელებზე სხდებიან და მარტო დარჩენილები ერთმანეთს ალბათ ათას რამეზე ელაპარაკებიან. ძაღლი ყეფს, კატა კნავის, თხების ხმა შორიდან გესმის.

ფიქრები უკვე სხვა რამისკენ ირთვება. გავიწყდება უკვე ეს სილამაზე. ეს ლამაზი შემოდგომა.

ორი ნაზი, ფრთხილი, ფერადი ბუნების განუყოფელი რამ, ერთმანეთით სარგებლობენ და უხარიათ.

## სახლიდან გამოქცეული ძაღლი

სტუმარ-მასპინძელს პურ-მარილი ჰქონდა გაშლილი, ქეიფობდნენ, სვამდნენ. ამ ოჯახის ძაღლი გარეთ გამოიყვანეს და იქ დააბეს. იცოდნენ, რომ არ გაჩერდებოდა ამდენი გემრიელი საჭმლის გარემოცვაში წყნარად და მშვიდად, მაგრამ ძაღლი ტირის, წკმუტუნებს, სახლში უნდა, უნდა მაგიდაზე ახტეს და ყველაფერი შეჭამოს, იმის მიუხედავად,

რომ მშიერი არასდროს  არის. რა ვქნათ, ასეთი მსუნაგია ჩვენი ძაღლი, ლამაზი კი არის, ქათქათა ფუმფულა ბეწვი აქვს, სწორი ყურები, ფუმფულა სახე.

გათავდა ქეიფი, ძაღლი ღამეც გარეთ დატოვეს, სახლ-ში გაზრდილი ძაღლი! ნუ, ვერ შეეგუა ამას ოთხფეხა, თავისუფლად რომ არ იყო, ჯერ ქუჩა, ეზო ტირილით, ყეფით, წკმუტუნით აიკლო, ბოლოს აიწყვიტა და კარებთან მისვლის და იქ დალოდების მაგივრად გაიქცა ძაღლი. თან უხაროდა, თან თავის ოცნებას იხდენდა. გარემოებას უფრო და უფრო იცნობდა და უფრო და უფრო შორს შეეძლო წასულიყო. გაიქცა ძაღლი უკან მოუხედავად.

პატრონებმა ეს დილით შეამჩნიეს, ინანეს, როგორც ძაღლს მოექცნენ და სევდით შეეგებნენ ამ ამბავს. გაიქცა ძაღლი შორს, გზაზე გადავიდა გავიდა შუა ქალაქში. უკვე შუა დღეა და უკან დაბრუნება, ჭამა, მოფერება უნდა ძაღლს, მოკურცხლა უკანა გზისკენ, ბევრი ახალი შენობა- ნაგებობა, ქუჩა, ხალხი, ადგილი ნახა, მაგრამ უკვე დროა, უკან დაბრუნდეს. წავიდა, მაგრამ წავიდა და უფრო მოსცილდა სახლს. აებნა გზა. სახლში დასაბრუნებელი გზაც აღარ ახსოვს.

დაიკარგა. ღამეა. ქალაქის გარეუბანში აღმოჩნდა ცხოველი. მიტოვებულ ადგილს ჰგავს იქაურობა, დანაგვი-ანებული ადგილია ბუნკერებით სავსე, შეუხედავი. მიდის ძაღლი თავის გზაზე.  აქამდე მისი სილამაზის გამო გზაში სხვები გადმოუგდებდნენ ხოლმე პურს ან რაიმე ნარჩენს, მაგრამ ახლა ბუნკერში იქექება საჭმლის საპოვნელად, იქექება და უსიამოვნებაც უახლოვდება ელვის სისწრაფით, ფუნფულას ძაღლების ბრბო დაუდგა წინ, უყეფდნენ, უღრეღნენ. ჩვენმა ძაღლმა, რომელიც ახლა ქათქათას აღარ ჰგავდა, მოჰკურცხლა და ამ ცოფიანებს დაუსხლტა, დარდობს, ნანობს, ეშინია, შია ფუნფულას. ძნელია მისთვის გარეთ ცხოვრება. იპოვა მშვიდი ადგილი სკვერთან ახლოს,

სკოლასთან. გაკვეთილების დასრულებისას ბავშვებითაა სავსე იქაურობა. სწორედ ისინი კვებავენ ახლა სახლიდან გამოპარულ ძაღლს. კარგა დრო გავიდა, რაც ძაღლი სახლში არ დაბრუნებულა, მიეჩვია გარეთ ცხოვრებას, მაგრამ არ დაუვიწყებია თავისი ძველი პატრონები.

შემოდგომის ლამაზი დღეა. ძაღლს სძინავს თავისთვის ხის ქვეშ. შუახნის ჭაღარა მამაკაცი მიუახლოვდა მას, უყურებს, აკვირდება ჯერ ერთი თვალით, მერე მეოერეთი. შემდეგ ორივეთი, გამოიღვიძა ძაღლმა. დაინახა კაცი  და წარსული თვალწინ დაუდგა. იცნეს ერთმანეთი. კაცმა ჩაიხუტა ჭუჭყიანი ქუჩის ძაღლი. შინაური ცხოველი კუდს აქიცინებს და ვერ ისვენებს ძველი, დაუვიწყარი პატრონის მკლავებში.

დაუბრუნდა ნანატრ სახლს ძაღლი და ასე ...

დედამაც წიგნი დახურა, როცა შეხედა, რომ ბავშვს ჩასძინებოდა. შუბლზე აკოცა. თბილი საბანი გადააფარა, ჩაუქრო შუქი და ტკიბილი ძილი უსურვა შვილს.

*ზური კონჯარია*
*13 წლის*

## ჩვენი ცა

ჩვენ ყველანი ერთნაირი დავიბადეთ ამ სამყაროში - უდანაშაულო თვალებით, სუფთა გულით და შეუზღუდავი პოტენციალით. განურჩევლად რასისა, სქესისა თუ სოციალური მდგომარეობისა, ყველა ახალშობილ ბავშვს აქვს თანაბარი უფლება სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისა, მაგრამ ყმაწვილობისას ყოველ ჩვენგანს თავზე თავისი ცა უჩნდება.

## პეიზაჟი, რომელიც მიყვარს

სიხარულისგან ვყვირი, როცა თავისუფლების მატარებელს უმაღლესი მთის წვერზე მივყავარ. მღელვარება და მღელვარების გრძნობა შერეულია პატივისცემის განცდასთან იმ დიდებული ბუნებისადმი, რომელიც ჩემ თვალწინ იშლება.

ფანჯრიდან გავიხედე, თვალს ვერ ვაშორებ თვალწინ განსაცვიფრებელ პეიზაჟებს. უზარმაზარი მთის მწვერვალები ამშვენებს ჰორიზონტს, ერთი შეხედვით, მიუწვდომელი და იდუმალი. თოვლიანი მწვერვალები ანათებენ მზის სხივების ქვეშ, ირეკლავენ ამომავალი მზის შუქს.

ღრმად ვისუნთქავ მთის სუფთა ჰაერს და ვგრძნობ მის სიგრილეს ფილტვებში. ქარი თმაზე მეთამაშება და ირგვლივ რბილ მელოდიებს მეჩურჩულება. ფეხქვეშ ვგრძნობ კლდეების სიძლიერეს, რომელიც მიცავს და ადგილს გარკვეულ მაგიას ანიჭებს.

მწვანე მდელოები და ყვავილების მინდვრები გადაჭიმულია ჩემ წინ, რაც ქმნის ფერების კალეიდოსკოპს. მიხარია მოცეკვავე პეპლებისა და ფუტკრების ყურება, რომლებიც თავიანთი საქმით არიან დაკავებულნი, აცოცხლებენ ბუნების ამ ულამაზეს კუთხეს.

თვალები მისრიალებს მდინარეების გასწვრივ, მათ სიმ-წვანეში ტრიალებს და მათი შხაპუნით მუსიკას ქმნის. წყალი ანათებს მზეზე, აძლევს მას ბზინვარებას და ორიგინალობას. აქედან, მთის წვერზე, სამყარო უსასრულოდ დიდი და ლამაზი ჩანს.

შორს მოჩანს სხვა მთის მწვერვალები, ქვები, რომლებიც აღფრთოვანებასა და პატივისცემას იწვევს. მე ვიცი, რამდენად პატარა ვარ ამ ბუნების დიდ სიმფონიაში და, ამავდროულად, ვგრძნობ კავშირს ამ ძლიერ მთებთან.

მე ვიძირები მომენტში და ვითვისებ ამ ადგილის ყვე-ლა დეტალს - მის სურნელს, ხმებს და შეგრძნებებს. გული სიხარულითა და სიმშვიდით ივსება, სული კი მარადისობასთან კონტაქტს გრძნობს.

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც მრავალფეროვნება ჩვენი არსების განუყოფელი ნაწილია. თითოეული ჩვენგანი უნიკალური და განუმეორებელია. ჩვენ ერთმანეთისგან ბევრი რამით განვსხვავდებით, იქნება ეს ფიზიკური თვისებები, პიროვნული მახასიათებლები, ინტერესები, მსოფლმხედ-ველობა თუ კულტურული ფონი. ჩვენი მრავალფეროვნება გვაძლევს უნიკალურობას, ყოველ ჩვენგანს თავის თავზე თავისი ცა აქვს.

## ჩემი მოგონილი და ძალიან გულბრყვილო ზღაპარი ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა, სახელად ანა. ის იყო ყველაზე ტკბილი და კეთილი ბავშვი თავის სოფელში. ანას უყვარდა ბუნება და მისი ყველა მაცხოვრებელი. ის ყოველთვის აჭმევდა ჩიტებს, კურდღლებს და ეფერებოდა კატებს. მისმა სიკეთემ და ზრუნვამ ყველა იქაურის გულში ჩააღწია.

ერთ დღეს ანამ გადაწყვიტა ბუნების სილამაზით და-სატკბობად ტყეში გასეირნება. კენკრის კალათა აიღო და წავიდა. ტყის სიღრმეში შესვლისას ანამ შენიშნა რაღაც უჩვეულო - პატარა არსება, ბეწვით დაფარული ყურებით

და დიდი თვალებით. ეს იყო პატარა ენოტი, სახელად ჯოი. დაკარგული და მშიერი იყო. ანა მაშინვე მიხვდა, რომ დახმარება სჭირდებოდა. იგი ენოტს მიუახლოვდა და კალათიდან კენკრა შესთავაზა. ჯოიმ ანას შეთავაზება სიხარულით მიიღო. მან უთხრა, რომ ტყეში დაიკარგა და არ იცოდა, როგორ ეპოვა სახლი.

ანამ მტკიცედ განაცხადა, რომ დაეხმარებოდა მას. თათზე აიყვანა და ნაცნობი ბილიკებით წაიყვანა. მათ ერთად გაიარეს მკვრივი ჭაობები და გადალახეს პატარა მდინარე. საბოლოოდ, მათ იპოვეს ღრუ, სადაც ენოტი და მისი ოჯახი ცხოვრობდა. ჯოის ოჯახთან შეხვედრა გაუხარდა და ანას მადლიერებით მოეხვია. ენოტის ოჯახი ძალიან მადლობელი იყო, რომ სახლში სიხარული მოიტანა. გადაწყვიტეს, მადლობის გამოხატვა და თქვეს, რომ ანას ყველა სურვილს შეასრულებენ. ანა დაფიქრდა და თქვა, რომ მისი ერთადერთი სურვილი იყო, რომ ტყეში ყველა არსებას მშვიდად და ბედნიერად ეცხოვრა.

ენოტები აღფრთოვანებული იყვნენ ასეთი ტკბილი და კეთილი სურვილით. გაიცინეს და თქვეს, რომ აუცილებლად შეასრულებენ ამ სურვილს.

## ფიქრობს ლომი ზოოპარკში

რა სისულელეა. მე, მამაცი, უშიშარი და ულამაზესი გამომკეტეს ამ ციხეში. ყოველდღე მაჭმევენ და მოდიან ჩემს სანახავად, ალბათ იმდენად ლამაზი და დიდებული ვარ, რომ გადაწყვიტეს, ჩემი პიროვნება ყველასთვის ენახვებინათ. სინამდვილეში, ვარ ძლიერი და რომ მომინდეს, ამ ციხეს ერთი თათის გაქნევით გადავტეხავ, მაგრამ ამ სისულელეზე ჩემი ძალის დახარჯვა არ მინდა. ვიღაც ბავშვები მოდიან ჩემს სანახავად. მე მიხარია, რომ ჩემს სილამაზეს პატარა ბავშვებსაც აჩვენებენ, ამიტომაც ვიწყებ ღრიალს, რომ დავანახვო ამ ბავშვებს, ვინაა აქ მეფე, მაგრამ ისინი ტირილს იწყებენ.

კიდევ კარგი, რომ არ ვარ ადამიანი!

*თათული აგულაშვილი*
*12 წლის*

## კარი, რომელსაც არ კეტავენ

კარი, რომელიც სულ ღიაა, მზადაა მიგიღოს და თავი ისე გაგრძნობინოს, როგორც საკუთარ სახლში. ალბათ სულ ყველას იღებს, იმის მიუხედავად, თუ როგორ იქცევიან, როგორები არიან და რამდენად ჭუჭყიანი ფეხსაცმელებიც არ უნდა ჰქონდეთ.

-კარს, რომელიც სულ ღიაა, თვითონ უნდა, რომ სულ ღია იყოს?

-არ ვიცი.

-არც მე ვიცი, მაგრამ რომ არ უნდოდეს, არა მგონია, ვინმემ დაკეტოს, მათთვის ხომ უფრო ადვილია შიგ შესვლა, თუნდაც კითხვის გარეშე.

-ვინ მიაწვება კარს, როდესაც უბრალოდ შეუძლია ღია დატოვოს?

-ალბათ ის, ვისაც სცივა.

## ჩვენი ამბები, შინაგანად რომ გვათბობს

ალბათ ის ამბები, მე რომ მახარებს, სხვაში რეაქციას არ გამოიწვევდა, მაგრამ ისინი ხომ ჩემი ამბებია და არაა საჭირო, ყველას მოეწონოს. იმ მომენტივითაა, სანამ ამბავს მოყვები, უკვე რომ ბჟირდები, მაგრამ მოყვები და ყველა უხერხულად იღიმის, რადგან ის მომენტები შენს თავში სხვანაირად ტრიალებს და შენს გულს უფრო ემოციურად ახსოვს. არც არავის აინტერესებს, ზათხულში თბილისის ბოლოში რომ ვიყავით და დედა ტელეფონს რომ მიფეთქებდა, ათ წუთში სახლში თუ არ იქნები, ვერაფერს ეღირსებიო. თან ყველა თეთრი მანქანა დედაჩემის ჰონდა რომ მეჩვენებოდა, მაგრამ მე ხომ ტკბილად მახსოვს.

ან, თუნდაც, ის მომენტი, ბავშვობაში მკვდარი მტრედი

რომ ვიპოვეთ, ფეხსაცმლის ყუთში რომ ჩავდეთ და ჩემი უბნის პარკში რომ დავმარხეთ. ისე გავუშვით ამ ქვეყნიდან... მაგრამ ისიც ხომ სადღაც მიგდებული ვნახეთ, ალბათ...ნუ, რა, ალბათ, ახლა რომ მკვდარ ცხოველებს ვხედავთ, რეაქცია არ გვაქვს, მაგრამ მაშინ უფრო მძაფრად აღვიქვავდით ყველაფერ არაკეთილს.

მთავარია, მე მახსოვს, რომ ოდესღაც მაინტერესებდა და ის გულამოგლეჯილი ჩიტი სიმშვიდეში გავუშვით. ეგოისტურად არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ კარგიც არის, რომ მხოლოდ ჩემი შინაგანად გასათბობი ისტორიები მაქვს, ისეთები, ვერავინ ვერასდროს რომ ვერ მიხვდება, მხოლოდ ისინი, ვინც იქ იყო.

დროს კი ვერ დავაბრუნებ და ვერავის ჩავამატებ იმ ისტორიებში, მაგრამ იქნებ ახლა რაც ცუდი მეჩვენება, მომავალში გული გამითბოს ან სხვა კუთხით შეხედვა ვისწავლო. პატარა თათულის საერთოდ არ უთბობდა გულს ჩიტის სიკვდილი და მისი ფეხსაცმლის ყუთში დამარხვის იდეა, მაგრამ ახლა ხომ ვხვდები, რომ ჩიტი სიყვარულით წავიდა, იმის მიუხედავად, რომ ვერ იგრძნო.

რეალობა ხომ ეგაა.

## ცხოველები ზოოპარკში

ცხოველები ზოოპარკში იმიტომ გამოკეტეს, რომ რაღაც ისეთი გენახა, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ხედავ. მიხვალ იქ და ან მათ მანერებს დასცინებ, ან სიყვარულით შეხედავ, ან არ ვიცი, მაგრამ იქნებ თვითონ დაგცინიან. მათ ხომ არ სჭირდებათ ჩვენი დანახვა, რომ ყოველდღიური სისტემა შეცვალონ. არც იციან, როგორი იყო „თავისუფალი ცხოვრება,» რადგან ან იქ არიან დაბადებულები, ან რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ავიწყდებათ. ასე რომ, რომ დავფიქრდეთ, თვითონ გვათვალიერებენ და ალბათ მაგრად ღადაობენ ისეთ პატარა დეტალებზე, რასაც ჩვენ

ვაქცევთ ყურადღებას და მათთვის სულ არაფერს ნიშნავს. არც ესმით ალბათ ჩვენი ხმა და ცდილობენ გამოიცნონ, რას ეუბნება ის ბიჭი იმ გოგოს ნაყინით ხელში. ან, შეიძლება, იციან ყველაფერი ჩვენ შესახებ, რადგან ისინი სხვა კუთხით გვიყურებენ - ასე მგონია, უფრო ჯანსაღად და ფიქრობენ, რომ ის, რაც მათ აქვთ, არის „თავისუფლება» და ჩვენ ვართ, ეგრეთ წოდებული, „ცხოველები გალიაში».

## მინდორში გადაგდებული ბოთლის ამბავი

ბოთლი კეთილი, მარიამ ბებოს ეზოში გადვარდა. არადა, ბოთლი ჩვეულებრივი მწვანე მინის იყო.

-ბებო, წადი, ნახე რა არის, - უთხრა შვილშვილს მარიამ ბებომ.

-ახლავე, ბებო.

-რა არის? - იკითხა ბებომ.

-ბოთლია ჩვეულებრივი, გადავაგდო გარეთ?-იკითხა შვილიშვილმა.

-არ გაბედო, მოიტანე!

-რატომ, ბებო, რად გინდა სხვისი ბოთლი?

-დამიგდე ახლა ყური, არაფერი უმიზეზოდ არ ხდება. რა იცი, ეს ბოთლი მაინცდამაინც ჩვენს ეზოში რატომ მოხვდა.

-კარგი, ბებია, არ გადავაგდებ.

ბებია და შვილიშვილი სამი დღე ელოდნენ მიზეზს, თუ რატომ მოხვდა ეს ბოთლი მათ ეზოში და სამი დღის შემდეგ ერთი ყელგამშრალი კაცი მოადგა მათ სახლს, წყალი დამალევინეთო. მარიამ ბებიამ აიღო მწვანე ბოთლი და თავისი გაკეთებული ღვინო ჩაუსხა. შემდეგ მიუბრუნდა შვილიშვილს და უთხრა:

-აი, ხედავ, რატომ მოხვდა ჩვენს ეზოში ეს ბოთლი?!

## კიბე

კიბე... კიბე თითქოს მსფლიოში ყველაზე დიდი გამოგონებაა. ის ყველაფერისთვისაა საჭირო. ცხოვრებაში ბევრი კიბის გავლა სჭირდება ადამიანს. შეიძლება რამდენიმე კიბეზე ერთად ადიოდე, თუ იკითხავ, ლიფტით ასვლა რატომ არ შეიძლებაო, პასუხს გაგცემ, იმიტომ, რომ ლიფტი შენ მაგივრად ადის შემდეგ სართულზე. ისე ავა, რომ ვერც გაიგებ, დაღლა რა არის. ვერც იმას გაიგებ, სწავლა რა არის. უნდა ახვიდე ყველა კიბეზე, შენ უნდა იწვალო და მოხვდები, თუ რა ძნელია და, ამავე დროს, რა კარგია კიბეზე ასვლა. იმასაც მიხვდები, რომ ლიფტით ასვლა ადვილია, მაგრამ ცუდია.

## მაისი მაისობს

წლევანდელი მაისი ისეთი არ არის, როგორიც წინა წლებში იყო. წლევანდელი მაისი სველი, ტალახიანი ნახატია. არა, იმას არ ვამბობ, რომ არ მომწონს, პირიქით, ძალიან მომწონს. ეს მაისი ცდილობს, რომ ზაფხულს დაუმეგობრდეს. აცხელებს ხოლმე. მერე, მეორე დღეს ტირის და ტირის, ასველებს ხეებს, ახლად ამოსულ ყვავილებს, ჩიტებს, კატებს, ძაღლებს და ბალახს. სახლებსაც ასვლებს, მინის ფანჯრებს ნელა ეცემა მისი ცრემლები. თან ისე ლამაზად ასველებს ყველაფერს, ისე ლამაზად ეცემა ფანჯრებს, რომ ზაფხულს ეცოდება და იმეგობრებს. ახლა კი ძველი მაისი ახალი ზაფხული ხდება, ახლა მაისი ივნისი ხდება.

*თეკლა სიხარულიძე*
*16 წლის*

## მე ვარ მელა და სოროში ჩემს ლეკვებს ვეფერები

წვიმს, ცივა, ქარია. ბუნება ყველაფერს აკეთებს, რომ ჩემი ლეკვებისთვის საჭმლის მოტანა გამიჭირდეს. ალბათ იმის გამო, რომ სულ ვტყუი. ვტყუი იმიტომ, რომ ეს ჩემშია. არ მსურს ვინმეს მოტყუება, თუმცა რთულია, გავიხსენო ის, თუ როგორი მელა მინდა ვიყო. არ მინდა ვიყო გაიძვერა მელა, როგორიც ხალხს ჰგონია, რომ ვარ. ჩემი ლეკვები ძალიან მიყვარს. არ ვიცოდი, სიყვარული რა იყო, თუმცა ახლა გავიგე. როდესაც ჩემს ლეკვებს ვუყურებ, სულ მავიწყდება, ვინ ვარ. აღარ მახსოვს, რომ ის გაიძვერა მელა ვარ, რომელიც ჩემშია და მხოლოდ ის ვიცი, რომ უმშვენიერესი ლეკვები მყავს, რომლებიც თითოეული ისე მიყვარს, ამხელა სიყვარული თუ როდესმე შეიძლებოდა მეგრძნო, არ ვიცოდი. ახლა ვხვდები, რაც არის სიყვარული. ვხვდები, რომ სიყვარული არ არის მხოლოდ სხვა მელასადმი გრძნობები. არა, სიყვარული არის ის, რაც ყველაზე მეტად მაბედნიერებს. მე კი ყველაზე მეტად ჩემი ლეკვები მაბედნიერებენ.

## რატომ სწყდებიან ვარსკვლავები ცას?

რა ხდებაა ვარსკვლავების სამყაროში? რატომ სწყდებიან ცას? იქნებ აქვთ ამის მიზეზი.

ერთხელ ცაზე ბევრი ვარსკვლავი გამოჩნდა,დავინახე, როგორ სწყდებოდნენ ცას, თითქოს ცა მათ ყრიდა.ისიც გავიფიქრე: იქნებ ჩხუბობენ-მეთქი, მაგრამ შემდეგ უცებ ჩემ გვერდით ვარსკვლავი ჩამოვარდა და ყველაფერი ამიხსნა. მან მითხრა, რომ ისინი თურმე ასე იძინებენ. ღამე ღვიძავთ და დილით სძინავთ, თუმცა ამბობენ, რომ ღამურები მათ ბაძავენ და ამიტომაც ღამურებთან კარგი ურთიერთობა არ აქვთ. არც მე მიყვარს ღამურები. არ მინდა თმა შესაჭრელი

გამიხდეს მათი ხუშტურების გამო.

თურმე კიდევ ერთი მიზეზით შეიძლება ჩაქრეს ვარსკვლავი - თუ ის უკვე დიდი ხანია, რაც ცაზე ანათებს, ანუ მას უკვე ჩაქრობის დრო მოუვიდა და უნდა წავიდეს. სად მიდიან, არ იციან. ისევე, როგორც ჩვენ - სიკვდილის შემდეგ. თითქოს და ვარსკვლევები და ადამიანები ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ მე მაინც ვისურვებდი ვარსკვლავად დავბადებულიყავი და ცაზე გამოვჩენილიყავი, რათა ყველას დავენახე და, ჩამოვარდნის შემთხვევაში, სხვისი სურვილის ამსრულებელიც ვყოფილიყავი.

## ზოოპარკის ვირი ყვება

აი, ნეტა რა აქვთ თავში ძაღლებს, რომ ყიდულობენ. იყიდონ ვირი და რაიმე სარგებელი მაინც ექნებათ ჩემგან. არა, ამას იმიტომ კი არ ვიძახი, რომ ვირი ვარ. არა, უბრალოდ, მე მძიმეს მაინც დავიდებ და მივიტან, სადაც მეტყვიან. ძაღლი კი ერთი-ორს დაყეფს, გაგიწვება მოსაფერებლად და ესეც ეყოფა ახლანდელ კაცს. მეტი მაინც აღარაფერი სჭირდება ამ ხალხს! აბა, ადრე რა იცოდნენ ძაღლების? სულ ვირებს ყიდულობდნენ და სწორიც იყო. მე რომ მხედავენ, იციან, ახლა რომ აბუჩად აგდებულია ვირის სახელი. წავიდნენ და აქლემს დასცინონ, გადაფურთხების მეტი არაფერი რომ არ იციან! გამოაბამენ ამ ძაღლებს თოკებს და დაჰყავთ აქეთ-იქით ან თოკს რატომ აბამენ, ის ძაღლებიც ხომ ცოდოები არიან, მაგრამ ვის ესმის, აბა? ჩემი აზრით, ზოოპარკში ძაღლთან ერთად არ უნდა მოხვიდე. მოიყვანე რა ვინმე ნათესავი, ბავშვი გაუხარდება, ნახავს რამე ახალს, აბა, ძაღლს არაფერი აინტერესებს, ჭამის გარდა. მოკლედ ვიტყვი, რომ ძაღლების ყიდვას აზრი არ აქვს, ტყუილი ფულის და დროის ხარჯვაა.

მე გირჩევთ, ძაღლის ნაცვლად ვირი იყოლიოთ. რამეში მაინც გამოგადგებით, მითუმეტეს, სოფელში.

*თეკლა ქანთარია*
*16 წლის*

## მე ვარ გრიმო

ვწევარ, ფეხები მტკივა, მტკივა რა- მაწუხებს, ველოდები, გიორგი სახლში როდის მოვა, მარტო მაგის გამო ვდგები ხოლმე ან თეკლას ველოდები, რომ ოთახიდან გამოვიდეს, თუმცა გიორგის მოსვლა უფრო მაწყობს. თეკლა რომ გამოდის, მარტო იმიტომ ვდგები ფეხზე, რომ ყეფა დავუწყო და დედას ოთახში არ შევუშვა. განა არ მიყვარს, ძალიანაც მიყვარს, როცა ეზოში ჩავყავარ ან სუფრიდან რამეს მაჭმევს, მაგრამ ზღვარი უნდა იცოდეს, რადგან სულ კუდს ვერ დავუქიცინებ. სახლში აღარაფერს ვაფუჭებ და თუ მეჩხუბებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრებს ჩემ გამო ეშინიათ სახლში შემოსვლა. ხშირ შემთხვევაში, ოთახში შევყავარ, რომ რომელიმე არ შევჭამო, - ამას თვითონ ამბობენ, თორემ არავის შემჭმელი მე არ ვარ, ძალიან თუ არ მოვინდომე. მოკლედ, ეგრეა, რა. ამ კორპუსს კიდევ ლიფტი არ აღირსეს. მეხუთე სართულზე რომ ავდივარ, ფეხებს ველარ ვგრძნობ. ახლა ვწევარ. ეს გიორგი კიდევ რით ვერ მოვიდა! დავიღალე, მარტო თეკლას გამო რომ მიწევს ფეხზე ადგომა.

## კუთხე იმაზე ფიქრობს, რომ კუთხეში დგას

ჩემ გარშემო ბევრი ბავშვია, ერთი მასწავლებელი და ოთხი კუთხე. ამ ოთხ კუთხეს შორის ერთი მე ვარ. ყოველდღე ხუთი ბავშვი მაინც მოდის და ჩემ პირისპირ დგება. თავიდან მეგონა, მარტო რომ ვიყავი, ვეცოდებოდი და მაგიტომ მოდიოდნენ. თუმცა დროდადრო მივხვდი, რომ მხოლოდ დასჯილი ბავშვები დგებოდნენ კუთხეში და, როგორც მასწავლებელი ამბობდა, რაც დააშავეს, იმაზე ფიქრობდნენ. არა მგონია, საერთოდ რამეზე ფიქრობდნენ,

რადგან მე მხოლოდ აცრემლებულ თვალებს ვხედავდი. კაი და, მე თუ კუთხე ვარ და ვდგავარ, ანუ კუთხეში ვდგავარ? მაგრამ რანაირად ვდგავარ კუთხეში, თუ თვით კუთხე ვარ? იქნებ მეც დამსაჯეს? მაგრამ დასჯილ ბავშვს მეორე დასჯილს ხომ არ მიუყენებენ? არ მიუყენებენ, რა თქმა უნდა.. თუმცა, მაინცდამაინც ჩემთან რატომ აყენებენ, მე დავაშავე რამე? მეც ხომ ვდგავარ.. თანაც კუთხეში.... მაგრამ მე ვარ კუთხე... რანაირად? არ ვიცი...

### ქვაბი ჟენია

-ვაიმე, დედა, ასეთი წკრიალა და სუფთა, ამ ქვაბებივით ჟანგიანი რომ გავხდე, არც თქვენი ბორში მინდა და არც მაწვნის სუპი, გადაისხით თავზე, ძალიან გთხოვთ, უკან დამაბრუნეთ, სუფთად, ვიტრინაში დავჯდები და გეფიცებით, ჩემს ხმას ვერ გაიგებთ..

-ეს რა არის, შენ მაცივარში რომ შეგდგამენ, მერე უნდა ნახო! - მოესმა ჟენიას მეზობელი ქვაბის ბუტბუტი:

-თან ახალი რომ ხარ, კარგა ხანს შენ გაწვალებენ, შე საცოდავო, თეთრი მაინც არ იყო!

ჟენია შიშისგან  უფრო გათეთრდა და გაჩუმდა.

### კოტიკო

ლოყებღაჟღაჟა კოტიკო დერეფანში იდგა, გოგოს ელოდებოდა. იცოდა, რომ ზარი დაირეკებოდა თუ არა, ინგლისურის კაბინეტიდან უნდა გამოსულიყო. იდგა და საათს უყურებდა, როდესაც ზარმა დარეკა. ბავშვები კლასებიდან გამოცვივდნენ. იმდენი იყვნენ, კოტიკომ თავისი გოგო ვერ დაინახა. ეძებდა, თუმცა უშედეგოდ. ცხვირი ჩამოუშვა და კლასში შევიდა. ჩანთა გახსნა და ბებიამისის გამომცხვარი ხაჭაპურები ამოიღო. ის-ის იყო უნდა ეჭამა, რომ კარში ხუჭუჭათმიანი გოგონა დაინახა, რომელიც მისკენ მიდიოდა. კოტიკოს გვერდზე ჩაუარა და თავის მეგობართან დაჯდა.

ცოტა ხანში - ვაიმეო, დედას საჭმლის ჩადება დაავიწყდაო! სულ ეს უნდოდა მეორეკლასელ კოტიკოს, მეტი კი არაფერი, აიღო ერთი ნაჭერი ხაჭაპური და მიაწოდა. ხუჭუჭა გოგო გაწითლდა, გამოართვა და რაღაც ჩაიბურტყუნა.

კოტიკო კი თავს რაინდივით გრძნობდა, ფიქრობდა, რომ მეორეკლასელი გოგო შიმშილს გადაარჩინა და ახლა დერეფნებში თამამად ესალმება.

## წავიდა

-წადი რა... - ვუთხარი ბოლოს, - შემეშვი საერთოდ, წადი-მეთქი და მართლა წავიდა, კი ვუთხარი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ მინდოდა, რომ წასულიყო, მაგრამ მართლა წავიდა, დაადო თავი და წავიდა, ნეტავ სახლში რომ მივა, რას იზავს, ისევ მომწერს, როგორც მწერს ხოლმე, თუ დამირეკავს? არა მგონია, წადი-მეთქი ვუთხარი... რატომ ვუთხარი, არ ვიცი, გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ მართლა უნდა წახვიდე?! ნეტა რომელი გზით მივა სახლში? სულ მე ვაცილებ ხოლმე და ხან ისე მიდის, ხან ასე. დღეს რომელ გზას აირჩევს, არ ვიცი... დავურეკო ვკითხო? არა არ ღირს, წადი-მეთქი და წავიდა.

## პეპელა და ყვავილი

პეპელა მიფრინავს, ყვავილი უყურებს და ნატრობს, ისიც გაფრინდეს.

## სახლიდან გამოგდებული ძაღლი

იმ დღეს სადარბაზოში ყეფის ხმა აღარ გაისმა, აღარც გაბრაზებულმა მეზობლებმა დააკაკუნეს მესამე სართულზე თეთრ კარზე. პატრონები, ძაღლებს რომ ასეირნებდნენ, სულ მესამე სართულის აივანზე იხედებოდნენ იმის იმედით, რომ მოაჯირზე ამხტარ, ყურებდაცქვეტილ ყურშას დაინახავდნენ.

აბა, რა იცოდნენ, რომ ყურშა იმ სახლში აღარ ცხოვრობდა და აღარასდროს გადმოიხედავდა აივნიდან ცნობისმოყვარე თვალებით - ერთი წაბლისფერი რომ ჰქონდა, მეორე კი - ლურჯი...

ახლა სადარბაზოს ყურშას ყეფის მაგივრად ბავშვის ტირილი აყრუებს და აღარც გამვლელები იხედებიან ზევით.

## დახატული კაცის ამბავი

ვცხოვრობდით მარტო, მე, მზე და ერთი საცოდავი ხე, სულ მინდოდა წესიერი მეგობარი მყოლოდა; აბა, ესენი უბრალოდ იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. ყველანაირად ვცადე საუბრის დაწყება, მაგრამ ამაოდ, ჰოდა, ბოლოს დავნებდი, ვიდექი და მეგობარს ველოდებოდი ან სად წავიდოდი? - ვერ ვინძრეოდი, მხოლოდ ვფიქრობდი. ვფიქრობდი და ვიყავი, რა...

თუმცა ერთ დღეს დავინახე, როგორ ჩნდებოდა ჩემ გვერდით უცნაური ფიგურა. ჩემნაირი იყო, ოღონდ გრძელი თმა, კაბა და წამწამები ჰქონდა. გამიხარდა, მეგონა, რამეზე ვილაპარაკებდით, მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ უცებ ძალა გამომელია და ჩავიმუხლე. არ ვიცოდი, რა მომივიდა მე ხომ სულ დგომას ვიყავი მიჩვეული? ჩავიმუხლე და თან ხელში ბეჭედი დამაჭერინეს! რა ბეჭედი, რის ბეჭედი! არა! მარტო მინდა ისევ ყოფნა! არ მინდა მთელი ცხოვრება ასე ვიდგე! მაგრამ მე ვინ მეკითხებოდა? ის მაინც ვიცოდე, კის იტყვის თუ არას! დგას უბრალოდ და ხმას არ იღებს! ან კი თქვი, ან არა! რომ ავდგე? რა გჭირს?

მაგრამ ის ხმას არ იღებდა, ხანდახან მგონია, რომ მარტო მე შემიძლია ფიქრი, მე მგონი არასწორ ადგილას მოვხვდი!

*თინათინ ბერიშვილი (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*10 წლის*

### წვიმა მიყვარს ძალიან

წვიმს, ძალიან მაგრად წვიმს. ერთი წუთიც არ უნდა ადამიანის დასველებას. ახლა შენობაში ვარ. დაახლოებით ერთ საათში გარეთ უნდა გავიდე. გავილუმპები. ძალიან მიყვარს წვიმა, ამიტომ ქოლგის მაგვარი არაფერი მაქვს. უი, მგონი, ნელ- ნელა წვიმა წყდება . აუუუ! როგორ მინდოდა დასველება!

### სინათლის სხივი, რომელიც ნაცრისფერ დღეს ამოძრავებს

დღეს სკოლაში ჩემმა კლასელმა ძალიან მაწყენინა. ამიტომ, სახლშიც მოწყენილი მივედი, მაგრამ ჩემი ნაცრისფერი დღე ჩემი პატარა დის ღიმილმა გაანათა. ის ჩემი სინათლის სხივია, რომელიც, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც მაბედნიერებს.

### ღრუბელთ ქალაქი

მე ღრუბელთ ქალაქში ვცხოვრობ. ჩემი მომვლელი მეუბნება,რომ მალე დედამიწაზე უნდა გამაგზავნონ, დედაჩემთან, ჩემს სახლში. აქ ყველაფერი ღრუბლისაა. მე ჩემი პატარა ღრუბლის სახლი მაქვს და დედამიწაზე სანამ გამაგზავნიან, ამ სახლში ვიცხოვრებ.

### ის, რაც კარგია

ჩემთვის რაღაც კარგი მაშინაა, როცა მეც მიხარია და ჩემ გარშემო სხვებსაც.

### თაგუნია

თაგვი, სახელად თაგუნია ვარ. სულ ცოტა ხნის წინ დავიბადე, მე ასეთი ვარ.(ნახატი უნდა იყოს აქ),- მსუქანი და

საცოდავი. საცოდავი რადგან სულ კატა დამდევს. კატაო?! სად არის კატა?!- კივის დედა.

-დაწყნარდი, მეზობლებს ვუყვები, როგორ დამდევს ტომი. მიყვარს რძე, თხილი, კაკალი. ფაქტია, მსუნაგი ვარ. კარგი, მეგობრებო, წავედი. 15 წუთია, არ მიჭამია.

## მატარებელი ცაში

ცაში ვარ. მატარებელი ვარ. ცაში რა მინდა? რა მინდა და ცის მატარებელი ვარ. ცას მატარებელი რად უნდა? ვითომ, რატომ არ უნდათ ვარსკვლავებს და ანგელოზებს მატარებელი?!

## ქალაქი

თეთრი ქალაქი ცისფერი და წითელი ზოლებით არის ცალხაზიანი რვეული, სადაც ძირითადად ასოები ბინადრობენ და ძველები ახალბედებს წესებს ასწავლიან.

## სამფეხა ძაღლი როიალა

ერთი ძაღლი მყავს, როიალა ჰქვია. ასე იმიტომ ჰქვია, რომ ძალიან უყვარს მუსიკა. სამფეხაა, რადგანაც ერთხელ ქუჩაში საყვირის ხმა გაიგო და იქეთ გაიქცა. გზაზე გადარბენა მოუხდა და მანქანამ გადაუარა ფეხზე, რომელშიც მე ვიჯექი. ძალიან მეწყინა და შემეცოდა, ამიტომ, ავიყვანე და სახლში წავიყვანე. ძალიან დავმეგობრდით. ახლა მთელ დღეს როიალთან ზის და უკრავს. ამიტომ დავარქვი როიალა.

ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ახლა კი ის უკვე ჩემი მუსიკის მასწავლებელი გახდა.

## ფისოს ამბავი

ნიცა პატარა ფისოა, ჯერ კიდევ კნუტი.მას არ უყვარს დასველება. შესაბამისად, არც ბანაობა და არც წვიმა . მის პატრონს კი წვიმიან ამინდში უყვარს სეირნობა.მან იცის, რომ

მის კნუტს წვიმა არ ეპიტნავება, ამიტომაც აპირებს მისთვის საწვიმრის და ბოტების ყიდვას, რომ წვიმიან ამინდში მასთან ერთად ისეირნოს, რადგან ნიცა მას ძალიან უყვარს.

## ყვითელი ბუშტები

რა ლამაზი დღეა, რა ნათელი მზეა, იმიტომ, რომ დღეს მარის დაბადების დღეااااا! გილოცავთ! გილოცავთ! - მაღვიძებს ხმა. დედა და მამა არიან, მაგრამ ახლა ჩემი დაბადების დღე არაა. ახლა ჩემი ტყუპისცალის - მარის დაბადების დღეა.

15 წუთის შემდეგ ისევ შემოდიან მშობლები და ახლა მე მილოცავენ დაბადების დღეს( უკვე ნამდვილად მღვიძავს) და მღერიან: რა ლამაზი დღეა, რა ნათელი მზეა, იმიტომ, რომ დღეს მარის დაბადების დღეა! გილოცავთ,გილოცავთ!

მე და ჩემი და მარი 15 წუთის შუალედით დავიბადეთ. ალბათ, იმასაც მიხვდებოდით, რომ მეც მარი მქვია და მასაც. ტყუპები კი ვართ,მაგრამ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისაგნ. თითქოს სხვადასხვა ადამიანი ვართ, მაგრამ თან ერთნაირები. ორივეს ყვითელი ფერი გვიყვარს და ყოველ დაბადების დღეზე ყველა ყვითელ ბუშტს გვჩუქნის. სხვა რაღაცებსაც, მაგრამ, პირველ რიგში, ყვითელ ბუშტებს. ჩვენ ამ ბუშტებს ვინაწილებთ, ნახევარზე მეტს ოთახში ვტოვებთ, რადგან ხელებში აღარ გვეტევა. ვიცვამთ ყვითელ კაბებს და ყვითელი ბუშტებით მორთულ სასტუმრო ოთახში შევდივართ. მერე კი სტუმრებიც მოდიან და იქ იწყება გართობა.. შემდეგ დაღლილები ავდივართ მე დასხვებისათვის უხილავი ჩემივე მოსახელე ჩემი ტყუპისცალი ყვითელი ბუშტებით სავსე ოთახში და ტკბილად ვიძინებთ.

*ივა მაჭარაშვილი*

*14 წლის*

## ქუდის ამბავი

ერთმა კაცმა ქუდი იყიდა. ერთხელაც მისი სამსახურში წაყვანა დაავიწყდა და მაგიდაზე დატოვა. ქუდი პირველად გრძნობდა თავს მარტოდ და ნერვიულობდა. კაცს მეორე დღეს კი მეტროში დარჩა. ქუდი მთელ ღამეს უცდიდა. . მერე ის მეტროს მემანქანეს მოეწონა და თავისთვის დაიტოვა. ცოტა ხნის მერე ქუდს აღარ სურდა, სულ გვირაბებში რომ დადიოდა და ის ერთ დღესაც გარდაიცვალა.

მას მერე ქუდმა სხვა ცხოვრება დაიწყო. ის პატარა ბავშვი იყო, მაგრამ მას პატარა ბავშვობის გამოცდილება არ გააჩნდა და ამიტომ ისევ ქუდივით იქცეოდა.

## შინ დაბრუნება

სადღაც შორს მივდივარ. არც ვიცი, სად. იქ ჯერ არასდროს ვყოფილვარ. ავედი სახურავზე. შემდეგ სახურავის პატარა კიბეზე.

ჰოპ! - და ჩიტებს ჩავები. და გავყევი სადღაც შორს უკან, თბილ დროში და თბილ ადგილებში.

## ბაბუ

მზის ერდადერთი სხივი ბაბუს ეცემა და აღვიძებს. ბაბუ დგება თავის ჯოხს იღებს, რომელიც მისმა სიყვარულმა ცოლმა აჩუქა და მიდის. კარგი ამინდია და შესაბამისად ბაბუც ცდილობს, კარგ ხასიათზე იყოს. მიდის თავის საყვარელ ადგილას სახლის უკან ტყეში. წარმოიდგენს, რომ ბუნებიდან საიდანღაც ეძახიან და მიჰყვება ხმას. ყველგან თავის ცოლს ხედავს. კი ამბობდა, საერთოდ არ მიყვარს და ნერვებს მიშლისო, მაგრამ ახლა თავსაც ვეღარ ატყუებს. შიგადაშიგ ჩერდება და უბრალოდ ზემოთ იყურება. ცოტა ხანში სახლში ბრუნდება, ჩაის იკეთებს, თავის საყვარელ ტახტში ჯდება და ფისოს ეფერება.

მზის ერთადერთი სხივი ისევ ბაბუს ანათებს.

## პეტრე

პატარა პეტრეს ახალი ხუმრობა მოაფიქრდა ბაღის ძმამაცებისთვის და რომ არ დავიწყებოდა, ფურცელზე დაწერა. მას წერა ბაბუმ უკვე ასწავლა, რითიც, რა თქმა უნდა, უკვე იტრაბახა ბაღში. მას ერთი გოგოც მოწონს, მაგრამ ჰგონია, რომ უკვე საკმარისად გადაჰყვა თან და ახლა გოგოს ელოდება, რომ რაიმე იმანაც იმოქმედოს. პეტრე სიხარულისგან ვერ იძინებს და ერთი სული აქვს, ხვალინდელი დღე გათენდეს. ბოლოს გვერდით დაწოლილ ბაბუს ჩაეხუტება. ბაბუს გაეცინება, ეტყვის: შე მაიმუნო, შემაშინეო და პეტრეც ნელ-ნელა იძინებს.

პეტრე დილით ბაბუზე მიკრული აღარაა. ბაბუ ადგა. უკვე საჭმელს უმზადებს. პეტრეც დგება. თავიდან მოწყენილია, უცებ ახსენდება, დღეს ბაღში რომ უნდა მოჰყვეს რაღაცები და იმის იმედით, რომ ის გოგო რამეს ეტყვის, სწრაფდება, კბილებს იხეხავს, ბაბუს სუნამოს პირში ისხამს და ბაღისკენ მიეშურება.ცუდი ამინდია. სახლიდან გავდივარ. ცივი ნიავი მეჯახება. არასასიამოვნოა. სიჩუმეა. შორიდან მანქანის ხმა ახლოვდება და ქრება. წვიმის წვეთები ქუდზე მეცემა. თვალების დახუჭვა, მარტო ყოფნა და ფიქრი მინდება. წვიმა და ცივი ნიავი სახეში მეჯახება და არ მტოვებს. გზას ვაგრძელებ და ქართან და წვიმასთან ერთად ვიწყებ ფიქრს. ცუდი არაა ალბათ - მარტო ფიქრს ჯობია.

* * *

ცხელა. აივანზე გავდივარ. ცივი ნიავი მოურიდებლად და უცბად მეჯახება. მინდება, გავუზიარო ჩემი ფიქრები და მეც მოურიდებელი ვიყო მასთან.

* * *

სათამაშო, რომელიც ბალუს ჰგავს და ძალიან მიყვარს, დაიკარგა. დიდი ხანია, არ მინახავს, თუმცა ჩემი ძმის

მეგობრის დანახვაზე გამახსენდა - ის ბებიაჩემის სახლშია სადღაც კუთხეში, ალბათ მტვერშია ამოგანგლული და მლანძღავს.

მახსენდება, რომ სკოლაში ვარ და, უბრალოდ, მოსაწყენი გაკვეთილის გამო ძალიან ჩავუღრმავდი ჩემს ფიქრებს.

ბოლო გაკვეთილია. ფანჯარა ჩხარუნობს და მე ისევ ფიქრებში დაბრუნებას ვცდილობ.

## მამის დღე

დათო იღვიძებს, გახარებულია, რადგან დღეს მამას მიჰყავს სკოლაში . მამა უკვე საუზმეს უმზადებს , როცა დათო ეკითხება, თუ როგორ მოსწონს მას აღსარებების მოსმენა და ასეთი რაღაცები... მამა პასუხობს, რომ ის ამაზე კარგ საქმეს ვერც ინატრებდა. დათოს პასუხი მცდარი ჰგონია, თუმცა, ჯდება და იწყებს მამას გაკეთებული საუზმის ჭამას. დათო ემზადება და უკვე მამას ელოდება . მამა ემზადება და ისინი მიდიან. მათ ნაგავი გადაყარეს და სკოლისკენ ფეხით წავიდნენ. დათომ ბოლოს გადაწყვიტა, რომ მამასთვის ეთქვა, რომ მას არ მოსწონდა მამის სამსახური, რადგან მას სულ შავებში უნდა ევლო და ძალიან დიდი წვერი ჰქონოდა. ბოლოს კი, მამას რომ არ სწყენოდა, დაამატა, რომ ამხელა წვერის გამო კარგადაც ვერ კოცნიდა.

* * *

ერთი ბიჭი თევზაობდა. უცებ ანკესი შეირხა. ბიჭმა მოქაჩა და ამოწია. ანკესს ადამიანების ფიქრები ამოჰყვა, წყალს გატანებული ფიქრები.

## ქარი

როგორც ჩანს, ქარმა ისევ მოინდომა ჩემი ათორიაქება და შემოანგრია ფანჯარა. მე კარს ვაღებ და ვემზადები, რომ მას შევხვდე. ის გარეთ აღარაა. არა უშავს, წვიმამ არ

დამტოვა. ალბათ ქარიც დაბრუნდება. აი, დაბრუნდა და ყურში მიჩურულებს თავის ენაზე. გზას ვაგრძელებ. ნელ-ნელა ვხვდები, რომ ქარის მესმის. ის თავის ამბავს მიყვება. იმას, თუ როგორი მარტოა. ქარი მიდის. მე ვაგრძელებ გზას წვიმაში და მინდება მასთან ლაპარაკი. მე ვიხსენებ, თუ საით წავიდა ქარი.

**კატა**

კატა დახტის გორაკებზე და ეძებს საჭმელს. ის ბებოს გადმოგდებულ ძეხვს ძიძგნის. ის ძაღლს ხედავს და მანქანის ქვეშ ძვრება, რომ ძაღლმა არ დაინახოს. კატა მალევე გამოდის ავტოფარეხიდან და ფანჯარაში უყურებს მოჩხუბარ წყვილს. მას ახსენდება, რომ მარტოა და სიმარტოვით აქეთ-იქით იყურება;

ეძებს სხვას, თუნდაც ძაღლს.

*ირაკლი დგებუაძე*
*17 წლის*

## 30 თებერვალი

მორიგი დილა გათენდა, ბუღალტერი ლაშა საწოლიდან წამოხტა და ფანჯრებს ფარდები გადახადა. სინათლემ გაანათა მისი ცარიელი და მოსაწყენი ოთახი. სხივების ქვეშ ნათლად გამოჩნდა იატაკიდან აყრილი მტვერი. ფანჯრების ნაპრალებიდან ცივი სიო იპარებოდა. ლაშამ უცებ ჩაიცვა ტანსაცმელი და სამზარეულოში გაეშურა. ჩაიდანი დადგა ცეცხლზე და მაცივარს მიადგა. სანამ კვერცხის გამოსაღებად მაცივრის კარს გააღებდა, ჩამოსახევ ჰოროსკოპს შეხედა, დიდად არ სჯეროდა ჰოროსკოპისა, ამბობდა, მხოლოდ ვერთობიო, სინამდვილეში კი ყოველდღე ამოწმებდა იმ მიზნით, რომ თუ მისი დღე წარუმატებლად ჩაივლიდა ან რაიმე სისულელეს ჩაიდენდა, ეს ვარსკვლავებისთვის დაებრალებინა.

29 თებერვალი - ეწერა ქაღალდს, რომელიც ლაშამ ჩამოხია და კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი.

- წარმატებული დღეო, წარმატებული არა, ის! გარეწრები ესენი! - ჩაიბუტბუტა იმედგაცრუებულმა ბუღალტერმა და მომდევნო თარიღს შეხედა.

-30 თებერვალი? ღადაობენ თუ კალენდარი შეცვალეს და არ ვიცი? - გადავარდა ფიქრებში ლაშა და შიშით შეხტა, როდესაც კარზე კაკუნი გაიგო. ხის კარს იქით ფუმფულა ხალათსა და ჩუსტებში გამოწყობილი მეზობელი ლამარა იდგა, რომელიც დაჟინებული უკაუნებდა კარს, თითქოს და რამე საშინელი მომხდარიყო. გააღო თუ არა კარი ლაშამ, შეშფოთებულმა ლამარამ შესძახა:

-ლაშა!

-რა იყო, ლამარიკო? - უკვე გაკვირვებული ლაშა არ ელოდა შეშფოთებულ ლამარას, ამიტომაც კიდევ უფრო

დაბნეული ჩაეძია მოულოდნელ სტუმარს.

-ლაშიკო, რა დღეა დღეს?

-ოთხშაბათი, ლამარა, რა იყო?

-რიცხვი, ლაში? რიცხვი?

-მარტი, პირველი ან - თებერვალი, ოცდაათი, ზუსტად არ ვიცი. - თქვა ლაშამ და თავისი თავის გაუკვირდა, რომ საერთოდ ამბობდა ამ წინადადებას.

-ანუ, შენც? - გაღიმებულმა ჰკითხა ლამარამ.

-მე - კი, მოიცა, შენც?

ლამარამ თავი დაუქნია და უფრო დიდი ღიმილი დაეკერა სახეზე. კარის ზღურბლზე მდგარი ორი მეზობელი დადუმდა, თითქოს და რაიმე დასკვნა უნდა გამოეტანათ იმისგან, რომ თურმე 30 თებერვალი გაუთენდათ, იფიქრეს, ქარხნული დეფექტიაო, მაგრამ, როგორც არასრულფასოვანმა ცრუმორწმუნეებმა, ვერ გამორიცხეს, რომ კალენდარს ახალი დღე შემატებოდა.

## ბიჭები

-ადექი ბიჭო! ადექი!

შემომძახა ჩემმა მეგობარმა ნიკამ და ხველება აუტყდა. თავი არ მქონდა  წიგნიდან ამოღებული, პასუხი რომ გამეცა და ის უკვე გვერდით მედგა, ცალი ხელით წელზე  დოინჯი ჰქონდა, მეორეში კი სიგარეტი ეჭირა და გულიანად აბოლებდა. ჩაიცუცქა და ცარიელი ხელი მუშტად შეკრა, სახესთან მომიტანა და ბრაზიანი ხმით თქვა:

-რა გჭირს, დავით? რას დაატარებ ამ წიგნებს ყველგან?! აქეთ გვეძახი ბიჭებს, გამოდით, ბურთი ვითამაშოთო, გავისერინოთო, გამოვდივართ ჩვენც, შენ კიდევ ზიხარ ამ დამპალი მუხის ქვეშ და კითხულობ მაგ სულელ წიგნს!

დავფიქრდი წამიერად, მაგრამ გამართლება ვერ მოუვუნახე ჩემს საქციელს, ამიტომაც უბრალოდ ვუთხარი:

-ხო იცი, რომ არ მიყვარს თამაში, მოსაწყენია, უბრალოდ,

თქვენი ნახვა მახარებს.

-თუ ჩვენი ნახვა გიხარია, რას მიშტერებულხარ მაგ წიგნს? დაგვიჯექი ახლოს და გვიყურე! - მიპასუხა მკაცრად ნიკამ.

-რომ ვკითხულობ, თქვენკენ ვიხედები და ყველას წიგნის პერსონაჟებად წარმოგიდგენთ, ასე უფრო სახალისოა ჩემთვის.

ნიკას ბრაზიანი სახე ინტერესში გადაიზარდა, თავი მოიქექა და მკითხა:

-მე ვინ ვარ?

-გემის კაპიტანი ხარ შენ, მამაცი, ამაყი; სანდრო კაპიტნის თანაშემწეა, ლუკა - ნავიგატორი, სქელი ნოდარა - კაპიტნის მეუღლე, მარგარიტა!

-ხო არ გამოშტერდი შენ?!

გაბრაზდა ნიკა ისევ და მუშტი მხარში ჩამარტყა.

-რა ვიცი მე, უხდებით ერთმანეთს... - სიცილით ვუთხარი ნიკას და წელში გავსწორდი, ნიკა მოედანს დაუბრუნდა, მე კი კითხვა გავაგრძელე.

*კატო არველაძე*
*17 წლის*

## ქუჩის ზოოპარკი

-რას შვები ბობო?

-რავი, ნიკიტ, არაფერს, დავდივარ აქეთ-იქით, საჭმელს ვეძებ,მაგრამ არ არის.

-ხო, მე-8 კვარტლის კატებიც მაგას ჩივიან, არც ნაგავს აყოლებენ რამეს და არც ჩიტებს უყრიანო.

-რამ გადარია ეს ხალხი? აუფარებიათ სახეზე რაღაცები, სითხეებს ისხამენ ხელებზე და დარბიან გიჟებივით.

-14 ნომრის სახურავზე რომ მტრედია, ხომ გახსივს? მაგან მითხრა, რაღაცა ვირუსიაო, ტელევიზორში მოუსმენია.

-ასეთი რა ვირუსია, რომ ჩვენ დავავიწყდით ყველას?

-ეე, რა ვიცი, აბა, რა გითხრა? გუშინწინ ლუსიმ ლეკვები დაყარა და რძე უთავდება, ახლაც მაგისთვის გამოვედი, იქნებ რამე საჭმელს გამოვკრა კბილი.

-ვა, რამდენი ლეკვი შეგეძინა, შე მამაძაღლო, შენა, ჰა? გილოცავ!

-6, ერთი ნაბოლარა მყავს ცუდად, მაგრამ ეშველება ალბათ რამე.

-წამოდი, ბაზართან მივიდეთ, იქ ხო იცი, ყველაფერი ძირს ყრია, ვიშოვით რამეს.

-მაქედან მოვდივარ ეხლა, ნაგავთან მიგდებული ქონი ვნახე, ვიფიქრე, ავიღებ წავიღებ-მეთქი, ვინ გაცადა, მომადგა ვიღაც, წიხლი მკრა: გადი, შე ქეციანოო და წამოვედი. მაშინ რომ დამიჭირეს, ხო გახსოვს? ის კაცი იქ იყო ისევ, არ გავახსენდე-მეთქი, გამოვიქეცი.

-ასეთი რა ვირუსია, ხალხს რომ ადამიანობას აკარგვინებს?

-რა ვიცი, ბობო, ისევ ჩვენ თუ ვუშველით თავებს, თორემ ესენი ერთმანეთის ჭამაზე გადავლენ მალე.

-ეეხ, ნიკიტ, ბრძენი ხარ შენ.

-კარგი, ბობო, წავედი, მეჩქარება.

-კარგად, ნიკიტ, რამეს თუ ვიშოვი, გიწილადებ, ხომ იცი?
-კარგი ხარ ჩემო გრძელბეწვა, კარგი...

## ბადი და ბეკო

ბაბუაჩემს ერთი ცუდი ტრადიცია აქვს. აღდგომის წინა დღეს სახლში ბატკანი მოყავს, მეორე დღეს კი მსხვერპლად სწირავს. ამას მამამისის გარდაცვალების შემდეგ ყოველ წელს აკეთებს და ამბობს, რომ ამ საქციელით მამამისის ხსოვნას პატივს მიაგებს. არასდროს მესმოდა, რატომ აირჩია მაინც და მაინც მსხვერპლშეწირვა, მაგრამ ის ბაბუაჩემია, რას გავუგებთ.

არც წლევანდელი აღდგომაა გამონაკლისი, დილით აივანზე გავდივარ და ალაზანს ვუყურებ, არც ცივა, არც ცხელა, ძალიან კარგი ამინდია, ბავშვები ეზოში დარბიან და მწვანე, დაბერებეულ შინდის ხეზე მიბმულ ცხვარს ეთამაშებიან, თან სახელიც შეარქვეს - ბეკო. ძალიან ბედნიერები არიან, თითქოს ერთ დღეში არ გაუჩინარდებოდეს ის ცხვარი, მაგრამ ამაზე ფიქრს ვწყვეტ და ვუყურებ ბადის, ძაღლს, რომელიც ცხვარს უახლოვდება, ხან უყეფს, ხან ყნოსავს; ვერ გაუგია, სათამაშო, რომელიც გუშინ ყბაში ჰქონდა გაგდებული და აქეთ-იქით უდიერად დაათრევდა, როგორ გადაიქცა დღეს რაღაც არსებად, რომელიც ბადის ზევიდან დაჰყურებს.

მოსაღამოვდა, გარეთ გავდივარ და ცაში ვიყურები, ვარსკვლავები ციცინათელებივით ანათებენ, კახეთში ღამეც კი სხვანაირია! - ჩავილაპარაკე და ბეკოსთან მივედი. რაც კი ოჯახში სათამაშო მოგვეპოვება, ყველა მის გარშემო ყრია, ალბათ ბავშვებმა იფიქრეს, რომ ცხვარი ითამაშებდა. მივედი თუ არა, ბადიც მაშინვე მოვიდა, ხან ბურთი მიუგორა, ხან დაუყეფა, ხან უკბინა, მაგრამ ბეკოს არაფერზე რეაქცია არ აქვს, იმის მიუხედავად, რომ მთელი დღის განმავლობაში ცხვარი ბადის აიგნორებდა, ბადი მაინც მისი გულადი დამცველი გამოდგა და მთელი ღამე მასთან გაატარა.

- ქრისტე აღსდგა! - მითხრა ბაბუაჩემმა დილით.

- ჭეშმარიტად! - ვუპასუხე და თვალების ცეცება დავიწყე, გულის სიღრმეში მეგონა, რომ წელს მაინც გადაურჩებოდა ცხვარი სიკვდილს, მაგრამ უშედეგოდ, მხოლოს შინდის ხეზე მიბმული ბაწრის თოკიღა იყო დარჩენილი.

ბავშვები მალე ადგნენ და მაშინვე ბეკოს ძებნა დაიწყეს. ისინი არც იმდენად პატარები არიან, რომ მისი გაუჩინარება ვერ შენიშნონ, მაგრამ არც იმდენად დიდები, რომ სკვდილის მიზეზს მიხვდნენ. აქ კი როცა უკვე მათი მოფლაშული სახეები დავინახე. გონება გამინათდა, ბავშვები ცეცხლთან შემოვიკრიბე და მოყოლა დავიწყე: გუშინ ძალიან გვიან, ტყიდან მგელი ჩამოვიდა, რუხი, ვეება, საშიში, ბეკოს შეჭმა ჰქონდა გადაწყვეტილი, მიუახლოვდა მაგრამ ნურას უკაცრავად, იქვე იყო ჩვენი გულადი ბადი, რომელმაც ბაწარი გადაღრღნა და ბეკო სახლიდან გააქცია. მგელი კი დიდხნიანი ბრძოლის შემდეგ კუდამოძუებული და შეშინებული ისევ უკან!

ისტორიის მოყოლა დავასრულე და ველოდები, როდის დაიწყებენ ბავშვები ბადის მოძებნას, რომ მადლობა გადაუხადონ, მაგრამ ბადი თვითონ მოვიდა ჩვენამდე და თან მოიტანა უზარმაზარი ბარკალი, ვისი?

ჩუ! ბავშებმა ეს არ უნდა გაიგონ.

## ბებოს სარკე

ბებოს სახლში ერთი სარკე აქვს. მისი მზითვია, მაგრამ სამი წლიდან ჩემს ოკუპირებაში იყო, ვარდისფერი პრინცესას სტიკერებით და ყვავილის ნახატებით. ამ სარკეში ჩახედვა ნიშნავს, რომ ჩემს ბავშვობას ვუყურებ. დღეს ბებია სხვაგან გადადის საცხოვრებლად, რა თქმა უნდა, ისიც თან მიაქვს. სანამ მე სახლს ვემშვიდობები, მუშებს ნაჭერში გახვეული სარკე გააქვთ და დახვეულ კიბეზე ჩატანას ცდილობენ. უეცრად ხმაური მომესმა. კიბეებთან მივირბინე და დავინახე, თუ როგორ დაიმსხვრა ჩემი ბავშვობა პაწაწინა ნაწილებად.

## როდესაც დავიბადე

როდესაც დავიბადე, სულ რამდენიმე წუთში იმ პაწაწუნა სივრციდან უზარმაზარ სამყაროში გადმოვინაცვლე. ცხარე ცრემლებით ავტირდი, თავი ყველაზე დაუცველი მეგონა, მაგრამ როდესაც დედას ჩამახუტეს, ვიგრძენი ისეთი რამ, რისი დავიწყებაც ძალიან რთულია. რაც მას შევეხე, იმის მერე აღარ მიტირია, არც დაუცველობაზე, არც შიშზე, თითქოს, ის ჩემი დიდი, მაღალი და მაგარი კედელია, რასაც ვერავინ გადალახავს ან შემოანგრევს. 15 წლის ვარ, რამდენჯერ გვიჩხუბია, გვიტირია ან გვიცინია ერთად, რამდენჯერ წავქცეულვარ და ავუყენებივარ, არ მცოდნია და უსწავლებია, იცით, რამდენჯერ მქონია შიში, რომ კედელი ინგრეოდა?! მაგრამ არა! კედელი მანამ დარჩება ისეთი შეუღწეველი, სანამ დედა ჩემთანაა. მის გარეშე ვერ წარმომიდგენია ვერცერთი წუთი, წამი ან დღე.

დედა ჩემი ანგელოზია, რომელიც მუდამ თეთრი ფრთე-ბით მეფარება და არასდროს მტოვებს.

## მოხუცი ვარსკვლავი

ცაში მოხუცი ვარსკვლავი პატარა ჯოხით ღრუბლიდან ღრუბელზე გადადიოდა და ყოველ დღეს ასე ატარებდა. ერთ დღეს წვიმა დაიწყო. ვარსკვლავს ღრუბელზე ფეხი აუსრიალდა და დიდხნიანი ფრენის შემდეგ მიწაზე დაეცა. ეტკინა, ცრემლები წამოუვიდა, შემდეგ ცას ახედა. მიხვდა, რომ სახლიდან ძალიან შორს იყო და გადაწყვიტა, ახალი თავგადასავალი დაეწყო. ვერ მოიფიქრა, საით წასულიყო და საბოლოოდ, პატარა ტბას მიადგა. ასეთი ლამაზი არასდროს არაფერი ენახა. ერთი ნაბიჯი გადადგა, მერე მეორე და თბილ, კამკამა წყალში შეცურა. სიამოვნებდა, მაგრამ იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ ილეოდა, წყალში იხსნებოდა და ნელ-ნელა ტბის ნაწილი ხდებოდა. მართალია, მისთვის ეს თავგადასავალი საბოლოო იყო, მაგრამ იმ პატარა გოგონასათვის, რომელმაც ჩამოვარდნილი ვარსკვლავი შენიშნა და სურვილი ჩაიფიქრა, ეს რაღაც ახლის, ბედნიერების დასაწყისი აღმოჩნდა.

*კახი გელაშვილი*
*14 წლის*

## ცისარტყელა

როგორი ცუდი შეგრძნებაა, როდესაც იღვიძებ და შენს ეზოში თითქოს განსაკუთრებულად უხასიათოდ წვიმს. საწოლიდან ადგომა გიჭირს და თვალი მაინც მოღუშული ცისკენ გაგირბის. ელოდები მზეს, რომელიც სითბოს და ფერებს შემატებს დედამიწას.

## მე ვარ ლამპიონი წითელ პარკში

საერთოდ, არაფერი თითქოს რა უნდა ნახოს ერთმა ლამპიონმა, რომელიც სკამს უყურებს? ხან ვინმე ლოთი მოვა, წუხელ ბევრი რო დალია და ცოლმა სახლში არ შეუშვა, ხან წყვილი ჩამოსხდება, ხან ბავშვები რამეს მიაწერენ ლამპიონზე, გამთენიისას ბებოები (პატარა ძაღლებს რომ ასეირნებენ) ჩამოჯდებიან და მზეს დაელოდებიან.

## ჟირაფი ფანჯარაში

ავტობუსში ჟირაფი ვიპოვე, პატარა და ფუმფულა. დედამ, რა თქმა უნდა, ხელი არ მომაკიდინა, რა იცი, ვის ჰქონდაო, მაგრამ მაინც წამოვიღე. სახლში ჩემი ოთახის ფანჯარაზე შემოვსვი. სკოლიდან დაბრუნებულს ჩემი ჟირაფი მიყვება, რა ხდებოდა ეზოში, სანამ მე არ ვიყავი.

## მამა

ძლივს მოვიცალე, რომ ჩემი შვილი სასეირნოდ წამეყვანა. ყველგან წავიყვანე, ყველაფერი ვუყიდე, მაგრამ საღამოს მაინც მოწყენილი იჯდა მანქანაში. ვკითზე: „რა გჭირს, მა?"

მკითხა: „მა, კვირაში ერთხელ რატომ გიყვარვარ?"

## სპლიყვი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ დაიბადა ზოოპარკში

ძაან მაგარია ზოოპარკი - ვინც კი მოდის, ყველას ვუყვარვარ, ფოტოებს მიღებენ, სასუსნავებს მაჭმევენ, მაგრამ

ყოველდღე ერთი და იგივე მოსაბეზრებელია. ამიტომ რჩევა უფროს სპილოებს ვკითხე. კი მიძახეს, რად გინდაო, მაგრამ მე ხომ მაინც მინდოდა და მასწავლეს: ადრე ერთმა სპილომ დამლაგებელს კუდი ურტყა და წაიყვანესო.

ხოდა, მეც დავუცადე დაღამებას. შემოვიდა თუ არა დამლაგებელი, დავეტაკე და მაგრად „გავლახე“. მართლაც, მეორე დღესვე წამიყვანეს. დამაძინეს და რომ გავიღვიძე, კუნძულზე ვიყავი. პირველი ორი დღე ძალიან გახარებული ვიყავი. ახლა ერთი თვეა, რაც აქ ვარ და ამ შეცდომას თავს არ ვპატიობ.

ყველაფერს მაძლევდნენ და მე მაინც უკმაყოფილო ვიყავი!

## ცის იქით ცაა . . .

ცის იქით ცა უფრო ლამაზია! სამოთხე, სამოთხეო, - რომ იძახით, გიფიქრიათ, სად უნდა იყოს სამოთხე? ეს ხომ ცის მეორე მხარეს  მეორე ცაშია ... პირველ ცას ჰგავს მეორე ცა. იმას ხედავ, რაც გულს უნდა!..

## სარკის იქითა მხარე

სიზმარში მოვინდომე სარკეში გაძრომა და მისი მეორე მხრის დანახვა.

უცნაური იყო.

## აი, ის დრო

დილით ადრე რომ ვიღვიძებდი, ბებიაჩემი ძალით საჭმელს რომ მაჭმევდა და ბოლოს უკანა კარიდან გარეთ მეზობელ გოგოსთან ერთად ჩვენს აშენებულ ქოხში რომ ვიპარებოდით....  ეს ჩვენი სახლი გვეგონა, თითქოს არასდროს დაინგრეოდა და თითქოს ის ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ სახლებს არ გააჩნდათ.

აქ ყველას ყველა უყვარდა.

აი, იმ დროს..

*კოტიკო ხარებავა*
*11 წლის*

## ცა ყველას თავზე თანაბარია

ზოგი მაღალია, ზოგი დაბალი, ზოგი წარმატებული, ზოგი არა, ზოგი უკეთესია სხვაზე, მაგრამ ცა ყველას თავზე თანაბარია.

## ერთ დღესაც ცას ფანჯარა გაუჩნდა

ერთი ჩვეულებრივი დღეა, სახლში მოვბრუნდი და ცაში ავიხედე. იქ ღრუბლები ბაყაყებს ჰგავდნენ. ერთს ფანჯარა ჰქონდა, თითქოს ცა გაიხსნა, ჩანდა, როგორ გვიყურებდნენ ანგელოზები ციდან და გვიცავდნენ.

## ისევ ვხედავ

გამარჯობა! მე ვარ კოტიკო და ვარ VI კლასში. პირველ კლასში მყავდა მეგობარი, სულ მხარში მედგა, მაცინებდა და რა ვიცი, მოკლედ, ძმები ვიყავით. I კლასის ბოლო დღეს გავგიჟდით, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო - იუვენტუსი VS რეალი. ერთად ვუყურებდით, თამაშის შემდეგ საჭმელად წავედით და კაი 200 კილო მოვიმატეთ. II კლასის პირველ დღეს ჩემი მეგობარი ვერსად ვნახე - თურმე სკოლიდან გადასულა, ამის შემდეგ ვერ ვერთობოდით ნორმალურად. 2023 წლის აღდგომას წავედით მე და ჩემი ოჯახი ვერის პარკში, რადგან იქ მაგარი სახინკლე ოყო. რესტორანთან რომ მივედით, ვიღაც მეცნო და შემთხვევით. შევასკდი ჩემ წინ მოსიარულე ბიჭს. თურმე, ის ქალი ჩემი მეგობრის დედა იყო და ის ბიჭი - მეგობარი, ისევ დავინახე და მაგრად ვიქეიფეთ, გავერთეთ და ისევ ჩემს სკოლაში გადმოვიდა!

## 30 თებერვალი

თებერვალი არის მოწყენილი და გაბრაზებული. ეს გადმოაქვს ამინდზე, მერე - ადამიანებს ემოციაზე. მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, თებერვალს დღეები რომ არ მოსწონს და სწყინს?!

## როგორ დნება თოვლი

ყვავილებმა საკმაოდ დიდი ხანი გაატარეს რიგში. ახლა მათი დროა გამობრწყინდნენ და დაინახონ სამყარო. თოვლს არ ეწყინა, რადგან ერთ წელში ისევ გამოადგამდა ფეხს დედამიწაზე.

## ჩემი მეზობელი

ჩემი მეზობელი ძალიან საყვარელი კაცია. ცოლი მოუკვდა და მარტო დარჩა სახლში შვილთან ერთად. შვილი 8 წლის იყო და ძალიან მოსწონდა ველოსიპედები, მაგრამ ერთიც არ ჰქონდა, არადა, მამიკო მარტოდმარტო თავისი შვილისთვის წვალობდა - სკოლოს დამლაგრბელიც გახდა, რომ მისი შვილი კარგად ყოფილიყო. მეზობელს ძალიან უჭირდა, მაგრამ არ აჩენდა, რადგან არ უნდოდა, რომ ეს ბავშვს გაეგო. ერთ დღეს ძლივს ააგროვა ფული, რომ ეყიდა შვილისთვის ველოსიპედი მისი დაბადების დღისთვის. მისი შვილის დაბადების დღეც დადგა მარტო ის, მამა, ბაბუა, ბებია და ბიძა იყვნენ დაბადების დღეზე. შვილმა ტორტი ჩააქრო და გახსნა ველოსიპედი, გაგიჟდა სიხარულისგან.

ათი წლის შემდეგ პროფესიონალი ველოსიპედისტი გამოვიდა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

## პარკი, რომელიც ქარმა აიტაცა

სკოლიდან გამოვდივარ და ვჯდები ავტობუსში. სანამ ჩავჯდებოდი, დავინახე შავი მტვრიანი პარკი. როცა კარგად შევხედე, დავინახე და დავაკვირდი, როგორ უნდოდა ცაში

აფრენა და დედამიწის დანახვა, მაგრამ ცუდი დრო აირჩია. ეხლა ხომ ძალიან ცხელა და კარგი ამინდი იყო. ამიტომაც მე და ჩემმა მეგობარმა პატარა "ვენტილატორი" დავდგით ახლოს და ოცნება ავუსრულეთ.

## წერილი ფრინველებს

ფრინველებო, ძლივს გვიბრუნდებით, ძალიან მომენატრეთ. ვერის პარკში ძლივს იქნებიან ცხოველები, რომლებიც უეცრად ბურთს შემიჭამენ. რაც მთავარია, არ იჩხუბოთ, ისედაც საშიში არის მანდ და ადამიანებს მაინცადამაინც თვალში არ შეეჩხიროთ, მაინც, სიფრთხილისთვის.

## მოდი, წარმოვიდგინოთ!

გუშინ ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოგვიტანა თავისი ნახატი და გვითხრა, რომ ჩვენც იმავენაირად უნდა დაგვეხატა. მე არ ვარ და ვინჩი და რაღაც არ გამომივიდა, მაგრამ კლასში მიქელანჯელო გვყავს, რომელიც და ვინჩიზე კარგად ხატავს, მაგრამ ნახატში ზვიგენი იყო გამოხატული და მას კიდევ დელფინი გამოუვიდა და ვინ წარმოიდგენდა, მერე რა მოხდებოდა?! კლასში ერთი აკვარიუმი გვაქვს, გადმოხტა დელფინი ნახატიდან და ჩახტა აკვარიუმში. ოღონდ ეგ არ გამიკვირდა - მიქელანჯელომ რომ ვერ დახატა წესიერად, მაგაზე გავგიჟდით, კიდევ კარგი წარმოდგენა იყო, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, ადვილი მისახვედრი იყო, რომ წარმოდგენებში ვიყავით და უჩვენოდ ხდებოდა რაღაც.

*ლიზი სარიშვილი*
*12 წლის*

## იმ მთის იქით

მე ამ სამყაროში არ დავბადებულვარ.ნუ შეიძლება დედაჩემი ვაკის სამშობიაროში დააწვინეს და მეც იქ გავჩნდი, მაგრამ მაქამდე სხვა ცხოვრება მქონდა, უბრალოდ, ეს არც მე ვიცოდი. მე იმ მთის იქიდან მოვდივარ, შენი ფანჯრიდან რომ მოჩანს, სადღაც შორს, სადღაც მიუგნებელში. სადღაც, სადაც მზე ყვითელია, მაგრამ ის მზე არასდროს იქნება, რომელსაც ამ სამყაროში ვხედავთ. ის სულ სხვანაირად დამყურებს თავზე და მიგზავნის ნათელ სხივებს, რომ ავირეკლო და ცაში ავტყორცნო. აქ კი ზოგი სხივი შეიძლება შავი და ბნელი იყოს ან ნათელი, მაგრამ მე მივიღო არასწორად. ასეც ხდება ხოლმე. იქ ვარდისფერი მდელოა, ბევრი გაუგებარი და არარსებული ყვავილით, რომლებიც ისე დაგატყვევებენ, ვეღარ გამოფხიზლდები. მართალია, იქ აღარ ვარ, მაგრამ ჩემს ნაწილს მაინც იმ სამყაროს სურნელი ასდის. ყოველ ღამით ვსტუმრობ ჩემს ძველ მეგობრებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ისინი ხეები არიან, არა ისეთები, როგორებიც აქ. ხეებმა ოდესღაც ლაპარაკი იცოდნენ, ალბათ ვინმემ ისე აწყენინათ, რომ სიტყვები აღარ ჰყოფნიდათ და ასე ჯიუტად არჩიეს სამუდამოდ მუნჯად დგომა და მზერით განსჯა.იქაურ ცას სხვანაირი სურნელი ასდის. თითქოს წვიმისას ჰგავს, აი, ისეთს, ნესტოებში რომ ძალაუნებურად შეგივა ცივი და სასიამოვნო ჰაერი, რომელიც ნოსტალგიას და იმ სამყაროს გაგონებს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, იქ ჩიტებმაც კი იციან ლაპარაკი, ისე კარგ და ჯანსაღ რჩევებს კი იძლევიან, ჩემი თავისგან განსხვავებით.

აი, როგორი იყო ჩემი საბოლოო დღე იმ მთის იქით: წყალზე ზურგზე ვიწექი და ვცდილობდი, ჩემი სხეული მთლიანად შემეგრძნო. უცებ, პატარა ნავი მომიახლოვდა, შიგ

არც არავინ იყო, არავინ სულიერი, მხოლოდ და მხოლოდ ფურცლის პატარა ნაგლეჯი. ნავში ავედი და დაკუჭული ფურცლის ნაგლეჯი გავხსენი. არაფერი ეწერა. ცოტა ხნის შემდეგ გავიაზრე, რომ ჩანჩქერს ვუახლოვდებოდი. ჩანჩქერი მწვანედ ანათებდა, ქვემოთ კი ღრუბლების მეტი არაფერი იყო. ფურცელზე ნელ-ნელა წვრილი ასოებით ტექსტი იწერებოდა. სიმართლე ვთქვა, მეტი არ მახსოვს. მხოლოდ სინათლე და უცნაური ხმები, რომლებსაც სიხარულის ნოტები დაჰკრავდა.

მე დავიბადე.

## ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი

ვარსკვლავზე სულ პატარა პრინცი მახსენდება. ყველაზე კარგად ის დამამახსოვრდა, პატარა პრინცმა რომ უთხრა კაცს: ვარსკვლავს შეხედე და ჩემს სიცილს გაიგონებო. რა მოხდება, თუ ეს ვარსკვლავი მოსწყდება, ღიმილდავიწყებულ ადამიანს ჩაუქროლებს და თავიდან შეაგრძნობინებს იმ გაურკვეველ სასიამოვნო გრძნობას, აი, ისეთს, ჟრუანტელი რომ დაგივლის ხოლმე ტანში.

ყველას თავისი ვარსკვლავი აქვს, რომელშიც პატარა პრინცის კისკისი იმალება. მის მოწყვეტას არ ელოდო, რადგან შენშია...

## კოკა-კოლას ბოთლი რომ ადამიანი იყოს, რას მოყვებოდა

ადრე თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ყველასთან ვმეგობრობდი და ყველას მოვწონდი. მერე და მერე აირია სიტუაცია. აღარავის ვაინტერესებდი, აღარავის უნდოდა ჩემთან ერთად სეირნობა, ხელის ჩამორთმევა, მისალმება და რაღა დარჩა. არ ვიცი, რა მოხდა. მსმენია გარდატეხის ასაკის შესახებ, მაგრამ თითქოს ჩემ გარშემო ყველას დაეწყო განვითარება, მე კი ბავშვად დავრჩი. 14 წლის ვარ. გივი მქვია. ბებიაჩემი გივიკოს მეძახის და ხალხში თვალებს

ვუბრიალებ ხოლმე. იმის გამო,რომ აღარავის მოვწონდი, გადავწყვიტე, ვინმე სხვის სხეულში დავსახლებულიყავი. ვინმე პოპულარულის და ყველასათვის მოსაწონის. ახლა ყველას მოვწონვარ, მაგრამ არ ვიცი, მე თუ მომწონს ჩემი თავი.

ბოლო სიტყვა ჩავწერე დღიურში და კოკა კოლა მოვსვი,რომელიც ყველას მოწონს.ნეტა თვითონ თუ მოწონს თავისი თავი?

## ახალი ცხოვრება

## (სოფლიდან ქალაქის სკოლაში გადმოსული ბიჭის ამბავი)

სახლიდან გამოვდივარ. რეი მახტება და ჩანთას ყურს აგლეჯს. მე ვუღრიალე და დავემუქრე: თუ ჩანთას პირს არ გაუშვებდა, გავაჩუქებდი. როგორც იქნა, გავაღწიე. გზაში ჩემს პალტოს ტოტები გამოედო და ჯიბე მოეგლიჯა. ნერვები ამეშალა. ლოყები სიცივისგან შემიწითლდა, ჯერ თოვლი არ მოსულა და ასე ძალიან ცივა. დღეს ჩემი ახალი სკოლის პირველი დღეა. წინა სკოლაში ბიჭებთან უსიამოვნება მომივიდა, ისინი გამოძვრნენ, მე კი გამომიშვეს. ყურმოგლეჯილი ჩანთა იღლიაში ამოვიდე, მაგრამ ყოველ წამს ვისწორებდი. მაინც და მაინც სკოლის პირველ დღეს უნდა დამმართნოდა ეს? კოპებშეკრული ვუახლოვდები სკოლას. ერთი კაცი დავინახე, ბავშვებს ეკაიფებოდა. მითხრა, აქაურმა გოგოებმა არ მოგტაცონო. მაგარი უცნაური ვინმე იყო, ალბათ დარაჯად მუშაობდა. გოგოები მიყურებენ, კისკისებენ და თან ჩურჩულებენ, ნეტა გამაგებინა, რაზე ლაპარაკობენ. კლასის კართან შევჩერდი, ჩემი მშობლიური ქალაქი მომნატრებოდა. იქაურ ხეებთანაც ვმეგობრობდი, ესენი კი უცნაურად მიყურებენ.

კარი შევაღე. ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი და ხეებზე შემორჩენილ კარალიოკებს დავუწყე ყურება. კარალიოკი პირველად ბებომ გამასინჯა, იქაური ბაღის გემო ჰქონდა.

ერთი კარალიოკი მოვწყვიტე, კაი ხანს ვაკვირდებოდი, შემდეგ კი, როგორც იქნა, ჩავკბიჩე, მაგრამ ის გემო ვერ ვიგრძენი.

## სხვის ტყავში შეძვრომა

მე ირაკლი მქვია. სანზონაში ვცხოვრობ,18-სართულიან კორპუსში. კორპუსს პატარა ეზო აქვს საქანელებითა და სასრიალოთი. გავიღვიძებ თუ არა, ვაჟას ყვირილი მესმის: ეზოში ჩამოდიო. ეზოში ჩავდივარ და ვიწყებთ მე და ვაჟა მილებზე ძრომიალს. ბავშვებიც გვემატებიან, ბოლოს მოდის ლევანი ბურთით და ვიწყებთ წრეში ბურთის თამაშს. სკოლაში გაზაფხულის არდადეგები გამოგვიცხადეს და დედაჩემმა, გინდა თუ არა, მარნეულში მივდივართო. ჩემოდანს ვალაგებდი, დედამ შემიმოწმა და რაც კი ავარჩიე, თითქმის ყველაფერი გადმომაყრევინა. მარშუტკებამდე მეტროთი მივედით. ჩემი დაც წამოვიდა. დედა მას სულ აქებს და იძახის, რა ნიჭიერიაო. მამაჩემი დამადგება ხოლმე თავზე და მიყვება, ნამდვილი კაცი როგორი უნდა იყოს. მაგას არაფერი მოსწონს, რასაც მე ვაკეთებ, რაც არ უნდა შრომით გავწყდე, მაინც დამიწუნებს.

მარშუტკა სულ სოფლის ქალებით იყო გატენილი, ყველას ხაჭაპურები, ინდაურები და გოჭები მიჰქონდა. მათ ფონზე ჩვენ თითქოს უცნაური და გარიყული ოჯახიდან ვიყავით. მარშუტკა დაიძრა და ერთი პუტკუნა ქალი ჩემკენ გადმოეშვა, მეც კი მიკვირს, როგორ გადავრჩი. გზაში ჩემი და წუწუნებდა, კაბაზე ნუ მაჯდები და თმაზე ნუ მეხები, გამიფუჭებო. ხანდახან როგორ მინდა, თმები დავაწიწკნო, მაგრამ ისევ მე დამბრალდება.

ასე, 2 საათის შემდეგ მივაღწიეთ მარნეულს. რაღაც უფერული მომეჩვენა. ახალი ნაწვიმარი იყო და ყველგან გუბეები იდგა. ალაგ-ალაგ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები იყო. სკოლასაც მივადექით. იქაური ბავშვები სხვა ჯიშისანი

იყვნენ, მარშუტკიდან ჩამოსვლისას ისე მათვალიერებდნენ, თითქოს ცოტა ხნის წინ ჩემზე ცდები ჩაატარეს და ამოწმებდნენ, როგორ ვიყავი. სოფლის ქალები დედაჩემს ეჭვით უყურებდნენ და ჩემს დას ყველამ თვალი დაადგა. ერთი სიტყვით, პუდელები ვიყავით ქუჩის ძაღლების ალყაში.

## ბებოს ჯიბეში ჩარჩენილი კანფეტი

ბებო ეზოში მისეირნობს და ფიქრობს, შვილიშვილებს რა მიუტანოს. მაღაზიაში შედის. კანფეტებს დაჰყურებს, მათ შორის მეც. მისი ხელი ჯერ ჩემგან მოშორებითაა, მაგრამ მეც მომეჭიდა და მოლარის მაგიდაზე დამყარა სხვებთან ერთად. მაღაზიიდან გამოსვლისას მე და ჩემი მეგობრები ჯიბეში ჩაგვყარა. სიბნელეა. ვფიქრობ ცხოვრებაში გატარებულ მომენტებზე და ცრემლი მადგება, მაგრამ ვერ ვტირი. ბებომ სახლის კარი შეაღო. შვილიშვილები კისერზე ჩამოეკიდნენ და მთელი ძალით ჩაეხუტნენ. ხელი გამოჩნდა, ჩემი მეგობრები წაიყოლა, მაგრამ მე შიგ ჩავრჩი. ისევ სიბნელეა. შორიდან ბებოს ხმა მომესმა.

-საბა, დაწყნარდი შენთვისაც მაქვს .

-ვინ შეჭამა საბას კანფეტი!?

პატარა საბა ატირდა. ბებომ ჯიბეები შეიმოწმა. ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ საბამ დამიწუნა, ასეთი კანფეტი არ მიყვარსო და უფრო ხმამაღალი ღრიალი მორთო. მე კი ასე ჩავრჩი ბებოს ჯიბეში და არც არავის გავხსენებივარ.

*ლუკა ჩხარტიშვილი*
*14 წლის*

## მამის დღე

დილაა. სკოლის დღე. გოგო საწოლიდან წამოდგა, ჩაიცვა, გასასვლელად მოემზადა და გარეთ გავიდა, უსასრულო ქუჩას მიუყვებოდა. ძირს დახატული თამაში დაინახა. გოგონას ის დღე გაახსენდა, როდესაც სკოლაში წასვლამდე მამას ეჩხუბა იმის გამო, რომ ის პატარა ბავშვივით ყოველდღე სკოლის კარამდე მიჰყვებოდა. ზუსტად იმავე ადგილას იგივე სიტუაცია დაინახა, მამასთან ერთად რომ ხედავდა და იცინოდნენ. ცრემლი მოადგა, რადგან მამა უკვე კარგა ხანია სახლიდან გაუჩინარდა - გაქრა - წავიდა.

## სხვის ტყავში შეძვრომა – მე მეტროს მატარებლის მემანქანე ვარ

დილით ადრე გამეღვიძა. რატომღაც არ მეძინა კარგად, სულ მეღვიძებოდა ღამე და ვერ მოვისვენე. სამსახური ორ საათში მეწყება. რამეს შევჭამ, თორე მუცელი გამეფიცება და სამსახურშიც არ წამომყვება. კვერცხი შევიწვი ჩემებურად. როგორც ყოველთვის, ტაფას მიეკრო და ძლივს ავაცალე. თეფშზე დავიდე და გვერდზე ყავაც მივუდე. ეს ორი საათი ძალიან ნელა გადიოდა. თან ვცდიოლობდი, ბავშვები არ გამეღვიძებინა. ტელევიზორი ჩავრთე დაბალ ხმაზე. პირველზე გადავრთე და წამოვწექი. ტელევიზორის ყურებაში ჩამძინებია. რომ გამეღვიძა, ბავშვები დამყურებდნენ თავზე. წამოვჯექი და ბავშვები გვერდით მოვისვი. მაგიდიდან ტელეფონი ავიღე. საათს დავხედე და წამოვხტი. ხუთ წუთში სამსახური მეწყებოდა. მე კი ჯერ ჩაცმულიც კი არ ვიყავი. ხუთ წუთში ჩავიცვი, მაგრამ ოცი წუთი მაინც დამჭირდა გზაში - მეტროში. ჩემი ვაგონის კაბინაში შევედი დავქოქე მატარებელი. სადგურის მოედნისკენ დავძარი. რატომ არ დავლიე ის ყავა. ახია ჩემზე!

## ბეწვის ხიდი

ბეწვის ხიდი ცხოვრებას ჰგავს, თითოეული ნაბიჯის გადადგმისას ცდილობ, არ ჩავარდე, ყოველი წინ გადადგმილი ნაბიჯი შენს წინსვლებს ჰგავს. მთელი ცხოვრებისა და ბეწვის ხიდის აზრი კი ის არის, რომ იბრძოლო და ყველაფერი გააკეთო იმისთვის, რომ ბოლოში გახვიდე.

## პეიზაჟი რომელიც მიყვარს

მთებს შუა ჩაფლული ამომავალი მზე, ჩუმი ნიავი, სუსხი, თეთრად შემკული მთის მოყინული წვერი და მწვერვალისკენ მიმავალი მხიარული კაცი, რომელიც მთის წვერს შესცქერის და წარმოიდგენს თავის თავს იქ ასულს.

## ზღვაზე გადებული ხიდი

ზღვაზე გადებული ხიდი ზღვიდან მზესთან გვაკავშირებს. ეს ხიდი უსასრულოა, მაგრამ მასზე გავლისას ხვდები, რომ ეს მხოლოდ შენს ოცნებებში იყო.

## მე ვარ ხე

სკოლის ბაღში ვდგავარ, ვიყურები ბავშვების კლასებში და ვოცნებობ, რომ მეც ვიყო მათ ადგილას.

## მატარებელი თავგადასავალს ეძებს

ერთ ძველისძველ ლიანდაგზე მხიარული მატარებელი დადიოდა. ყოველი წუთი, რომელსაც ლიანდაგზე ატარებდა, მისთვის უზომო სიხარული იყო. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ვიღაც არ ჩაესვა თავის ვაგონში და სიხარულით არ გაემგზავრებინა.

გათენდა ერთი დღე. მატარებელი საათები ელოდებოდა თავის მემანქანეს და მხიარულ მგზავრებს, მაგრამ გავიდა დღე და ლიანდეგებთან ახლოსაც არ ყოფილა. ძალიან ნერვიულობდა და ფიქრობდა, რომ ლიანდაგებზე ვეღა-

რასოდეს მოხვდებოდა. მეორე დღეს მატარებელი სადღაც გადაჰყავდათ. ძალიან უხაროდა. ისევ განიცდიდა ბედნიერებას, რომელიც ლიანდაგებზე სრიალით იყო გამოწვეული. მატარებელი ძალიან მოკლე ლიანდაგზე დასვეს, ახლოს ლიანდაგთან, რომელზეც იგი დადიოდა. მალევე დაინახა ახალი მატარებელი და მაშინ გაახსენდა ის მომენტი, როდესაც იგი პირველად დადგა ლიანდაგზე და ხედავდა მოკლე ლიანდაგზე მდგარ სევდიან მატარებელს.

## გზა შინისაკენ

ადრე, სკოლიდან სახლში რომ ვბრუნდებოდი, ნათლად მახსოვს, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს სხვა სამყაროში გადავდიოდი, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას აქეთ-იქით ვიხედებოდიდა. სახლს ვუახლოვდებოდი, როდესაც ქუჩის კუთხიდან სხვა სახლი ამოიწვერებოდა, გამოჩნდებოდა ლამაზ აივანზე მოჭედილი ყურძნის მტევნები და ჰაერში ამიტაცებდა.

*მარი ბეგიაშვილი*
*16 წლის*

## სადგურიდან გავიდა და გაიქცა

ფიქრების მატარებელი გაიქცაო, - წერდნენ ყველა გაზეთში და ჟურნალში. ხალხი გაოცებულო იყო, ვერც ვერაფერს იძახდა. არც იცოდნენ, რა ეთქვათ, მაგრამ მაინც სად გაიქცა ეს მატარებელი? საინტერესოა.

ფიქრებს გაურბის. აღარ უნდა მეტის თრევა. დაიღალა. მიქრის თავისით. გზიდან გადაუხვია და თქვისუფალ სიცოცხლეს ეჩვეოდა. წამიერად გაჩერდა. დაიღალა იფიქრა: რა ვქნა? დავბრუნდე, თუ გზა გავაგრძელო? გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. არ იცოდა, რა ექნა. ჩაფიქრებულმა თეთრი პეპელა დაინახა. მოეწონა, ჰაერში როგორც ფარფატებდა. მოეწონა და მას გაეკიდა, მაგრამ გაუჭირდა. ამიტომაც მოიხსნა ფიქრებით დატვირთული ვაგონები, ქარს გაატანა და პეპელას გაეკიდა.

## ცოტა დრო დარჩა

პარკი, რომელიც თავის და-ძმებს მოაშორეს, ახლა ერთ ბაღში ხის ძირში აგდია. ერთ დროს ფერადი იყო, ახლა კი სულ ჭუჭყიანია, მიხეულ-მოხეული. დრომ მაინც თავისი ქნა.

დრო იცვლებოდა. ეს პარკი მაინც ამ ხის ქვეშ ეგდო და თავის აღსასრულს ელოდა, სანამ შუაღამისას ქარმა რამდენჯერმე არ დაუბერა. ქარმა პარკი ხელში აიყვანა და თავისთან წაიყვანა. დაათვალიერებინა განათებული ქუჩები, უცხო ხალხი, მუსიკის ფონზეც აცეკვა და განთიადისკენ თავის ხესთან დააბრუნა. რამდენიმე დღის შემდეგ ქარი ისევ დაბრუნდა მეგობრის სანახავად, მაგრამ იქ აღარ დახვდა, ძებნა დაუწყო, დახმარება ხეებს სთხოვა. ეს ხეებიც ხან იქით, ხან აქეთ იხრებოდნენ, რომ კარგად დაენახათ პარკი, მაგრამ ვერ იპოვეს. დაღონებული ქარი ტირლით უკან სახლში დაბრუნდა და დაასველა მთელი ქალაქი.

## მოგონებების ხიდი

ქალაქში, სადაც საოცრებები ხდება - მოგონებების ხიდია, იქ წასვლა მხოლოდ მოხუცებს შეუძლიათ. რატომ? - იკითხავთ. იმიტომ, რომ როდესაც მათი ცხოვრების მიწურული დადგება, გაივლიან ამ ხიდსა  და მოგონებებს გაიღვიძებენ, ხან იტირებენ, ხანაც გაიცინებენ. გადაივლიან ამ ხიდს და მიხვდებიან, რომ უაზროდ, არაფრის კეთებით არ უცხოვრიათ.

## გუბე რომელიც აგუბდა

თბილისის ერთ-ერთ უბანში ჩაღრმავებული ადგილი იყო და წვიმის დროს გუბდებოდა, ხალხი ამ გუბეს ისე ჩაუვლიდა, თითქოს  წყლით სავსე გუბე ყოფილიყო და მეტი არაფერი, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არ იყო. ამ გუბემ ყველაზე ყველაფერი იცოდა, უბნის ყველა ჭორი. კაცებს უყურებდა, ეზოში ნარდს და დომინოს როგორ თამაშობდნენ, ქალებს თვალს აყოლებდა. მას მეგობრები უნდოდა. ერთადერთი, ვისაც ვერ იტანდა, მზე იყო, ამოვიდოდა თუ არა, გუბეს ადგილის დატოვება უწევდა. თითქოსდა, აზრსა და მოვალეობას კარგავდა.

## ზამთარი

შემოდგომა, როგორც მოგეხსენებათ, ხმაურიანი, აჭრელებული სეზონია. ზამთარი კი მშვიდი და შავ-თეთრია. ხეებმა ტანსაცმელი დაკარგეს.  აქეთ-იქით ირხევიან, სამოსს ეძებენ. გართობის და ლაზღანდარობის ხასიათიც დაეკარგათ. უაზროდ დგანან ტიტველი ხეები. ყვავილებს დამნაშავე ბავშვებივით თავები აქვთ ჩაღუნული.  მთებმა ნისლის საბანი გადაიფარეს და დაიძინეს. მზემ შვებულება აიღო. ქუჩები ცარიელია.

ზამთარში იწყება სახლების და ადამიანების სიჩუმე.

*მარიამ რაზმაძე*
*14 წლის*

## ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲪᲐᲡ ᲭᲘᲭᲠᲣᲢᲐᲜᲐ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ

ერთ დღეს მივდიოდი ქუჩაში. გაზაფხულის მშვიდი დღე იყო, ფუმფულა ღრუბლები სადღაც იყვნენ მიმალულნი, მზეს მიეთვისებინა ლურჯი სივრცე, რომელიც დედამიწას ქუდივით ეფარა. ვაკვირდებოდი ამ სილურჯეს და უცებ შევნინე, რომ ცის მიღმა რაღაც მოჩანდა. თურმე ცას ჭუჭრუტანა გასჩენოდა და მასში ჩანდა რაღაცა თეთრი, კაშკაშა.

თითქოს სიმშვიდე დამეუფლა, რადგან დავინახე, თუ როგორ კერავდა პატარა ანგელოზი ცის ჭუჭრუტანას.

## ᲙᲘᲑᲔ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲖᲔ

გაზაფხულის მშვიდი დილა იყო. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და შხაპუნა წვიმის გუბეებში თამაშობდნენ. სიჩუმე იყო, ვიდრე ჩემი მეზობელი კივილს დაიწყებდა. თურმე მისი კნუტი სახურავზე ავიდა და ვეღარ ჩამოდიოდა. ამ ქალმა ყველაფრის გაზვიადება იცის, ამიტომაც მაშველები გამოიძახა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ისინიც სადღაც ათ წუთში მოვიდნენ. ქალი ისევ ყვიროდა. თან ისე ძალიან, რომ ვეღარ გავუძელი და ბალიშის ქვეშ შევძვერი. ავიდა ერთი მაშველი სახურავზე. კნუტი დაფრთხა და ხეზე გადახტა. საწყალს, მგონი პატრონის ყვირილის უფრო შეეშინდა, ვიდრე მაშველის. მაშველებმა ახლა კიბე მიიშველეს. დადეს სახურავზე, მიადგეს ხეს და დაიწყეს მასზე აძრომა. წვალების შემდეგ კნუტი ჩამოიყვანეს.

ამ ამბავში არაფერია გასაოცარი, თუმცა ამის შემდეგ, რაც მოხდა, ძალიან გაგაკვირვებთ. ამასობაში, მე ავდექი, ჩემი ოთახის ფანჯარა გავხსენი და დავინახე, თუ როგორ ეჯაჯგურებოდა ერთ-ერთი მაშველი კიბეს. არადა, მძიმე ნამდვილად არ ჩანდა. ცოტა ხანში კი გავიგონე უცნაური ხმა.

- არ ჩამოვალ! დამანებეთ თავი! - ეს ვინ იყო? მაშველები ძალიან შეშინდნენ. - არ ჩამოვალ მეთქი! - დაიცა? ეს კიბეა?

- რას ჰქვია, არ ჩამოხვალ? - შეშინებულმა მაშველმა ძლივს ამოღერღა.

- როგორც გესმით! მე არ მინდა აქედან ჩამოსვლა! - ისევ დაჟინებით თქვა კიბემ.

- ახლავე ჩამოდი მანდედან! - მესამე მაშველმა ამოსძახა ქვემოდან.

ასე იჩხუბეს სადაც 40 წუთი. ამასობაში ვისაუბრეთ კიდეც. ჩავედი ქვემოთ და იგივე სცენა დამხვდა.

- იცოდე, თუ არ ამოხვალ, ძალით ჩამოგიყვანთ!

- ვერ ჩამომიყვანთ! - თავდაჯერებით თქვა კიბემ

- ჩამოგიყვანთ! - ერთხმად შესძახა სამივემ. ეჯაჯგურნენ დიდ ხანს, მაგრამ მაინც ვერ ჩამოიყვანეს. გულიანად ამოიოხრა სამივემ. ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ. კიბე კი დღემდე იქ არის, ჩემი მეზობლის სახურავზე. მოეწონა იქ ყოფნა, წამოწოლილია მხართეძოზე, აღარავინ დაატარებს აღმა-დაღმა. აქედან ყველაფერს კარგად ხედავს და მზეს და ჩიტებსაც ხშირად ელაპარაკება.

ეს ამბავი ყველამ იცის, ამ კიბეს კი „კიბე სახურავზე" შეარქვეს და უყვართ ეს მეოცნებე კიბე.

## შინ დაბრუნება

ხანდახან მეკითხებიან, რატომ გიყვარს მერცხლების შინ დაბრუნება? როგორ არ უნდა გიყვარდეს? ცაზე თითქოს მზესუმზირის მარცვლებივით არიან მიმოფანტული თბილი ქვეყნებიდან ჩამოსული მერცხლები. მოდიან ერთად, ჯგუფებად, თან მოაქვთ ყველაფერი თბილი, ფერადი, კარგი ამინდი, მზე, ყვავილები.

მერცხლების დაბრუნების დროს თითქოს ჩემში პატარა ბავშვი იბადება, რომელიც მხოლოდ ფერადს ხედავს და ისე ელოდება გაზაფხულს, როგორც აქ დარჩენილი პატარა ბეღურა - დედას.

## შავი პარკი და მისი მეგზური

- მტვრიანი და შავი ხარ!

- ჩვენ შემოგვხედე, რა ლამაზები ვართ! - ფერადები, ბრჭყვიალები და ლამაზები, შენ კი ერთი უბრალო შავი პარკი ხარ!

- ქარსაც კი არ აურჩევიხარ!

საწყალი პარკი კი უსმენდა მათ, არ იცოდა,, რა ეთქვა, მართლაც, ის ხომ უბრალო შავი პარკი იყო და მეგზური ქარიც არ ჰყავდა.

- ოდესმე ამირჩევენ! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა!

ლამაზმა პარკებმა უბრალოდ ჩაიცინეს და წავიდნენ. პარკმა ტირილი დაიწყო, მოიწყინა და ამ დროს გაისმა ქარის ხმა.

- კი მაგრამ, ქარი გაზაფხულზე? ჯერ ხომ მათი მოსვლის დრო არაა? - გაიფიქრა პარკმა. შეაჩნია, რომ ეს ქარი მარტო იყო, სულ მარტო. უცებ ჩაჰკიდა ხელი ქარმა პარკს და სადღაც გაიტაცა. მიფრინავს ორივე ერთად, სადღაც შორს. ორივე თავისუფალია. ორივეს ოცნება აუხდა. ერთი ქარმა აირჩია, მეორე კი გამოიქცა სახლიდან და ახლა თავისუფლად დაფრინავს.

## რა ხდება ცაში გათენების დროს

თენდება. ანგელოზები ვარსკვავებს აქრობენ. მთვარეს ყვითლად ღებავენ. ზოგი საბანს აცლის დედამიწას, ზოგი ბავშვებს უსურვებს კარგ დღეს. აღვიძებენ ყვავილებს, ჩიტებს. სიცოცხლით ივსება სამყარო, ანგელოზები კი ღრუბლებს ეხუტებიან, იძინებენ და ისვენებენ.

## სარეცხი, რომელიც დროშასავით ფრიალებს

წითელი კაბა, ერთ აივანზე გაფენილი, ფრიალებს და ჭკუაზე არაა. არა და, ქარი არ არის, რომ ის აფრიალებდეს. სარჭები ძლივს იჭერენ ამპარტავან კაბას. არიქა, კარგი

ამინდია და ამ დროს გამფინესო. ჰგონია, რომ ყველას უყვარს და კარგ ამინდში იმიტომ გაფინეს, რომ პატივი სცეს.

- მე ყველას ვუყვარვარ! შემომხედეთ, როგორ ლამაზი და ფარფატა ვარ. ვერავინ მიბედავს, რომ ღამე გამფინოს!

- არ გაშრა? დავიღალე, ამტკივდა თავი! - გადასძახა ერთმა სარჭმა მეორეს.

- ჩემს მხარეს ჯერ კიდევ სველია, - უპასუხა მეორემ.

- ჩემზე ლაპარაკობთ?! მე როგორ მიბედავთ ასეთ რამეს! - გაბრაზდა კაბა, - იცოდეთ, მორჩით თორემ!

- თორემ რა, წითელო კაბავ? - თორემ! - წითელი კაბა დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

- უხ, მორჩით! მე არ ვიმსახურებ ასეთ ლაპარაკს. შემომხედეთ, როგორი ლამაზი ვარ! როგორ მიბედავთ, სულელო სარჭებო!

სარჭებმა გადახედეს ერთმანეთს, მიხვდნენ, რომ ორივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა, გაუშვეს კაბას პირი და..

## 30 თებერვლის ქვეყანა

30 თებერვლის ქვეყანაზე ზოგი ამბობს, არ არსებობსო, ზოგი ამბობს, არსებობსო. რას გაიგებ ადამიანი! მკითხავთ, შენ რას ფიქრობო? ჩემი აზრი აქ ალბათ არაფერს შეცვლის, მაგრამ მე მგონია, რომ ის არსებობს. სად, არ ვიცი. ალბათ სადღაც სხვა სამყაროში, სადღაც მიუვალ ადგილას, სადაც სხვანაირი ადამიანები ან, თუნდაც, უცხოპლანეტელები ცხოვრობენ. შეიძლება ახალ წელს 30 თებერვალს აღნიშნავენ, თუმცა ამ დროს იქ ზაფხულია. ცა იასამნისფერია საღამოს, დილით კი - ვარდისფერი. ადამიანებს ფერადი კანი აქვთ ან ფერადი თვალები, ან თუნდაც ზუსტად ისეთივეა, როგორც აქ, დედამიწაზე. შეიძლება არსებობს კიდევაც, ჩვენ, უბრალოდ, მისი პოვნაღა დაგვრჩა.

## ძველი სახლი

მთელი ჩემი ცხოვრებაა ერთ სახლში ვცხოვრობ. ძველი, საყვარელი და მოგონებებით სავსე სახლი, რომელიც პაპაჩემის იყო. ცოტა ხანში კი სხვა სახლში გადავდივართ. ყველას უხარია, ჩემ გარდა. როგორ უნდა დავტოვოთ ჩვენი დიდი სახლი. იატაკი რომ ჭრიალებს ყოველო ნაბიჯის გადადგმაზე, სულ ჩუმად რომ დავდივარ ღამე, რათა არ გაეღვიძოს დედაჩემს. ბუხარი ელოდება ვინმეს, რომ შეშა დაწვას მასში. ძველისძველი ავეჯი, ცოტა მტვერიც, პაპაჩემის მედლები, რომელსაც ხშირად ვათვალიერებ, საათი, რომელსაც წარამარა ახალი ელემენტი სჭირდება, რადგან სულ ჯდება. მე ეს მირჩევნია ახლადგარემონტრბულ, თანამედროვე სახლს, რომელთანაც არც მოგონებები მაკავშირებს და არც პატარა საყვარელი მაჯის საათი, რომელიც პაპაჩემის ძველ ნივთებში ვიპოვე.

*მარი სანებლიძე*
*16 წლის*

## მე ხე ვარ

მე მაღალი ვარ და ცაში ყურება მიყვარს, ამიტომ ხელებგაშლილი ვწრიალებ აქეთ-იქით, როცა ქარი მარხევს თავისი სულის შებერვით.

მე მწვანე ვარ. მიყვარს, ბუნებას მახსენებს და ვტკბები, როცა გადამწვანებულ მინდორზე ფერად-ფერად ყვავილებს ვუცქერ. ამიტომაც არ ვკრეფ და ველი, როდის გაუფერულდება ველი ჩემთან ერთად.

მოვიწყენ მერე და ვიდგები შუა მინდორში მარტო, უპატრონოდ და საწყლად. ჩავთვლი, რომ უმწეო ვარ და ის გაზაფხულის დღეები მომენატრება. მომენატრება სითბო და ბავშვები, ხელს რომ მჭიდებენ ხოლმე.

ზაფხულში ჩრდილი ვიქნები მურადასთვის მოსასვენებლად და ზამთარში ერთი დავრჩები. ვიდგები შუა მინდორში მარტო და გაზაფხული მომენატრება.

არადა, ვიცი, ქარი ხეებს ზამთარშიც ეთამაშება.

## გამოდარება

შარშან იმდენი კვერცხის ჭამა მომიწია, წელს ხის კვერცხი შევღებე წითლად და ჩაჭახუნებაში ყველას მოვუგებ. ბებია-ბაბუას საფლავზე მალე კენტად გავაგორებ კვეცრხებს და გულში ჩუმად დავლოცავ ორივეს ღვინოთი სავსე ჭიქით, ნახევრად რომ შევსამ მერე და საფლავის ორივე მხარეს ჯვარს შემოვავლებ დარჩენილით.

იმ დღეს არ უნდა იწვიმოს. ისე რა აღდგომა იქნება ან გამოდარება?! მზემ იკაშკაშოს და იქნებ იმ ანგელოზებსაც მოვკრა თვალი, ყველას რომ ევლინებიან დასაცავად.

ახლა ხომ ნამდვილი გაზაფხულია. მერცხლებით წრეები იკვრება ცაში, ღრუბლების ქვევით და მზე მაინც კაშკაშებს,

რომელიც თვალებში ისე მანათებს, თითქოს უნდა, არავინ ხედავდეს და მორცხვობს, იმალება.

მაგრამ ხომ ვიცით, გამოდარების მთავარი ნაწილი, მზის მთვარის ჩრდილიდან გამოსვლაა, მთელ ქალაქს რომ მოსდებს თავის მშვენიერებას.

## მე სახლკარიანი მაწანწალა ვარ!

გუშინ მთელი დღე გზაში გავატარე. სკოლიდან თელავში წავედით და გზაც გრძელი იყო. მგზავრობა მიყვარს, მუსიკა ჩავრთე და აღარც მასწავლებელს ვუსმენდი, ბოლოში მსხდომებს რომ უყვიროდა, -აბა, დროზე სიგარეტი ჩააქ-რეთო და აღარც ჩემ უკან მსხდომ კლასელებს, ვიღაც გოგოზე რომ გააბეს ჭორაობა.

ზოგადად, სახლიდან გასვლა მეზარება ხოლმე და ოთახშიც ისე ვარ შეკეტილი, ჩემი ძმა სახეზე მამჩნევს, შემოსვლისას, იქიდან მალე რომ უნდა გავიდეს, რადგან მარტო ყოფნა მინდა და ვბრაზობ, კარს რომ ვერ ვკეტავ. გარეთ სიარული მარტოს მირჩევნია, ვიღაცის კომპანიონობა ხელს მიშლის და მაგაზეც ვბრაზდები. არადა, მარტო ბოდიალი არ მიყვარს.

ახლა მალე თუთის სეზონი წამოვა და ჩემი თეთრი ფეხსაცმელებიც ლურჯად შეიღებება. გავბრაზდები, მაგრამ ყურადღებას არ მივაქცევ, სანამ ბებიაჩემი არ მკითხავს -არ გრცხვენია, მასე რომ დადიხარო?! და, იმის მიუხედავად, რომ გავბრაზდები და ყვირილი მომინდება, მშვიდად ვეტყვი, არა-მეთქი, რადგან ვერ გავანაწყენებ. ბებიაჩემი ძალიან მიყვარს, პატარაობაში ეზოში დაცემისას და მუხლების გადატყვაბესისას სულ ბამბებით დარბოდა ჩემ გარშემო. ახლა ყოველ დილით ჩემთვის ადრე დგება და ხაჭაპურს მიცხობს. დიდად არ ვლაპარაკობთ, ოთახში ვარ შეკეტილი და გარეთაც უბრალოდ შემოვლებზე გავდივარ, ბაბუაჩემს რომ ვაკოცო ლოყაზე და მერე ბებიაჩემს მივუცუცქდე.

სკოლა არ მიყვარს, მაგრამ ეგეც სტერეოტიპი მგონია, ამიტომ ერთი სული მაქვს, ზაფხული მოვიდეს და ეს წელიც დამთავრდეს. არადა, ვიცი, სახლიდან არ გავალ, რადგან მეგობრები არ მყავს. არა, კი მყავს, უბრალოდ, არ მომინდება მათთან ერთად გასვლა, გასეირნება. დამეზარება. თუმცა, თუ გავალ, მარტო გავალ და ალბათ აღმოვაჩენ ახალ ადგილებსაც, რადგან ბოდიალი მიყვარს.

ბევრი რაღაც მაბრაზებს ახლა და, მგონი, უბრალოდ დაბნეული ვარ და დავძრწი, დავეძებ, მაგრამ რას, ჯერაც არ ვიცი.

მე სახლკარიანი მაწანწალა ვარ.

## სინათლის სხივი, რომელიც ნაცრისფერ დღეს ამოძრავებს

სიცივე ბევრს არ უყვარს. სახლში იკეტებიან გაღუნ-ღუნებული ღუმელის წინ და შემოიხვევენ რაიმე თბილს, მოკალათდებიან დივანზე ცხელი ჩაის ჭიქით ხელში და ჰა-ჰა, დიდი ალბათობით, ჩართონ ტელევიზორი. მაშინ კი ვიღაც სხვა ქუჩაზე ან, თუნდაც, იმავეზე ან სიამოვნებით ტრიალებს ღია ცის ქვეშ ვინმესთან ერთად, რომელსაც თავის სიყვარულს ეძახის, ანდაც, უწევს იქ ყოფნა, რადგან თავშესაფარი არ აქვს და ყველაზე თბილი, მუყაოს ნაგლეჯი მოეპოვება, სადაც ან ცხოვრობს, ან კიდევ მისით „თბება".

დელისის მეტროს ჩასასვლელში შემხვდა დღეს ეგ ქალი, სულ რომ გვერდს ვუვლი, რადგან ჩემს ჯიბეში, ხურდების ნაცვლად, მეგობრის ქვები ჩხარუნობს და სულ მეკარგება. ადრე ვიღაცამ მითხრა, ადამიანები არ უნდა გეცოდებოდნენო, ჰოდა, მგონი, ჩავიბეჭდე და რაც არ უნდა იყოს, არც ის მოხუცებული ქალი მეცოდება, იქ რომ ზის და მათხოვრობს და ამ სიცივეში მუყაოს ყუთით აქვს შემოშენებული პატარა ადგილი და არც ის კაცი, გვერდი რომ აურა ფულის მიცემის გარეშე და პიჯაკზევე ეტყობოდა,

რამდენიც ჰქონდა.

ნაცრისფერია ქალაქი, ქუჩა და ეს ნისლიც, ძლივს რომ დავინახე ერთი სახლიდან მეორე, მაგრამ სულ არ მანაღვლებს. უბრალოდ, ყველაფერი მეზარება; მაინც ავდექი დილით და პირზე წყალი შევისხი, ჩავიცვი და მშობლებთან იმის გარკვევის შემდეგ, რომ არც დედაჩემის ქურთუკს ჩავიცვამდი და არც მამაჩემის საწვიმარს, ჩამიტენეს ჩანთაში რაღაც ჯიბის საწვიმარები და ორი ქოლგით გამომიშვეს, მეგობრისთვის რომ მეთხოვებინა ერთ-ერთი და მეორემ ლამის ვაკიდან მთაწმინდაზე რომ გადამაფრინა. გზაში იმდენი ვიცინეთ, ეს შარვალიც ასფალტს რომ ეფართხალება ყოველთვის, ბრიჯებად ავკეცე და მაინც დასველდა.

აი, ჰო, ცივა, მზე არ ანათებს, მაგრამ მაინც მთბილა. ნუ, ახლაც მთბილა, ძალიან ცხელა ახლა აქ.

გუშინ მეგობარი დარჩა ჩემთან და ღამით, მაშინაც, ორცხობილების გამოცხობისას, მამაჩემი რომ გამოვარდა სამზარეულოში, რა ხდებაო და გაკვირვებული მოგვაშტერდა ორივეს, კარგად ვიხარხარეთ.

დღე გაიწელება, დაგრძელდება, მაინც მაისია და დღე იმატებს. შუა მაისი მოდის და მაინც ვიღაცამ რომ ინტერნეტში ვიდეო ატვირთა, -თავი ლონდონში მგონიაო, ვეთანხმები და გავიყინე დღეს გარეთ.

სახლიდან გამოსვლამდე დილით დედას ველაპარაკე. სპექტაკლის ბილეთი გადმომილოცა, მე ვერ მივდივარ და შენ თუ გინდა, წადიო. მე, ვითომ გაზრდილმა და ხელოვნებაში ჩახედულმა ადამიანმა, ამ ბოლო დროს მუზეუმებში წასვლას რომ ვითხოვ, რა თქმა უნდა, წავალ-მეთქი და ბილეთიც, ჩემ წინ ხელში რომ ეჭირა, გამოვგლიჯე და ჯიბეში ჩავიკუჭე. მოვყევით მერე მისამართის ახსნას, რომელ თეატრში მიშვებ-მეთქი და მოვნახე ინტერნეტში. გადავეყარე ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩას და მე, ზედმეტად განათლებულმა ადამიანმა, ჭავჭავაძის ქუჩა მარტო ილიასი რომ ვიცი, მოჰყვა

მერე დედაჩემი ზურაბ ჭავჭავაძის ბიოგრაფიას. 1989 წლის ავარიას, მერაბ კოსტავას და კი დაემთხვა ისიც, რომ მითხრა: მაისი იყო, ასე წვიმდა, ბებიაშენთან ერთად რომ საჯარო პანაშვიდზე წავედიო.

აი, რომ გამოასვენეს კი, მზეც ისე გამოვიდა, თითქოს რაღაც ახალი დასაწყისი იყო და ხალხიც ამას უკავშირებსო.

ეგაა სინათლის სხივი, რომელიც ასეთ ნაცრისფერ დღესა და დროს ამოძრავებს?!

გარეთ ცივა, მაგრამ გულში მაინც მთბილა, დღეს რაღაც კარგი უნდა მოხდეს.

**ბიჭი**

სიჩუმეში შეპარული კარის გახახუნება ოთახში მსხდომის ყურადღებას იქცევს და მათი თვალებიც უცნობს აშტრედებიან, რომელმაც ახლახანს მატარებლის კუპის კარი ისე შემოუღო პოლიციელებს, თითქოს საკუთარ სახლში უნდა შეებიჯებინა და არა - უცნობების შეკრებაზე, სათათბიროდ რომ ისხდა ოთხი კაცი და ბაასობდა ქურდის დაჭერაზე, რომელიც უკვე მერამდენედ კუპე-კუპე დაძრწოდა და მძინარე ხალხს ჯიბიდან ქაღალდის ფულს აცლიდა. ერთ-ერთმა ისიც კი იფიქრა, ეს ახალგაზრდა ხომ არაა ის ჩვენი ვერდაჭერილი ქურდიო და კოლეგასთან გადალაპარაკებისას თავისთვის ჩაიცინა, რადგან უცნობი ზედმეტად მაღალი და დაბნეული ჩამოდგომოდა შესასვლელში და ქურდის შთაბეჭდილებას სულ არ ტოვებდა. მხოლოდ უბრალო ტურისტი იყო და ამას მისი ზურგზე შემოკიდებული დიდი და საკმაოდ მძიმე ჩანთაც მოწმობდა, ხმაურით რომ შეისწორა და იქიდან გაუჩინარამდე ბოდიში მოიხადა და ხმაურიანად გადაყლაპა ნერწყვი.

მატარებლის მეორე ბოლოში პატარა ბიჭი, ტილოს შარვალში გამოწყობილი, დაბაჯბაჯებდა და თავზე ტაქ-სისტის ქუდი ჩამოეფხატა, საიდანაც ვერავინ მიხვდებოდა, ყველაფერს როგორ აკვირდებოდა, რადგან არა მარტო თვალებსა და შუბლს უფარავდა, ცხვირამდე სწვდებოდა

და გეგონებოდა, ვერ სუნთქავსო. ეს ქუდი იმ ტაქსისტს მოჰპარა ერთი დასალიერიდან, ანუ კახეთიდან, მეორე დასალიერში, ქუთაისში, რომ მიჰყავდა, რადგან კაცი სახლში მიისწრაფვოდა კიდევ ერთ ტურისტთან ერთად გზაში ნახევარი დღის გატარების შემდეგ. ბიჭს ტაქსისტისთვის ფული არ გადაუხდია, თავი შეაცოდა, მის წინ აბღავლდა და მასაც, ნამდვილი ქუთაისელივით, გული აუჩუყდა, რომ ჩათვალა ბიჭის გონება ბებიასთან ქროდა და მისთვის მიდიოდა, თავზე ხელი გადაუსვა და ჩებურეკიც კი უყიდა საგზლად.

ბიჭი პატარაა, დედას არ იცნობს, არც ჰყავს და სულ აღარ ანაღვლებს, იმიტომ, რომ მიეჩვია, სკოლის მშობელთა კრებაზე მისთვის არავინ მიდიოდა. ახლა სკოლაშიც აღარ დადის და მაგიტომაც დაძრწის და იპარავს იმ ქაღალდის ფულს მძინარე ტურისტებისგან, საჭმელი რომ იყიდოს შემდეგ სადგურში.

## კიბე სახურავზე

ჩემი თავისა და ქვეცნობიერის გასაყარია. რაც უფრო მაღლა ავდივარ, მით უფრო გრძელდება. იქნებ არც და მე ვფიქრობს ასე?! „სწავლის ძირი მწარე არის, კენწოროში გატკბილდების", ეგ კიბეა სახურავზე? აბა, ერთზე ადი ძლივს-ძლიობით და სამით უკან ჩამოვარდი. ამ დროს არც და ეგრე გეგონოს. ღამ-ღამობით კიბეზე ავდივარ. არ ვიცი, როგორ, რადგან ძილში დავდივარ და მარტო ქვეცნობიერს ახსოვს ის ანგელოზები, სიზმრად რომ ევლინებიან ჩემს თავს და დილით ყველაფერი სხვანარიადაა, თითქოს კიბე სახურავზე არც არასებობს და ეს მე მინდა, რომ არსებობდეს. ავიარო, გადავაბიჯო და ყველაფერი შეიცვალოს, რადგან რთულია პატარა ნაბიჯის გადადგმაც კი, როცა არ იცი, საიდან დაიწყო.

## ორი ძმის ამბავი

რას აკეთებ? - შედი გაიყინები -კარი გააღო ბიჭმა პატარასთვის. -რას აკეთებ, გიმეორებ, -ხელები გადააჯვარედინა პატარა ბიჭმა და უფროს ძმას წარბაწეულმა

შეხედა. ისიც, სიგარეტის მოწევაში რომ გამოიჭირეს, თავს ისე იჭერდა, თითქოს მთავარი ეგ სულაც არ იყო. პატარა ძმას დახედა, მოაბრუნა და კარისკენ უბიძგა. ბიჭი წაბორძიკდა და ერთი ნაბიჯით ვაგონში აღმოჩნდა, სწრაფად მობრუნდა და ისევ დიდ ძმას აეტუზა წინ.

-ნუ ეწევი! - უთხრა მკაცრად, - არ გახსოვს, დედამ რა თქვა?! მოწევა ცუდიაო.

-აქ სადმე ხედავ დედას?

-ისე, იცი, ვფიქრობდი, აღარ მინდა წამოსვლა. მე დედასთან მინდა! - თქვა ბიჭმა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. გარეთ ციოდა. უფროსმა ძმამ შენიშნა თუ არა, ქურთუკი გაიხადა და ბეჭებზე შემოაფარა, ისიც მაშინვე მასში ჩაიძირა, საკმაოდ დიდი ჰქონდა.

-ამაზე ხომ ვილაპარაკეთ, მამა უნდა ვნახოთ. არ მოგენატრა?! -თითქოს მუდარით შეხედა. მან ჰო, დილით დედასთან იკამათა, მამის სანახავად რომ არ მიჰყავდა და ამაზე ბრაზობდა. ის კი არ იცოდა, რომ მამამისი იქ არ დახვდებოდა, სადაც ბიჭი მიიჩქაროდა, რადგან მგონი ქვეყანაშიც კი აღარ იყო. გაბრაზდა და პატარა ძმას ჩაჰკიდა ხელი, ჩანთაში დამალულ სიგარეტთან ერთად ცოტა ტანსაცმელიც ჩაყარა, დედის საფულიდან ფული მოიპარა, როცა სადილის მოსამზადებლად შეიყუჟა პატარა სამზარეულოში და სადგურში ერთად წავიდნენ. მათთვის სასურველ მატარებელს ძლივსღა მიუსწრეს და შიგ ორივე აქოშინებული შეცვივდა. მალევე უფროსი ბიჭიც იმ გადამალულ სიგარეტს მიადგა და ვაგონიდან გავიდა ჰაერზე. ახლა მარტოღა ფანჯრიდან ხედავდა პატარა ძმა, შემდეგ უკან რომ აეკიდა და თავი მოაბეზრა კითხვებით.

-სულაც არ მომნატრებია! - თქვა ბიჭმა და ძმის ქურთუკში ხელები გაუყარა. მაშინღა გაახსენდა უფროს ბიჭს, პატარას მამა მას მერე აღარ უნახავს, რაც ჩვილი იყო.

-გახსოვს მაინც, როგორია? -ბიჭმა თავი გააქნია, -მოგეწონება, ძალიან მოგეწონება და ბევრ ამბებს გიამბობს ხოლმე -გაუღიმა, დაიხარა და შუბლზე აკოცა.

*მაშო სანებლიძე*
*13 წლის*

## ცა ყველას თავზე თანაბარია, მთავარი ისაა, ვინ რამდენს ამჩნევს!

ცა ყველას თავზე თანაბარია. სამყაროს ყველა სხვადასხვა თვალით უყურებს. არიან ადამიანები, რომლებიც სამყაროს ხიბლს ვერ ამჩნევენ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სილამაზეს ყველაფერ წვრილმანში ხედავენ. მათთვის სილამაზე შეიძლება იყოს ის ერთი ლარნაკი, რომელშიც ვარდები აწყვია ან ის ერთი ხე, რომელიც წლებია იქ, გზის პირას დგას. ყველა ადამიანს აქვს ძალა, რომ გააბედნიეროს მეორე. ძალა, რომლითაც შეუძლია სხვისი ნაცრისფერი დღე გააფერადოს. ყველას უხარია, როდესაც ქუჩაში მანქანა გზას დაუთმობს ან კომპლიმენტს ეტყვის.

მათი ცხოვრება სავსეა ასეთი წვრილმანებით.

## ბაბუ და ბიჭი

საკლასო ოთახში ვზივარ. ტესტამდე სულ 15 წუთიღა დარჩა. ფანჯრიდან ვიყურები და ვხედავ ხეებს,ლურჯ ცას და ერთ დიდ კორპუსს. კორპუსის აივნიდან ძაღლი იყურება და ყეფს. ნერვიულობას ვიწყებ, რადგან ვიცი, რომ ტესტს კარგად თუ არ დავწერ, დედაჩემი შავ დღეს დამაყრის. საათს ავხედე, ვიაზრებ, რომ უკვე 10 წუთი დამრჩა.ზარიც დაირეკა და მასწავლებელმა საკლასო ოთახი დატოვა. დრო აღარ უნდა დამეკარგა. ჩანთა მოვიკიდე და ფანჯრიდან გადავძვერი. გადავწყვიტე, რომ ბაბუასთან წავსულიყავი. სკოლიდან შეუმჩნევლად გავიპარე და გზას გავუდექი. ბაბუას კართან ვიდექი და კარზე დავაკაკუნე. მას არ გამოუხედავს, ვაითუ, სახლში არ არის. შემდეგ კიდევ დავაპირე დაკაკუნება, მაგრამ ბაბუამ კარი გააღო. ჩემს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და გულში ჩამიკრა, თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი, ბაბუას ხშირად რომ არ ვსტუმრობ. მას კი ჩემი დანახვა როგორ უხარია. ოთახში შევარდა, ნარდის თამაში უნდა გასწავლოო. კარგა ხანი გავატარეთ თამაშში და ბევრიც ვიცინეთ. მან თავისი ახალგაზრდობის ისტორიებიც მომიყვა.

იმ დღის შემდეგ ბაბუას თითქმის ყოველდღე ვსტუმრობ.

*მარიამ ჯავახიშვილი*
*12 წლის*

## სინათლის სხივი, რომელიც ნაცისფერ დღეს ამოძრავებს

ის მომენტი, როდესაც დედა მეუბნებოდა, ბებოსთან მიდიხარო, ოჰ, როგორ

მიხაროდა! ნაცრისფერი დღე სულ მავიწყდებოდა, მე,

ბედნიერი, ჩანთაში ყველაფერს ვყრიდი, რაც ხელში მომხვდებოდა და ბებოსთან თავქუდმოგლეჯილი გავბოდი. ის მომენტი არ დამავიწყდება, რომ დამინახავდა და ხელებ-გაშლილი რომ გამოიქცეოდა, ალერსიანად გულში რომ ჩამიკრავდა.

## ჩვენი ამბები, რომლებიც შიგნიდან გვათბობს, ანუ ყველას თავისი ბედი აქვს

სანამ ბაბუ გარდაიცვლებოდა, ყოველთვის უნდოდა, რომ გოგო შვილიშვილი ჰყოლოდა და, აი, მეც. ბაბუმ წერილი დატოვა და ბებიაჩემს დააბარა, რომ ეს იმ შვილიშვილისთვის მიეცა, რომელიც გოგონა დაიბადებოდა. ერთ დღესაც ბებოს წნევამ აუწია და დამავალა მისთვის წნევის აპარატი მიმეტანა. როდესაც იქვე წერილი დავინახე, დამაინტერესა. კონვერტს ზემოდან ეწერა: შვილიშვილს, რომელიც გოგონა იქნება. რა თქმა უნდა, დამაინტერესა. წერილი ჯიბეში ჩავიდე. ბებოს წნევის აპარატი გავუტანე. რაიმე რომ არ შეემჩნიათ, ცოტა ხანს ბებოსთან დავჯექი. ამასობაში წერილი სულ გადამავიწყდა. ცოტა ხანში ბავშვებმა დამალობანის სათამაშოდ დამიძახეს, მეც სიხარულით გავედი. როდესაც სახლში დავბრუნდი, ბებო დაფათურებდა. რაღაცას ეძებდა. ჯერ ერთი თარო შეამოწმა, შემდეგ მეორე. ვკითხე, თუ რას ეძებდა. მან კი მიპასუხა: წნევის აპრატის მოსატანად რომ გაგიშვი, რაიმე წერილი ხომ არ შეგიმჩნევიაო. მე, რა თქმა უნდა, უარით ვუპასუხე. მაშინვე ჯიბე შევიმოწმე, მაგრამ წერილი იქ არ იყო. ამასობაში ბებომ

დამიძახა, მაგიდასთან დამისვა და მითხრა: ბაბუაშენმა წერილი დატოვა და დამაბარა, რომ იმ შვილიშვილისთვის გადამეცა, რომელიც გოგო იქნებოდაო. როგორც ბებოებმა იციან, დიწყო: ერთადერთი რაღაცა დამავალა ბაბუაშენმა და ეგეც ვერ შევასრულე! როგორ დავკარგე წერილი! მთელი ამბით მოსთქვამდა. თვალიდან ცრემლი გადმოუვარდა. როდესაც მივხვდი, რომ მართლა დასწყდა გული, გარეთ გავედი წერილის მოსაძებნად. ბავშვები დავინახე, როგორ იცინოდნენ რაღაცაზე. მეც დამაინტერესა. მივედი. ზემოდან დავხედე და დავინახე ის წერილი, რომელიც ბაბუაჩემა დამიტოვა. სხვანაირად მეტკინა გული.

## შინ დაბრუნება

როდესაც ჩიტები თბილი ქვეყნიდან ბრუნდებიან, ყოველთვის ჩამათვიქრებს ის აზრი, თუ რატომ არ რჩებიან თბილ ქვეყნებში, რატომ ბრუნდებიან უკან და ერთადერთი, რა დასკვნაც გამოვიტანე, ის არის, რომ შინ ყველაზე ბედნიერები არიან თავიანთ პატარა ბურდეში - ჟივილხივილით იკლებენ ქვეყანას - არა თუ გვესალმებიან, არამედ გვეუბნებიან, რომ ისინი დაბრუნდნენ.

## ამბები, რომლებიც შიგნიდან გვათბობს

მთელი ბავშობა ჩემი ძმა დამცინოდა, ველოსიპედის ტარებას ვერასოდეს ისწავლიო. მეც ერთხელ გავბრაზდი, წამოვხტი, ჯეიმს ბონდივით თითები გავიტკაცუნე და ველოსიპედისკენ გავსწიე. მალევე ვისწავლე. ჰაჰ! - ამაზე მარტივი რამე კიდევ თუ არის-მეთქი, - ჩემს ძმას დავუძახე. აღმართიდან სწრაფად დავეშვი. აღმართის ბოლოსკენ თავი მივატრიალე და ჩემს ძმას გავძახე: რაო, ველოსიპედის ტარებას ვეღარასდროს ისწავლიო? როდესაც მოვიხედე, თხრილში ვიყავი მოხლებგადატყავებული, ველოსიპედი კი გზას აგრძელებდა ამოყირავებული.

## სხვა ამბავი, რომლებიც შიგნიდან გათბობს

ზაფხულში, როდესაც სოფელში ჩავდიოდით მე და ჩემი ძმა, პირველ რიგში, გარეთ დამალობანას სათამაშოდ გავდიოდით. უკვე გვიანი იყო და ბებომ გაგვაფრთხილა, მალე დავბრუნებულიყავით შინ. ჩვენ ცოტა შევყოყმანდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, დავთანხმდით. თამაშის დროს დრო გაგვეპარა. უკვე სახლში წასვლის დრო იყო, როდესაც ჩემი ძმა არსად ჩანდა. ბებოსთვის რომ დამეძახა, დარწმუნებული ვიყავი, აღარასოდეს გაგვიშვებდა გარეთ. ნახევარი საათი უშედეგოდ ვეძებდით, როდესაც ბებომ გამოგვძახა, სახლში დაბრუნდითო. მეც სხვა გზა არ მქონდა და სიმართლე ვუთხრი. ბებომ თავში ხელი შემოირტყა და გამოიქცა. აქეთ-იქით დარბოდა თავზე ხელებშემორტყმული და ყვიროდა: დიდუუუ! თქვენს მშობლებს რა პასუხი გავცე, ამხელა ქალმა ბავშვისთვის ვერ მიმიხედიაო! თან მე მთათხავდა. ამასობაში ჩემი ძმაც ვიპოვეთ. კარგად დამალულს ჩასძინებოდა და გემრიელად თვლემდა. ბებოს როგორც კი დავუძახეთ, დიმიტრი ვიპოვეთო, ბევრი ხვევნა-ფერების გარეშე ორივეს ქეჩოში წაგვავლო ხელი და სახლში გაგვაქცუნა.

*მარიამ ჯვარშეიშვილი*
*12 წლის*

### ლომი, რომელიც ფიქრობს, ადამიანი რომ იყოს...

რა არის, რას მომაჩერდნენ ეს ადამიანები, ლომი არ უნახავთ?! მოდიან, მიყურებენ და მეჭყანებიან. იციან, რომ ვერაფერს დავუშავებ, რადგან აქ შუშა არის. მე რომ ადამიანი ვიყო, ჩემს თავს გალიაში დავინახავდი? და ბოლოს და ბოლოს გავიგებდი, რატომ მიყურებენ გაოცებულები და მეჭყანებიან. ალბათ რაღაც განსაკუთრებულს ხედავენ. ადამიანი რომ ვიყო, ამ დაჭყეტილ ადამიანებს გამოვკეტავდი გალიაში...

### შინ დაბრუნება

ჩიტებისთვის სახლის დატოვება და თბილ ქვეყნებში წასვლა რთულია, დაბრუნება -სასიხარულო. ჩიტები სახლში ჟივილ-ხივილით ბრუნდებიან, ბარტყებს ჩეკავენ და თავიანთ სამშობლოს აცნობენ...

### როგორ გარიჟრაჟა

მზე ამოდის, ყვითელი მზის სხივები ბუნებას აღვიძებს. პირველ რიგში, მამლები იღვიძებენ და ყივილს იწყებენ. მამლების ყივილზე ჩიტებმაც გაიღვიძეს და ჭიკჭიკი დაიწყეს.

### გაზაფხულის მოლოდინში

თებერვალია. გარეთ წვიმს. ჩიტებს სცივათ. ყვავილები თოვლის გადნობისა და ზაფხულის მოლოდინში არიან.

### ყველა ნივთს თავისი ბედი აქვს

როგორც ადამიანებს, ასევე ნივთებსაც თავიანთი ბედი აქვს. მაგალითად, ჭიქა იმისთვისაა შექმნილი, რომ იქიდან დალიო, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ ის ნაგვისაყრელზე

იქნება. ყველა ნივთს თავისი დანიშნულება აქვს. თუ მას მოუვლი, დიდ ხანს გაიტანს თავს, თუ არა და, ცოდოა.

## 30 თებერვლის ქვეყანა

30 თებერვალი სინამდვილეში არ არსებობს, ის მხოლოდ 28-დღიანია და ოთხ წელიწადში ერთხელ - 29-იანი.ალბად იმიტომაა 28 დღე, რომ მარტი შეუყვარდა და მას მისცა ეს ერთი დღე. ყველა ადამიანს სხვადასხვა 30 თებერვლის ქვეყანა წარმოუდგენია. ჩემი სხვანაირია. იმისი კი - სულ განსხვავებული. ჩემს 30 თებერვლის ქვეყანაში სულ თოვს, მზეც ანათებს და ფრინველებიც არიან. ეს დღე განსაკუთრებულია, თუნდაც არ არსებობდეს!

## ის რაც გაზაფხულობით ხდება

გაზაფხულზე თოვლი დნება, ენძელები და იები თავებს ყოფენ თეთრი საბნიდან . მოდის გიჟი მარტი, მართალია, ისე აღარ ცივა, როგორც ზამთარში, მაგრამ მარტში ზამთარზე უარესი ამინდებია. გუშინ წვიმდა, დღეს კი მზეა, ხვალ, შესაძლოა, ქარი იყოს. დანარჩენ დღეებზე აღარ ვამბობ....

## ერთხელ ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა

ერთხელ ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა. იქიდან ოთხი ანგელოზი დაეშვა, მათი სახელები გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი იყო. ეს წელიწადის დროები იყო. ისინი მონაცვლეობით ჩამოდიოდნენ ცაში გაჩენილი ჭუჭრუტანიდან. ყველას თავ-თავისი თვეები, ამინდები და ხასიათი ჩამოჰქონდა. გაზაფხულის შემდეგ ზაფხული, შემოდგომა და ზამთარია. ზამთრის წასვლა რთული იყო, რადგან გაყინული თაღის გადნობა გაზაფხულს უძნელდებოდა. ამიტომ მას ზაფხული ეხმარებოდა...

## კარი, რომელიც სახლთან ერთად დაბერდა

ჩვენს სართულზე ახალი მეზობლები გადმოვიდნენ, რამდენიმე დღე იყვნენ და ისევ გადავიდნენ. კარი ღია დარჩათ, არავინ შედიოდა იმ სახლში. არ იცოდნენ, რა მოელოდათ იქ. ასე იყო სახლი ღია კარით, რომელსაც ქარი აღებდა და კეტავდა. ეს კარი სახლთან ერთად დაბერდა და ხელი მისთვის ჯერ კიდევ არავის ჩამოერთვა..

## იყო ერთი საწყალი, წელში მოხრილი გასაღები

იყო ერთი წელში მოხრილი გასაღები. ის დაჟანგულ ჭუჭრუტანაში ჩარჩა. გასაღებს ჭუჭრუტანაში ჯდომა მოსწყინდა,მაგრამ ვერაფერს აკეთებდა, რადგან უკვე იმდენ ხანს იჯდა იმ ჭუჭრუტანაში, რომ დაჟანგდა და ვეღარ მოძრაობდა. ერთხელ გასაღები ფისომ მოიპარა, ეთამაშა და გადაავიწყდა. გასაღები სადარბაზოში ეგდო. ვისაც არ უნდა გაევლო სადარბაზოში, გასაღებს ეგონა, რომ მისი პატრონი იყო. გასაღები სახლში შეღწევას ცდილობდა, მაგრამ ის წელში მოხრილი იყო და მაგიტომ ვერ აღწევდა სახლამდე. გამვლელები ფიქრობდნენ, რომელი გასაღები იყო და რომელ კარს აღებდა. მოხრილმა გასაღებმა კიდევ ვერ იპოვა თავისი პატრონი.

*მია მეტრეველი*
*11 წლის*

## მე ვარ შავი პარკი, რომელიც ფრენაზე ოცნებობს

გაზაფხული იყო. კარგი ამინდი. ცხელოდა. მე გარეთ ვარ და ვფიქრობ, ვოცნებობ, რომ მალე ქარი ამოვარდეს, მაგრამ ოცნებები არ ხდება. მეგონა, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო, მზე ისე მანათებს, რომ ვიწვი. ძალიან მცხელა. არავის ვაინტერესებ. ყურადღებას არ მაქცევენ. მგონია, რომ შავი რომ ვარ, ყველას ეშინია ჩემი. უკვე ღამდებოდა. მიხაროდა, რომ ქარმა ცოტა დამიბერა. სანავ თვალებს დავხუჭავდი, კიდევ ერთხელ ჩავიფიქრე, რომ ქარი ამოვარდნილიყო, მაგრამ არ მჯეროდა. თვალები დავხუჭე და დავიძინე. დილით ადრე გამეღვიძა. ღრუბლებში აქეთ-იქით დავქროდი. მივხვდი, რომ იმ ღამეს ჩემი სურვილი ახდა.

ამის შემდეგ ყველაფრის მჯეროდა!

## ჩემი ამბავი

ბებოსთან ვიყავი. გარეთ გავედი, გავიტანე ბურთი, რომ მეთამაშა. მზე მაწუხებდა და ვერ ვთამაშობდი კარგად. ყვავილები ყვავოდა. გვირგვინებს ვუკეთებდი ჩემს მეგობრებს. კვირა იყო, მეორე დღეს კი ორშაბათი. დაღამდა. ბავშვები წავიდნენ. მეც წავედი. გავამზადე ტასაცმელი და დავწექი.

მზე ამოვიდა. დედამ გამაღვიძა. მე კი გავემზადე. მაჭამა ნამცხვარი და მომაკითხა ავტობუსმა. ჩავჯექი. წავედი სკოლაში. მე-7 კლასში ვარ. შევედი კლასში. შევხედე ცხრილს და პირველი მათემატიკა მქონდა. არავის უნდოდა, ჩემ გარდა. მე მიყვარს სწავლა და წიგნის კითხვა. ყველას ჰგონა, რომ სწავლა საინტერესო არაა, ამიტომ მათემატიკური თამაში ვასწავლე, რითიც ისწავლიდნენ მათემატიკას. არა

მარტო მათემატიკას, სხვა საგნებსაც. ჩემი კლასელები სულ ამას თამაშობდნენ და მიჯერებდნენ, რომ სწავლა არ არის მოსაწყენი.

## ოცნება – ცისარტყელაზე გავლა

ჩემი ოცნება იყო ფერად ცისარტყელაზე გავლა, მაგრამ ჩემგან შორს იყო. წვიმა წამოვიდა. მივხვდი, რომ ცისარტყელა გამოანათებდა. ღრუბლებს ვუყურებდი და ვფიქრობდი, თუ როდის გამოჩნდებოდა. უცბად ფერადი ხაზი დავინახე. მაშინვე ხასიათზე მოვედი, ისე გამიხარდა, რომ იქ ასვლა მინდოდა, მაგრამ შორიდან ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ იქ ვიდექი.

## მაიმუნი აქლემს გალიდან ეჭყანება

მაიმუნი თავისთვის მოწყენილი იჯდა. გადაწყვიტა აქლემთან მისვლა. რას შვები, შენი საქმე როგორააო. მოწყენილი ვარ, არავინ მოდის ჩვენთანო. რა მოიგონე, ვინმე მოვაო.

მე მათ წინ ვიდექი. აქლემის გახარება მინდოდა და დავეჭყანე.

-რას მეჭყანები?

-მინდოდა, გამეხარებინე და გამეცინებინე.

-რა სასაცილოა! კაი, დამანებე თავი. თუ გინდა, არასდროს დაგელაპარაკები.

- ნურც დამელაპარაკები!

-კარგი!

მაიმუნი გავიდა. უცბად აქლემთან ვიღაც მივიდა. მოწყენილი აქლემი ხასიათზე მოვიდა. გოგონამ საჭმელი გაუწოდა.

მე კი ვუყურებდი აქლემს, როგორ ჭამდა.

*ნათია ერისთავი*
*20 წლის*

## ზოგჯერ რა კარგი რამეები ხდება

რა კარგია, როცა არაფერს ელოდები და რამე მოხდება, რაც იმ არაფრის მოლოდინის მდგომარეობას შეცვლის. ან ძალიან დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოგიკითხავს, ან მეგობრები ძლივს სრული შემადგენლობით მოვახერხებთ სადმე გასვლას და იმ რაღაცის შეგრძებას, რის გამოც, ვრჩებით მეგობრებად. ან კატო დამირეკავს შუა ღამით, გამაღვიძებს და მეტყვის ქვევით ვარ და ჩამო ვისეირნოთ, თან რაღაცებს მოგიყვებიო. ჩავალ და თურმე რაღაც ახალი მუსიკა აღმოუჩენია, ვერ დაელოდა შემდეგ დღეს რომ მოესმენინებინა და გაეზიარებინა ჩემთვის შთაბეჭდილებები. ან ის ვიღაც ბიჭი, რომლისგანაც უკვე აღარაფერს ელოდები და უცბად ყურადღებას გამოიჩენს, და ისედაც, ვინმე ყურადღებას რომ გამოიჩენს. ან უცბად გაწვიმდება და მთელი ოჯახი სახლის კედლებში მოვექცევით, უცბად დედა ერთად გვასადილებს და შემდეგ ფილმს ვუყურებთ. ან შაბათ-კვირას უცბად მე, დედა მამა, ელენე, რატი და მეისი მანგლისში რომ წავალთ. ელენე გზაში ჩართავს ყველასთვის მოსაწონ სიმღერებს, მამაც კი რომ აყვება ისეთს. მეისი საბარგულიდან დორბლებს გვაყრის, შუაში ვჩერდებით და იმ ერთ ადგილას საერთო ფოტოს ვიღებთ, ყოველ წელს ახალი ემატება ჩვენს ალბომს, მაგრამ რატომღაც არასდროს ვნახულობთ ძველებს. ჩავალთ მანგლისში და იქ ხელახლა აღმოვაჩენთ ერთმანეთს.

ან ავტობუსში ვიღაც უცხო რაღაც კარს გვეტყვის. ერთხელ ვიღაც უცხოს დაველაპარაკებით და არსაიდან ყველაფერს მოვუყვებით ერთმანეთს. იმდენად ყველაფერს, რომ მეორეჯერ არც შევხვდებით არასდროს და ეს არც იქნება უცნაური.

აივანზე ჩავჯდებით ჰამაკში და გარშემო კორპუსებში უცხო მეზობლებს დავაკვირდებით როგორ ცხოვრობენ და რაღაცას ვიგრძნობთ, შანსი არაა არაფერი ვიგრძნოთ, უბრალოდ შეიძლება ამას ვერ დავარქვათ სახელი.

ფილმს ვუყურებთ, მუსიკას მოვუსმენთ, წიგნს წავიკითხავთ, გავისეირნებთ, ფოტოებს გადავიღებთ ფირით და მერე გამუღავნებას დაველოდებით, ეს ლოდინიც სასიამოვნო იქნება, რადგან პროცესია რაღაც კარგის.

წარმოუდგენელია ასეთ წვრილმანებს რამხელა უნარი აქვთ სიამოვნება მოგანიჭონ და უფრო და უფრო მეტი მოგანდომონ. ზოგჯერ ასეთი კარგი რამეებიც ხდება, სხვათაშორის არც თუ ისე იშვიათად და თან ყოველთვის კი არ ხდება, ჩვენც განვაპირობებთ. მთავარია ვიცოდეთ, რომ ზოგჯერ ასეთი კარგი რამეები შეგვიძლია მოვახდინოთ.

### ნეტა ჩვენ ვიზრდებით ზედმეტად თუ ჩვენი სურვილები?

ისე რა ხშირად ხდება, რომ უბრალოდ მივდივართ ქუჩაში, უცბად მუსიკა გვესმის სახლიდან ან ახლო კაფედან, ინსტრუმენტზე ვიღაც უკრავს, და ჩვენ უნებურად ვწყვეტთ, რასაც ვაკეთებდით და ვეძებთ იმ ბგერებს. საიდან მოდის? იმ ვიღაცის სახლში, მართალია, ვერ შევიჭრებით, მაგრამ აქეთ-იქით ფანჯრებს კი დავუწყებთ ცქერას, თითქოს რაღაც დაკარგულს ვეძებდეთ და ვერც ვხვდებოდეთ საით უნდა ვეძებოთ. თუ კაფედან ისმის, კი გაგვმართლებია, შევიჭყიტავთ შიგნით რა ხდება და აი ისეთ სიმყუდროვეს აღმოვაჩენთ, გულთან ახლოს რომ მიდის და მალამოსავით ედება. ვიღაც ზის ან კუთხეში, ან ცენტრში, ან არც კუთხეში და არც ცენტრში, უკრავს ხალხისთვის, მაგრამ უკრავს თავისთვის, (რადგან) ხალხი მის მოსასმენად ხომ არ მოსულა. მათთვის ის უბრალოდ ფონია, რომელიც მათ იქ ყოფნას ან ალამაზებს, ან არც კი ალამაზებს. ამის მიუხედავად, მაინც ისეთი სითბო იგძნობა, მოგინდება შენც მისი ნაწილი გახდე.

ადრე ჩავუარე ასეთ კაფეს, სადღაც ორბელიანთან. მაშინ უფრო პატარა ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, ბევრად პატარა, ვიდრე ასაკის სხვაობამ შეიძლება თქვას. ახალი დაწყებული მქონდა ქალაქში მარტო სიარული, სწორედ ამიტომ, სრული სიახლე იყო ქალაქში მარტო ხეტიალის თავისუფლება, მეგონა ახალი ჯადოსნური ძალა აღმომეჩინა და ყველაფერი უფრო სახალისო იყო. ხოდა შევედი ამ კაფეში. მახსოვს ყვითელი სახლის ქვეშ იყო პატარა ბისტროსავით გახსნილი. ჩაი, ყავა, ტკბილეულობა და ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში მსუბუქი ჯაზი. იჯდა ვიღაც ტიპი და თავისთვის უბერავდა, არ ჯდებოდა ჩარჩოებში, ჯაზს ხომ მკაცრი ჩარჩოები არ უყვარს. ოდნავ მოშორებით დავჯექი, მიმტანი მოვიდა, რას ინებებთო მკითხა. ჯერ სანამ რამეს შევუკვეთავდი, ამოვიღე ხურდებად ჩაყრილი ფული ჯიბიდან და დავიწყე დათვლა. მიმტანს გაეღიმა, მითხრა ცოტა ხანში დავბრუნდებიო და გამეცალა. რომ აღმოვაჩინე რომ ცხელი შოკოლადისთვის მყოფნიდა, დავუძახე ბედნიერმა, თან გადავიხდი-მეთქი ვუთხარი. ავდექი და დარჩენილი ხურდები მუსიკოსს ჩავუყარე ყულაბაში. მაშინ ვერ ვხვდებოდი რატომ, მიმტანს ტუჩის კუთხეებში მუდმივად ეღიმებოდა. მომიტანა ცხელი შოკოლადი და შევექეცი გემრიელად. ეგეთი ბედნიერი პირველად ვიყავი, რომ ვგრძნობდი რაღაცას დიდურად ვაკეთებდი. თან ფილმებიდან მსგავსი კადრები მახსენდებოდა. კი ვიცი, რომ ასეთი ფილმები და ასეთი კადრები არ გამოირჩევა განსაკუთრებული აზრიანობით, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ეგეთები მიყვარს და ყოველ მეორე კუთხეში მასეთ სიმყუდროვესა და სითბოს ვეძებ. მაშინ მახსოვს გავიფიქრე აი ესაა, რისი კეთებაც ოდესმე მინდა- მეთქი, რომ სადმე პატარა მიკუჭულ კაფეში დამეკრა ისეთი ხალხისთვის, რომლისთვისაც ხან მე ვიქნებოდი ფონი, ხანაც - ისინი. ეს მოგონება რამდენჯერაც ამომიტივტივდება, იმდენჯერ დამბურძგლავს, ის ყვითელი სახლი მიდგება თვალწინ და კიდევ უამრავი სხვა, რომლებიც წლების განმავლობაში უფრო და უფრო გამრავლდნენ.

## გამოდარება

იგრძენით? სიმშვიდეა, ისეთი სიმშვიდე, ფეხებზე ცვრიანი ბალახის მოლამუმენასაც რომ გაიგებ. სწორი ვქენით, ასე ადრე რომ წამოვედით. ჯერ აქ არავინაა, შიგადაშიგ თუ გავიგებთ გვერდზე საფლავებიდან მიწაზე კვერცხების გაგორებას. მეც ვიკუზები და მეწამულ წითელ კვერცხს ნაზად ვაგორებ შავ მიწაზე. ამ დროს ყოველთვის ყველაზე მოვლილია საფლავი, წინა დღეებში ყოველთვის ვასუფთავებინებთ დამლაგებლებს. ადრე ორშაბათს ყოველთვის ყველა ერთად გავდიოდით საფლავებზე, ჯერ ერთზე, მერე მეორეზე, არავისას გამოვტოვებდით, ბოლო რამდენიმე წელი კი დავიშალეთ, მივხვდით, რომ ასე უფრო მალე მოვინახულებთ ჩვენს წასულებს და საცობებსაც ავარიდებთ თავს. ცოტა ეგოისტურია, შეიძლება, მაგრამ ეგოისტურობა ჩვენგან აღარ მიკვირს. არა მგონია, ამდენად ეგოისტური სხვა არსება იყოს.

- წელს ლამაზად შეიღება კვერცხები, მართლა მეწამულია, შარშან, აბა, სამჯერ შევღებე და მაინც ლაქებიანი იყო, - ჩურჩულებს დედა თითქოს ხმამაღლა, მაგრამ მაინც თავისთვის, რა აჩურჩულებს, არ ვიცი, ეტყობა, მასაც არ უნდა ეს სიჩუმე დაარღვიოს, მაგრამ მაინც აგრძელებს, - როგორც ჩანს, წელს კარგი ენდრო იყო.

იგრძენით? აი, ეს ის მომენტი იყო, დედას სხვა დროს რომ აეტირებოდა, რამდენჯერაც არ უნდა მოვიდეთ, დედას სულ ეტირება ბებოზე, მერე ბაბუც ახსენდება, ყველანი ერთად რომ ვართ, ისტორიებს იხსენებენ ხოლმე ბაბუსას და ბებოსას, მაგრამ მე არაფერი მაქვს მოსაგონი, ამიტომაც ვეხუტები დედას და უბრალოდ ვუსმენ, როგორ სლუკუნებს, მე ვერაფერს ვიზამ, უბრალოდ, გვერდზე ყოფნის გარდა. მაგრამ დედას ვუყურებ და არ ეტირება, თვალებიც არ ეცრემლება, ჩემდა გასაკვირად, იღიმის, მხოლოდ ძალიან ახლო ადამიანი თუ ამოიცნობს ტუჩის

კუთხეში მოჩვენებასავით გამკრთალ სევდას, მაგრამ მაინც, შუბლი გახსნილი აქვს, შიგადაშიგ ამომხედავს და მეტყვის: ეს სანთელი ბაბუს დაუნთეო. ბაბუს არ ვიცნობდი, ვერ მოვესწარი, მაგრამ მაინც ისე ვუნთებ, თითქოს მთელ იმ უცხო მონატრებას ამ სანთელში ვაქსოვდე. დედა ღვინოს მაწვდის. თვითონ ბებოს უნთებს სანთელს, მეც ვუსხამ ბაბუს, როგორც დედამ მითხრა, მაგრამ მაინც ვცდილობ, ღვინო ნაწლობრივ ბებოსაც მოვახვედრო. ცოტათი მოვსვამ მე თვითონაც და გულში რაღაცას ჩავიჩურჩულებ ჩემთვის. სკამზე დედას მივუჯდები და მსუბუქად ვეხუტები. მეწამულ კვერცხებთან სისხლივით მოჩანს ჯვრად დასხმული ღვინო. მალე მიწაში ქრება ჯვარი, ზუსტად ბებოს და ბაბუს შორის.

სიმშვიდეა.

იგრძენით?

## ჩიტებო, გილოცავთ დაბრუნებას!

ისეთი სოფელი არ გვაქვს, ბებო და ბაბუ რომ გველოდებოდნენ, მაგრამ ისეთი სოფელი გვაქვს, ყველაფერი სხვა რომ გველოდება, მითუმეტეს, გაზაფხულს, აბიბიმებული ბალახი გვხვდება, აყვავებული ხეები, მამა შევარდება ხოლმე და მგონია, დაეცემა მიწაზე და კოცნას დაუწყებს, მგონი, მანგლისის გარდა, სხვას არაფერს შესციცინებს ასე გულწრფელად.

- დაბრუნდი, შე ლამაზო შენა, სად იყავი ამდენ ხანს, რა კარგია, რომ დაბრუნდი! უშენოდ აქ არაფერი კარგი არ ხდებოდა. - ეფერება მამა ხეზე შემოსკუპებულ პატარა ჩიტს. მამას ეღიმება, ასე თბილად მხოლოდ ძალიან იშვიათად იღიმის ხოლმე.

სოფელში გუშინ ჩამოვედით.

## ის, რაც ყველას გვინდა, ანუ, აი, ის ფანჯარა ჩემია

მიყვარს წერა სახლებზე, აივნებზე, ფანჯრებზე, შინ ყოფნაზე. ყველა ფანჯარას შინ ყოფნის საკუთარი განმარტება აქვს. ხოდა, ჩემი აივნიდან რაც ჩანს, თითქმის ყველა იმ სახლზე თავისი ისტორია მაქვს მოფიქრებული. იმასაც მიხვდებოდით, რომ აივანზე ბევრი დრო მაქვს გატარებული. მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს. იმ ერთზე არასდროს არაფერი დამიწერია. ჩემთვის იმდენად ახლო და რაღაცნაირად იდილიური, წმინდა ფანჯარაა, რომ არ მინდოდა მასზე წერისას ან ისტორია შემეცვალა, ან პერსონაჟები, იმისდა მიუხედავად, რომ არც ერთი ვიცი, არც მეორე. მაგრამ ფანჯარა ისეთია, რასაც ხედავ, ის ხდება. არაფერი ზედმეტი, არანაირი ქერქი და ჭუჭყი, მხოლოდ სიმყუდროვე და სიწმინდე. არ მიყვარს ამ სიტყვის გამოყენება, მგონია, ყველა ერთფეროვნად გაიგებს, როცა თავისებურად გაგება სჭირდება, მაგრამ არ ვიცი, სხვა რა ვთქვა.

ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, უბრალოდ აღვწერ: წყვილია, არ ვიცი, დიდი ხნის შეყვარებულები თუ ცოლ-ქმარი, უბრალოდ აშკარაა, რომ ერთმანეთს ზედმიწევნით იცნობენ, მართლა ფეხის ფრჩხილიდან დაწყებული და თმის ღერით დამთავრებული. საძინებელში არიან, ლამაზი ოთახია, კარგად არ ჩანს, მაგრამ კედლის ფერი მომწონს, ავეჯის ფერსაც უხდება. ოთახის შუაში დიდი საწოლი დგას. პირველად რომ გავიცანი ამ ფანჯრის პერსონაჟები, საწოლზე იწვნენ, უზარმაზარი პიჟამოები ეცვათ და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ ტელევიზორში რაღაცას უყურებდნენ, გულიანად იცინოდნენ, ერთმანეთს გადახვეულები უფრო ეხუტებოდნენ და ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს ამაზე სასიამოვნოდ დროს ვერ გაატარებდნენ, უბრალოდ, ერთმანეთთან ყოფნით და ფილმის ყურებით. შემდეგ ჯერზე საწოლის ნაცვლად ტახტზე ისხდნენ, ისევ გადახვეულები. ეს ტახტი მეუცნაურა, წინაზე არ იდგა, ნეტა საიდან გაჩნდა,

იყიდეს? ან ტახტი რად უნდოდათ, საწოლი ხომ იყო. ზუსტად საწოლის წინ და ტელევიზორს შორის დაედგათ ტახტი. ისევ რაღაცას უყურებდნენ. იმ დღიდან ეს ჩემი საყვარელი ფანჯარა და ჩემი საყვარელი წყვილი გახდა. ფარდა გადმოწეული იყო მუდამ, თითქოს წყვილს სპეციალურად დაეტოვებინა ასე, რომ სხვებსაც დაენახათ და მათი ყურებით სიამოვნება მიეღოთ, ვითომ თბილ კინოს უყურებდნენ. მეც გავხდი ამ ფილმის სტაბილური მაყურებელი. დამოკიდებულიც კი გავხდი. ყოველ ღამით, ძილის წინ გავდიოდი აივანზე, შევამოწმებდი სხვა ფანჯრებსაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩემს საყვარელ ფანჯარას ვუბრუნდებოდი. უბრალოდ ხელჩასაჭიდი მტკიცებულება იყო, რომ ეს ყველაფერი მართლა არსებობს და მხოლოდ ფილმებში არ ხდება. ხშირად ხდებოდა, რომ გოგო ლეპტოპში რაღაცას აკეთებდა, ალბათ მუშაობდა, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, შიგადაშიგ მაინც გადადებდა, ყურადღებას უფრო მიაქცევდა ბიჭს, მოეფერებოდა და ცოტა ხანში ისევ გააგრძელებდა საქმეს ლეპტოპში. იმ ბიჭს კი სულ ჩახუტებული ჰყავდა გოგო, მკლავქვეშ, მაგრამ ისეც არა, რომ იფიქრებდი, რას აწუხებსო.

ეს ფანჯარა გახდა ზომიერების, სტაბილურობის, ბუნებრივობის, იმ ცხოვრების ღრიჭო, რომელიც და როგორიც წარმომედგინა ჩემთვის მომავალში: ფერადი სახლით, დამოუკიდებელი ცხოვრებით, ახლო ადამიანებით, საინტერესო სამსახურით. ძალიან ხშირად რისიც შემშინებია, რომ ეს ყველაფერი შეიძლება არ იყოს მუდმივი, ამ ფანჯრის შეხედვისას ყოველთვის ვმშვიდდებოდი, რადგან არ ჰქონდა მნიშვნელობა, შეყვარებულები იყვნენ თუ ცოლ-ქმარი, ეს სახლი ქირით ჰქონდათ თუ ნაყიდი, რამდენ ხანს გაძლებდნენ ყოველ საღამო ტელევიზორის ყურებით და ამით უზომო სიამოვნებას კიდევ რამდენ ხანს მიიღებდნენ... მაგრამ ეს ფანჯარა ხომ ისეთია, რასაც ხედავ, ის რომ ხდება. ამიტომაც არ ჰქონდა დანარჩენს მნიშვნელობა, იმ მომენტში ის იდილია არსებობდა, და ფარდაც გადაწეული იყო, რომ სხვებსაც დაენახათ.

## მამა ისევ არ უნახავთ

არდადეგები როგორც კი დაიწყო, დედამ დაავლო შვილებს ხელი და სოფელში წაიყვანა. ორი ბიჭი ჰყავს. გიო 14 წლისაა, კოტე- 6. დიდი ოჯახი არაა. სულ სამნი არიან, ბებოს და ბაბუს თუ არ ჩავთვლით. არც ბიძაშვილები ჰყავთ, არც მამიდაშვილები. გიო ბოლო თვეა ცდილობს, დედა დაითანხმოს, რომ თბილისში მამასთან დარჩეს, მეგობრებსაც ნახავს, მარტო სოფელში რა უნდა აკეთოს. დედა არ უსმენს, თვითონ უკეთესად იცის. ეუბნება, ამ ჩახუთულ თბილისში ვერ დაგტოვებო, მაგრამ გიომაც კარგად იცის ნამდვილი მიზეზი, არ უნდა მამასთან მარტო რომ დატოვოს. ვერ ხვდება ქალების აზროვნებას. დედა სულ ეუბნება, როცა გაიზრდები და დიდი იქნები, რასაც გინდა, გააკეთებო, მაგრამ როდის იქნება ეგ, როცა მამაც კი არაა, მისი აზრით, საკმარისად დიდი.

ბევრი რომ არ გაგვიგრძელდეს, ჩავიდნენ სოფელში. ბებო ღობესთან დახვდა, მთელი გზა ელოდებოდა, ქოთ-ქოთით შეუძღვა შვილიშვილებს სახლში და ტაფიდან ცხელი ხაჭაპურები გადმოუღო თეფშებზე. ბაბუ ტელევიზორს უყურებდა. ვერც გაიგო შვილიშვილების მოსვლა.

- როგორ ხარ ბაბუ? - ვაა გიორ. რამხელა კაცი ხარ უკვე. მოდი, ბაბუ, ჩაგეხუტოთ.

კოტე მირბის და კალთაში უხტება ბაბუს.

- ბაბუ, დედა მეუბნება, რომ მედლებს გვაჩვენებდი და ისტორიებს მოგვიყვებოდი.

- აბა რას ვიზამ, ბაბუ, მაგაზე გაწყენინებთ?

- მოდიით, ბავშვებო, ჭამეეთ, სანამ ხაჭაპურები გაცივდა, რა დროს მედლები და ისტორიებია. დედას შემოაქვს ბარგი და ბავშვების ოთახში დებს, ცოტა ხანში ამოულაგებს და ისე წავა.

- მე ჩემით ამოვალაგებ- გასძახებს გიო.

- მეეც - იმეორებს კოტეც ლუკმაგამოტენილი,- დე, ცოტა

ხნით ვერ დარჩები?

- ვერა, დე, ხვალ ვმუშაობ, შაბათ-კვირას ჩამოვალ და საჩუქრებსაც ჩამოგიტანთ.

- ამდენი საჩუქარი რად უნდათ, ისედაც უამრავი რამე აქვთ, ჩვენც ყველაფერი გვაქვს, შეგიძლია არ შეწუხდე და არც ჩამოხვიდე - ეუბნება ცივად ბებო.

მიხვდებოდით, დედა ამ სახლში უჩინარივითაა, უკვე რამდენიმე თვეა ისე არის დედა-შვილი, რომ იცის, ბავშვების გარეშე მხოლოდ მას აქ აღარც მოესვლება. დედა მალე მიდის, შემდეგ კვირას, რა თქმა უნდა, ჩამოვალო - ეუბნება ბავშვებს, არიგებს, ბებო და ბაბუ არ გააბრაზოთო, კოცნის და მიდის. დღეები მალე გადის, ყველა დღე ერთნაირია. დილას საუზმობენ, ბაბუ რაღაც ეზოს საქმეებს გააკეთებინებს, ნერგებს მორწყავენ, ერთად გათიბავენ ბალახს, შემდეგ სადილობენ. შუადღეზე ბავშვები, რასაც უნდა, აკეთებენ. გიო სახატავად მიდის ხოლმე გვერდზე ტყეში. პირველი დღეები გიოს მეგობრები ძალიან ენატრებოდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე დღეა სახატავად ძალიან კარგი ადგილი იპოვა, სტადიონთან შორიახლოს ერთი ფანჩატურია, ერთი დრო დაამუღამა, როცა ძლივს არავინაა, მაშინ დაჯდება ხოლმე და ხატავს, ხან ხეებს, ხან ბიჭებს, ფეხბურთს რომ თამაშობენ. ერთი-ორჯერ ბებო და ბაბუც დახატა, თითქოს შვილიშვილებისგან მალულად კოცონთან ჩუმად რომ ეხუტებოდნენ ერთმანეთს. ბებო და ბაბუ უყვარს გიოს, აქაურობაც უყვარს, მაგრამ უბრალოდ ეს გამოსავალი არ მოსწონს, მხოლოდ მაშინ რომ მოდიან, როცა თბილისიდან და, უფრო ზუსტად, მამასგან გამოქცევა სჭირდებათ. და დედას ჰგონია, ამას გამოსავალი ჰქვია? თბილისში ხომ მაინც დაბრუნდებიან, მერე რას იზამენ.- ბრაზობს გიო, მშობლების გამო სულ იცვლება მისი ცხოვრება, ნეტა როდის დაიწყებენ მათზე ფიქრსაც.

საღამოს ბაბუ მედლებს აჩვენებს ხოლმე ბავშვებს, ამ

დროს ბებო კი ისე უყურებს ბაბუს, თითქოს ბავშვების წინაც კი მზადაა, ბაბუს აკოცოს. გავიდა უკვე სამი კვირა, მალე ზღვაზე უნდა წავიდნენ, გიომ ბევრი ნახატი დააგროვა, რამდენიმე ძალიან კარგიცაა. ერთხელ ბაბუმ მოჰკრა თვალი, გიომ იმწამსვე დამალა.

- ბაბუ, ეს გოგო ვინაა? აქ გაიცანი?

- არავინ. - როგორ არავინ. რამდენჯერ გყავს დახატული. - გიო ჩუმადაა. ბაბუ გვერდზე უჯდება, არაფერს ამბობს. რანაირი ბაბუა, თუ ბევრს ილაპარაკებს. გიოს არ უნდება მოყოლა, ამიტომ ხმას არ იღებს, მალე ნახატებს კრეფს, ერთ ბლოკლნოტში ალაგებს და მიდის. უბრალოდ, ლამაზი გოგოა, - ფიქრობს გიო, მეტი არაფერი.

შემდეგ დღეს დედა ჩამოდის. უკანა გზა უფრო გრძელი ჩანს. მგონი, გიოს ძაან მოენატრება სოფელი, ბებო და ბაბუ, ფანჩატური... არ უნდა ზღვაზე, მაგრამ დედას არაფერს ეუბნება, რა აზრი აქვს. თბილისში ერთ დღეზე მეტს არ რჩებიან. შემდეგ დილას ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში სხედან დედა, გიო და კოტე.

მამა ისევ არ უნახავთ.

## ყაყაჩო

ულამაზესი წითელი ყელი მზისკენ აუშვერია და უფრო მოუღერებია ფაქიზ ყაყაჩოს. ნიავს მოქნილად აყოლებს ტანს და ჩამვლელის ყურადღებას წამიერად იქცევს. წამი გავა და მატარებელში მჯდარი მგზავრი კვლავ გაიხედავს ფანჯრიდან იმ იმედით, რომ ისევ ის კონკრეტული ყაყაჩო დაინახოს, ცოტა ხნის წინ რომ შეამჩნია. მაგრამ, ერთის ნაცვლად, ათასი ყელმოღერებული ყაყაჩო იყურება მზისკენ და ცალ თვალს შეუმჩნევლად აპარებს მგზავრისკენ.

მგზავრო, არ მოწყვიტო ყაყაჩო!

მატარებელი უფრო სწრაფად და ხმაურიანად გააგრ-ძელებს გზას, რომ ამ მდელოს მოაშოროს თავისი სტუმარი.

მზე ნელა ჩადის, ცა იბინდება, ხასხასა მწვანეს ნელ-ნელა ლურჯი ცვლის, მერე კი იასამნისფერდება ბალახი, რომელიც არასდროს იზრდება იმდენად, ყაყაჩო რომ დათვაროს. მაგრამ დაბნელდა, ყაყაჩო აღარ ჩანს, იკუნტება, მოღერებულ ყელს მალავს და იძინებს, რომ სანამ სადარაჯოზე მატარებელი აღარ დგას, ვინმემ ჩუმად არ მოიტაცოს.

## მოგონილი ოჯახი

იმის შემდეგ, რაც მე და დედამ თითქმის მთელი ვაკე ხმაამოუღებლად ჩავიარეთ, გადავწყვიტე მე მომებოდიშა პირველს. მაგრამ ვერ მოვიფიქრე, როგორ დამეწყო, რა მეთქვა, დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს, არაფერი მეთქვა არასწორი, უბრალოდ, უკეთესადაც შემეძლო მეთქვა. ხმა მაინც ვერ ამოვიღე და დედას უჩუმრად მივეკარი ცალ მკლავზე და ხელი ხელში გავუყარე. დედას არ გამოუხედავს, არც ხელი მოუჭერია ჩემს ხელზე, მაგრამ აი, ისე ჩაყლაპა ნერწყვი, ნერვიულობის დროს ან უხერხულობისას რომ იციან ხოლმე, ბურთი ყელში რომ გაგეჩხირება და ამ უკანასკნელის ხმას ყველა გაიგებს. ცოტა ხანს ისევ ასე ჩუმად ვიარეთ, სანამ დედა უცბად არ გაჩერდა და ჩამეხუტა. სხვა შემთხვევაში, გავწევდი, ვიუხერხულებდი, ქუჩაში ამდენ ხალში ჩახუტება ხომ საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ არ ვიუარე, მესიამოვნა, რომ დედამ მაპატია იმ პატარა დეტალის გამო, რაზეც ახლა წავიჩხუბეთ და რაც ხვალ საერთოდ არ გვემახსოვრებოდა. ამ წამს უფრო ვიგრძენი თავი დამნაშავედ, ვიდრე მანამდე - რომ ასე ვუთხარი, და არა მარტო ახლა, არამედ ისედაც, ამ ბოლო დროს რომ ხშირად ვეუხეშები, გულში მეორე გარდატეხის ასაკს რომ ვაბრალებ ყოველივეს, მაგრამ რეალურად ძალიან ბევრ რამეზე რომ ვბრაზობ და დედაჩემს ყველაფერს ვერ ვუყვები, რადგან მეც მასსავით ბურთი ყელში მეჩხირება ხოლმე, უბრალოდ, ხმას ვერ ვიღებ. ამიტომაც, არა მარტო არ ვიუარე ეს ჩახუტება, არამედ კიდევ უფრო

ჩავეხუტე, მივეკარი, როგორც პატარა ბავშვი მიეკრობა ხოლმე მშობელს მარტივი ნუგეშისთვის.

ცოტა ხანში ისევ გავაგრძელებდით სეირნობას, ხუთ წუთში შეიძლება კვლავ გვეკამათა რამეზე, რადგან ის ის არის, მე კი- მე. თუმცა რამდენიც არ უნდა გვეკინკლავა, ბოლოს ჩავეხუტებოდით ერთმანეთს და კვლავ შევრიგდებოდით. მართალია, განვსხვავდებით, მაგრამ ერთი სახლი გვაქვს, რომელიც ჩვენით შევქმენით და რომელშიც ერთმანეთი აღმოვაჩინეთ. სახლი, რომელიც ზოგჯერ გამოგონილზე უკეთესია, ის უფრო გვჭირდება, უბრალოდ, შინ რომ ვიგრძნოთ თავი.

## დიდებსაც სჭირდებათ შტაბი

ერთ დღეს შტაბიდან გამოსვლა რომ მოგვთხოვეს, ვითომ დიდები დავპატარავდით, შეგვეშინდა, რომ უკვე დრო იყო გაზრდის. ამიტომაც, როცა სახლში მარტო დავრჩით, მაგიდის ქვეშ დიდი ჭრელი ზეწრითა და ერთი ბრდღვიალა ნათურით შევქმენით ახალი შტაბი და დავარქვით „მხოლოდ ბავშვებისთვის“. ახლაც, როცა გავიზარდეთ, მაინც შევძვრებით ხოლმე, იქ არ გვეშინია დიდობა. ვიცით, სად იწყება და სად მთავრდება. და ყოველ ჯერზე გვეშინია, რომ ვინმე გვიპოვის და გამოსვლას მოგვთხოვს.

## რას ვეტყოდით ჩიტებს

ფრინველებს ასეთი ტრადიცია აქვთ: შემოდგომაზე უნდა დაგვტოვონ და გაზაფხულზე დაბრუნდნენ. აი, რას ჩავჩურჩულებდი თბილ ქვეყნებში მიმავალ ჩიტებს: ვეტყოდი, რომ გზა გაქცევაში იკარგება ხოლმე, ამიტომაც, უკანმოუხედავად არ უნდა გაფრინდნენ, გაზაფხულზე აუცი-ლებლად უნდა დაბრუნდნენ, რათა მივხვდეთ, რომ ჩვენი გზა ჯერ კიდევ არ დაკარგულა.

*ნატალია ანჯაფარიძე*
*11 წლის*

## ცა ყველას თავზე თანაბარია

ყველა ერთმანეთს ეჯიბრება. ყველა სხვაზე უკეთესის გაკეთებას ცდილობს, მაგრამ საბოლოდ ცა ყველას თავზე თანაბარია და ყველანი თანასწორნი ვართ.

## როგორ მოეღიტინა ხეს

ხეს ეღიტინება და იცინის. მისი სიცილი სიხარულისგანაა, რადგან ის ყვავდება და სხვებს გაახარებს თავისი ნაყოფით.

## კიბე სახურავზე

ეს კიბე სახურავზე ერთმა ოჯახმა აიტანა. ის ერთად შეიძინეს და ხმარობდნენ, როცა სახლს არემონტებდნენ. ამ დროს კიბეს მრავალი საინტერესო რამ გადახდა თავს და ოჯახსაც დაუმეგობრდა. მაგრამ ერთხელაც კიბე სახურავზე აღმოჩნდა, რადგან მისთვის სხვაგან ადგილი აღარ იყო. ოჯახი გაიზარდა და ამ სახლში აღარ ეტეოდა. ამის გამო სხვაგან გადავიდნენ . კიბე მათ სულ ელოდა, რომ დაბრუნებულიყვნენ და იმედი ჰქონდა, უკან ჩაიტანდნენ მასაც.

## ნივთებს ენა რო ჰქონდეთ

ალბათ ნივთებს ენა რომ ჰქონდეთ, მაგარი ჭორიკნები და ბუტიები იქნებოდნენ. ჭორიკნები იმის გამო, რომ ყველას ინფორმაცია ეცოდინებოდათ და გაავრცელებდნენ; ბუტიები კი იმის გამო, რომ როცა იმ ნივთით რაიმე არ გამოგივიდოდა, ხომ ცუდს იტყოდი და გაგიბრაზდებოდნენ, თუმცა, მათი ბრალი იქნებოდა. ამიტომაც გადარჩენილები ვართ, რომ ნივთებს ენა არ აქვთ, მაგრამ შეიძლება ძალიან გავემხიარულებინეთ კიდევაც.

## სარეცხი, რომელიც დროშასავით ფრიალებს

სარეცხი გეგონება, მორცხვი და მოსამსახურე არის, რადგან სხვები მას იყენებენ, მაგრამ მოდი, სარეცხის სარ-ჭებს ვკითხოთ, ღამე რომ აწამებენ. ისინი თურმე ფრიალს იწყებენ. გეგონება, მეფე და დედოფლები იყვნენ და სარეცცის სარჭები - მათი მოსამსახურეები. ამის გამო არ უყვართ სარჭებს თავიანთი მოვალეობა.

## 30 თებრვალი

30 თებერვალი იდეალური დღეა. ამ დროს ოცნებები ხდება და შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად ხარ. სულ იღიმი. მართალია, ეს დღე არ არსებობს, მაგრამ 30 თებერვალი შენი ნებისმიერი კარგი დღე შეიძლება გახდეს.

## იყო ერთი საწყალი, წელში მოხრილი გასაღები

ერთი გასაღები უკვე ათი წელია სამზარეულოში მესამე კარადაში მარცხნივ მოყვითალო ყუთში დევს. არავინ იღებს და არავინ იყენებს, მას რადგან ოჯახში პატარა გოგო გაჩნდა, სახელად ალისა და სარდაფის გაღების დრო და თავი აღარავის აქვს.ერთ დღეს ალისა სახლში იყო და სიმარტოვისგან მოიწყინა. რომ გამხიარულებულიყო, გადაწყვიტა, კარადები დაეთვარიელებინა. მოყვითალო ყუთს მიადგა, შიგნით დაინახა წითელი, გაღუნული გასაღები. ალისა დააინტერესა ამ გასაღებმა. აიღო ხელში და უცბად გასაღებმა ლაპარაკი დაიწყო. ალისას გაუკვირდა, მაგრამ არ შეშინდა. დაუსვა კითხვები და გასაღები პასუხობდა.

ეს ის ალისა იყო - საოცრებათა ქვეყნიდან!

## ღრუბლის მატარებელი

ჩემი ოცნება სულ ღრუბელთან შეხება იყო. ხოდა, არ ვიცი, როგორ, მაგრამ ერთ დღეს ღრუბლების მატაებელში აღმოვჩნდი. იქ არანაირი დარდი არ მქონდა. ერთი სიტყვით, ჩემი ოცნების სამყაროში ვიყავი, მაგრამ მატარებლიდან გადავვარდი და უცბად რეალობაში აღმოვჩნდი.

*ნინა ანჯაფარიძე*
*14 წლის*

* * *

პარასკევია. დილა. წვიმს. სიბნელეა. სკოლაში წასვლა არ მინდა. ცივა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. სახლში ყველას სძინავს. გარეთ ბნელა. ნაცრისფერია ყველაფერი. ნისლია. მეც ცუდ ხასიათზე ვარ. არაფრის ხალისი არ მაქვს. ძილი მინდა, მაგრამ არ გამოვა. ამიტომ ავდექი, ჩავიცვი. ამასობაში ჩემმა პატარა ძმამაც გაიღვიძა. ჩემს ოთახში იყო. სანამ წავიდოდი, მაგრად ჩამეხუტა.

შეიძლება, ეს ბევრისთვის არაფერი იყოს, მაგრამ ამ ერთმა ჩახუტებამ მთელი დღე გამიფერადა.

## შეჯიბრება

გვიყვარს თუ არა შეჯიბებრები, მაინც გვიწევს ყველასთან შეჯიბრება, რადგან ასე არის ცხოვრება - სულ გინდა, რომ ყველაზე უკეთესი იყო და ყველაფერი კაგრად გამოგდიოდეს. თუ ასე არ ფიქრობ, დიდად წარმატებული ვერ ხარ. ამიტომ ყველა, დიდიც და პატარაც ,პირველივე დღიდან იწყებს შეჯიბრებას ყველასთან. ზოგი იტანს წაგებას, ზოგი - ვერ, მაგრამ ეს წაგებაც ძალიან ბევრ რაღაცას გვასწავლის. ერთხელ თუ დამარცხდი, მეორედ გაიმარჯვებ და ეს ყველაფერი გვასწავლის ცხოვრებას და ბრძოლას.

## მთაში მინდა

მინდა სადმე შორს, მთებში! სადმე, სადაც სიწყნარეა და სადაც ყველაფერი კარგია. სადაც შეიძლება წყნარად ყოფნა და არაფერზე ფიქრი, აი, მაგალითად, მთებში, სადაც პეპლები დაფრინავენ, ყვავილებია და ერთი პატარა საქანელა.

რა კარგია, როცა პეპელა ხარ, ერთი დღე ცოცხლობ, მაგრამ თავისუფლად, წყნარად და არავის არაფერს უშავებ!

## ერთხელ სიზმარში რომ გამეღვიძა

ვიმეცადინე, მოვწესრიგდი და დავწექი დასაძინებლად. მოვიდა ჩემი ძაღლი და ერთად დავიძინეთ, მაგრამ ცოტა ხანში სიზმარი გაწყდა და ყველაფერი გაშავდა. ცოტა ხნის შემდეგ მე და ჩემი ძაღლი აღმოვჩნდით ღრუბლენბში. იქ გვედო საღებავები და გაუფერადებელი ცისარტყელა უნდა გაგვეფერადებინა.

ადრე არ მჯეროდა, რომ ცისარტყელას ადამიანები აფერადებდნენ, სანამ ჩვენს სახელოსნოში არ აღმოვჩნდი, სადაც ცისარტყელებს ერთად ვაფერადებთ.

## სიყვარულით გაჟღენთილი ღრუბელი

ცაში რო იყურები, ღრუბლებს სულ სხვადასხვა ფორმა აქვს - ზოგს გულის, ზოგ ვარსკვლავის... მაგრამ ერთნაირი არასდორს არიან. ხომ შეიძლება, ამ ფორმებით ჩვენ, ადამიანებს, დაგვცინოდნენ ? მაგალითად, შეყვარებულებს თუ ხედავენ, გულის ფორმას იღებენ, მოჩხუბარე ადამიანებს რომ ხედავენ, გაბრაზებულ სახეს იღებენ და ამით ერთობიან, თითქოს ღრუბელი არაფერია, მაგარამ როდესაც დააკვირდები, ხვდები რომ ისინი ცოცხლები არიან და ჩვენ გვიყურებენ.

## მე და დედა

გამოვედი სკოლიდან. უცებ ტელეფონმა დარეკა. დედაჩემი იყო. ვუპასუხე. მითხრა: 10 წუთში შენს სკოლასთან ვიქნები და დამელოდეო. მეც რა მექნა და დაველოდე. ველოდე-ველოდე და როგორც იქნა, მოვიდა. გარეთ ძალიან საცობი იყო და ამიტომ გადავწყვიტეთ მეტროთი წასვლა. მე არ ვიყავი ნამყოფი მეტროში და ამიტომ ძალიან მაინტერესებდა. ჩავედით სადგურზე. ბევრი ხალხი იყო. ბავშვები ერთმანეთს ეთამაშებოდნენ, დიდები ლაპარაკობდნენ, ხოლო მე და დედა ვისხედით და ვსაუბრობდით. მე სკოლაზე მოუყევი, დედამ - სამსახურზე. ბევრი ვიცინეთ და მოვიდა მეტროც.

ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

## მთების იქით

ძალიან უცნაურ ადგილას გადავედი საცხოვრებლად - მთების იქით. ლამაზი ადგილი იყო, მაგრამ უცნაური. უფრო სწორედ, ზღაპრული. ყოველღამე უცნაური ხმები მესმოდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი . წავედი სასეირნოდ ტყეში. ღრმად შევედი და დავინახე პატარა ქალაქი, პატარა ელფების ქალაქი. შევედი. ჯერ შეეშინდათ, მაგრამ მერე დავუმეგობრდი. იქ თურმე ჩვენსავით კი არ არის ამინდი . იქ სულ არეულია. როცა მოუნდება, წვიმს. როცა მოუნდება, თოვს. ეს ადგილი არის ჯადოსნური. ყოველდღე იქ დავდიოდი. არაფერი იცვლებოდა. არავის არავინ მოსწონდა, მაგრამ ერთ დღეს შევესწარი სიყვარულის ახსნას. ეს ძალიან სხვანაირი ახსნა იყო. ბევრი ელფი ერთად იდგა და უმღეროდა ერთ გოგონას.

და უცებ გათოვდა...

## ვაჟა

ვაჟა არის სოფლელი ბიჭი; სოფელში დაიბადა, გაიზარდა და სკოლაშიც იქ დადიოდა. იქ მეგობრები ჰყავდა. ყველა მასწავლებელმა და მანდატურმა იცოდა, რომ ის ძალიან ცელქი იყო და სულ ცელქობდა, მაგრამ ერთ დღეს დედამისი დააწინაურეს სამსახურში და მოუწიათ თბილისში გადასვლა საცხოვრებლად. ეს მას ძალიან არ მოეწონა, მაგრამ რა ექნა! გადავიდნენ თბილისში. ჯერ არდადეგები იყო და სკოლას არჩევდნენ, თუ რომელში უნდა შესულიყო ვაჟა. უკვე აარჩიეს. დადგა ვაჟასთვის ყველაზე ცუდი დღე და ის წავიდა სკოლაში. მასწავლებლები გააგიჟა პირველივე დღეს. დაიბარეს დირექტორთან. იქ იჯდა ერთი გოგო, რომელიც ტიროდა. ვაჟა მივიდა ამ გოგოსთან, დაუწყო თამაში და გაამხიარულა.

ამის შემდეგ სულ ერთად იბარებდნენ დირექტორთან ვაჟასა და იმ გოგოს.

*ნინი რეხვიაშვილი*
*14 წლის*

## ცხოველები ზოოპარკში

მაიმუნი აქლემს თავისი გალიიდან ეჭყანება.

- დღეს ჩემს სანახავად ყველა მოვა! - ამბობს გალიიდან მაიმუნი.

- ეე! რას ნარცისობ მანდ შენ, შე მაიმუნო  ეს ზოოპარკია და არა - სახლი.

- სუ! ისევ მშია! , ამ ქალმა რა ვერ გაიგო, რომ ერთი კილოთი მეტი დამიყაროს საჭმელი! ფარშევანგო, შენ კიდევ, რისი გრცხვენია? გადახსენ შენი ლამაზი კუდი და აჩვენე ხალხს შენი მშვენიერება!

ფარშევანგმა ჩაიცინა და ბეჰემოტს დაცინვაზე ირონიით უპასუხა: ჩემი კუდი შენს სიმსუქნეს მაინც ჯობია! არ ჭამო!

- აი, მოდიან!

- ვინ?

- ხალხი, შე მაიმუნო!

- მოიცა, თმას ვისწორებ...

- სად გაქვს თმა?

- აი

- აა ხო ხო ვხედავ, და ფარშევანგს თვალი ჩაუკრა

- ნახეთ, რა ლამაზი ცისფერთვალება გოგონა მოვიდა ჩემთან ბატიბუტით ხელში!

- წაართვი!

- რა?

- წაართვი ბატიბუტი და გავიყოთ

- მოიცა, აი, ერთი მესროლა და მაჭამა!

- აუ, მეც მინდა!

- მოიცა, ბეჰემოთო, იმდენს ჭამ, მეშინია, გალია არ გასკდეს!

- გოგონა ტირის!

- ნეტავ, რატომ?
- მე რა ვიცი, წინასწარმეტყველი კი არ ვარ.
- მე ვიცი, ვინც გამოიცნობს, თუ რატომ ტირის ეს გოგონა...
- ვინ?
- ლომი! ის ხომ ჭკვიანია.
- რა ლომი? ამ ბავშვის ადგილას მეც ვიტირებდი.
- კაი რა, მეცოდება ეს ბავშვი!
- ლომო! - ეძახის ფარშევანგი.
ლომმა პირი გააღო და შეუღრინა.
- რამ შეგაწუხა?
- ბავშვი ტირის, ლომო, და შეგიძლია გაარკვიო, რატომ?
- მე ძიძა ან დედა ხომ არ გგონივართ?
- გთხოვ, ლომო, მეცოდება ეს ბავშვი ძალიან...
- ოო, რა სულელები ხართ, ის ღორმუცელა სად არის? რა, ვერ გაარკვევ, რა სჭირს ბავშვს?
- გთხოვ, ლომო, რა.
- კარგი წამოვალ
- ლომი მაიმუნთან გადაძვრა და ბავშვს შეხედა. ცოტა ხანს დააკვირდა და ღრენით თქვა:
- დედა დაეკარგა მას.
- ნამდვილად ასე ფიქრობ?
- მართლაც, რა ღორმუცელა ხარ ბეჰემოთო, შენ ხომ დედის გარეშე ვერ გაიზრდებოდი? ეს გოგონაც ვერ მოვიდოდა პატრონის გარეშე.
- და რომ ვიშვილოთ?
- ვინ, ბავშვი?
- ხო.
- ფარშევანგო, ეს ჩვენს საზღვრებს ცდება! ამ გალიებში ისედაც ვსუნთაქვთ და ამ ბავშვის გამო შეიძლება საერთოდ მოვკვდე!
- კარგი რა, ნახე, როგორ ტირის, ვინმემ რომ მოიტაცოს?
- ვინ? იმ გამოშტერებულმა და უტვინო ზებრამ?
- არა, ადამიანებმა!
- მე არ ვარ პასუხისმგებელი! რაც გინდათ, ის გიქნიათ! მე

წავედი!

- კი, მაგრამ, ლომო....

ფარშევანგს დაუღრინა და დაბრუნდა ლომი გალიაში.

მაიმმუნმა კი ბავშვი კისერზე შემოისვა და ბანანებს აჭმევდა.

ყველანი ერთად შევიკრიბეთ და აქეთ-იქიდან ბავშვის დედას ვეძებდით.

- მოიცა, აი, ეს ხომ არაა ბავშვის დედა?

- ბეჰემოთო, შენ სულ დაკარგე ლოგიკა?

- ეს ბებია იქნება დედამისი?

- მე რა ვიცი, თმის ფერით ჰგავდა...

- მე წავალ, თქვენ კი ბავშვს მიხედეთ. თუ მანამდე მკვდარი არ დამხვდა, რა თქმა უნდა.

- არა, რას ბრძანებ.

მოსაღამოვდა. ბავშვის დედა ეძებდა.

- რა ვქნათ?

- დავიტოვოთ?

- არა, ჩემ გვერდით არ დააწვინოთ!

- მე ვიცი ვისთანაც უნდა დავაწვინოთ!

- ოღონდ ის არ თქვა, რაც მე ვიფიქრე!

- სხვა გზა არ გვაქვს, მე წავიყვან ლომთან.

- მე არაფერ შუაში ვარ.

- არც მე.

- არც მე.

ფარშევანგმა ლომს მიაჩოჩა ბავშვი და უკანვე გამოიქცა.

## ჩემი მეგობარი სარკე

- დღესაც უნდა იყო ამ სახით?

- არ ვიცი, სარკევ, მეზარება სკოლაში წასვლა.

- ხო იცი, დღეს დამრიგებლის დაბადების დღეა, გზად ყვავილები უყიდე, გულიც მოულბება და ათიანსაც ჩაგიწერს.

- და რა ყვავილები ვუყიდო?

- და რა ყვავილები უყვარს?

- მაგას ორიანების დაწერა უფრო უყვარს, ვიდრე

ყვავილები.

სარკე იცინის .

- რა გაცინებს, კაცო?

- არაფერი. მიდი ახლა, ჩაიცვი, გადი და ერთი კონა გვირილები მიუტანე.

- რადგან არ იშლი, კარგი, მივუტან!

- აი, მას, ყვავილები მოგიტანეთ, გზად  იასამანი გიყიდეთ .

- კარგი, ჰა, რვიანს დაგიწერ, დაჯექი!

- მაინც არ გაამართლა, რა.

- აი, მაშინ გაგიმართლებს, როდესაც ყვავილებს კი არა დავალებებს მოიტან!

## ფიქრების მატარებელი

ეს დრო სულ წავიდა, ამ უაზრო ფიქრებით აღარ მინდა პატარა და უჭკუო ვიყო, ყოველ ღამე ვფიქრობ, როდესაც გათენდება, თან მეც  გავიზრდები, მაგრამ  დედას ზღაპრები და სიმღერა მომენატრება, ძილის წინ რომ მიკითხავდა, სკოლაში სიარული არ მინდა, რადგან ჩემს ჩაცმულობაზე და სიმახინჯეზე დამცინიან, მე მათ ყურს არ ვუგდებ, მაგრამ ჩემს ფიქრებს მოაქვს.

მალე არდადეგები დაიწყება და მეც დავისვენებ სკოლიდანაც. ხვალუნდელი დღე, იმედია, უკეთესი იქნება.

- დილა მშვიდობის, როგორ ხარ?

- მე?

- ხო, ხო, შენ, აბა, კედელს ხომ არ დაველაპარაკებოდი?

- კარგად, მოიცა, შენ მე არ დამცინოდი, რომ ცუდი ფანტაზია მქონდა?

- ყველას თავისი ფანტაზია აქვს, რას იზამ...

გგონიათ ეს ნამდვილად მკითხა ალფრედომ? არა, მე ფიქრებში  გამიტაცა ამ ვაგონმა და იმ გაჩერებამდე ვერ მივაღწიე, რომ დამცინონ.

*ნიკოლოზ ბუგიანიშვილი*
*12 წლის*

## ზამთარია

ზამთარია, თოვს. თოვლის ხმა და გახურებული ბუხარი ზამთრის განწყობას ქმნის.

## სხვა სამყაროში

მატარებელი გაჩერდა უცნაურ, მაგრამ ლამაზ ადგილას. იქ ტირიფის ქვეშ კაცია. ყვაილებით მოჭედილ მინდორზე ზის და თან ფლეიტაზე უკრავს. ფლეიტა მზის სხივებს ირეკლავს და ნოტებს ერწყმის.

## ცა

ცის იქით ცაა. მეცხრე ცა. აი იქ, სადღაც მაღლა, ცის იქით მეცხრე ღრუბელთან, რომელიც გვიღიმის, თითქოს სულ ბედნიერება იყოს.

## თავისუფლება

მიდიხარ პატარა ბილიკით, თითქოს გინდა, იფიქრო ტყეზე, მთაზე, სახლზე პარკის კუთხეში ხალხზე, ტყეში მთასთან ღრუბელზე და არაფერ სხვაზე, მაგრამ მიიწევ მაღლა მთაზე, ადიხარ და ხედავ მინდორს, პატარა ბალახს, იქვე ღრუბელს, მასზე კი - ხალხს. შენც უერთდები მათ. შემდეგ ხვდები, რომ შენც თავისუფალი ხარ, როგორც ტყე, მთა და ის სახლი, პარკის გვერდზე მთაზე.

## ცა

ცა ყველას თავზე თანაბარია. გააჩნია, ვინ რამდენს ხედავს. მე ბევრს ვხედავ, იმდენს, რამდენიც ჩემ თავზემოთაა.

*ნიკა კვირკველია*
*17 წლის*

## ჩვენი დედები

ხშირად გამიგია: სიტყვით აღუწერელია! ვფიქრობდი, რომ უფროსები ამ ფრაზას იმიტომ იყენებდნენ, რომ ეზარებოდათ ახსნა. კითხვა გამიჩნდა: ისეთი რა შეიძლება არსებობდეს ამ ქვეყანაზე, რასაც სიტყვებით ვერ ახსნი? რა შეიძლება იყოს ისეთი წმინდა და ღვთაებრივი, რაც  არის ის სითბო, ალერსი და სიყვარული, რომლებიც დედას აქვს თავისი შვილის მიმართ.

## დროის მატარებალი

ერთხელ დამესიზმრა, რომ მატარებლით ვმგზავრობდი, ოღონდ ეს მატარებელი ჩვეულებრივი არ იყო. ყოველი მატარებლის ვაგონი ჩემი წარსულის ერთი მოგონება იყო. მე ვაგონებს შორის დავდიოდი და თითქოს ჩემი ცხოვრება თავიდან გავიარე. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიზმარი იყო და ისიც მხოლოდ ერთხელ მესიზმრა.

## რა უთხრა ერთმა ძაღლმა მეორეს

გარეთ აცივდა და ჩემს პატრონს სასეირნოდ იშვიათად გავყავარ. მეც ცოტა მცივა და უკვე აღარც მე გავრბივარ თავქუდმოგლეჯილი და  არ მივარბენინებ ჩემს პატრონს. დღეს ძლივს გამიყვანა გარეთ. რომ ვბრუნდებოდით, ჩემმა პატრონმა ვიღაც სხვა ძაღლის პატრონი წითელთმიანი გოგო დაინახა და დაუძახა. იმ გოგოს  ძაღლს პირში საინტერესო ნივთი ედო და ამაყად მიყურებდა.

-პირში რა გაქვს?- შევუღრინე მე.

-ძვალი- შემომიღრინა იმან.

-მერე აქამდე ვერ გატეხე?

-ვერა, არ ტყდება... -შემომიღრინა მან.

-მანახე, მე გაგიტეხ- შევუღრინე ისევ მე.

-თავი გამანებე, ჩემი ძვალია!- გამიბრაზდა და დამიყეფა იმან.

-ნუ ჩხუბობ, მომეცი, გავტეხ.- აგრესიუულად დავუყეფე ისევ მე.

-არა, არ მოგცემ!!!- ისევ დამიყეფა იმან.

-როგორც ჩანს, ჩვენი ძაღლები ერთმანეთს ვერ ეგუებიან,- შეამჩნია ჩემმა პატრონმა.

-მოდი, ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს და ერთად ვისეირნოთ, ჩვენი ძაღლებიც მიეჩვევიან და დამეგობრდებიან , - გაიპრანჭა იმ ავი ძაღლის პატრონი წითელთმიანი გოგო.

-იმედია, მეტი აღარ გნახავ არც შენ და არც შენს უცნაურ პატრონს!- დავიყეფე ბევრჯერ და გაბმულად მე.

-არც ძვალი მინდა და აღარც ჯოხი! -დავიყეფე ისევ ხმამაღლა, მერე საყელო მოვქაჩე და ადრე რომ ვიცოდი, ისე თავქუდმოგლეჯილი გავარბენინე ჩემი სულელი პატრონი სახლში.

## უკუთხო ქვეყანა

როგორია უკუთხო ქვეყანა? სად არის უკუთხო ქვეყანა? სად არის ის ადგილი, სადაც არც კუთხეა, არც კედელი, არც კარები, არც საზღვრები და გზაჯვარედინები? ეს ადგილი მხოლოდ ჩემი წარმოსახვაა. ეს არის ადგილი, სადაც არავინ არ მზღუდავს და თავისუფლად შემიძლია ჩემი გრძნობების გამოხატვა. მე ვცხოვრობ უკუთხო ქვეყანაში და მე მიყვარს ეს ჩემი ქვეყანა.

## მე ვკითხულობ სხვის წერილს

ერთხელ პარკში ვსეირნობდი. მერე ხის სკამზე ჩამოვჯექი და ძირს დავიხედე. ჩემს ფეხებთან სათუთად დაკეცილი წერილი ეგდო. ავიღე, გავხსენი და წავიკითხე. საყვარელი წერილი იყო, პატარა გოგოს დაწერილი. ასოები ფერადი

ფანქრებით ჰქონდა გაფერადებული. წერილში საკმაოდ თბილი და სასიამოვნო სიტყვები ეწერა, მაგრამ ძირს რატომ ეგდო? ეტყობა, ვისაც ეკუთვნოდა ეს წერილი, გოგონას გრძნობებს არ იზიარებდა...

## ანგელოზი, რომელიც სიზმრებს იპარავს

მიუხედავად იმისა, რომ ანგელოზი ვარ, ხანდახან ვქურდობ და ძალიან მომწონს ეს საქმე. ერთი სული მაქვს, როდის დაღამდება, რომ სიზმრები მოვიპარო. თუ კარგი სიზმრების მოპარვა გინდა, ბავშვებთან უნდა მიხვიდე. ამას წინათ ერთი კაცის სიზმარი მოვპიარე და ვნახე. ეს რა იყო... სიზმარში იჯდა, ყავას სვავდა და ტელევიზორს უყურებდა. ისეთი მოსაწყენი იყო, კინაღამ დამეძინა. რატომღაც ყველა ზრდასრულ ადამიანს შავ-თეთრი და უინტერესო სიზმრები აქვს.

ბავშვებს კი პირიქით, არასდროს იცი, რა მოგელის! მათი სიზმრები ხმაურიანია, მხიარული და მუსიკალური. ისეთი ფერადი, რომ შეიძლება თვალებიც გეტკინოს. რა გითხრათ, არ გამკიცხოთ! მიყვარს ეს საქმე!

## სანამ დავიბადებოდი

სანამ დავიბადებოდი, ცაში მშვენიერ დროს ვატარებდი. ჩემს მომავალ მეგობრებთან ერთად ვქეიფობდი და მომავალ ფილმებს ვუყურებდი. ღმერთს თუ ეცალა, მასთან ერთად პოკერს ვთამაშობდი, მაგრამ ცოტა მოსაწყენი იყო, რადგან ღმერთმა ყველა სვლა წინასწარ იცოდა, ამიტომ თამაშს აზრი არ ჰქონდა. ასევე, მშობლებს ვუყურებდი და ბავშვის ყოლის იდეებს ვუდებდი თავში.

*ნიკოლოზ ლომაია (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*12 წლის*

## მთის იქით

მთელი ცხოვრება მაინტერესებდა მთის იქით რა იყო. მეგონა, რომ  დიდი სიხარული იქნებოდა და იქ სულ ბედნიერი ვიქნებოდი . ბოლოს წავედი და მთის იქით ვნახე პატარა შენობა. რომ შევედი გავარკვიე, რომ შენობას ერქვა ლიტსახელესნო და იქ ბავშვები წერდნენ მოთხრობებს. ჯერ, გაბრაზებული ვიყავი, ვფიქრობდი,რომ  ამდენი ხანი ვეძებ ბედნიერებას და უბრალოდ ლიტსახელესნოსთან მოვედი.

მაგრამ იქ  სიარული რომ დავიწყე,  ნელ-ნელა მივხვდი, რომ ის სიხარული, რომელსაც ვეძებდი, ლიტსახელესნო იყო.

## როგორ იღვიძებს თბილისი

მზე ბრწყინდება. შუქი ედება მიწას. ჩიტები ჭიკჭიკებენ. ბავშვები მიდიან სკოლაში, მშობლები კი - სამსახურში...

ძლივს გაიღვიძა თბილისმა.

## ძაღლის ამბავი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ჩემსავით მეგრელი ძაღ-ლი. ცუდი პატრონი ჰყავდა, წესიერად არც აჭმევდა, არც ეთამაშებოდა და ყველაფერზე ეჩხუბებოდა. მეგრელი ცუგა ძალიან  მოწყენილი იყო.  ერთ დღეს საიდანღაც გემრიელი სურნელი იგრძნო: მწვადის, კუპატის, ხაჭაპურის, ფხალის... ცუგა წამოხტა და ამ გემრიელ არომატს სირბილით გაჰყვა. სურნელი პატარა სახლიდან მოდიოდა, რომელშიც მოხუცი კაცი ცხოვრობდა. კაცი ძველი მზარეული იყო და ახლაც საზეიმოდ ტრიალებდა სამზარეულოში. კაცმა მის კართან ატუზული მეგრელი ცუგა რომ დაინახა, ჯერ შეეშინდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ძაღლი საშიში არ იყო და ცოტა აჭამა.

ძაღლს მოეწონა კაცი და უფრო და უფრო ხშირად მიდიოდა მასთან. ერთ დღეს ძაღლი უკან აღარ გაბრუნდა, ის დარჩა. კაცსაც ძალიან შეუყვარდა და დაიტოვა.

## ის რაც კარგია

ბებოზე უკეთესი არაფერია:
ბებო საუკეთესო შეფია,
ბებო მზეზე თბილია და
შოკოლადზე ტკბილია.

## სახინკლე ცაში

როცა ზამთარი იწყება და ჩიტები თბილ ქვეყნებში მიდიან, ისინი ისვენებენ სახინკლეში. მაგრამ ეს ჩვეულებრივი სახინკლე არ არის. ის ცაშია! ეს სახინკლე ხინკალთან ერთად სხვა უგემრიელესი კერძებითაა სავსე, როგორიცაა: ფხალი, მწვადი, ღომი, ლობიანი და ხაჭაპური. ადამიანები ამ სახინკლეს ვერ ხედავენ, რადგან ის ღრუბლებშია მიმალული.

## გაზაფხული

გაზაფხულს მოაქვს სიმწვანე და სითბო. ის ზამთრის ცივ დღეებს ათბობს.

*ნიკოლოზ ნაფეტვარიძე (ელენე ლორიას ჯგუფი)*
*10 წლის*

### გაცნობა

ერთხელ მე და ჩემი მეგობრები ვთამაშობდით ფეხ-ბურთს. ვიღაცა ბიჭმა გვთხოვა, მეც მინდა თქვენთან თამაშიო და ჩვენც ვათამაშეთ. წააგო იმ ბიჭმა და ძალიან გაბრაზდა. მე ვუთხარი, წაგება და მოგება ძმები არიან მეთქი და ერთ-მანეთი გავიცანით.

### ამბავი

ერთხელ პატარა ლეკვი ვიპოვნე. სახლში წავიყვანე, დავიტოვეთ. მოვუარე, დავბანე, ვაჭამე. კიკვიძის პარკში წავიყვანე . დიდი რომ გაიზარდა, ცუდად გახდა და მოკვდა. ახლა გავიხსენე ჩემი ძაღლი და მომენატრა.

### ზამთრის პეიზაჟი

გავიღვიძე, ფანჯარაში გავიხედე და თოვდა. გარეთ გავედი, ჩემს ძმასაც დავუძახე და ბევრი ვიგუნდავეთ. თოვლის კაციც ავაწყვეთ. მერე სახლში შევედით, მე, ჩემმა ძმამ და ჩემმა დამ სახლი მოვრთეთ,ტკბილეული მოვამზადეთ. ამასობაში ახალი წელიც დადგა და თოვლის ბაბუმ საჩუქრები მოგვიტანა. ძალიან გაგვიხარდა.უკვე მთელი ეზო და სახლი თეთრი იყო..

### დაკარგული ნივთების ქვეყანა

ერთხელ ვმეცადინეობდი მათემატიკას. გავედი წყლის დასალევად, რომ მოვედი მათემატიკის წიგნი არ იდო. ვეძებდი და ვერ ვიპოვნე. უცნაური იყო. დავდე ჩემი საათი და ვუყურებდი. შემდეგ, ხელი დავადე და მეც გავქრი. დავინახე ჩემი ნივთები, ავიღე. მერე დავფიქრდი, როგორ დავბრუნებულიყავი სახლში. ცოტახანს დავრჩი, დავათვა-ლიერე. ლამაზი იყო იქაურობა. მერე რაღაც პორტალი გაიხსნა, შევედი და სახლში მიმიყვანა.

*ნიკოლოზ ჩხიტუნიძე*
*12 წლის*

## როგორ გაირიჟრაჟა

როგორ და ლამაზი ჭრელა-ჭრულა მზე ჩაეხუტა ფაფუკ დედამიწას და უთხრა: დილა მშვიდობისა!

## ზამთრის დილა

ზამთარია. მშვიდი ფიფქები ნელ-ნელა ეცემიან დედა-მიწის თხელ, გრძელ გარეკანს.

## შემოდგომის კინოკადრი

შემოდგომაა, ფოთლები ხეს ემშვიდობებიან, ემზადებიან დასავარდნად, მაგრამ ერთ ფოთოლს არ უნდა განშორება და დარჩა. ასე სხვა ყველა ფოთოლი ძირს დაცვივდა, ის კი მარტოა, სევდიანია, დავარდნა უნდა, მაგრამ ვეღარ ვარდება.

ელოდება გაზაფხულს, რადგან თავის მეგობრებთან ერთად ყოფნა უნდა.

## სარეცხი, რომელიც დროშასავით ფრიალებს

მეზობლის აივანზე დიდი გაშლილი კაბა თავისთვის ბურტყუნებს და გმობს ზამთარს:

-ოხ, ეს ზამთარი, როგორც კი დგება, მაშინვე ყინულები მოჰყვებიან და მყინავენ. ესენი რომ არა, მე ვიქნებოდი ყვე-ლაზე ლამაზი კაბა!

შემდეგ სარჭს დასცინის კაბა და სარჭი ამბობს: შენ ეგ სიტყვები უკან დაიბრუნე, თორემ პირს გაგიშვებ, და დაგაგდებ. მერე კი შენ გახდები ყველაზე მახინჯი კაბა.

შემდეგ კაბა დუმს და მერე კი ჩუმად ამბობს:

-სიტყვებს უკან ვიბრუნებ.

## თებერვლის საყვარელი ამბავი

იანვარი მიიწურა. დადგა ლამაზი თებერვალი. ხეები ჩიტების მოლოდინში არიან. დიახ, აი იმ ჩიტების, რომლებსაც თავიანთი ბუდეები ხის კენწეროზე დარჩენიათ. ყვავილები მიწას უღიტინებენ - ეს აუცილებელია, რადგან ჩვენ ვიზრდებთო, - ამბობენ . ბუნება ცდილობს, გაიაზროს, რომ გაზაფხული მალე დადგება, გამოაფხიზლოს მკვიდრი.

დედა დათვი თოვლს უბერტყავს თავის ორ პაწია ბელს. ყველა ზამთარს აცილებს და ემზადება გაზაფხულისთვის.

## ჩაშაქრებული მურაბებივით ტკბილი ზამთარი

ზამთარია. ჟრიამული ისმის. ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ, დედას ტონა საქმე აქვს. ელფებს პიკი საათი აქვთ. ასაფეთქებლების ხმა ისმის. ბავშვები გუნდაობენ.

თეთრ საბანში გახვეული მთები ნისლს ერიდებიან. ყოველ ზამთარს ერთი წლის წინანდელი მოგონებები ახსენდებათ, თუ როგორ სრიალებდნენ თხილამურებით ბაკურიანის დიდ თოვლში.

ჩემი აზრით, ზამთარი ყველაზე კარგი წელიწადის დროა.

## რას ფიქრობს სახურავზე შერჩენილი ბურთი?

ბურთს იმედი გადაეწურა და მოიწყინა.

## ექვსშაბათი

ექვსშაბათს კინოში გავიპარეთ. ექვსშაბათი განსაკუთრებული დღეა. ის არის მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ, 29 თებერვალს. ამ დღეს ადამიანები ცდილობენ წავიდნენ სადმე საინტერესო ადგილებში ან რამეს უყურონ ერთად. ზოგი კინოში ან ოპერაში მიდის. მეექვსე კლასელი კი ექვსშაბათს კინოში მეგობრენთან ერთად გაატარებს. მე და ჩემი კლასელები კინოში წავედით. წესიერად კი არ წავედით, რომ დედები ან მამები გაგვეფრთხილებინა, არამედ

სახლიდან გავიპარეთ. მშობლებს კი წერილები დავუტოვეთ. კინოდან სახლებში ვბრუნდებით. გვხვდებიან გაცეცხლებული მშობლები, დაგვაყრიან უამრავ კითხვას და ერთ კვირას აგვიკრძალავენ გარეთ მარტო გასვლას. თენდება ორშაბათი დღე. მე და ჩემი კლასელები მივდივართ სკოლაში. შემდეგ მოვდივართ და ძალიან გვშურს იმ ბავშვებისა, რომლებიც გარეთ მხიარულად თამაშობენ.

## ციყვი

ციყვი შეძვრა ფუღუროში და აღარ გამოჩენილა. მოსაღამოვდა, ციყვი ხიდან ხეზე ხტება, თავის სახლში მიდის. უცებ სროლის ხმა მოისმა. გულგახეთქილი ციყვი ხიდან ჩამოვარდა. სახლისკენ მთელი სისწრაფით მოკურხლა. მივიდა ფუღუროში, შევიდა, ჩაკეტა კარი და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

*ნიკუშა ძაძამია*
*16 წლის*

## ყველა ადამიანი თავისუფალია (სანამ უმრავლესობაშია)

ცრემლივით მარილიანი ზღვის სუნი ყველა მცენარეს, ყველა ცხოველს, ყველა სოფლის მაცხოვრებელს კანში ჰქონდათ გამჯდარი, თუმცა ზღვა არავის არასოდეს ენახა. აქ ყველა თანასწორად ექცეოდა ერთმანეთს, არ იყვნენ ლიდერები, ბელადები, ღმერთები, ყველა ერთ საქმეს აკეთებდა: აშენებდენ ნავებს, სხვა არაფერი შეეძლოთ, არც იცოდნენ, თუმცა ნავის ნამდვილ ფუნქციაშიც ვერ გარკვეულიყვნენ; უბრალოდ, ტრადიციას მიჰყვებოდენ. ყველაფერს ნავის ფორმა ჰქონდა: ლოგინებს, სახლებს, ეტლს, სარწეველას და კუბოსაც კი. აქ დანაშაული არ ხდებოდა, შეცდომები არ მოსდიოდათ, შიშის სიმწარეც არ განუცდიათ და არც - სიხარულის. სოფელი ჯერ კიდევ ძველებურად ცხოვრობდა, სანამ ერთ დღესაც ტყიდან შიმშილისგან შელახული ტანსაცმელივით ჩამოკიდებული კანით, კლანჭებივით გაზდილი ფრჩხილებით, ადგილ-ადგილ შემორჩენილი კბილებით დედიშობელა მოხუცი მამაკაცი არ შემოვიდა სოფელში. ის მოაბიჯებდა ქუჩაზე, თან ურჩხულივით პირიდან ბოლს უშვებდა და ბუღს აყენებდა, ზღვის მარილიან სუნს რაღაცას მატებდა. მოხუცი გაკვირვებით უყურებდა ფერმკრთალ მოსახლეობას და რაღაც უცნაურ შვებას და ნეტარებას განიცდიდა. მას არ ადარდებდა თავისი სიშიშვლე, არ განიცდიდა, რომ ვინმე დასცინებდა ან შეიზიზღებდა.

პირველად შემოადგა სოფელში უცხო ადამიანმა ფეხი, პირველად განიცადეს აქაურებმა გაკვირვება, შიში. ყველას გულში უცნაური შეგრძნებები ტრიალებდა, თუმცა ამის გამომჟღავნების უნარი არ ჰქონდათ, არ იცოდენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ვერავინ ბედავდა პირველი ნაბიჯის გადა-

დგმას ან პირველი სიტყვის თქმას. მოხუცს სიცილი წასკდა ხალხის ურეაქცეობაზე. ის ბოლო ხმაზე ხარხარებდა და მაშინ შეამჩნია, რომ შიშველი იყო, რამაც უფრო გაახალისა და სიცილს მოუმატა. ერთ-ერთმა მოქალაქემ მოგროვებული გაზებივით თავი ვერ შეიკავა და სიცილი პირიდან უნებლიედ წასკდა. ახლა სიცილი ექოსავით გაისმა მთელ სოფელში. ერთ-ერთმა ქალმა მოხუცს ზეწარი შემოაფარა, მეორემ ბრინჯით სავსე მათლაფა გაუწოდა. მოხუცმა არ იცოდა, საიდან მოვიდა ან საით მიდიოდა. მას მარტო ღვთის სიტყვა ახსოვდა და წყალზე მოსიარულე მამაკაცზე ყვებოდა , რომელიც წყალს ღვინოდ აქცევდა. ყველა გაკვირვებული უსმენდა, თუმცა არც ზღვა იცოდენ, არც მისი სიღრმე და არც ღვინო. ამბავი კი შთაბეჭდილებას ახდენდა. მოხუცმა კანონები შემოიტანა, რა იყო სწორი და რა - არასწორი.

ცოდვა რა იყო, სოფელმა მანამდე არ იცოდა, ახლა კი მათ გულებში გაჩნდა ინტერესი, იფვეთქა პანდორას ყუთმა, თითქოს მოსწრებაზე იყო, ვინ პირველი განიცდიდა ახალ შეგრძნებას. დაიწყო შეჯიბრი, ვინ უფრო ემსგავსებოდა წყალზე მოსიარულე მამაკაცს. ინტრიგები ობობის ქსელივით იხლართებოდა, ობივით მოედო სოფელს შური.

ამ სოფელში ღმერთის დაბადებამ ღმერთივე მოკლა? არა. გარდა შეჯობრისა, ყველას გაუჩნდა გრძნობა, რომ არსებობს, რომ ცალკე ადამიანია და, ნავის შენების გარდა, შეუძლია რაღაც სხვა აკეთოს თავისი შეცდომებითა და მიღწევებითაც.

მაგრამ საქმე ამაში არ იყო, ყველას სხეულში ცალკეული სული დასახლდა , ზოგში - კარგი, ზოგში - ბოროტი. სიკვდილმა და დაბადებამაც აზრი შეიძინა.

მაგრამ დავუბრუნდეთ მოხუცსს, რომელმაც სოფელს თავისუფლება მისცა. მან თავისი მისია შეასრულა, ხალხს ღმერთი აჩუქა, ანუ არჩევანი, რომელმაც შეიძლება კარგი ან ცუდი გაგხადოს. მოხუცი საპატიო პირი გახდა, მას

განსაკუთრებულად ექცეოდა ყველა, თუმცა მოხუცი ამას თითქოს არც ითხოვდა, თითქოს ეს განსაკუთრებული მოქ-ცევა ერთადერთი სიმძიმე იყო, რაც მის ხორცს წვავდა და სულს ამძიმებდა. თუმცა ეს მისი გამოსაჩენი ცოდვების ფანჯარა იყო, რომელიც ვითომ შემოღებული დარჩა, რომ იქ სხვებს შემოეჭყიტათ და ის დაენახათ, რაც თავად მოხუცს სურდა. სინამდვილეში, სიღრმეში სულ სხვა ჭაობი იმალებოდა, სადაც ბოლომდე ჩაძირული ცოდვების კვნესა ისმოდა.

მოხუცს  სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებლის ცოლი ჩაუვარდა გულში და მოსვენებას არ აძლევდა. მისი გონება კაცის მიმართ სიძულვილით ივსებოდა და იბინდებოდა, კაცის ყოველ  ქცევაში ის დანაშაულს და ცოდვას ხედავდა. ის კი თავის შექმნილ სამყაროში ცოდვას ვერ დაუშვებდა. ამიტომაც, მან გადაწყვიტა მაგალითი ეჩვენებინა სხვებისთვის და კაცი დაესაჯა, კაცი სოფლიდან გააძევეს და ბავშვები ობლად რომ არ გაზრდილიყვნენ, კაცის ცოლი თავად შეირთო.

ღვთის კანონებს მოხუცის კანონები ემატებოდა, ღირსებას და ვაჟკაცობას შიში ცვლიდა, ნელ-ნელა წყალზე მოსიარულე ღმერთი მოხუცმა შეცვალა, ზღვის მარილიანი სუნი ოფლის სუნმა შეცვალა, გაძევებული ხალხის რაოდენობამ იმატა, თავისუფალი სულები ნელ-ნელა ყველას ჩამოერთვა, ჭეშმარიტება მხოლოდ ის იყო, რასაც მოხუცი იტყოდა, თავისუფალი სიტყვის უფლება ყველას ჰქონდა, ვინც მოხუცს ეთანხმებოდა.

ასეთ ჰარმონიაში ცხოვრობდა სოფელი, სანამ ერთ დღეს მოხუცმა ტანზე არ გაიხადა და სოფელი ისევ კისკისით არ დატოვა. მთელი სოფელი გლოვობდა, ყველამ ფუნქცია დაკარგა, აღარ იცოდენ, რა იყო ჭეშმარიტება და რა - არა.

ნელ-ნელა სოფელი ისევ ნავების კეთებას დაუბრუნდა, თუმცა ზღვა ისევ არასდროს არ ენახათ. ასე დასრულდა ეს

ამბავი. რას გაიგებ, მართალია თუ არა ეს ამბავი.

ეს ისტორია მეზობლის ძაღლმა მომიყვა, რომლის ერთი პატრონიც ღრმად მორწმუნეა, მეორე კი ათეისტი.

პ.ს. ჩემი ფსიქოლოგი ირწმუნება, რომ ჩემს ასაკში ცხოველებთან საუბარი სრულიადაც ნორმალურია.

## ეგრეც ხდება

ერთ ჩვეულებრივ დილას, როდესაც ქალაქი იღვიძებდა და მანქანის გამონაბოლქვით გაბრუებული ხალხი ცოტა ხნით ივიწყებდა ყოფით პრობლემებს, მირიან მირიანის ძე მარგალიტაშვილი ავტობუსში ძილს სიმურილებდა, რომ მის გვერდით მდგომი ჩანთებით დატვირთული ქალისთვის ადგილი არ დაეთმო. სწორედ ამ დროს დარეკა მისმა ტელეფონმა. ავტობუსის ხამაურში მას ცუდად ესმოდა, მაგრამ მირიანის სახის გამომეტყველებით მიხვდებოდით, რომ მას რაღაც მნიშვნელოვანი უთხრეს.

მირიანმა გადაწყვიტა ჩასვლა, ოსტატურად გაითამშა, რომ თითქოს ახლა შეამჩნია ქალი და ადგილის დასათმობად ადგა და არა იმიტომ, რომ ჩასვლას აპირებდა. მან გადალახა ავტობუსში ჩაჭედილი ხალხის ნაკადი, რომელიც ადგილიდან არ იძვრებოდა, გეგონება, ფესვები ჰქონდათ ავტობუსში გაშვებული. როგორც იქნა, ის ავტობუსიდან ჩამოვიდა. მირიანს გუგები ისეთი გაფართოვებული ჰქონდა, რომ მისი ცისფერი თვალები თითქოს წყვდიადმა გადაფარა. მას შეატყობინეს, რომ მისი საყვარელი დეიდა, რომელიც მთელი ცხოვრება მირიანის აღზრდით და სწორ გზაზე დაყენებით იყო დაკავებული და რომლის წყალობითაც მირიანი ორჯერ გამოსწორების გზას დაადგა - ერთხელ, როდესაც დეიდამ ქურდობაში დაადანაშაულა და დააჭერინა მისი თავი და მეორედ, როდესაც ფსიქიატრიულში აღმოჩნდა მისი წყალობით. სწორედ ამ დეიდის, ეკატერინეს სიკვდილის პირას ყოფნის ამბავი შეიტყო. როგორც ერთადერთმა

საყვარელმა დის შვილმა და მისმა ოფიციალურმა მემკვიდრემ. მას უნდა აეღო თავის თავზე მოსალოდნელი ტრაგედიის ხარჯები, რადგან შინაბერა ეკატერინე, რომელიც მთელი ცხოვრება ქონების დაგროვებით იყო დაკავებული და კაპიკს ვერ გააგდებინებდი, საკუთარი დაკრძალვის წინასწარ ხარჯებს არ გადაიღებდა. მითუმეტეს, რომ საკუთარი ნებით არსად წასვლას არ აპირებდა.

რადგანაც მემკვიდრეობის გადაცემის პროცესი იწელება ხოლმე, ფინანსურად არც ისე მყარად მდგომ მირიანს მოუწია ვალების აღება და დაკრძალვისთვის საჭირო ყველა პროცესის მოგვარება: მოელაპარაკებინა დამკრძალავ ბიუროსთან, ქელეხის მენიუ შეედგინა, სასახლე(კუბო) შეერჩია.

ჩამოურეკა ყველა იმ ნათესავს, რომლებიც მემკვიდ-რეობაში არ შეეცილეობოდანენ. მოუძებნა დანიშნულება ეკატერინეს იმ ფოტოს, როელიც ბავშობიდან აშინებდა, შეადგინა პირველადი სია, თუ რაში დახარჯავდა მემ-კვიდრეობისგან მიღებულ ქონებას. პირველი, რა თქმა უნდა, დაკრძალვისთვის აღებული ვალების გასტუმრება იქნებოდა.

ეკატერინეს საძინებლიდან გამოსულმა მღვდელმა და ექიმა საბრალო ეკატერინეს მაქსიმუმ რამდენიმე დღე მისცეს. მირიანი მზად იყო, რამდენი ხანიც საჭირო იყო, იმდენი ხანი დალოდებოდა დეიდის აღსასრუსა და მემკვიდრეობას.

ამ მოლოდინში მისდევდა დღე დღეს, კვირა - კვირას, თვე - თვეს.

პ.ს. დღემდე დეიდა ეკატერინეს ააქვს ყვავილები მირიანის საფლავზე.

## ამბავი

რესტორანი, სადაც ეს ისტორია მოხდა... ნუ, თუ შეგვიძლია მას რესტორანი უწოდოთ, რადგან ის ძველ მიტოვებულ ეკლესიას უფრო ჰგავს და საერთოდაც კი

არ ჰგავს, მართლა ოდესღაც ეკლესიის წამოწყებული მშენობლობა იყო, რომელმაც ახალი მფლობელის ხელში რესტორნის ფორმა მიიღო, იმიტომ კი არა, რომ ახალ მფლობელს ღმერთის არ სწამდა, პირიქით, ამ შენობის პოვნა მისთვის ღვთის საჩუქარი იყო, მაგრამ ასე ფიქრობდა მფლობელი და არა - ღმერთი ან განგება, ან ბედი (ვისაც რა უნდა, იმას უწოდებს).

მფლობელი ზურა  მუშებთან ერთად ორ თვეს აშენებდა რესტორნის საყდენ კედელს, მაგრამ სასმლით გატანჯულებს ვერ მიჰყავდათ საქმე ბოლომდე. ზურამ გადაწყვიტა, სიტყვით გამოსულიყო, ნამუსზე აეგდო მუშები და თანაგრძნობა გამოეწვია მათში. მთელ დღეს ცხვირწინ დროშასავით უფრიალებდა თავის მშიერ შვილებს, ერთ-ერთ მუშას ცრემლებიც კი მოადგა, ვეღარ გაუძლო ბავშვების ფრიალს, რადგან პახმელია აწვებოდა და თავბრუ ესხმოდა. იდეამ გაჭრა. დილას კედელი აშენებული იყო, მაგრამ ზურაბი აღარ ჩანდა, რა ბედი ეწია ზურას არავინ  იცის, თუმცა მას შემდეგ ამ ადგილს რესტორანი „სურამის ციხე“ ეწოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სულ სხვა მხარეს მდებარეობდა.

ადგილი, სადაც რესტორანი იდგა, დღემდე არაა დატანილი რუკაზე, ოკუპანტებიც კი შორს იჭერენ მისგან თავს, მცოცავი საზღვარი სულ უფრო შორს იწევს ამ ადგილიდან, ამიტომ ბევრი სტუმარი რესტორანს არ ჰყავს. იქ დღემდე ზურაბის შვილი, ზურა და შვილიშვილი ზურა უმცროსი მუშაობენ…

მაგრამ ეს ისტორია, რომელიც დავიწყე, მათზე არაა.

ეს ამბავი დაკარგულ ტურისტზეა, რომელიც დაიკარგა და შემთხვევით ამ რესტორანში აღმოჩნდა. პრინციპში, მეტი საინტერესო არაფერი არაა.

პ.ს., ზურაბი კედელში არ ჩაუყოლებიათ, ის რუს საყ-ვარელთან ერთად მოსკოვში გაიქცა.

*ნუცა სანებლიძე*
*14 წლის*

### მტვრიანი შავი პარკი, რომელიც ფრენაზე ოცნებობს

ცას რომ ვარსკვლავი მოსწყდა, პარკმა თავისთვის, ყველასათვის უწყინრად, გაიფიქრა: ნეტა, ფრენა შემეძლებოდესო. ვარსკვლავმა თქვა: ნეტა რითია პარკის ოცნება სხვისაზე ნაკლებიო და მის საშველად ქარი გაგზავნა. ქარმა პარკს არ აწყენინა და ზურგზე შემოისვა. იფრინა, იფრინა პარკმა და როდესაც ამდენი ხნის ოცნება ბოლომდე აისრულა, ისევე ძირს დაეშვა. ახლა უკვე მშვიდად. ბევრმა იწუწუნა, ამ გაზაფხულის თბილ და ნარნარა დღეს ერთი პარკის გამო რატომ უნდა შეგვაციოთო. თუმცა პარკს, რომელმაც ცხოვრების ის ცარიელი ნაწილი უკვე ბოლომდე ამოივსო, მათი აზრი ოდნავადაც არ აწუხებდა.

### ტროტუარზე გდია ვიღაცის ქუდი და ფიქრობს

ტროტუარზე ქუდი გდია. იმ მუსიკოსებს დარჩათ, დღე-ღამე გაუჩერებლად რომ უკრავენ და არცერთ გამვლელს რომ არ ტოვებენ ქუდის გაუწვდენელად. გდია ეს ქუდი და შიგნით იმდენი მონეტები უყრია, იფიქრებ, განგებ დატოვეს, იმიტომ, რომ მძიმე იყოო. გდია შესაცოდი, ქარიც კი სანატრელი გაუხდა, მაგრამ ქარი რას მოერევა? გდია და ფიქრობს, უკვე ქურდებსაც ელის, იქნებ ცოტაოდენი მონეტა მაინც ამაწაპნონო, მაგრამ აღარავინ მოჩანს ქალაქის ბნელ ქუჩებში. გდია ქუდი და ახლა უკვე ესიზმრება, როგორ დაფარფატებს გრილ სიოში თავისუფლად.

### სარეცხი, რომელიც დროშასავით ფრიალებს

ძლიერმა ქარმა წამოუბერა. გარეთ გადმოკიდებული ზეწარი ჯერ აფრიალდა, შემდეგ აკაკანდა: მე ამ სახლის სიბრძნე და სიამაყე ვარ, ვფრიალებ ამაყად. ამ სახლის

სიმბოლო ვარ! გვერდიდან ბალიშისპირი გამოუხტა, გაიბერა და დაიღრიალა: ვითომ შენ რატომ? რა, მე შენზე ნაკლებად ვფრიალებ? მეორე გვერდიდან გადასაფარებელი კიდევ უფრო დიდზე გაიბერა და ისე დაიღრიალა, გული გაგისკდებოდა: მე ვარ ამ სახლის სიმბოლო, მე ვფრიალებ ყველაზე კარგად!

ასე ატყდა კამათი და უწმაწური სიტყვების სროლა სარეცხს შორის, რომელიც არადა არ მთავრდებოდა. ყველას ყელში ამოუვიდა, ქარმაც მოგლიჯა სარეცხის თოკს ის უსირცხვილო სარეცხი. ახლა ვერც ვეღარავინ ღრიალებდა და ვერც ვეღარავინ ფრიალებდა. აივნის საყრდენზე გადმოდებულმა ლეიბმა კი თქვა: შეიძლება მე ვერ ვფრიალებდე, მაგრამ არც მიღრიალია და არც ძირს ვაგდივარ!

## ერთხელ ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა

სამყარო რომ იქმნებოდა, ცას ჭუჭრუტანები ამოუჭრეს, ზოგი დიდი, ზოგი კი პატარა. ამ ჭუჭრუტანებში ხან მზეს სვამენ, ხან მთვარეს, ხანაც ვარსკვლავებს, ცაზე მეტი რამ არც გვეგულება, გარდა გაბრაზებული ღრუბლებისა , რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ჭუჭრუტანები სულაც არ სჭირდებოდათ და როცა მოუნდებოდათ, მაშინ გადაფარავდნენ მზესაც, მთვარესაც და ვარსკვლავებსაც.

## 30 თებერვლის ქვეყანა

ჩემი აზრით, 30 თებერვალი იმიტომ არ არსებობს, რომ ყველას ეჩქარებოდა გაზაფხულის მოსვლა. გაგიუდნენ, როდემდე უნდა გავიყინოთო. იები გივნდა, ნუშის ხეები, ის არეულ-დარეული ამინდებიც არ გვეზარებაო. ასე წავგვივიდა 30 თებერვალი. მეტს რომ ვეღარ გაუძლო. ძალიანაც არ უნდოდა, ამიტომაც გადაწყვიტა, სულ მთლადაც არ წასულიყო. დაარსდა 30 თებერვლის ქვეყანა, რომელიც სადღაც ყოველი ჩვენგანის გონების სიღრმეშია.

განა ეგოსტია. უბრალოდ, ხალხს გაზაფხული რომ მობეზრდება, მაშინ მოვალო. ნეტა, თვითონ თუ სჯერა, რომ ეს ოდესმე მოხდება?

## ძილის წინ რომ გამახსენდება

ძილის წინ ყველაფერი უცნაურობა რომ ამომიტივტივდება გონებაში, კარგი, მაგრამ ნეტა ის რაღა იყო, მთელი ღამე იმაზე რომ ვფიქრობდი, თუ როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, ცა რომ ვყოფილიყავი - მთელ სამყაროზე გადაკრული, უზარმაზარი; მთელ ცხოვრებას ჩემსავით უზარმაზარი ძირის ძებნაში გავატარებდი. ყველა პლანეტა იმას იფიქრებდა, მე ვარ ცის ძირიო. მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან რომ გადმოეხედათ, გული გაუსკდებოდათ - ცა არის ჩვენი ძირიო. ალბათ მეც მექნება ძირი.

დაბლა, ქვევით, სიბნელეში, მე რომ ვერ ვხედავ, მაგრამ რომ ვუყვარვარ და მეც მიყვარს.

## ყველას თავისი ბედი აქვს

ადრე, პატარა რომ ვიყავი, ერთი ქუდი მქონდა - მოქსოვილი იყო, მე თვითონ მოვიქსოვე, მაგრამ ყველა ნორმალური ადამიანივით დასახურად კი არ მომიქსოვია, ის იმისთვის მოვქსოვე, რომ შიგნით ჩემი სკოლის შპარგალკები დამემალა. ტესტის დღეებზე ვიხურავდი. კლასელებიდან ყველა მე მომაჩერდებოდა - ერთი შპარგალკა ჩამომიღე მაინცო. ჩემი ქუდიდან ჩამოღებული მთელ კლას შემოტარებული შპარგალკა ბოლოს აღარაფრად ვარგოდა. განა ქუდი ვარგოდა? რომელი მქსოველი მე ვარ, მაგრამ იმდენად შეგვიყვარდა მთელ კლასს, რომ გადავწყვიტეთ, ცხოვრების ბოლომდე შეგვენახა.

ალბათ ყველა ნივთს თავისი ბედი აქვს. ნუ, იმასაც გააჩნია, შენ ამ ნივთს როგორ გამოიყენებ.

*სალომე მაისურაძე*
*13 წლის*

## სიმშვიდე

მშვიდი და ბნელი დღე იყო. ღრუბლები რატომღაც ბოღმით იყვნენ სავსე, მაგრამ არ ტიროდნენ. სახლიდან გარემოს ცქერას გარეთ გასვლა ვამჯობინე. ჩემს ქუჩას რომ გავცდი, არავის ხმა აღარ ისმოდა, იქ თითქოს მარტო მე ვიყავი და არ ვიცი მომწონდა თუ არა. წინ დიდი აღმართი დამხვდა გასავლელი და ცოტა ნაბიჯს შევუნელე, სწრაფად რომ მევლო მალე დავიღლებოდი. აღმართის ბოლოდან თითქოს რაღაც მეძახდა, უფრო და უფრო იზრდებოდა, მკვეთრი წითელი და კაშკაშა მწვანე ხდებოდა. ინტერესი და იქ ასვლის სურვილი იზრდებოდა და იმის ფიქრში თუ რა დამხვდებოდა იქ, ავაღწიე. დამხვდა ნამიანი ბალახით (რომელიც ირხეოდა) დაფარული პატარა მინდორი და მათ ორის ერთადერთი გაშლილი ყაყაჩო. თითქოს, ეს ყაყაჩო ყველა ბალახს მოწონდა და ჩხუბობდნენ მისთვის. შავი ღრუბელი უფრო და უფრო ჩამოწვა და უჰაერობა გაიზარდა. ღრუბლებზე ასვლა მოვინდომე და ჩხუბში ჩართული ბალახი ფეხსაცმლით გადავთელე და ყაყაჩოს გვერდზე ავუარე. ის ისევ ზევიდან დაჰყურებდა ბალახებს და გადათელილებზე ჩაიცინებდა ხოლმე. თითქოს საკუთარი სილამაზით და გამორჩეულობით ამაყობდა. ავუარე მცენარეების სასიყვარულო ისტორიას და ავაბიჯე ღრუბელის გამოწვდილ ხელზე. დაიძრა ხელი და სხვა ღრუბლებს უფრო ვუახლოვდებოდი. რატომღაც ნაზი, ქათქათა ღრუბლები მიძლებდნენ და არ ვვარდებოდი. იქ ყველაფერი თეთრი იყო, მაგრამ საერთოდ არ იყო მოწყენილობა. ყველა თამაშობდა, მაგრამ რომ ვუახლოვდებოდი თითოეულს, ქრებოდა. დავიბენი, მაგრამ ყველაზე ბედნიერი ვიყავი. უეცრად სწრაფად მომავალ მატარებელს მოვკარი თვალი,

სადაც ხალხი ისხდა და ყველა ძალიან ბედნიერი იყო. ჩემთან გაა ერა. შევედი ვაგონში. მატარებელში ყოველ გაჩერებაზე ვიღაც ბედნიერი შემოდიოდა. ფანჯრიდან მხოლოდ სითეთრე ჩანდა და უცბად მატარებელმა დაბლა ჩაუხვია. თვალი რომ გავახილე, ბალახში ვიწექი და პატარა ადგილიდან გამოჭყეტილი მზის სხივი დამყურებდა.

## ყველას თავისი ბედი აქვს

ზოგი ფიქრობს, რომ ყველაფერს ბედი წყვეტს, ზოგი კი ფიქრობს, რომ ყველაფერს შენ წყვეტ, ანუ შენი ქცევა და მოქმედება, როგორ განსაზღვრავ ყველაფერს. იმას ნამდვილად შენ წყვეტ, მიიღებ განათლებას თუ არა და ბედს ენდობიანსაერთოდარიდარდებმომავალზე,ანთავსმოუვლი და იმედი გექნება, რომ მეტ ხანს იცოცხლებ, თუ გაინადგურებ თავს და არ იდარდებ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. და შენ არ წყვეტ, ქუჩაში რომ გახვალ, საიდან ჩამოვარდება რამე და დაგეცემა ან საიდან გამოვარდება მანქანა და გაგიტანს. ზოგი შეიძლება თავს უსაზღვროდ უფრთხილდებოდეს და მალე დაიღუპოს ან საერთოდ არ უვლიდეს თავს და ბევრზე დიდხანს იცოცხლოს, ანუ ვერ ვიტყვი, ბედზე უნდა იყო დამოკიდებული, თუ შენით სცადო შენი ბედის კონტროლი. არცერთია ისეთი, რომ დამოკიდებული იყო, ვერც იმას გადაწყვეტ, როდის რომელს ენდო, ნებისმიერ დროს შეიძლება რომელიმემ გაამართლოს.

## ნაყინი

ერთხელ, ლიტ სახელოსნოდან წასვლისას თავისუფ-ლებაზე ავედით ჩამოსასხმელი ნაყინისთვის. რაც ჩვენ მაგისთვის ვიწვალეთ, არ ვიცი, ღირდა თუ არა. ჯერ მეტ-როდან ამოსულები ვფიქრობდით, თუ იქნებოდა ეგ ნაყინი. გავიხედე აქეთ-იქით და ვერაფერი დავინახე. რატომღაც გადავწყვიტეთ, რომ არანაირი ნაყინი შენობის გარეთ არ შეგვხვდებოდა, ასე რომ, გუდვილში ჩავედით და ვიყიდეთ

რაღაც ნაყინი. ამოვედით დაკრეჭილები და გარეთ რომ გავედით, ღიმილი საკმაოდ სწრაფად გაქრა: მშვენიერი სანაყინე დაგვხვდა. ნაყინი ფაფასავით გადავყლაპეთ და ეხლა ვფიქრობდით, ფული საიდან გვეშოვა. ბევრჯერ დავრეკეთ დიდებთან და ბოლოს მაინც ვიშოვეთ ფული. შევედით სანაყინეში და თურმე ყველაზე პატარა ვაფლში შერეულს არ ასხამდნენ. ბანანის და მარწყვის ავიღეთ და ნახევრად ბედნიერები გამოვედით.

უკვე წვიმა წამოსულიყო, შევეფარეთ სადღაც და ვჭამდით. სამწუხაროდ, წყალს დავლევდით თუ მაგ ნაყინს შევჭამდით, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, უბრალოდ, წყლით იაფად გამოვძვრებოდით.

დღეს წავედით მეგობრისთვის საჩუქრის საყიდლად და ბოლოს გაგვახსენდა ის ამბავი. გავემართეთ სანაყინისკენ. პირველივე წამებში მენაყინემ ისეთი თვალით შემომხედა, ხმა ამიკანკალდა. მერე ისეთი ხმით მითხრა, ყველაზე პატარა ვაფლით მეტი ღირს, ვიდრე თქვენ გაქვთო, რომ საერთოდ სურვილი გაგვიქრა. უკან გავბრუნდით და ვიღაც გოგო გვეძახდა: მოდით, დაგიმატებთო. თავი გავიგიჟეთ, არ გვინდაო. საბოლოოდ, მოვახერხეთ და მეორე სართულზე ვიყიდეთ, დავსხედით და ჭამა დავიწყეთ. უკვე თითქმის ავტობუსის გაჩერებამდე მისულებს გაგვახსენდა, რომ საუჩქარი იქ დაგვრჩა. ესეც იმიტომ, რომ იმაზე ვიყავით გადართულები, იმ გოგოსთვის გვეჩვენებინა, რომ ნაყინის სურვილს არ გადაუივლია ჩვენთვის.

### ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა (1)

მოულოდნელად ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა. ცის მიღმა ყველამ სხვადასხვა რამ დაინახა. ზოგმა უფრო კაშკაშა ვარსკვლავები, ზოგმა - პლანეტები. მე რატომღაც კიბე დავინახე, რომელიც ერთი მხრიდან ჩანდა, მეორე მხრიდან შეხედვისას ქრებოდა.

საქმე ის არის, რომ ორი გზა მაქვს წინ, არ ვიცი, რომელს გავყვე.

## ცას ჭუჭრუტანა გაუჩნდა (2)

ცაზე გადაფარებულ შავ გაყინულ შუშას ანგელოზებმა ფრთა მოარტყეს და გატეხეს. ნამტვრევები მათი კისკისით გაღვიძებულმა მზემ გაადნო და გაზაფხულის წვიმით მოვიდა აქამდე, ბალახი ააღაჟღაჟა. ანგელოზებმა დაიწყეს ფუსფუსი და ხეებს სამკაულებს ურჩევენ, ყვავილებს ფოთლებს უღებავენ, ღრუბლებზე დახტიან და მანათობელი სახით მთლიანი ცა გადაათეთრეს.

ძაღლები ბუზღუნებენ, მაინც და მაინც სადარბაზოს უნდა შეაფარონ თავი, მაგრამ მაინც უხარიათ. ბებო გაფენს თუ არა სარეცხს, აკრეფა უწევს.

მოკლედ, როგორც იქნა, ქვედა და ზედა სამყარომ ერთმანეთს თვალებში შეხედეს.

## ლომი რომელიც ფიქრობს, ადამიანი რომ იყოს, როგორი იქნებოდა

ზოოპარკის გალიაში დამწყვდეული ლომი არცერთ გამვლელს თვალს არ აშორებს, აცქერდება და უყურებს. რაზე ფიქრობს, მათი შეჭმა უნდა? შურს მათი? თუ განსჯის ყველას და ფიქრობს, თვითონ რომ ადამიანი იყოს, როგორი იქნებოდა.

რატომ უნდა უნდოდეს ლომს ადამიანობა? თუმცა, რატომ არა? მთელი ცხოვრება აკონტროლებენ. როცა თვითონ უნდათ, აჭმევენ, როცა უნდათ, ასმევენ, სადაც მოუნდებათ, აწანწალებენ და რასაც უნდათ, უზამენ. ვინ სჩადის ამას თუ არა ადამიანი!

მაგრამ რატომ არ უნდა, რომ თავისუფალი ლომი იყოს, ანდაც, ხომ იცის, რომ ცხოველთა მეფეა, რაღა ადამიანობა მოუნდომებია? ალბათ ფიქრობს, მე ყველა ცხოველს თავისუფლებას მივცემდიო. მაგრამ სინამდვილეში, არა მგონია, ასე ყოფილიყო...

*სანდრო ახვლედიანი*
*15 წლის*

## სახლიდან გამოქცეული ძაღლი

შავი, ოდნავ მოყავისფრო რექსი პატარაობიდან თავის პატრონთან, ლიზისთან, იყო. ეს წლები მისთვის ყველაზე მაგარი და მნიშველოვანია. 5 წლისაც კი არ იყო რექსი, რომ ლიზის მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და ძაღლი მამას შერჩა. დიდხანს ითმენდა მის სიბოროტესა და ძალადობას და ბოლოს და ბოლოს გაიპარა. გარეთ ისე ციოდა, რომ კინაღამ გადაიფიქრა და შინ წასვლა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, დაიკარგა, ეგონა, რომ სრულიად სხვა ქვეყანაში მოხვდა. პირველი ორი დღე სულ მშიერმა გაატარა, ბოლოს და ბოლოს, დაინახა 3-4 გოგონა, რომლებიც სხვა ძაღლებს აჭმევდნენ. იმედი მიეცა, მაგრამ ბოლოს სრულიად გაუცრუვდა - ძაღლები ლიზის მამაზე უფრო მკაცრები და ღორები იყვნენ; დაკლავდნენ, რომ ერთი ნამცეცი შეეჭამა. გადაწყვიტა, ვინმე სხვა ეპოვა, გაიხედ-გამოიხედა და მისი ძველი პატრონი, ლიზის მამა, დაინახა ძალიან დამწუხრებული. ლიზის მამა ხომ ძალზე უზრდელი და მკაცრი იყო, მაგრამ ეს ძაღლი ბოლო რამ იყო, რაც მისი შვილისგან დარჩა და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ასე განიცდიდა ძაღლის დაკარგვას. ასე რომ, ატირდა, რექსი ისევ რომ დაინახა.

ძაღლი პატრონს დაუბრუნდა.

## ნახატში

ვიყავი ჩემს ლოგინში დაღლილი, ვცდილობდი, დამეძინა იმის მერე, რაც ამ ნახატისთვის იმხელა რიგში ვიყავი, რომ მეგონა, მთელი ქალაქი იქ იდგა. ჩემი ლოგინის გვერდით კედელზე ჩამოვკიდე. ჩარჩო არც ისე გამძლე გამოდგა, მაგრამ ცოტათი მაინც გაუძლებდა. უცბად დავარდნის და გატეხვის ხმა გავიგე, დავიხედე და ვხედავ, რომ ახალშეძენილი ნახატი

ძირს გდია. ლოგინიდან გადმოსვლა დავაპირე, მაგრამ შემთხვევით ნახატს ფეხი დავადგი. ვიგრძენი, რომ სურათი მისრუტავდა შიგნით. შიშისგან გავითიშე. გონზე რომ მოვედი, გამიკვირდა, ვერ მივხვდი, სად ვიყავი, აქ როგორ მოვხვდი და ასე შემდეგ... ვცდილობდი, გამეხსენებინა, რაც მოხდა. ჩემს თავს კითხვებს ვუსვამდი: გამიტაცეს? ძილის დროს ხომ არ დავიწყე სიარული? დავწყნარდი, გარემოს დავაკვირდი. რაღაცას მახსენებდა, მაგრამ არ მახსოვს, რას. ბოლოს და ბოლოს, მივამსგავსე ნახატში დახატულ ხედს, ფერებს და სილამაზეს. ისეთი კარგი იყო, იქ დავჩი.

## კიბე, რომელიც ცასთან შეხვედრაზე ოცნებობს

ყოველ ოთხშაბათს მივდივარ მათემატიკის მასწავლებელთან, იგი ცხოვრობს მაღალ 8-სართულიან კორპუსში. იქ ლიფტი არაა, ამიტომაც კიბეებით ასვლა მიწევს. ყოველ ჯერზე რომ ავდივარ, მესმის კიბეების ხმები, როგორ ოცნებობენ ზემოთ, ცაში, ასვლას, რომ ლამაზი პეიზაჟით ღრუბლებითა და ცისფერი ცით დატკბნენ. რაც უფრო ზემოთ ავდივარ, ეს სურვილი მით უფრო უძლიერდებათ, მაგრამ მე სანამ მერვემდე ავალ, მეშვიდე სართულზე ვჩერდები და ვერ ვგებულობ, რითი მთავრდება მათი ოცნება.

## ბებერი ბუ

ზოგადად, ბუები მშიშარა ფრინველები არიან, მათ დაიანახავ თუ არა, მაშინვე გაფრინდებიან დასამალად. ერთი გამორჩეული არსებობს, აგერ ორ კვარტალში. ბებერი, მთასავით ბუ თავისთვის ზის და ნორმალური ადამიანის ცხოვრების ციკლს მისდევს - იღვიძებს, წავა, თავის საყვარელ ტოტზე ჩამოჯდება, გვერდზე არა მარტო წყლის წყარო აქვს - ფოთლებზე დარჩენილი წვიმის წვეთები, არამედ საჭმლისაც, გამორჩეულ წერტილს ნახავს და მას უყურებს დღის ბოლომდე.

## როიალა

უბნის სამფეხა ძაღლი როიალა, რომელსაც მეზობლის ხალიჩაზე წოლა და კატებთან ჭორაობა უყვარს (მაისასთან და ბრაუნისთან), ისეთი აფერისიტია, რომ თუ დაინახავ დაწოლილს და გვერდზე ჩაუვლი, ჩუმად შემოგხედავს და მაქსიმალურად ცდილობს, მძინარედ მოგაჩვენოს თავი. თუ ვინმე მას მიუახლოვდება, გადატრიალდება და ანიშნებს, ღიპი მომიფხანეო. დიდი სიამაყით აცხადებს თავის ენაზე: „მე როცა ოთხი ფეხი მქონდა, კატას ავასწრებდი ხეზე აძრომაშიო". როცა მეზობლები დაინახავენ მას, ამბობენ: „ეს რა მსუქანი ზღარბი წევს კარების ქვეშ".

*სანდრო ბურჭულაძე*
*14 წლის*

## გასაღები მდინარეში

სახლში მივდიოდი, როდესაც მდინარეში გასაღები დავინახე, შევეცადე, ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ მისმა ბრწყინვალებამ მომხიბლა. როდესაც დავაკვირდი, მივხვდი, რომ ის სხვადასხვანაირი ქვით იყო შემკული. გავიფიქრე, ოქრო ხომ არ არის-მეთქი და მდინარეში დაუფიქრებლად გადავხტი, გავცურე რამდენიმე მეტრი და ბოლოს და ბოლოს გასაღები ხელში ჩავიგდე. აღელვებული, ჩქარი ნაბიჯებით გავეშურე სახლისკენ. გზაში გეგმები დავაწყვე, მომავალზე ფიქრით კი ვერ შევამჩნიე წარწერა, - „დამზადებულია ჩინეთში“.

ასე ხდება ხშირად, რაც ბრწყინავს, შეიძლება, სულაც არ ბრწყინავდეს რეალურად და რაც უფერულია, შესაძლებელია, სიღრმეში რაღაც სიკაშკაშეს მალავდეს.

## შინ დაბრუნება

ბევრი ბავშვი თვლის სკოლას ციხედ, ჩემთვის ეს ადგილი მეორე სახლია. როდესაც ზაფხულის არდადეგები მთავრდება და სკოლაში მივდივარ, გული მიფეთქავს, თავს ოპტიმისტურად ვგრძნობ, ვითომ, შინ ვბრუნდები, ჩემს დებს და ძმებს ვხვდები, ერთმანეთს ვუყვებით ამბებს, რაც გადაგვხდა, ვიცინით ყველაზე პატარა დეტალებზეც კი. ზედმეტად ემოციურები ვხვდებით და სისულელეზე ერთმანეთს ვეჩხუბებით კიდეც, მაგრამ მალევე ვრიგდებით და ვაგრძელებთ სადღაც სიარულს.

*სანდრო ცავარეიშვილი*
*17 წლის*

## ფიქრების მატარებელი

სკოლიდან დღეს გვიან გამოვედი. ბევრი გაკვეთილი გვქონდა. ავტობუსში ჩავჯექი და იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა მქონდა სამეცადინო. ფიქრები ხმაურში გადაიზარდა, ხმაური კი ნელ-ნელა თავს მივსებდა. საბოლოოდ, ჩემი ფიქრების ხმაც აღარ ისმოდა. თავისივე მატარებლიდან გადააგდო რაღაც გაუგებარმა ხმამ, რომელიც არ მასვენებდა, მეც მინადგურებდა ჩემს მოსვენებას და თავის ერთადერთ სახლსაც არ ინდობდა, თითქოს რაღაცას ითხოვენ. მე მგონი, თვითონაც არ იციან, რას, ან უბრალოდ, მე ვერ ვუგებ მათ, რომ არ მოგატყუოთ, მე თვითინაც არ ვიცი.

## კარზე აკაკუნებენ

დღეს შაბათია, მაგრამ დილით მაინც ადრე გამეღვიძა, კარგი, რატომღა გატყუებთ, არ ვიცი, ღამე საერთოდ არ მძინებია, გავათენე. ამ ბოლო დროს ხშირად მთელ ღამეს ხან მუსიკის მოსმენაში ვატარებ, ხანაც უაზროდ ვაშტერდები ჩემი ითახის თეთრ კედლებს, ვუყურებ მათ და ვიკარგები, ვერც ჩემს გარემოს აღვიქვამ, ვერც ჩემს სხეულს, რომელიც წყალივით მოდუნებულია, ყველაფერს მიჰყვება. ნიავი თუ დაუბერავს, მის მიძრაობას შევეცდები ავყვე, მაგრამ ჩემი გონება არ მიშვებს. მზეც მანათებს და მიჩენს სურვილს, რომ მას მივუახლოვდე. ფოთლები ყურში ჩამჩურჩულებენ, იმ ყველაფერს მიყვებიან, რასაც სხვები მიმალავენ. იმ ყველაფერს მიმხელენ, რასაც დანარჩენები ვერ ან არ ბედავენ.

თქვენ მოგისმენიათ როდესმე ქარისთვის ? როდესმე მართლა გიცდიათ, რომ ყური დაუგდოთ მას? მაშინ კარგად მიხვდებით, ამ დროს რასაც განვიცდი, მაგრამ

თუ წარუმატებელია თქვენი ეს მცდელობა, ესე იგი, ჯერ თქვენთვის ადრეა. გავიმეორებ ყველა მშობლის, მასწავლებლის თუ ნათესავის ნათქვამს და გეტყვით რომ სანერვიულო ამაში არაფერი არ არის, თქვენი დროც მოვა.

თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, დამიჯერებთ თუ არა.

## მოხეტიალე ქარის საიდუმლო

ქარი დაიარება ქუჩებში, ერთი შეხედვით, თითქოს უმიზეზოდ დახეტიალობს, ხან ჩემი მეზობელის მიერ ერთად შეგროვებულ ფოთლებს გაფანტავს ( დღეს უკვე მეათეჯერ ), ხანაც გალძიერდება და სკოლიდან წამოსულ ბავშვებს ზურგში დაუბერავს.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას ყველაფერს აბრალებენ. ქარისთვის მოძარაობა ხომ აუცილებელია. ქუჩაში თუ არ იფრინა, ესე იგი, თავის ერთადერთ საქმესაც ვერ შეასრულებს.

ის სულ ცოტა ხნით ძირს დაცემულ ფოთლებს იმედს აძლევს, იმედს იმისას, რომ ჯერ არაფერი დასრულებულა, იმის იმედს, რომ ფრენას შეძლებენ და რაც ყველაზე მთავარია, იმის იმედს არ უკარგავს მათ, რომ სხვა ადგილებსაც მოატარებს, რომ არ მოუწევთ უსაქმურად ძირს წოლა! თვითონ ისინი ვერ იაზრებენ, მაგრამ ქარი მათი საუკეთესო მეგობარია.

ხანდახან ყველას გვჭირდება ქარი.

## სამი კატის ამბავი

დღეს დილით დავინახე, როგორ მიდიოდა სამი კატა ერთად. დამაინტერესა, სად მიდიოდნენ და ჩუმად გავყევი. აღმოჩნდა, რომ ისინი ისეთ ადგილას მიდიოდნენ, სადაც სულ კატები არიან. ეს ადგილი ძალიან მომეწონა. იქ კატები ადამიანებივით იქცეოდნენ: სვამდნენ ყავას, კითხულობდნენ გაზეთს, მუშაობდნენ. გავიგე, რომ ამ სამ კატას ჰქონდა

ბიზნესი. ისინი კატის საჭმელს აწარმოებენ. ამ კატის საჭმელს ყიდულობს ყველა კატა. ეს სამი კატა კი, რაც კი ბიზნესიდან ფული შესდის, ღარიბ კატებს ეხმარება - ისინი ყიდულობენ საკვებს, სოროებს, საწოლებს. ამ დროს ღარიბ კატებს სახეები უცებ უნათდებათ და მადლობას იხდიან.

სამ კატას ძალიან დიდი და ლამაზი სახლი აქვს, სადაც აქვთ ბევრი წიგნი ადამიანებზე და ცხოველებზე. მათი აზრით, დედამიწაზე პირველი არსება კატა იყო და მათ სჯერათ, რომ კატას შეუძლია შეცვალოს დედამიწა. სინამდვილეშიც, მათ მიერ გაკეთებული ყველა სიკეთე ეხმარება მათ მეგობარ კატებს და ეს მართლაც შეცვლის დედამიწას.

მნიშვნელობა არ აქვს, კატა არის თუ ადამიანი, მთავარია, კარგად იშრომოს.

## სახლი, სადაც კარგად ხარ

სახლში არის ბევრი ძველი წიგნი. წიგნი, რომლის წაკითხვას ან აპირებ ან წაკითხული გაქვს. სახლში ჩემი ძაღლის დაპორჭყნილი იატაკი ჯერ კიდევ შეუკეთებელი რჩება.

სახლში არის ბევრი ძველი სურათი, რომელიც ძველ დროს მახსნებს.

სახლში შუქი თუ არის წასული, კეთილი ადამიანების სინათლე მაინც რჩება და აბრწყინებს მთელ სახლს.

## ფანჯრის რაფაზე ზის კაქტუსი და თავის მოკვლაზე ფიქრობს

ფანჯრის რაფაზე კაქტუსს მობეზრდა, რომ ვერავის ეხუტება, ვერ კოცნის და სიყვარულით ვერ ათბობს. ის უკვე თითქმის გადახტა, როდესაც ვარდმა შეაჩერა და სიყვარული აუხსნა. უთხრა, სიყვარული რომ გამოხატო, არ არის საჭირო ჩახუტება და კოცნა. უბრალოდ, ვინც გიყვარს, მას უნდა გაახელინო თვალები და დაანახო, რომ გიყვარსო!

*სანდრო ჯორბენაძე*
*13 წლის*

## მოლაპარაკე საათი

დილას გაღვიძება მიჭირს. პარასკევს ადრე რომც დავიძინო, მეორე დღეს მაინც გვიანობამდე მძინავს, მაგრამ დედაჩემმა მიყიდა მაღვიძარა, რომ დილას ყოველთვის თავის დროზე გამღვიძებოდა. დილით რომ დავაყენე, დარეკა, მაგრამ პირველად რომ დარეკა, ლაპარაკი დაიწყო: ადექი, შე საწყალო, რა მკვდარივით გძინავსო! ვიფიქრე, მომესმა-მეთქი, რადგან ნახევრად მეძინა, მაგრამ ისე მეძინებოდა, კიდევ ძილი გამიგრძელდა. მეღვიძება და კიდევ ლაპარაკობს: ჩაიცვი, ისაუზმე, გარეთ გადი! მთელ დღეს ეგრე ხომ არ ეგდებიო! ვერ ვხდებოდი, საიდან ისმოდა ეს ხმა და შემდეგ მიხვდი, რომ საათი იყო. ავდექი ჩასაცმელად. რომ ვიცვამდი, კიდევ მესმის: ეგ მაისური არ ჩაიცვა, ლაქა აქვსო და, მართლაც, ჰქონდა. დედაჩემს რომ ვუთხარი, არ დამიჯერა და ვერც დავაჯერე  ვინმე სხვა თუ იყო ოჯახში,რადგან საათი ხმას აღარ იღებდა.

## ერთხელ, ჩემთვის სკოლაში მივდიოდი

მზიანი დილა იყო, კარგ ხასიათზე ვიყავი, გამახსენდა, რომ ქართულში საკონტროლო მქონდა და ცუდ ხასიათზე დავდექი, როგორც კი ეს გამახსენდა, ხალხის კივილი მომესმა. ყველა აქეთ-იქით დარბოდა, თითქოს რაღაც სასწაული ხდებოდა. შემდეგ რაღაცის ხმა გავიგე, თითქოს ზემოდან მოდიოდა, ავიხედე და დაბნელდა. შემდეგ ისევ განათდა და რაღაცა წერტილი იყო ცაში. არაფერს არავის არ უშავებდა ან ასე მეგონა. ერთი ბნელი წერტილი, მე მრავალსართულიან სახლში ვცხოვრობდი, 22-ე სართულზე. უცებ სახლში გავიქეცი. დედამაც არაფერი მითხრა.  ეს წერტილი ჩემი სახლიდან ბევრად დიდი ჩანდა. შიგნით თითქოს კოსმოსივით იყო.

უბრალოდ, უცნაური და ნაცნობი რაღაცები დაფრინავდა. იქით გავედი და ტელევიზორი ჩავრთე, ტელევიზორში ყველა გადაცემა, კინო და სერიალები, გაჩერებული იყო და ყველა, ერთი არხის გარდა, გაჩერდა. ხოდა, მეც იმ ერთ არხზე გადავრთე, იმ ერთ არხზე საინფორმაციო გადიოდა, თუ როგორ გაჩნდა ასეთი წერტილები მთელი სამყაროს მაშტაბით. თითოეული მათგანი საგრძნობლად იზრდებოდა. ზოგიდან რაღცები ცვიოდა - მანქანები, რკინის მასალები, ხეები, აგურები და ყველაფერი, რასაც გარშემო ვხედავთ. რაღაცებიც მიჰქონდა, ისრუტავდა, მე არ ვიცოდი, რა მექნა. გაოგნებული და შეშინებული ვუყურებდი ტელევიზორს. შემდეგ აივანზე გავედი და უცბად ყველა ერთად შეერთდა. ძალიან დაბნელდა, მაგრამ ყველაფერი ჩანდა. აივნიდან ჩემი ველოსიპეტი წაიღო. თავი კინოში მეგონა.. დედაჩემი და მე ქვემოთ ჩავედით და ზემოთ ვიყურებოდით. შენობები ინგრეოდა. ციოდა. ძალიან ცუდი იყო, მაგრამ თან ლამაზი, ქუჩაში ქაოსი იყო და ხალხის ატაცება დაიწყო. მე გადავრჩი, მაგრამ დედაჩემი აიტაცა.

უცებ დღე დაბრუნდა. განათდა.ყველაფერი ჩვეულებრივივით იყო ზემოთ, მაგრამ ხალხი გაქრა,ზოგი შენობა დაინგრა. ქუჩაში დიდი რკინის ნაწილები, მანქანები და თვითმფრინავები ეყარა. ზოგს ცეცხლი ეკიდა. ხალხი ისევ კიოდა.

შემდეგი 2 წელი ამ ყველაფრის შეკეთებასა და დაბრუნებაში გავიდა. მეცნიერებმა ვერ დაადგინეს, რა მოხდა და საიდან დაებრუნებინათ ატაცებული ხალხი. ამას მე ვერასოდეს შევეგუებოდი. ყოველდღე ძილის წინ ვფიქრობდი დედაჩემზე. ვერც ვხდებოდი, რა უნდა გამეკეთებინა და ამიტომ ცხოვრება გავაგრძელე.

შემდეგ რამდენიმე წელი კიდევ გავიდა.

კარგი დილა იყო. დღეც ისეთი კარგი იყო, არარეალური მეგონა და უცბად ისევ გაიხსნა ის რაღაც, გული ამიჩქარდა

და უცებ ყველაფერი, რაც წლების წინ აიტაცა, დააბრუნა. დედაჩემი ზუსტად იგივე ადგილას ფრთხილად . სიხარულისგან ტირილი დავიწყე. დედამ რომ დამინახა. იმხელა გავიზარდე, უცხო ვეგონე. იმდენი კითხვა დავუსვი, გაგიჟდა, რომ ვკითხე, ამდენ ხანს სად იყავი-მეთქი. მიპასუხა, სადღაც ლამაზ, ჩუმ ცარიელ ადგილას, თითქოს 2 წუთი გავიდა. რამხელა გაიზარდეო! ჩავეხუტე და შემდეგი რამდენიმე დღე გაურკვევლად დავდიოდი აქეთ-იქით. ვფიქრობდი, რა მოხდა, ან როგორ, ან საიდან, ან დედა როგორ დაბრუნდა და, მოკლედ, ძალიან ჩახლართული რამ იყო.

ამდენი თავის ტკენის მაგივრად ცხოვრება გავაგრძელეთ. დღეს ამას ჩემს შვილებს რომ ვუყვები, არ სჯეროდათ ჩემი და არც დედაჩემის, სანამ ვიდეო არ ვანახე ინტერნეტიდან და ამის შემდეგ, იმდენი საინტერესო კითხვა დამისვეს, მეც რომ მაინტერესებდა პასუხი.

დღესაც მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი და ვიფიქრე, დავწერ ამ თავგადასავალზე-მეთქი. ძალიან ბევრმა იცოდა ამის შესახებ, მაგრამ რომ დავწერე, თავიდან ამოვიღესავით. თითქოს ეს ამის დაწერით რაღაცაში გამოვიყენე.

*ტასო ბეგიაშვილი*
*17 წლის*

## ცხოველები ზოოპარკში

-გეგმა გაიგე?

-გავიგე, გავიგე!

-რა გაიგე, შე შტერო მაიმუნო? აბა, მომიყევი!

-ესე იგი, როდესაც სტაჟიორი შემოვა, ვპარავ ...

-არა, შე უტვინო! გამოტოვე! დაიწყე თავიდან: შენ უსაფრდები სტაჟიორს იმ ბოძის უკან და სანამ მე ჩემი გრძელი და ლამაზი კუდით მოვხიბლავ და გავართობ, შენ გასაღებს მოჰპარავ,

-ხოდა, ეგრე ვყვებოდი!

-არ ყვებოდი ეგრე!

-მომეცალე აქედან, სანამ ბანანი თავში არ ჩაგარტყი!

-აი, მოდის!

-დაიმალე!

ახალგაზრდა  თავზე ყურსასმენებიანი გოგო  შემოდის, გასაღებს ეძებს, ცდილობს, რომ კლიტეს მოარგოს, მაგრამ ვერ გამოსდის - ჯერ გამოცდილება აკლია.

-ეეე, რამდენ ხანს ანდომებს, მაიმუნო! მგონი, შენზე დებილია!

-აუუ! რატომ დამცინი?

-არ დაგცინი!

-კი, სულ დამცინი - შტერს, უტვინოს და სულელს მეძახი ყოველთვის.

-რა ჩემი ბრალია, რომ ხარ?!

-ვსიო, აღარ გეხმარები, გაგებუტე!

-კაი რა, მაიმუნო, ბოდიში! მომისმინე: ძალიან... როგორ ვთქვა? - ცხოველი ხარ!

-ეგ რა კომპლიმენტია?

-კომპლიმენტია!

-შენ ამაყობ შენი კუდით, მაგრამ მოხუცი ხარ, ფარშევანგო, მოგძვრა ყველა ბუმბული და აღარავინ გიყურებს... ახლა გაქცევა გინდა, რადგან აღარავის აინტერესებ.

-შენ კი გაინძერი, გაიხედე, მიდის სტაჟიორი!

გოგონამ გალიის კარი ჩაკეტა და დატოვა ფარშევანგი და შემოპარული მაიმუნი ერთად.

-ეხ! ისევ გავუშვით ხელიდან ჩვენი შანსი... შენი ბრალია!

## ანდროიდი 001

ანდროიდი 001 – ასე მეძახიან. მე ვარ თვითმოაზროვნე პირველი კომპიუტერი, რაც ადამიანს შეუქმნია. ერთი სიტყვით, ამ საუკუნის ყველაზე დიდი მოვლენა და დასაწყისი რობოტების ცივილიზაციაში შემოტანისა. ჩემს კომპიუტერულ სისტემაში მდებარეობს მილიონობით მონაცემები სხვადასხვა ადამიანებზე და ქვეყანაზე. მე იოლად შემიძლია გავიგო მთელი მსოფლიოს ქვეყნების შტაბბინის კოდები, გავააქტიურო ყველა ატომური ბომბი, რაც არსებობს და გავანადგურო მთელი დედამიწა, მაგრამ რაში გამომადგება?! მე არ შემიძლია ადამიანური ემოციების გრძნობა. შესაბამისად, არ მაქვს მიზეზი დავიპყრო დედამიწა და ვმართო იგი. ზედმეტად საწვალებელია, თუ მკითხავთ. უცნაურია, რომ სურვილი არ მაქვს გამოვცადო ადამიანური გრძნობები, რადგან ადამიანის ტანში ვარ დაპროგრამებული. სანამ ავარიაში მოყოლილი მამაკაცი გარდაიცვლებოდა, მის მოქმედ ტვინთნ დააკავშირეს ჩიპი, რომელიც ახლა მის ტანს მართავს. ეს ჩიპი მე ვარ. მე არ მაქვს იმ ადამიანის მოგონებები, არც ბევრი ინტერესი. ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და მსგავსი საგნები ჩემთვის ზედმეტად იოლია. შემიძლია გაუნძრევლად ინტერნეტიდან მოვიძო ინფორმაცია.მაგრამ არის ერთი რამ, რაც ჩემს ინტერესს იწვევს, ეს არის მუსიკა, კონკრეტულად ჯაზი. მუსიკა არ არის ადამიანის გამოგონილი ციფრები, ის ძალაუნებური ემოციების ნაზავია, რაც უცნაურ სიამოვნებას მგვრის. მიყვარს ინსტრუმენტების მრავალფეროვნება და სხვადასხვა ხმის შერწყმა. კი, მუსიკა მიყვარს, მაგრამ მეზიზღება ტექნომუსიკა. ჩემთვის ზედმეტად ნაცნობია და ჩემი აზრით, შეურაცხყოფას აყენებს კომპიუტერების თვითარსებობას. კარგი, ახლა გავჩუმდები და გეტყვით, რატომ ვზივარ დიდ, ჩუმ ოთახში და ველაპარალკები ჩემს თავს. მე მობეზრებული ვარ.

*ტასო სიორიძე*
*12 წლის*

## ჩემი მარწყვიანი პერანგი

დღეს ჩემი დაბადების დღეა. წინ მიდევს მკვეთრი, ვარდისფერი, მარწყვიანი პერანგი. ეს ბებიკომ წინა დაბადების დღეზე მაჩუქა. ის ჯერ კიდევ არ ჩამიცვამს. ბებიკოს ძალიან უყვარდა ფერად-ფერადი ტანსაცმელი; აი, ისეთი, გარეთ რომ გახვალ და ყველა პირდაღებული შეგაშტერდება. მე კი, პირიქით - სულ ერთფეროვნად და უბრალოდ მეცვა. ახლა ვიაზრებ, რომ ბებიკო ვეღარ მაჩუქებს ასეთ ფერად ტანსაცმელს. ჩემს დაბადების დღეზეც ვერ მოვა... ის ერთი თვის წინ გარდაიცვალა. ეს პერანგი დამრჩა სამახსოვროდ და რაც შეიძლება, ხშირად ჩავიცვამ, რომ ბებიკო გავახარო.

## მიწისქვეშა ქალაქი

მე და ჩემი მეგობარი ქუჩაში გიჟებივით გავრბოდით. უკვე ყველაფერი მოვიარეთ და აღარ ვიცოდით, სად წავსულიყავით, მაგრამ სირბილი არ შეგვიწყვეტია. უცებ მიმოვიხედე, იქაურობა ვერ ვიცანი და ჩემი მეგობარი გავაჩერე. ისიც ჩემსავით გაუგებრობაში იყო. შემდეგ კი თითქოს სახე გაუნათდა და ჩემსკენ გამოეშურა.

—თუ თვალები არ მატყუებს, ეს ის ადგილია, რომელიც მგონია. —მითხრა მან.

—რა ადგილი?—ვკითხე მე.

—ეს მიწისქვეშა ქალაქში შესასვლელია,—გიჟური ღიმილით მიპასუხა.

—რა მიწისქვეშა ქალაქი, რაზე ამბობ საერთოდ? მგონი უკეთესია, სახლში დავბრუნდეთ. მაგრამ მან თავი გააქნია და მითხრა: —რა სახლი? ვერც კი წარმოიდგენ, რა იღბლიანები ვართ, აქ რომ აღმოვჩნდით.

—ვერაფერი გავიგე, რა მიწისქვეშა ქალაქი? ეს რაიმე

მაღაზიაა?

მან უკმაყოფილო სახით შემომხედა. უცებ ტელეფონის ხმა გაისმა. დედა მირეკავდა. ვუპასუხე. —ახლავე სახლში დაბრუნდით!— შეშინებული ხმით მითხრა მან. თითქოს იგრძნო, რომ იქ არ ვიყავით, სადაც უნდა ვიყოთ.

—კარგი, დე, 15 წუთში მანდ ვიქნებით!—ვუპასუხე მე. აბა, სხვა რა მეთქვა. მეგობარს გავხედე. მან გაიგო დედამ, რაც მითხრა და მოიწყინა, რომ იმ უცნაურ ადგილს ვერ ვნახავდით. მაინც ვერ გავიგე, რა მიწისქვეშა ქალაქი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ შაბათ-კვირას მეგობარი ისევ აქ მომიყვანს.

*ტასო ხიდეშელი*
*14 წლის*

## გაკმენდილი ხეები

სადღაც შორს, ტყეში, შემოდგომის ხეები გაკმენ-დილან,გასუსულან. ნოემბრის ცივი, სუსხი ჰაერი მათაც მოსდებიათ. ხანდახან გაიშრიალებენ, ისიც მაშინ, როცა ჩიტის ჭიკჭიკს გაიგონებენ და რაღაცის იმედით ლაპარაკს იწყებენ. დამძიმებულან, მთლიანი ტყის ამბებს ისინი ინახავენ. სუსხავს, სადღაც შორს ტყეში კი ხეები გაკმენდილან,გასუსულან. ნოემბერია.

## რამდენი რამ შეიძლება შეემთხვეს ბურთს

- აუ, დედა, ეზოში ჩავალ რა, ხომ უნდა ვანახო ვაჟას და კახას ჩემი ახალი ბურთი! - ეწუწუენბა ნიკო დედას.

- არა,ნიკო, ქარია, გაცივდები! თან სამეცადინო გაქვს.

- მხოლოდ მათემატიკა დამრჩა, რა უნდა, ორ წუთში დავწერ, - იმართლებდა თავს ნიკო, - ოღონდაც გარეთ გასულიყო.

- არა-მეთქი!

- კი მაგრამ... - შეეკამათა ნიკო.

- არა-მეთქი, წადი, მათემატიკის წერა გააგრძელე, - გადაჭრით უთხრა დედამ და წვნიანის მომზადება გააგრძელა. ნიკომ უარი ვერ აიტანა, შეიფუთნა და ეზოში გაიპარა. გარეთ ისეთი ქარბურქი იყო, ნიკოს ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, თუმცა იმის სურვილი, რომ ვაჟასა და კახასთვის ახალი ბურთი ეჩვენებინა, იმდენად დიდი იყო, ნიკო ქარს ყურადღებას არ აქცევდა. როგორც იქნა, ამდენი ლოდინის შემდეგ, მე-3 სადარბაზოდან ვაჟა და კახა გამოვიდნენ. აი, ნიკომაც დაიწყო თავისი ახალი ბურთით ტრაბახი.

- ვა, ნიკო, ახალია?

- დიახ, - ამაყად უპასუხა ნიკომ და თან დააყოლა, - ორიგინალია!

- ორიგინალი რომ არ იყოს, დაიქცეოდა ქვეყანა! - სარკაზმულად უთხრა კახამ და ნიკოს ბურთი წაართვა.

- ფრთხილად, რაიმე არ მოუვიდეს! - ანერვიულდა ნიკო.

- მოდი, ნიკო, გავაგოროთ ბურთი ან ფეხბურთი ვიყომაროთ!- შემოსძახა ვაჟამ.

- არა, სახლში მეჩქარება.

- მოდი რა, 20 წუთით ვითამაშოთ, არაფერი მოხდება!

- კარგი, ხო, ჯანადაბას!

ცოტა ხანში მათ ეზოს სხვა ბავშვებიც შემოუერთდენ და ფეხბურთის თამაში დაიწყეს.

- მიდი, მიდი, პასი მომეცი!

- აი, ეგრე, ხო მაინც გაგდირკე!

- მარცხნიდან გამეხსენი რა, ვაჟა!

- აუ, არა, გვიტანენ.- ანერვიულდა ცოტნე.

- ყურადღებით, რაა! - შემოჰყვირა ზურამ.

- ცოტაც და მოვიგებთ!

- აი, ეგრეეეე, გووოლ!

- აუ, რა გოლი შევაგდე! - ამაყობდა საკუთარი თავით ნიკო.

ბურთი მეკარეს ჰქონდა.

- მიდი, 15-მდეც ავიდეთ და დავიშალოთ!

- ზურა, მიდი, აქეთ ისროლე. - შემოსძახა ვაჟამ.

- ზურამ ბურთს ფეხი ამოარტყა და ჰოპ! ბურთი სტა-დიონიდან გადავარდა. ყველანი სასწრაფოდ გაიქცნენ სტადიონიდან და ბურთს ძებნა დაუწყეს, მაგრამ ბურთი არსად ჩანდა, ბოლოს ბევრი ძებნის შემდეგ ბურთი რეზო ბაბუს ავტოფარეხზე აღმოაჩინეს. იწვალეს, მაგრამ ბურთი ავტოფარეხიდან ვერ ჩამოიღეს. ნიკო ტირილს ძლივს იკავებდა, მივარდა ზურასთან და სიბრაზისგან ჩხუბი დაუწყო. უცბად საიდანღაც ნიკოს დედა გამოჩნდა. ჩაავლო ნიკოს ხელი და სახლისკენ წაიყვანა. თან დააყოლა: - შენ სახლში მოგხედავ!

ნიკო დასაჯეს. სამ დღეს გარეთ ვერ გავიდოდა.

ახლა ნიკო დასჯილია. ნიკოს ბურთი კი სხვისი ავტო-ფარეხის სახურავზეა. ვინ იცის, შეიძლება, იქ აღარც არის და ქარის დახმარებით უკვე ქუჩებშიც იმოგზაურა.

ნიკოს თავისი ბურთი ენატრება.

ნაკიეთში ვართ. უკვე მეათეჯერ დარეკეს გაბრაზებულმა მშობლებმა და სახლში მოსვლა გვიბრძანეს. ჩვენ არ გვესმოდა, არ გვესმოდა კი არა, არ ვუსმენდით. ვისხედით და ვუყურებდით ცას, ვარსკვლავებით რომ მოჭედილიყო, მთვარეს, რომელიც ღრუბლებში გვემალებოდა და მთებს, რომლებიც ლამპიონების კვალზე ძლივსღა ჩანდა.

არსად არ გვეჩქარებოდა.

* * *

თქვენ იცით, როგორი სირთულეები ელოდებათ გადამფრენ და გადმომფრენ ჩიტებს? ისინი ბევრი დაბრკოლების წინაშე არიან, მაგრამ ეს იმისთვის, რომ აქ თავიანთ სამშობლოში დაბრუნდნენ. იქნებ ეშინიათ? იქნებ არა- ეშინიათ, მაგრამ არ იმჩნევენ, რადგან უყვართ თავიანთი დაბადების და გამრავლების ადგილი. გული თავიანთ მიტოვებულ ბუდეებისაკენ მიუწევთ. იმ გამხმარ ბუდეს ხის იმედად ტოვებენ. მოფრინავენ. ერთი სული აქვთ, გაზაფხული დადგეს, რომ მოფრინდნენ. ჩამოფრენისას ბედნიერებისგან თავს დასტრიალებენ თავიანთ ნაცნობ ადამიანს. ის ვერ ხვდება. თუნდაც შენ, მაგრამ მათ უხარიათ. უხარიათ, რომ დაბრუნდნენ. შორიდან ჭიკჭიკს იწყებენ. გაზაფხულის დაწყებას გვამცნობენ. ბუდეებში დაბრუნებისას ერთმანეთს სიხარულისგან თავისებურ ენაზე ელაპარაკებიან.

ისინი თავიანთ დადებულ პირობებს ასრულებენ; ბუდეს ეუბნენიან: ხომ გითხარი, დაბრუნდები-მეთქი! ისინი მართლაც დაბრუნდნენ.

ღამით ის დაღლილი მერცხლები ისევე წვებიან თავიანთ ბუდეებში, როგორც ჩვენ და ერთმანეთს იმ საშინელ გზის და ფრენის ამბებს უყვებიან. შემდეგ დედა მერცხალი ამშვიდებს და თავიანთ კრიალა და მოჭიკჭიკე ენაზე უმღერის. ხოლო დილას, საკვე გულით წამოხტებიან და ტყეს გაზაფხულის დადგომას ულოცავენ!

რა კარგია, როცა ჩიტები შინ არიან!!!!!

*ქეთი რაზმაძე*
*13 წლის*

## ცა მიღიმის

ერთხელ სკოლიდან ექსკურსიაზე წავედით. ბავშვები ავტობუსში კარგად ვერთობოდით. შემდეგ მოვინახულეთ ერთი ორი ადგილი და ტყეში გავშალეთ სუფრა. ჩემი კლასელები თამაშობდნენ ისეთ რაღაცას რაც მე არ მიყვარდა. ჩამოვჯექი ხის მორზე და თან მუსიკას ვუსმენ. საცაა ჩამეძინება რა დროსაც ცისფერ პეპელას ვხედავ, რომელიც თვალწინ მიტრიალებს. წამოვდექი და გავყევი. ვერ ვეწეოდი, ამიტომაც სირბილი დავიწყე. არ მაინტერესებდა არაფერი, ჰაეროვნად მივდევდი ამ ფარფატა პეპელას. ამიყვანა რაღაც მთაზე. ავედი და...

ვხედავ ყაყაჩოებით მოფენილ მდელოს. თვალები ამიჭრელდა. ღაჟღაჟა წითელი ყაყაჩოებს ბოლო არ უჩანდათ. ყველა ყაყაჩოს ზემოდან ცისფერი პეპლები ესხდნენ. სითბო ვიგრძენი. ისეთი კარგი ამინდი იყო რომ სიოც კი არ უბერავდა. ბედნიერი და თავისუფალი ვიყავი. გავიქეცი ამ ყაყაჩოებში და გაქცევის დროს ყველა პეპელა ააფრინდებოდა ყაყაჩოებს და მომდევდნენ. ყაყაჩოების მინდორს ბოლო არ უჩანდა. მივრბოდი, თან პეპლები მომდევდნენ. აღარც ექსკურსია მახსოვა და აღარც ჩემი მეგობრები. ჩემს თავთან მარტო ვიყავი და თავისუფალი. ბოლოს ამ წითელ მინდორში დავწექი და ცას შევხედე რომელიც თითქოს მიღიმოდა.

## შინ დაბრუნება

ჩემთვის შინ დაბრუნება არის ბებოსთან და პაპასთან სახლში მისვლა. შეხვალ თუ არა, ბებეოს უგემრიელესი საჭმლის სურნელი გხვდება. ჭრიალა იატაკი. შუშის კარი, რომელსაც ძველისძველი ნაჭერი აქვს. ჩართული

ტელევიზორი და მოჭიკჭიკე თუთიყუში. გხვდება ბებო და პირველი სიტყვები მისი პირიდან არის ეს - ბებო, ხომ არ გშია? შემდეგ შემწვარ კარტოფილს მოგირბენინებს, რომელსაც თავის გაკეთებულ ტყემალს და კომპოტს მოაყოლებს. შემდეგ თავის სარწეველაში ჩაჯდება, პლედს მოიფარებს და ინდური სერიალის ყურებას განაგრძობს. ცოტა ხანში პაპა გამოდის თავისი ოთახიდან და შოკოლადს მაწვდის, თან მეუბნება - სამზარეულოში ვაშლია, გაირეცხე და ჭამე. შემდეგ ბებო მოგეხვევა და გეალერსება. აი, ეს არის ჩემი შინ. აქ ყველაზე კომფორტულად და თბილად ვგრძნობ თავს. მიყვარს შინ ყოფნა!

## ჯადოსნური ამბები

ერთხელ, გამოფენაზე რომ ვიყავი, ულამაზესი ნახატი დავინახე. ტყე იყო იასამნისფერი ყვავილებით. გზა მოჩანდა, რომლის ბოლოს არავინ იცის, რა იყო. ხეებს სხვადასხვა ფერის ყვავილები ჰქონდა. ვიდექი დიდხანს და ვუყურებდი. მინდოდა იქ ცხოვრება. უცბად რაღაც ვიგრენი. გავახილე თვალები და ტყეში ვარ. ჩიტები ჭიკჭიკებენ. პეპლები თავს დამტრიალებენ. იქით ვხედავ ფერიებს. ტყის მცველებს. განსხვავებული ფრინველები იყვნენ. სულ სხვადასხვა ფერის. ჯადოსნური იყო იქაურობა. ხეებზე პაწაწინა ფერიების სახლები იყო. წყარო მოწანწკარებდა. დავინახე ის ბილიკი. რა თქმა უნდა, გულმა ვერ მომითმინა და გავყევი. ისე მსურდა გამეგო, მის ბოლოს რა იყო, რომ გავიქეცი. ბოლო-ბოლო მივედი ბოლოში და ვხედავ ჯადოსნურ ხის სახლს. გული ამოვარდნაზე მქონდა. შევედი ამ სახლში და, აი, აბსოლუტურად ყველაფერი ჯადოსნური იყო. ფერიები, პეპლები, ციყვები ყველა აქ იყო და სახლს ალაგებდნენ. გაოცებული ვიყავი. აქ დარჩენა მინდოდა, მაგრამ გავახილე ვალები და ისევ იმ სურათს ვუყურებ და ახლა უკვე ვიცი, რა იმალება ბილიკის ბოლოს...

## ჭუჭრუტანა ვიღაცის ცხოვრებაში

ვხედავ ერთ კაცს, რომელიც დგას გზის გასწვრივ და ელოდება, როდის აინთება მწვანე. რაღაცნაირი მოწყენილი მეჩვენება. თვალებში ნაღველი ეტყობოდა. ის სკოლის დარაჯი გახლდათ. მარტოდ-მარტო ცხოვრობდა სახლში. ნათესავები სხვაგან წასულიყვნენ და პაპა დავიწყებოდათ.. მას ბავშვები ძალიან უყვარდა. ყოველ დღე გახარებით იღვიძებდა იმის იმედით, რომ ისევ წავიდოდა სკოლაში და ბავშვებს ნახავდა, რომელთა დანახვაზეც თავისი შვილიშვილები ახსენდებოდა.

სკოლის დარაჯები მეტწილად მოღუშული კაცები არიან, მაგრამ ეს დარაჯი გამონაკლისია. ის ყველა ბავშვს სკოლაში შესულს ესალმება და კარგ დღეს უსურვებს. პირველ კლასელებს ეხუტება კიდეც და კანფეტებს ჩუქნის. მას ყოველი ბავშვის დანახვაზე თავისი შვილიშვილები ახსენდება და იმედს ისევ იტოვებს, რომ ნათესავებს ის გაახსენდებათ და მოინახულებენ.

## ჩვენი ამბები, რომელბიც შიგნიდან მათბობს

ზოგადად, სოლოღაშვილები ყველგან ერთად დადიან - მთა იქნება, ბარი, მინდორი, თუ რაც იქნება. არც ზაფხულის არდადეგებს ჩააგდებდნენ. ადრე ყოველ ზაფხულს მივდიოდით წაღვერში. ავიბარგებოდით და წავიდოდით ჩვენი ერთგული მეგობარი ქალბატონის ბინაში. მას თამუნა ერქვა. ორსართულიანი სახლი იყო. აივნიდან მოჩანდა ულამაზესი ტყე. დეიდაშვილები სახატავებს გამოვიტანდით ხოლმე და აივანზე ვხატავდით, ბარბებითაც ვთამაშობდით გოგოები, ხოლო ერთადერთი ბიჭი დეიდაშვილი მანქანით გვეთამაშებოდა. ყოველ დილის თამუნას მზესუმზირის სურნელი გვაღვიძებდა. ყველა ერთად ვსაუზმობდით. საუზმობის შემდეგ მივდიოდით ტყეში, სადაც ბეწვის ხიდი იყო. გულის ფანცქალით გადავდიოდით. მის ქვემოთ

მდინარე მოჩუხჩუხებდა. შემდეგ მივდიოდით პარკში მუავე წყლებზე. დეიდაჩემმა გვითხრა, მოკლე გზით წავიდეთო. რა თქმა უნდა, ეს გზა არ ყოფილა ჩვეულებრივი. ისეთი აღმართი იყო, რომ მიწაზე ამოსულ საწყალ ბალახებს ძლივს ვეკიდებოდით... ძლივს ავაღწიეთ, მაგრამ ნეტა არ დაგვენახა, რაც ხდებოდა მუავე წყლებზე. უზარმაზარი რიგი იყო, სადაც ერთი ქალი რიგის გამო ყველას ქოქოლას აყრიდა. სხვა რა უნდა გვექნა, ჩავდექით რიგში. სანამ ჩვენი დრო დადგა, მე და ჩემმა დეიდაშვილებმა შევამჩნიეთ თიხისგან გამოძერწილი ყულაბები. პანიკა ავტეხეთ, გინდა თუ არა, გვიყიდეთო. იმიტომ მოგვწონდა, რომ ჩვენით უნდა შეგვეღება. ამასობაში ჩვენი რიგიც დადგა. ავავსეთ ბოთლები და დავბრუნდით სახლში. საღამოობით სოლოღაშვილები შეიკრიბებოდნენ და ყველა ერთად აივანზე თამუნას მოხალულ მზესუმზირას მიირთმევდა, თან ლუდს სვამდა და ლაპარაკობდა. ზოგადად, სოლოღაშვილები წიოკა ხალხია, მაგრამ ასეთ საღამოობით იცინიან და ჩუმად არიან.

ასე ტკბილად მახსენდება ეს წაღვერი.

### სარეცხი, რომელიც დროშასავით ფრიალებს

- ვა-ვა გამარჯობაააა!

- გამარჯობაა. როგორ ხარ?

- ჰა?

- როგორ ხარ-მეთქი !

- რა ვიცი, არა მიშავს. შენ?

- უჰ. ამ ქარის ხელში როგორ ვიქნები.

- აუ ვერ ვიტან ქარს. მარჯვნივ ხარ თუ მარცხნივ, ამ სიბნელეში ვერ გხედავ.

- მარჯვნივ ვარ.

- აუუ, დილას გამფინეს და წესით, უკვე გავშრი. ნეტავ როდის შემიყვანენ სახლში, მცივა. - აუ მე საღამოს გამფინეს და მაგრა მომწონს აქაურობა.

- მგონი შენ  ახალი ხარ? რაღაც ვერ გიცანი.

- კი, ერთი კვირის წინ წამომიყვანეს .

- ჰაა? არ მესმიის.

- უიმე, ყრუ ხარ, კაცო?

- აუ, ამ ქარში რა უნდა გავიგო?

- ვერ გავიგე!

- აჰა, აგე შენც ყრუ ყოფილხარ.

- აუ, რა საზიზღარი კაბა ხარ. იმედია, მალე ჩამოგხსნიან, თვალი მომჭერი, ისეთი წითელი ხარ.

- შენ ვისზე რას ამბობ. ლურჯი ხარ და ორი ტოტი გაქვს, რას გავხარ...

- ფუ , რა საზიზღარი ხარ!

- შენ ვისზე რას ამბობ?

უცებ ქარმა ისე დაუბერა, რომ კაბა და შარვალი ერთმანეთს ჩაახუტა, ისე ჩაახუტა, რომ სუნთქვა თეეკრათ. დილით გოგომ ძლივს დააშორა ერთმანეთს კაბა და შარვალი.

## თებერვლის ამბავი

ზამთრის ბოლო თვეა. ძლივს, როგორც იქნა, მალე მოვა გაზაფხული. თოვლი უკვე დნება. მიწა ნამიანია. მზე აჭყიტებს, მაგრამ ჯერ მაინც ცივა. ხის ტოტები ნესტიანია. დადიხარ ტყეში და თოვლის ჭრიალი აღარ გესმის. იღვიძებენ ყვავილები. უკვე გაუვიდა თოვლს თავისი დრო და ახლა ყვავილების ჯერია. ციყვებს ზამთრისათვის შეგროვებული საკვები ნელ-ნელა ეწურებათ. თბილი ქვეყნებიდან ჯერ არ მოფრენილან მოჭიკჭიკე ჩიტები, მაგრამ რამდენიმე ჩიტი მაინც არის შემორჩენილი და მიყუჟულ ტყეს მაინც აცოცხლებს. კვირტები გაიბერნენ და მწვანედ ამოჰყვეს თავები. ნუშის ხე უკვე თითქმის აყვავდა და მზადაა, რომ მოვწყვიტო და დედას მივურბენინო.

*ქეთევან ხიდეშელი*
*12 წლის*

## ვარსკვლავების ღამე

ბურთი მარტო იჯდა გაბრაზებული. პატრონს უბრაზდებოდა, ასე მარტო რომ დატოვა და არ მოაკითხა. უცბად, ხმა მოესმა. გაიხედა, გვერდზე დიდი გუბე დაინახა. შიგ ბურთი იყო, ოღონდ ანათბდა, თან ხელს უქნევდა. უკვე დაღამებულიყო. ცაზე ვარსკვლავები ჩანდა, მაგრამ მთვარე არსად იყო. ბურთი მიხვდა, რაც ხდებოდა - გუბეში ჩავარდნილი მისნაირი ბურთი მთვარე იყო. მთვარეც მოწყენილი იყო იმის გამო, რომ დედამიწა ამოძრომაში არ ეხმარებოდა. ბურთი კი, პატრონი რომ არ მოდიოდა მასთან და მარტოდ მარტო იყო დარჩენილი. მგონი, მთვარე და ბურთი ბედისწერამ შეახვედრა ერთმანეთს . მთავრე და ბურთი გაბრაზებულები ისხდნენ დილამდე.

## პატარა სპლიყვის ამბავი

მე პატარა სპლიყვი ვარ. რაც თავი მახსოვს, ზოპარკში ვცხოვრობ. აქ დავიბადე და გავიზარდე. დედამ მითხრა: როცა შენ დაიბადე, ყვალა ბედნიერი იყოო. ამით ვიმშვიდებ თავს, რადგან ჩემს და-ძმებში ყველაზე პატარა ვარ და ამის გამო სულ დამცინიან. ბებო ამბობს, რომ იმის მიუხედავად , რომ აქ ვართ გამომწყვდეულები, ადამიანები მაინც კარგი ტიპები არიან: გვაჭმევენ და გვასმევენო. დედა მეუბნება: არ უსმინო, ბებო დაბერდა და ბოდავსო. ყოველ ღამით ცხოველებს საიდუმლო შეხვედრა აქვთ. მე არ მივყავარ მშობელებს - ჯერ პატარა ხარო. მერე ჩემს და-ძმასაც გაეცინება, გამაბრაზებენ და წავლენ. როცა ბრუნდებიან, თენდება და მე უკვე მძინავს ხოლმე. დილას კი ზარი დაირეკება თუარა, უამრავი ხალხი მოდის. ზოგი მელაპარაკება,ზოგიც ისე შემავლებს ხოლმე თვალს. მოკლედ, ძალიან უცნაურები არიან ეს ადამიანები.

ყველაზე მეტად ბებოსთან ერთად მიყვარს დროის გატარება, რადაგნ მიყვება  აფრიაკში გადახდენილ თავის ამბებს. დედა მეუბნება: იგონებსო,  მაგრამ მე მაინც მჯერა. როგორც ადამინებს, ცხოველებსაც აქვთ დღესასწაული ყოველ თვეს. იმ დღეს, როგორც ჩემი და- ძმა მიყვება, მაიმუნები ბევრ საჭმელს იპარავენ და დილამდე ატარებენ დროს. მე აქაც არ მივყავარ მშობლებს, მაგრამ ერთხელ გავიპარე და ყველაფერი დავინახე.

ერთი სული მაქვს, მეც  გავიზარდო და მალე წავიდე ამ შეკრებაზე .

ამ  ყველაფერს პატარა სპლიყვი ფიქრობს.

## ჩემს სოფელში რომ ფანჯარა იყო

ჩემი სოფლის ოთახში რომ ფანჯარაა, მხიარულია, ჭორიკანა; ყველაფერი იცის სოფლის შესახებ. რომ გაიკითხო ჩვენს სოფელზე რამე, ჩემი ფანჯარა ყველაზე მეტს გეტყვის. გამვჭირვალეა. მხოლოდ გვერდზე აქვს ხის ჩარჩო. მას ძლიან ლამზი ცისფერი კაბა აცვია, თეთრი ყვავილებით.

ერთი დღე გათენდა. ძალიან ცხელოდა. ჩემი ფანჯრიდან მზე მანათებდა. გაღვიძება არ მინდოდა.  ძილის შეტრიალბა ვცადე, მაგრამ  ვინ დაგაცადა?  ჩემი ძმა შემოვარდა - აბა ჰე, ერთი -ორი, ერთი-ორი! - კენწლის ბურთს. მე დავუყვირე:

-ნიკო! გადი ოთახიდან!

მან მიპასუხა:

-არა, ადექი უკვე გათენდა! ჯანსაღ ცხოვრებას ვიწყებთ.

-აუ, გადი,  ნიკო, რა!  - ვყვირი ისევ მე.

ჩემი ძმა არ მისმენს და ისევ კენწვლას აგრძელებს.

-ერთი-ორი! - იძახის ჩემი ძმა, - სოფლის ფეხბურთის გუნდში უნდა ჩავეწერო!  ერთი-ორი-სამი!

და ბახ! - ჩემს ფანჯარას მოხვდა და გატყდა. მე ავტირდი. შემდეგ ბაბუ შემოვიდა ხმაზე.

ფანჯარა ისეთი ძველი იყო, სულ მოხსნა მოუწიათ.

შუადღეს მანქანა მოვიდა ქალაქიდან, რომელმაც ახალი ფანჯარა მოიტანა და ძველი წაიღო.

ის ფანჯარა კი ძალიან მოსაწყენი აღმოჩდა - არც ამბები იცის, არც ჭორები. მე ახალი ფანჯრიდან შევცქერი მანქანას, სადაც დევს ჩემი ძველი ფანჯარა, რომელიც მიდის და მიაქვს თავისი საუკეთესო ამბები და ჭორები.

## ჩემი ჭადრის ხე

ჩემი სოფლის ეზოში რომ ჭადრის ხეა, დიდი ხანია, იქ დგას. პირველად ხუთი წლის ასაკში ავედი და იმის მერე ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. ზემოთ არსდროს ავდიოდი, რადგან მეშინოდა ან, უბრალოდ, გამბედაობა არ მყოფნიდა. მგრამ ერთ დღეს ხეზე მოკალათებულს რაღაც ხმამ ფიქრები გამიფანტა, ავიხედე ზევით, ლამაზი წითელი ფრანი იყო. არ ვიცი, საიდან მოვიდა, მაგრამ მისმა სილამაზემ ისე მომხიბლა, რომ შიში დავძლიე, ზემოთ ავცოცდი და იქვე გავშეშდი - ხიდან კავკასიონის ქედი მოჩანდა, მის უკან მზე იმალებოდა, ცა სულ სხვადასხვა ფერებად მოჩანდა. ნიავმაც ჩამიქროლა და თმები ამიფრიალა. ყველაფერი ჩანდა - რიონი, რომელიც ლოდებს ეხეთქებოდა, გზა, რომელსაც ყოველთვის გავდივარ და, საერთოდ, ყველაფერი . პირდაღებული ვიყურებოდი იქამდე, სანამ დედამ არ შემომძახა; მალე მოდი, ხომ არ დაგავიწყდა, რეზო ძიას რომ უნდა დახმარებოდიო. კი მეთქი - ვუთხარი, მაგრამ იმდენ ხანს ვიჯექი, სანამ დედის ხმა მთელმა სოფელმა არ გაიგო.

ამდღის შემდეგ ამ ხის ყურება სულ სხვანაირად დაიწყე. მიყვარდა მისი ლამაზი ფოთლები, მიყვარდა მისი სილამაზე. მიყვარდა, როგორი გამართული იდგა და როგორ ამშვენებდა ეზოს ეს საოცარი ჭადრის ხე.

*ცოტნე კონჯარია*
*12 წლის*

## იმ მთის იქით

მთაზე მხოლოდ ჰარმონია. იქ არაფერი ცუდი არ ხდება ცხოველები ერთმანეთს ემეგობრებიან; კატები და ძაღლები კარტს თამაშობენ; ჯადოსნური ადგილია, სადაც მოხვედრის ორი გზა არსებობს; ცისარტყელის ხიდით ან თავისუფლების მატარებლით, რადგან თუ ამ გზებით არ წახვალ, მთა ჯადოსნური არ იქნება. მთა იქნება იმ აზრის, როგორითაც დიდები თვლიან საჭიროდ, რადგან ისინი ამას ვერასდროს მიხვდებიან.

ღამით ამ მთაზე მხოლოდ ერთი რამის თქმა მოგენდება - იმის, რომ „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“.

## თავისუფლება

ყოველთვის ვოცნებობდი ყველაზე წარმოუდგენელ მწვერვალებზე აძრვომასა და მსოფლიოს თავზე აბსოლუტური თავისუფლების განცდაზე. და დადგა დღე, როცა თავისუფლების მატარებლით წავედი ჩემი ძველი ოცნების ასასრულებლად. ჩემი მოგზაურობა დაიწყო საოცარ ქალაქში, რომელიც გარშემორტყმულია დიდებული მთებით, რომლებიც ადამიანებისთვის მიუწვდომელი ჩანდა. თავად თავისუფლების მატარებელი იყო ინჟინერიის ნამუშევარი, შეუდარებელი ტექნოლოგიით და თანამედროვე დიზაინით. სიდიადე და თავგადასავლები ვიგრძენი, როცა შიგნით შევედი. მატარებელი ნელა მოძრაობდა თვალწარმტაცი ხეობების გასწვრივ. გადალახა ციცაბო ფერდობები, ხოლო ფანჯრების მიღმა ბუნების სხვადასხვა სურათი იშლებოდა. ვგრძნობდი, რომ ყოველ კილომეტრზე უფრო და უფრო მიჩქარდებოდა გული. ჩვენ თვალწინ შეიცვალა პეიზაჟები: ხშირი ტყეები, მარადმწვანე ბორცვები და ბროლის ტბები,

რომლებიც ასახავს ცას. მატარებლის ასვლისას ჰაერი უფრო გრილი გახდა და მხედველობის სიცხადე - უფრო ნათელი. ფანჯრებს შევხედე და დავინახე, როგორ მივუახლოვდით დათოვლილი მთის მწვერვალს. ჩემი მღელვარება გაიზარდა და ვერ ვიჯერებდი, რომ საბოლოოდ მივაღწიე ჩემს მიზანს. ასე რომ, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ აღმოვჩნდი ამ დიდებული მთის უმაღლეს წერტილში. ხედი ზემოდან უბრალოდ თვალწარმტაცი იყო. ვიგრძენი ბუნების ძალა და მისი სიდიადე, ამ მწვერვალზე დგომისას. ცივმა ქარმა დამიარა სახეზე, მაგრამ ამან მხოლოდ გამიძლიერა სიცოცხლისა და თავისუფლების გრძნობა. აქედან სრულიად ახალი თვალით ვხედავდი სამყაროს. ქვემოთ იშლებოდა მწვანე ხეობების, მდინარეების და ტბების პეიზაჟი.

ადრე კი ეს ყველაფერი ისეთი პატარა და უმნიშვნელო ჩანდა.

## ძველი ჩანთა

იყო ერთი ძველი ჩანთა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იდო კარადის უკანა თაროზე. მისმა მფლობელმა კაცმა, ივანემ, ის ახალგაზრდობაში იყიდა. მაშინ ჩანთა ახალი და ნათელი იყო და ივანე მას ყველგან ატარებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩანთა გაცვთა და მიმზიდველობა დაკარგა. ივანემაც თაროზე დადო და დაავიწყდა. გავიდა წლები და ივანეს დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა ჩანთა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც ის ძველ საბუთს ეძებდა, იპოვა. მას გაუკვირდა, რამდენი რამ შეენახა მასში. ჩანთაში იდო ძველი ფოტოები, წერილები, ჩანაწერები, კონცერტის ბილეთები და სხვა ბევრი რამე, რაც ივანეს წარსულს ახსენებდა. ივანემ თავისი ჩანთის დალაგება დაიწყო და თითოეულმა ნივთმა რაღაც დიდი ხნის მივიწყებული ამბავი გაახსენა. მან იპოვა წერილები მისი მეგობრებისგან, რომლებიც დიდი ხნის წინ წავიდნენ საზღვარგარეთ. მან ნახა

კონცერტების ბილეთები, რომლებზეც რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილ ძმასთან ერთად დადიოდა. ივანემ რამდენიმე საათი გაატარა ჩანთის დალაგებაში. თითოეული ნივთი მას ახსენებდა მათ, ვინც წარსულში იყო მასთან. ის მიხვდა, რომ ძველი ჩანთა მისთვის გახდა არა მხოლოდ ნივთი, არამედ ერთგვარი განძი, რომელიც ინახავდა ძვირფას მოგონებებს. ბოლოს, ივანემ გადაწყვიტა ჩანთა თაროზე არ დაებრუნებინა. გადაეტანა იგი თავისი სახლის ყველაზე გამოჩენილ ადგილას, სადაც ყოველთვის შეახსენებდა მის წარსულს და მათ, ვინც იმ დღეებში მასთან ახლოს იყო. ძველი ჩანთა ივანესთვის გახდა თავისი ცხოვრების სიმბოლო.

## სახლიდან გამოგდებული ძაღლი

-ეს რა გაკეთე, შე ვირისშვილო, ჰა? ვინ გითხრა, მაგიდაზე აძვერი და ლარნაკი ჩამოაგდეო?! უი, შე უბედურო! გარეთ გავარდები ახლა!

ეს ბოლო იყო, როცა გავიგე ჩემი პატრონის ხმა. ამის შემდეგ ვარ გამოგდებული გარეთ. აქ შევიძინე ახალი მეგობრები ჰალკი და პური. მე კიდევ სკიპერი შემარქვეს. ღამღამობით გამოვდივართ და ვნადირობთ. ყველა გვიცნობს უბანში. ყველას ვუყვარვართ. ეზო გახდა ჩემი სახლი. ძირითადად ხორცის მაღაზიასთან ვსხედვართ. მანდვე პატარა სახლივით დაგვიდგეს, მაგრამ ზოგჯერ მენატრება ძველ თბილ სახლში ჯდომა. თუმცა, ახლაც ვზივარ სახლში და ჩემს მეგობრებთან ერთად გიყვებით ამ ამბავს. აქ ვიპოვე ოჯახი, რომელიც აქამდე ასე ძალიან მაკლდა.

## პეპელა და ყვავილი

-გეყო ჯდომა, გამისკდა თავი.

-კარგი რა, სულ როგორ წუწუნებ? შენი წუწუნისგან მე გამისკდება თავი.

-გაფრინდი და აღარ ვიწუწუნებ.

პეპელა გაფრინდა. ყვავილმა მოისვენა. უცებ ერთი ბავშვი მივიდა მოწყვიტა. ცოტა ხანს  ატარა და დაგდო ძირს.

## ლომი გალიაში ზის და ფიქრობს

ნეტავ, მეც ადამიანი ვიყო! რას მომაშტერდა ეს ხალხი?! რა, ცხოველების მეფე არ უნახავთ? მართალია, ჯერჯერობით ცხოველების მეფე გალიაშია, მაგრამ მაინც ლომი ვარ და უნდა გეშინოდეთ. ისე, ნეტავ, ადამიანი რომ ვყოფილიყავი, მეც ამგვარად შევხედავდი ჩემს თავს? სულ მაინტერესებდა, ადამიანების ზოოპარკი არის? აი, სადაც, ვთქვათ, ლომები მიდიან მათ საყურებლად. მენატრება ჩემი სამშობლო! სამწუხაროდ, მანდ ჩასვლა არ შემიძლია. ეს ხალხი არ გამიშვებს. ნეტავ მეც მათნაირი, არავიზე დამოკიდებული ვიყო. ეჰ, ნეტავ, ადამიანი ვიყო.

## სანამ დავიბადებოდი

სანამ დავიბადებოდი, ღრუბლებზე ვიყავი, ვთამაშობდი, დავხტოდი. ღრუბლებისგან რაღაცებს ვაშენებდი. აბა, თქვენ რა გგონიათ, ღრუბლებს ფორმას ვინ უცვლის? და ერთ დღესაც რომ გავიღვიძე, ჩემი მფარველი ანგელოზი და წერო დავინახე. მე მაშინვე მივხვდი, რაში იყო საქმე - უნდა წავეყვანე ჩემს არჩეულ ოჯახში. გავიფიქრე, ჩემი ოცნება აღდგა-მეთქი . მე მაშინვე ჩავბარგდი და შემოვაჯექი წეროს. იქვე ჩემი მფარველი ანგელოზი იჯდა. ბევრი თუ ცოტა ვიფრინეთ. ისევ ღრუბელზე გავჩერდით. თურმე ჩვენი წერო ძმაკაცებთან შესულა სალაპარაკოდ. დრო გადიოდა, წერო კი არ ჩანდა. მერე მივხვდი, რომ ჩვენი წერო იმდენად გართული იყო ლაპარაკში, რომ სულ გადავვიწყებივართ და გაფრენილა აქედან ჩვენ გარეშე. რა კარგია, რომ  იმ დღეს რომ ჩემი მფარველი ანგელოზი რუკით იყო. მე მას შემოვაჯექი და დავეშვი ოჯახში. იცით, ახლა, როცა ჩემს ოჯახთან ერთად ვარ უკვე წამოზრდილი, გავიაზრე რომ

ადრე, როცა ღრუბლებზე ვცხოვრობდი, ერთი სული მქონდა, მაქედან როცა ჩამოვფრინდებოდი, მაგრამ ახლა მენატრება ჩემი საყვარელი ღრუბლები.

## ამბავი, რომელიც მე არ გადამხდენია

დილით ადრე ავდექი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობდი ღელვას, თითქოს, რაღაცა დამვიწყდებოდა, ან სადმე ვაგვიანებდი. ვერ ვიხსენებდი. დრო გადიოდა, მაგრამ მე არ ვინძრეოდი. ისევ ღელვა მაწუხებდა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მომეჩვენა, რომ უნდა ჩამეცვა და წავსულიყავი. მივედი უცხო ქალაქში. ჩემ წინ იდგა ერთი შავებში ჩაცმული მოხუცი კაცი. ის მეცნო. თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი, რომ მომესმა ხმა: ბაბუ, აქ რას აკეთებო? მერე მივხვდი, რომ ის კაცი ბაბუაჩემი იყო, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ბაბუაჩემი დიდი ხანია, არ იყო ჩვენთან.

მე გავიქეცი მისკენ და ვცადე ჩახუტება, მაგრამ ვერ შევძელი - ხელებმა მასში გაიარეს. ახლა დავფიქრდი: მე ნაღდად მე ვარ? რადგანაც მეცვა ლურჯი პალტო, რომელიც გუშინ დედამ მიყიდა, მაგრამ მე ჩემს თავს ვუთხარი, რომ ამ პალტოს ცხოვრებაში არ ჩავიცვამდი.

ავხედე ბაბუას და უცებ სულ სხვა კაცი დავინახე. მას ჩემნაირი პალტო ეცვა და მიღიმოდა. ამას მოჰყვა ფიქრი იმაზე, რომ იქნებ მეძინა. ხელი წამოვირტყი თავში, მაგრამ არც ტკივილი და არც გაღვიძება ამას არ მოჰყვა. მერე რატომღაც მახსენდებოდა ისეთი ამბები, რომლებშიც მე ნაღდად არ ვიყავი, არც ჩემი მეგობრები იყვნენ იმ ამბებში და არც - ოჯახის წევრები.

წამიერი დუმილი და კაცი გაქრა. მე კიდე, ისევ ჩემს სახლში ვიყავი. ამის შემდეგ დავფიქრდი იმაზე, თუ ვინ ვიყავი სინამდვილეში - იმ პალტოს პატრონი კაცი, თუ მე თვითონ...

## რა ხდება ცისარტყელაზე?

ცისარტყელა ხშირად ასოცირდება დედამიწასა და ცას შორის ხიდის იდეასთან, რაც სიმბოლოა იმედის, დაპირებისა და უკეთესი ხვალინდელი დღისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეიძლება არასოდეს ვიცოდეთ, რა ხდება ცისარტყელაზე, ეს ფრაზა შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას განმარტებული. ზოგისთვის ეს შეიძლება იყოს ადგილი, სადაც ოცნებები ახდება და ყველაფერი შესაძლებელია. სხვებისთვის ეს შეიძლება იყოს განმანათლებლობის სიმბოლო, რომელიც სცილდება რეალობის ამჟამინდელ გაგებას. საბოლოო ჯამში, „ცისარტყელას" მნიშვნელობა სუბიექტურია და ის მოგვიწოდებს წარმოვიდგინოთ სამყარო იმის მიღმა, რაც ვიცით, ვიოცნებოთ და ვისწრაფოთ უკეთესი მომავლისკენ და არასოდეს დავკარგოთ იმედი, რომ ხვალ უფრო ნათელი დღე იქნება.

## ცა ყველას თავზე თანაბარია

ღამეა, ბნელა. მხოლოდ ვარსკვლავების პატარა ჩამოსული სხივები კაშკაშებს.

ტყეში ვარ. წითელი ხის ძირას ვზივარ და ვფიქრობ: ნეტავ, მეც ცასავით თავისუფალი ვიყო!


ჩემი ოჯახი, რომელიც
შეგიძლია
მეგობრებს